N43 (594) 27/X-2/XI-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული

ლადო ასათიანი

ორტომეული

ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ

ლადო ასათიანი

ტომი II

რატომ გაურბის ნოდარ გურგენაშვილი ქალ ფანებს

ნანკა კალატოზიშვილის პირადი ცხოვრება

„მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ“

„კედოს დამაშორეს და ნოე სულაბერიძეზე გამათხოვეს“

რით დაინტერესა 17 წლის გოგონამ უცხოელები

განუკურნებელი სენით დაავადებულთა პრობლემა

უკანასკნელი ბრძოლა

„ მოდელებს გვშია, გვცივა...“

დაკარგული მეგობრები და შვილის დაინფიცირების საშიშროება

„მომიტანეს, დამიმორჩილა და... ახლა აივ-ინფიცირებული ვარ, მეულლე კი გარდაიცვალა“

ხევსურებსა და ქისტებს შორის

ISSN 1987 - 5029

როგორ დაისაჯა მეგობრების მკვლელობაში ბრალდებული ქალოვანი

მაგენოლი

ნიმესულიდი 100მგ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ანთების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დავამარცხოთ ტკივილი და ანთება?
თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში ეფექტურად ახდენენ დაავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს წაეყენება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს. ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს ჰქონდეს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საწინააღმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.
პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგიით დამზადებული მედიკამენტი - **"მაგენოლი"**.
"მაგენოლის" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშეც იხსნება. მისი შეწოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი უმოკლეს დროში დგება. მაღალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმამდეა შემცირებული მისი გვერდითი ეფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ). ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც **"მაგენოლის"** შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მთელი უპირატესობა ის არის, რომ **"მაგენოლის"** მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.



დავით აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური 2 967 227

პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს!

www.aversi.ge

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

franco fontana
italy

2011-12 წლის უახლესი კოლექცია
franco fontana -ში

5% - დან 20%- მდე

ფასდაკლებით

გამოიყენე შანსი და შეიძინე ოქროსა
და ვერცხლის ორიგინალური
ნაკეთობები ყველაზე

დაბალ ფასად!

გააბედნიერე შენთვის ძვირფასი
ადამიანი, ყველასაგან
გამორჩეული
ძვირფასი სამკაულით.

franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎218-10-47;ჰეკინის 7 ☎230-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎218-10-46;
დადიანის 7, ☎218-14-15 (ქარვასლა I სართული)

სმოკერ ხელტი

განიცადეთ სიამოვნება, იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ ცხოვრებაზე!



კბილის პასტა 55 მგ

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონა ფარმა"
მისამართი № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისაგან!

ჰილ კრემი

- წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ ,ისე მის ღრმა მშრეებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წყლულების სწრაფ შეხორცებას.
- ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრევებას.

გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონა ფარმა"
მისამართი № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი TBC BANK **დაფინანსებით**

1 m^2 - 500$-დან

ჩაბარება 2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის ონლაინ კონტროლი

გურამიშვილის 78

*saba

(*7222)

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 026

www.saba-jgupi.ge

№43 (594)
27 ოქტომბერი –
2 ნოემბერი. 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ეზო

■ **მინიატიურები** 5
„უფროსი მეგობარი“ იაფად

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **პოლიტიკა** 9

■ **ერთი მინის შვილები** 10
პირველი ქართულ-აფხაზური ჟურნალი

■ **სამართალი** 14

■ **ეკონომიკა** 15

■ **ამპლუა** 18
ნოდარ გურგენაშვილი საპირისპირო სქესის ფანებს გაურბის

■ **ჭორ-მართალი** 20
რატომ ათევდა ღამეს ნანკა კალატოზიშვილი დედასთან

■ **ეკრანს მიღმა** 22
როგორ გავხდეთ მსახიობები

■ **იმიჯი** 23
როდის ბრაზობს სალომე ბაკურაძე

■ **მსახიობი** 25
როგორ აფასებს კახა ჯოხაძე სერიალის ახალ გმირებს

■ **დედამამიშვილები** 26
ეჭვიანი და, „აზიატი“ ძმა და 2 „მგზავრის“ ოჯახური ამბავი

■ **შემოქმედი** 28
„როდესაც მწერალი შემგუებელია, იქ ყველაფერი დასრულებულია...“

ქვეყანა

პირველი ქართულ-აფხაზური ჟურნალი

ერთ დღესაც, ნაომარ აფხაზეთში ჩავიდა და მასპინძლებს ორ ხალხს შორის ურთიერთობის მოგვარებაზე ესაუბრა. ახლახან კი აფხაზეთში ეროვნულ გმირად და იდეოლოგად აღიარებულ ბატალ კობახიასთან ერთად, პირველი ქართულ-აფხაზური ჟურნალი „ალმანახი“ გამოსცა...

10

სახე



ნოდარ გურგენაშვილი
საპირისპირო სქესის ფანებს გაურბის

„პროფესიით მსახიობი ვარ, მაგრამ მუსიკა ძალიან მიყვარს. მუსიკალური განათლება არ მიმიღია, მაგრამ მაინც, მუსიკა ჩემი ცხოვრებაა, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ“.

18

27895

ცხოვრება

„როდესაც მწერალი შემგუებელია, იქ ყველაფერი დასრულებულია...“

„მწერლები ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ხელში იარაღად იქცნენ. რამდენი პრემიაც უნდა დაირიგონ, თუ საკუთარ ქვეყანაში არ გაღიარეს, ყველაფერი ამაოა...“

28

ეზოს ნილები

სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი

„უსიყვარულოდ გათხოვებას არ ვაპირებდი და ველოდი ჩემი ოცნების პრინცს, რომელიც 25 წლის ასაკში გამოჩნდა. ჩვენი ურთიერთობა ერთი უბრალო შემთხვევით დაიწყო — ბანკში, სესხის ასაღებად მივედი, ის კი იქ მუშაობდა“.

64

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალი 30
ორი მეგობრის მკვლელობაში ბრალდებულ ძალოვანს 18 წელი მიუსაჯეს

კვალი 32
„ასე თბილი და ასე ტკბილია, ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა“

გასაჭირი 34
„ყოველთვიურად იმის მოლოდინში ვარ, რომ შუქს ჩამიჭრიან“

ნამდვილი ამბავი 36
ბებიამ შვილიშვილი ციხეში ჩაასმევინა

თინეიჯერული პონტები 37
დაოჯახებული მოზარდების პრობლემა

მოცეკვავე 40
ქართველი „სამბას დედოფლით“ მოხიბლული ლუ ბეგა

ერუდიტი 42
„ავსტრიულ და გერმანულ ფილმებში გადამიღებენ“

ავტო 44

საკითხავი ქალებისათვის 45

ანტიდეპრესანტი 46

ტაძარი 46
რატომ ინება უფალმა, რომ რჩეული ერი მოსე წინასწარმეტყველს არ შეეყვანა აღთქმულ ქვეყანაში?

მოდელი 48
„მოდელებს გვშია, გვცივა“...

ისტორიის ლაბირინთები 49
შატილიონ ბეწიკუას ამბავი

პრობლემა 52
„ჩემი პრობლემა ბევრმა არ იცის“

წვეთი პოეზია 54

რჩეული 55
ადრე წასული კაცის ფიქრები

ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

გზავნილები 64
სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი

გონიერი მკითხველი 66

ყველა ერთისათვის 67

ეს სამყაროა 76

გასარსოები 78

ასტროლოგია 80

სკანვორდი 81

მოზაიკა 82

სამყარო



„მოდელებს გვშია, გვცივა“...

„მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოდელის ტანზე მორგებული სამოსი თავად დიზაინერს მოეწონოს. ამას მაქსიმალურად ვცდილობ“.

48

ბიბლუსი

ვალეტი

— ყველაფერს აჯობებს, თუ გავიყოფით და ნაწილი მამის, ნაწილი კი შვილის მკვლელობის საქმეს მიხედავს. შემდეგ კი ერთად ვნახავთ, ეს 2 ამბავი სადმე თუ გადაიკვეთება...

56

ტაიმ-აუტი

ქუჩის სამზარეულო

ჩინეთში პოპულარულია კალიის მწვადი. დასავლელი ტურისტები დელიკატესის გასინჯვაზე უარს ამბობენ, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 1400 ჯიშის, პროტეინით მდიდარ მწერებს მიირთმევენ.

82

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

„უფროსი მეგობარი" ავფალ

შესავლის ნაცვლად გაგიკვირდებათ და, დღეს არც ივანიშვილზე ვაპირებ თქვენთან საუბარს და არც მის ავკარგზე. არც ის მაინტერესებს (ცხადია, მხოლოდ ამ ეტაპზე), ვინ შეავსო მისი მრჩეველთა საბჭო ამ დღეებში და დაგრძელდა თუ დამოკლდა მომლოდინეთა რიგი.

დღეს ისევ ჩვენი პრეზიდენტის ახალი „მარგალიტები" მინდა „განვიხილო". მით უმეტეს, რომ გული მიგრძნობს, მალე აღარ იქნება „აქტუალური" მიშაზე ხუმრობა. ივანიშვილზე კი ჯერ არაფერს ვამბობ — რა ვიცი, იქნებ მეც მიხმოს თავისთან და დროზე ადრე რატომ ავიტკივო აუტკივარი თავი?!

ისე, ხუმრობა იქით იყოს და ამ დღეებში ისე მხნედ იყო საააკაშვილი და ისეთ რამეებს ამბობდა, თითქოს არავინ არაფერი ვიცოდეთ...



ყველაზე მეტად მაინც პრეზიდენტის გორში ვიზიტი მომეწონა. „კურიერს" გარკვევით რომ არ ეთქვა, პრეზიდენტი გორში დღეს იმყოფებოდაო, — 2003, ჰა-ჰა — 2006 წლის ჩანაწერი მეგონებოდა: ეს ძველი უბნები უნდა გავალამაზოთო, ამ სახლებს პირვანდელი სახე უნდა დავუბრუნოთო, გორელები ყველაზე „მაგრები" ხართო (მეც მაგარი ვარო — ეს თავისთავად იგულისხმებოდა); ამის გამოცდილება ჩვენ აქ გვაქვსო; თანაც მე ხომ გორელი ვარო; დღეს ჩვენ... მოიცა! მოიცა, კაცო! რაღაცები ვერ გავიგე: გორში რისი გამოცდილებაც აქვს მაგას, 2008 წლის აგვისტოდან გვახსოვს, და გორელობას რაც შეეხება — აკი ცხრუკვეთიო?! მერე — აკი სამეგრელოდან ვარო?! ცოტა ადრე კიდე, სხვა რომ თქვა?! არა, არა — მგონი, მართლა შეეშალა „რუსთავი 2"-ს და ძველი ჩანაწერი აჩვენა, იმიტომ, რომ როცა მიშა ამბობდა, — გორში კარგი გამოცდილება მაქვსო, — იქ შეკრებილი ხალხი — „მიშა! მიშა! მიშა!"-ს — ჰყვიროდა (თუმცა უმეტესობას ჰალსტუხი ჰქონდა „ყელში წაჭერილი" და თუ დამიჯერებთ, აშკარად ვიცანი რამდენიმე მათგანი და გორიდან თბილისში თუ დადიოდნენ სამსახურში, ნამდვილად არ ვიცოდი).

კარგი! დავანებოთ თავი მიშას. მით უმეტეს, რომ ივანიშვილი... ვაჰ, დამავიწყდა, ივანიშვილი ხომ დღეს „არ გვყავს პროგრამაში"... სამაგიეროდ ხელისუფლება მარტო პრეზიდეტი ხომ არ არის (არა, კი არის, მაგრამ სხვებიც ხომ ამბობენ სასაცილო რამეებს)?! მაგალითად, დაჯდები დილას ტელევიზორთან, მოიდგამ ჩაის ან ყავას (ჯერჯერობით ეს არჩევანი ნებაყოფლობითია) და უყურებ რომელიმე „თავისუფალი არხის" დილის გადაცემას — იცოცხლე, გადაცემის სტუმრებიან-მასპინძლებიანად ისეთ „ბაჯაღლო სისულელეებს" აფრქვევენ, გაგიხარდება! აი, მაგალითად: იცით თუ არა, რამდენი აქვს ხელფასი „უფროს მეგობარს"? ვერ მიხვდით? აგიხსნით: ესენი ხომ ყველაფერს „ინსტიტუტს" ეძახიან: „მანდატურის ინსტიტუტი", „პატრულის ინსტიტუტი", „პატრიოტის ინსტიტუტი"... ჰოდა, ახლა მოუგონიათ „უფროსი მეგობრის ინსტიტუტი" (ოღონდ ვერ მოვასწარი დაზუსტება — განათლების სამინისტროსთან თუ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული!): ოროსანი ან ხულიგანი ბავშვი, რომელსაც პრობლემები აქვს სკოლაში, მაგრამ იქ მასწავლებლისა და მანდატურის ეშინია, შინ კი — მთვრალი მამამისის, რეკავს მითითებულ ნომერზე და ეუბნება: „თუ შეიძლება, უფროსი მეგობრის გამოწერა მინდა". ისინიც „გამოუწერენ" და გამოუგზავნიან...

ოღონდ რა ვერ გავიგე, იცით? — ის „უფროსი მეგობარი" ფიზიკის დავალებას დაუწერს თუ „აბიჯნიკ" უფროსკლასელს ჩამოაშორებს?.. ერთი კი ვიცი, უკანასკნელი მოვლენების ფონზე — როდესაც ჩვენს ხელისუფლებას უკვე არც „მასწავლებლები" წყალობენ და აღარც „მშობლები" ანებივრებენ, არც მას აწყენდა ერთი კარგი „უფროსი მეგობარი", ოღონდ ახალი, თორემ ამერიკის ელჩი ამას წინათ, დღეს რომ „არ ვახსენებთ", იმ კაცს ესტუმრა რეზიდენციაში და „ნაციონალებში" კინაღამ „ინფარქტის ეპიდემიამ" იფეთქა.

P.S. **უფროს მეგობარზე გამახსენდა: ნატომ რომ ლიბია მიწასთან მოასწორა და ის კადაფიც სრულიად უმსგავსოდ მოკლეს „რევოლუციონერებმა", მერე ამ დასავლეთისგან მხარდაჭერილმა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში გამარჯვებულმა მთავრობამ პირველი დადგენილება რა მიიღო, ნახეთ? — შარიათის კანონები აღადგინა და „გათახსირებული" კადაფის მიერ აკრძალული მრავალცოლიანობა დააბრუნა! ასე რომ, „მასწავლებლების", „მშობლებისა" და „უფროსი ძმების" მხარდაჭერა რომ სულაც არ არის „ფერად რევოლუციონერთა" პროგრესულობის მაჩვენებელი, კიდევ ერთხელ დადასტურდა.**

P.P.S. **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გორში გადააქვს — ამაზეც მინდოდა საუბარი, მაგრამ ადგილი აღარ გვეყოფა — თანაც, იმედი მაქვს, მომავალ ხუთშაბათამდე რომელიმე „უფროსი მეგობარი" ურჩევს და გადააფიქრებინებს.**

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

„სააკაშვილის მომხრეები ვართ, მაგრამ...“

რუსი პოლიტოლოგები — ვალერია ნოვოდვორსკაია და კონსტანტინე ბოროვოი ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ; მისი მონაწილეობის გარეშე კი საქართველოს იმ გზით წასვლას უწინასწარმეტყველებენ, რომლითაც, მათი თქმით, „რუსეთი წაიყვანა ვლადიმირ პუტინმა“. კონსტანტინე ბოროვოი აღნიშნავს, რომ ივანიშვილი „კრემლის დასმული არ არის“. იგი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე რეაქციასაც განიხილავს და დასძენს: „საქართველოში ამბობენ, რომ ის არაწესიერადაა გამდიდრებული, ოლიგარქები ხელისუფლების მიტაცებას ცდილობენ, რომ ახალი ხალხი არ სჭირდებათ... ჩვენ სააკაშვილის მომხრეები ვართ, მხარს ვუჭერთ და ამ რევოლუციის შედეგები მოგვწონს. რაც მოხდა, საქართველოსთვის აუცილებელი იყო, მაგრამ ეს პერიოდი გადის. თუ იქ ლიბერალიზაცია და კონკურენცია არ იქნება, ეს იქნება, უბრალოდ, სხვა გზა იმისკენ, რაც გააკეთა პუტინმა რუსეთში“, — აცხადებს ბოროვოი. იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ მეწარმეები დამოუკიდებელი ადამიანები არიან და პოლიტიკაში მათი მონაწილეობა სასარგებლოა. „ისინი რეალურად დამოუკიდებელი ადამიანები არიან. ასეთი ადამიანები, თუ საქართველოს მტრების დასმულები არ არიან, პოლიტიკაში და არჩევნებში უნდა დაუშვან. მოსაზრება, რომ მდიდრები პოლიტიკაში არ უნდა მონაწილეობდნენ, ჩემთვის შოკია. არ ველოდი, რომ ქართველები მეწარმის წინააღმდეგი იქნებოდნენ“, — აღნიშნავს ბოროვოი. ვალერია ნოვოდვორსკაია კი მიიჩნევს, რომ „სიმდიდრის სიძულვილი აბსოლუტურად საბჭოთა სტერეოტიპია“. ■

დიქტატორი საიდუმლო ადგილას დაკრძალეს

ჯამაჰირიის ლიდერი მუამარ კადაფი გამთენიისას, ხალხისგან მალულად დაკრძალეს. ლიბიის ყოფილი ლიდერის საფლავის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია. გარდამავალი საბჭოს განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ კადაფის მომხრეები საფლავთან არ მივიდნენ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, კადაფი უდაბნოში დაკრძალეს. ■

თურქმა მაშველებმა ორი კვირის ჩვილი გადაარჩინეს

თურქეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვანის პროვინციაში მომხდარი მიწისძვრის დროს დანგრეული სახლის ნანგრევებიდან მაშველებმა ორი კვირის ჩვილი ცოცხლად ამოიყვანეს. 7,2 მაგნიტუდის მიწისძვრა თურქეთში გასულ კვირას მოხდა. ორშაბათს, გამთენიისას კი მიწისქვეშა ბიძგები კვლავ გამეორდა, რყევებმა 6,1 მაგნიტუდა შეადგინა. ადგილობრივი უწყებების ვარაუდით, მიწისძვრამ 1000-მდე ადამიანი იმსხვერპლა. სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში თურქეთს დახმარება 50-მდე ქვეყანამ, მათ შორის, ისრაელმაც შესთავაზა. მაგრამ პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარას სამაშველო სამუშაოების ორგანიზება საკუთარი ძალებითაც შეუძლია და დახმარება არ სჭირდება. ■

ᲜᲘᲜᲝ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ?

ბიძინა ივანიშვილის განცხადებებმა პოლიტიკური საქმიანობის დაწყების თაობაზე, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრების დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი ამ ფაქტს პოზიტიურად აფასებენ და ბევრ კითხვაზე პასუხს გაპოლიტიკოსებული ბიზნესმენისგანაც ელიან. „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილებამ ჩერჩილის ცნობილი სიტყვები გამახსენა: „პოლიტიკაში ორი კვირის იქით ნურაფერს დაგეგმავ“. ჩამქრალ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც ახალს არავინ არაფერს მოელოდა, უცბად გამოჩნდა კაცი, რომელსაც სიტუაციის შეცვლა შეუძლია... როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა აცნობიერებს, რომ მარტო ვერ შეცვლის პოლიტიკურ სურათს და საზოგადოების დიდ და საუკეთესო ნაწილს უნდა დაეყრდნოს. ამ მხრივ მან, ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი უკვე გადადგა, — აღნიშნა ნინო ქადაგიძემ გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძინა: — მინდა, პირადად შევხვდე და ვესაუბრო. გავიცნო ის, როგორც ადამიანი და პოლიტიკოსი, გავიგო, რას ფიქრობს იმ ტრაგედიაზე, ჩვენს ოჯახს რომ დაატყდა თავს“. ზურაბ ჟვანიას ქვრივი არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკურ ბატალიებში შესაძლოა, თავადაც ჩაებას: „არ დაგიმალავთ, სხვადასხვა პარტიამ შემომთავაზა, რომ მათი გუნდის წევრი გავმხდარიყავი, მაგრამ ყოველთვის უარი ვთქვი. ახლა ჩემთვის მთავარია, სამი შვილი გავზარდო ისე, რომ ზურაბ ჟვანიაზე უფრო მაგარი ჟვანიები გამოვიდნენ. ამას რომ მივაღწევ, მერე ვნახოთ, შეიძლება, პოლიტიკაზეც ვიფიქრო“, — აღნიშნა მან. ■

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲔᲑᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

ისრაელი არალეგალ იმიგრანტებს ქვეყნის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვების სანაცვლოდ, ფულს სთავაზობს. „ყველა, ვინც ნებაყოფლობით წავა ქვეყნიდან, თვითმფრინავის უფასო ბილეთსა და 300-500 დოლარის ოდენობის დახმარებას მიიღებს“, — განაცხადეს ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. განცხადების გავრცელებიდან 24 საათში ისრაელში მყოფმა 130-მა არალეგალმა აფრიკელმა ამ შეღავათით სარგებლობისა და სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ■

ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ბელგიურმა არქიტექტურულმა ფირმამ სახლის საკმაოდ უცნაური მოდელი შეიმუშავა. ის ნამდვილი ოცნების სახლია იმ ტურისტებისთვის, რომლებსაც მოგზაურობა უყვართ, მაგრამ კომფორტსაც ვერ ელევიან. სახლს, რომელსაც ინჟინრებმა BLOB VB3 L დაარქვეს, გიგანტური კვერცხის ფორმა აქვს. მისი წინა ნაწილი ავტომატურად იხსნება და შეგიძლიათ, როგორც აივანი, ისე გამოიყენოთ. კონსტრუქციას გვერდითა კარიც აქვს. სახლი პოლიესტერისგან არის შექმნილი და თანამედროვე ბინის მსგავსადაა კეთილმოწყობილი. ულტრათანამედროვე სამზარეულო და სააბაზანო ოთახიც კი აქვს. მობილური სახლის გადაადგილება ძალიან მარტივია, ის ავტომობილზე მაგრდება და გორავს. ■

ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲨᲘ

გერმანიის ქალაქ ფლეაში, რკინიგზის სადგურზე ბილეთების სავაჭრო ავტომატში კარელას ჯიშის თუთიყუში იპოვეს. კარელა აპარატში მგზავრმა მაშინ შენიშნა, როდესაც ბილეთის ყიდვას აპირებდა, და პოლიცია გამოიძახა. პოლიციელებმა აპარატიდან თუთიყუშის ამოყვანა ვერ მოახერხეს და დახმარება სახანძროს სთხოვეს. როგორც გაირკვა, კარელა მთვრალი ყოფილა. საბრალო თუთიყუში აპარატში ჩატენვამდე ლუდში ამოუვლიათ. ვინ ჩატენა ფრინველი სავაჭრო აპარატში, უცნობია. პოლიცია დამნაშავეს ეძებს და დაკავების შემთხვევაში, მას ფრინველებისადმი სასტიკ მოპყრობას წაუყენებს ბრალად. ■

ობამა დეპრესიაშია?!

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჰოლივუდის ვარსკვლავებს — უილ სმიტსა და ჯეიმს ლასიტერს სადილობისას შესჩივლა, რომ ძველებურად სექსუალურად ვეღარ გამოიყურება და თმაში ჭაღარა შეერია. „მიუხედავად იმისა, რომ თმა გამითეთრდა, არ დავღლილვარ“, — აღნიშნა პრეზიდენტმა. ვარსკვლავებთან სადილობის შემდეგ ბარაკ ობამა ლათინურამერიკული წარმოშობის მსახიობებს — ევა ლონგორიას, ჯორჯ ლოპესსა და ანტონიო ბანდერასსაც შეხვდა. მსახიობებმა პრეზიდენტს ლათინურამერიკელი ხალხის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. ■

ბრიტანელები მკერდის დაბეგვრას აპირებენ

ბრიტანეთში ახალი გადასახადის შემოტანა იგეგმება, რომლის მიხედვითაც, მკერდის ზომისა და ფორმის შეცვლის მსურველი ქალები გადასახადს გადაიხდიან. დაბეგვრის ინიციატორები ამბობენ, რომ პლასტიკურ ქირურგიაზე დამატებითი გადასახადი პატარა გოგონებს მკერდის გაზრდას გადააფიქრებინებს. როგორც გაირკვა, არასრულწლოვან გოგონათა შორის, მკერდის გაზრდის მსურველთა რაოდენობა 2010 წელს ორჯერ გაიზარდა. ■

ძაღლური მეგობრობა

დოგის ჯიშის ძაღლს, მეტსახელად — ლილის, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაბრმავდა, უჯიშო ძაღლი — მედისონი გადაადგილებაშიც ეხმარება. მედისონი ლილის ერთი წუთითაც კი არ ტოვებს მარტოს. ლილის პატრონებს ორი ცხოველის მოვლის საშუალება არ ჰქონდათ, ამიტომ ისინი თავშესაფარში ჩააბარა. დაწესებულების დირექტორი ლუიზა კაბელი ჰყვება: „მედისონი ლილის ყველანაირად ეხმარება; როდესაც ერთად დარბიან, ძაღლი მას ეტმასნება ან უყეფს, რითაც საჭირო მიმართულებას აძლევს. ღამეც ერთად არიან, ჩახუტებულებს სძინავთ“. ■

10 წლის გოგონა 10 ენაზე ლაპარაკობს

10 წლის ტაივანელი გოგონა სონია იანი 10 ენაზე თავისუფლად ლაპარაკობს. სონია ტაივანში დაიბადა, ამჟამად ინგლისში ცხოვრობს. თავდაპირველად, მშობლიური ენის გარდა, ინგლისურად, ჩინურად და იაპონურად ლაპარაკობდა. ინგლისში გადასვლის შემდეგ ის ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს და პორტუგალიურსაც დაეუფლა. პოლიგლოტ გოგონას ესპანური და პორტუგალიური ენების შესასწავლად სულ რამდენიმე კვირა დასჭირდა. ამჯერად სონია ბრიტანეთის ნაციონალურ ლინგვისტურ კონკურსში მონაწილეობს, რომელიც ლონდონში იმართება. სონიას სკოლის დირექტორი ჰიტერ ბარნეტი აცხადებს, რომ გარდა ნიჭისა, სონია იანი ძალიან შრომისმოყვარეა. სწორედ ეს განაპირობებს მის წარმატებასაც. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ
ambebi.ge-ს მასალები

„ძალა აქვთ და ფიქრობენ, ხალხის გულის მოგება არაფერში სჭირდებათ“

„საჩხერეში პირდაპირი ტერორი დაიწყო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეწოლას პირადად ახორციელებენ“, — ამ ინფორმაციას საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, „რესპუბლიკელი“ ინგა ზამბახიძე ავრცელებს. როგორი ვითარებაა დღეს საჩხერეში და კონკრეტულად რას მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობისგან?..

სათუნა ბახტურიძე

— საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ აბჟანდაძემ და გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ ყველა სკოლის დირექტორი დაიბარეს და ივანიშვილთან დაკავშირებით საგანგებო დირექტივები მისცეს. ისინი ითხოვენ, რომ პედაგოგებმა უარი თქვან ივანიშვილის „ბინძურ ფულზე“ ანუ — მის მიერ დაწესებულ სოლიდურ ხელფასებზე. მათ ივანიშვილის სახელის ხსენებაც კი აუკრძალეს.

— ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— ინფორმაცია თავად სკოლების პედაგოგებმა მომაწოდეს. აბსოლუტურად ყველა სკოლამ მიიღო ეს დირექტივა, როგორც ქალაქ საჩხერეში, ასევე — სოფლებშიც. კონკრეტული პედაგოგების ვინაობას ვერ გავამხელ. პირადად მე, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, მაგრამ სხვას საფრთხის წინაშე ვერ დავაყენებ.

— რა საფრთხეს გულისხმობთ? თქვენ ვარაუდით, რა ელის მათ, ვინც ხელმძღვანელების მიერ მიღებულ დირექტივას არ შეასრულებენ?

— ძნელი სათქმელია. ამათგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. უკეთეს შემთხვევაში, ალბათ სამსახურიდან გაათავისუფლებენ. სხვათა შორის, საჩხერის სამთო ბატალიონიდან უკვე

პირადად მე, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, მაგრამ სხვას საფრთხის წინაშე ვერ დავაყენებ

დაიწყეს კადრების გადარჩევა: ივანიშვილის მხარდამჭერებსა და გულშემატკივრებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ათავისუფლებენ სამსახურიდან. საფეხბურთო კლუბ „ჩიხურას“ დამფუძნებლებიც დაიბარეს და მოსთხოვეს, რომ ივანიშვილის სპონსორობაზე უარი თქვან. კლუბს 9 დამფუძნებელი ჰყავს; მათგან ხუთიც რომ შეაშინონ და დაიყოლიონ, კლუბს დაფინანსება შეუწყდება, — არადა, 60 კაცი მაინც არის დასაქმებული. გარდა ამისა, ახალგაზრდები უფასოდ, საუკეთესო პირობებში ვარჯიშობენ. მათთვის ახლა კლუბის დახურვა ძალიან მტკივნეული იქნება.

— ივანიშვილის ფულის სანაცვლოდ რას ჰპირდებიან?

— არაფერს. მათ ძალა აქვთ და ფიქრობენ, რომ ხალხის გულის მოგება არაფერში სჭირდებათ, ძალადობითაც გაიტანენ თავისას. ტერორი მცირე ბიზნესის წარმომადგენლების მიმართაც დაიწყო. ივანიშვილის მიერ დაწყებული საქველმოქმედო პროექტები — კერძოდ, საჩხერის მცხოვრებლებისთვის სახლების გადახურვის პროცესი შეჩერებულია, რადგან სახურავისთვის საჭირო ხე-ტყის მასალა აღარ მიეწოდება.

— ხეტყის მასალას რა მიზეზით არ აწვდიან?

— მიზეზს არ ასახელებენ. უბრალოდ, ადგნენ და დააკავეს მანქანები, რომლებსაც ხეტყე შემოჰქონდათ.

— საჩხერეში მოსახლეობის განწყობილება როგორია?

— მოსახლეობა აღშფოთებულია, მაგრამ შიშის გამო, ხმამაღლა ლაპარაკს ერიდება. ჯერ ყველა დუმს, ვნახოთ, მერე რა მოხდება. არა მგონია, ხალხი გაჩუმდეს. ძალიან არიან ივანიშვილისგან დავალებულები. ამ კაცმა მათ მხოლოდ ყოფითი პრობლემები კი არ მოუგვარა, ბევრ მათგანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მის აშენებულ საავადმყოფოში უამრავმა ადამიანმა უფასოდ იმკურნალა. 10 ათასდოლარიანი ოპერაციები გაუკეთეს ხალხს უფასოდ!..

— ასე თუ ვიმსჯელებთ, წესით, საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელიც უნდა იყვნენ ივანიშვილისგან დავალებულნი...

— არიან კიდეც, მაგრამ... ალბათ თქვენც კარგად იცით, რომ არც ერთ რაიონში არც ერთ ხელმძღვანელს სუფთა წარსული არა აქვს. რაც უფრო მეტს სცოდავ, ზემდგომები კიდევ უფრო მეტი დანაშაულის ჩადენას გაიძულებენ. მათ სხვა გამოსავალი არა აქვთ — იძულებულნი არიან, ასე

ჭორვილაში შუქის პრობლემა მაშინაც კი არ გვქონია, როცა თბილისი ჩაბნელებული იყო

მოიქცნენ. ალბათ თავადაც არ მოსწონთ, ხალხის საწინააღმდეგოდ რომ იქცევიან. რამდენიმე დღის წინ ჭორვილელებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ საღამოობით, როდესაც „კურიერი“ იწყება, სოფელს ელექტროენერგიის მიწოდებას უწყვეტენ. არადა, ჭორვილაში შუქის პრობლემა მაშინაც კი არ გვქონია, როცა თბილისი ჩაბნელებული იყო: სოფელს საკუთარი ტრანსფორმატორი აქვს.

— „რესპუბლიკელები“ თავად ამბობთ, რომ „რუსთავი 2“ ხელისუფლების მართული ტელევიზიაა და „კურიერიც“ მათი დაკვეთით მუშაობს; მაშ, რატომ უნდა აძლევდეს ხელს ხელისუფლებას, რომ ჭორვილელებმა „კურიერს“ არ უყურონ?

— არ ვიცი, ალბათ უნდათ, რომ ხალხი ინფორმაციულ ვაკუუმში მოაქციონ, ან უბრალოდ, მის ნერვებზე თამაშობენ. ამ ხელისუფლებისას რას გაიგებ?!. ერთი რამ ცხადია — მათ ბიძინა ივანიშვილს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს და მზად არიან, ყველა და ყველაფერი გაანადგურონ, რაც გზაზე გადაეღობებათ. ■

პირველი ქართულ-აფხაზური ჟურნალი

„შერიგების დროს თოფზე არ ლაპარაკობენ“

„ვხედავდი, როგორ გამსხვრევდა ომი, როგორ ნაწილ-ნაწილ გაკვდინებდა, გძარცვავდა, გწვავდა, გაწამებდა, მაგრამ ვერაფერი მოვიმოქმედე მის შესაჩერებლად. ველარ გიშველე, სოხუმო! მაპატიე უსუსურობა! შემინდე! განა ოდესმე წარმოვიდგენდი ომს შენს დიად დღესასწაულში? სისხლს შენს ქუჩებში? ცხედრებს შენს ზღვაში? გადაბუგულ შენობებს, გადამწვარ ხეებს, ყვავილებს, ცეცხლწაკიდებულ ცას?..“ — ეს არის ნაწყვეტი გურამ ოდიშარიას ერთი შეხედვით ოპტიმისტური მოთხრობიდან „სოხუმში დაბრუნება“, რომელმაც უამრავი ანტიქართულად განწყობილი აფხაზის აზროვნება შეცვალა. აფხაზეთიდან დევნილი მწერლის ნაწარმოებებს ემოციის გარეშე ვერც ენგურს გაღმა კითხულობენ. ალბათ ამიტომაც ენდნენ და მიიღეს. ერთ დღესაც, ნაომარ აფხაზეთში ჩავიდა და მასპინძლებს ორ ხალხს შორის ურთიერთობის მოგვარებაზე ესაუბრა. ახლახან კი აფხაზეთში ეროვნულ გმირად და იდეოლოგად აღიარებულ ბატალ კობახიასთან ერთად, პირველი ქართულ-აფხაზური ჟურნალი „ალმანახი“ გამოსცა, სადაც სამხრეთკავკასიელ ხალხებს შორის ომები და ამ ერების დღევანდელი ცხოვრებაა ასახული.

ლალი პაპასკირი

იქ, სადაც კონფლიქტის კერა ჯერაც არ ჩამქრალა, მათსავით გაუბედურებული ქართველი და აფხაზი ერთად დადიოდნენ და ომისგან სულდასახიჩრებულ, აწმყოწართმეულ ადამიანებს მწვავე პრობლემებზე ესაუბრებოდნენ. პოლიტიკოსი ბატალ კობახია პოლიტიკაზე მსჯელობას თავს არიდებდა, თუმცა, ბუნებრივია, იმ უდავო ჭეშმარიტებას აღიარებდა, რომ ომი ყველგან საზარელ კვალს ტოვებს. იმასაც იზიარებდა, რომ სახალხო დიპლომატია კონფლიქტის მოსაგვარებლად მთავარი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა მაინც არის.

გურამ ოდიშარია, *მწერალი:*

— მე და ბატალ კობახიამ „ალმანახზე“ თანამშრომლობა წლების წინ დავიწყეთ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ხან რამ შეგვიშალა ხელი, ხან — რამ... რამდენიმე წლის წინ კი ერთობლივი ლიტერატურული კრებული გამოვეცით, სადაც სამხრეთ კავკასიაში მომხდარ ომებზე დაწერილი მოთხრობები იყო შესული.

ბოლოს რომ ვიყავი, შევამჩნიე, რაღაცები გაპეთებულია, სანაპირო გაულამაზებიათ

ერთ-ერთ არაოფიციალურ შეხვედრაზე, რომელშიც აფხაზი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ყარაბაღელი მწერლები მონაწილეობდნენ, სომეხმა კოლეგამ მითხრა: — ჩემი შვილი სავალდებულო სამხედრო სამსახურს ყარაბაღში გადის, სნაიპერია; მაშინ ამ ფაქტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, მაგრამ როცა თქვენ მიერ გამოცემული მოთხრობების კრებული წავიკითხე, მივხვდი, თუ რა საშინელებაა ომი და ახლა ძალიან განვიცდი, რომ ჩემი შვილი იქ არისო... რამდენიმე წუთის შემდეგ, აზერბაიჯანელი წამოდგა და იგივე მითხრა... ასეთი შეხვედრების შემდეგ, გადავწყვიტეთ, მთელი სამხრეთ კავკასია შემოგვევლო და იქ მიმდინარე მოვლენები საკუთარი თვალით გვენახა... მაშინ აფხაზი მწერალი ბატალ კობახია დე ფაქტო პარლამენტის წევრი იყო. ერევანში გაოცებული მასპინძლები გვეკითხებოდნენ, — მტრები ხართ და ერთად როგორ მუშაობთო?!. ყარაბაღში არც გურამ ოდიშარიას და არც ბატალ კობახიას არ იცნობდნენ, მაგრამ ქართულ-აფხაზურ ომზე ბევრი სმენოდათ. როცა ვეუბნებოდი, — მე დევნილი ქართველი მწერალი ვარ, ის კი აფხაზია და სოხუმში ცხოვრობს-მეთქი, — გაოცებული გვიყურებდნენ. ჩვენ მათთვის მაგალითი ვიყავით იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს იმ ხალხების ურთიერთობა, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ერთად უცხოვრიათ, მაგრამ ერთხელაც, ომმა ერთმანეთისგან გათიშა...

— რაც შეეხება „ალმანახს“, ვიცი, რომ ეს არის პირველი ქართულ-აფხაზური არაპოლიტიკური ჟურნალი. რა იდეაა მასში ჩადებული?

— მასში მთელი სამხრეთ კავკასიის მწერლების ნაწარმოებებია გაერთიანებული. ამგვარად, ყველა პოლი-

> **როცა თქვენ მიერ გამოცემული მოთხრობების კრებული წავიკითხე, მივხვდი, თუ რა საშინელებაა ომი და ახლა ძალიან განვიცდი, რომ ჩემი შვილი იქ არისო...**

ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ სწორედ მისი ინიციატივით შედგა პირველი შეხვედრა იმ მეომრებს შორის, ვინც 90-იანი წლების საბრძოლო მოქმედებების დროს სხვადასხვა მხარეს იდგნენ

ყველაზე ნამდვილი, საღი და შეულამაზებელი სიმართლე ომის დროს იწერება: მათი თითოეული სტრიქონი საკუთარი თავის, ხალხისა თუ სამშობლოს წინაშე აღსარებას ჰგავდა

ტიკოსს კულტურისა და ლიტერატურის ენით ვეუბნებით, თუ სადამდე მიგვიყვანა მათ მიერ წარმოებულმა მცდარმა პოლიტიკამ და კიდევ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს... ამის მაგალითი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური შეტაკება, როცა ქართველმა ვაიპატრიოტმა პოლიტიკოსებმა ლამის ერის მოღალატედ გამომაცხადეს იმის გამო, რომ ჩემს მეგობარ აფხაზ მწერლებს შევხვდი და მათ ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის აუცილებლობაზე ველაპარაკე... მაგრამ მოდი, ნუ გავიხსენებთ იმ ტკივილიან წარსულს — ახლა იმას უნდა ვეცადოთ, პოლიტიკით გაფუჭებული ურთიერთობები ლიტერატურით გამოვასწოროთ.

— ბატონო გურამ, რა ხდებოდა ყარაბაღში და რამდენად ჰგავს ის ომი თავისი შედეგებით, დანგრეული ნათესაური კავშირებით, ქართულ-აფხაზურს?

— ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს, თუმცა განსხვავებაც დიდია. ერთმა ბრიტანელმა კონფლიქტოლოგმა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მოვლენებს დეტალურად სწავლობდა, მითხრა, — მეორე მხარეს მდგომი ადამიანის გადარჩენის ამდენი შემთხვევა არც ერთ ომში არ ყოფილაო... რაც შეეხება ყარაბაღს, ცხადია, იქ ძალიან უჭირს ხალხს, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. და მეგონა, იქ, სადაც მუდმივად ტყვიების ზუზუნი ისმის, კულტურისა და ხელოვნებისთვის არავის ეცალა, მაგრამ როცა მთიან ყარაბაღში ჩავედით და იქაურებმა თავიანთი, გულიდან ამოსული ნაწერები წაგვაკითხეს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — ყველაზე ნამდვილი, საღი და შეულამაზებელი სიმართლე ომის დროს იწერება: მათი თითოეული სტრიქონი საკუთარი თავის, ხალხისა თუ სამშობლოს წინაშე აღსარებას ჰგავდა. თუმცა ისეთი ნაწარმოებებიც მოგვიტანეს, სადაც მოწინააღმდეგე მხარის სისასტიკეზე მოგვითხრობდნენ... მე და ბატალი გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებს დიდი სიფრთხილით ვარჩევდით, რადგან შერიგების დროს თოფზე არ ლაპარაკობენ.

— რატომ აირჩიეთ თანამოაზრედ ბატალ კობახია?

— აფხაზური მხარიდან ქართველებთან შესახვედრად პირველად ბატალი წამოვიდა და უკვე რამდენიმე წელია, ერთმანეთს ვხვდებით. ადამიანური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და სამშვიდობო მიზნით, სხვადასხვა პროექტიც განვახორციელეთ. ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ სწორედ მისი ინიციატივით შედგა პირველი შეხვედრა იმ მეომრებს შორის, ვინც 90-იანი წლების საბრძოლო მოქმედებების დროს სხვადასხვა მხარეს იდგნენ. ეს ადვილი არ ყოფილა — როცა ადამიანი ომში ჯანმრთელობას დაკარგავს, ის ცხოვრებას სხვა თვალით უყურებს.

— ცხინვალშიც იყავით?

— დიახ, ოღონდ — 2008 წლის ომამდე რამდენიმე თვით ადრე... სოხუმში წელიწად-ნახევრის წინ ვიყავი. სოხუმელი კაცი ვარ, იქ უამრავი მეგობარი მყავს და ამიტომ, ძალიან თბილად შემხვდნენ... ყოველი ჩასვლისას ისე ვღელავ, როგორც გამოცდაზე გასული მოსწავლე. საკუთარ ქალაქში სტუმრის სტატუსით ჩასვლა ძნელია, მაგრამ იმდენად მონატრებული ვარ იქაურობას, რომ ასეთ „წვრილმანებს“ ყურადღებას აღარ ვაქცევ. ბოლოს რომ ვიყავი, შევამჩნიე, რომ რაღაცები გაკეთებულია, სანაპირო გაულამაზებიათ, სასტუმრო „რიწის“ რესტავრაცია მიმდინარეობდა... თავიდან, იქაურები რომ არ გამეღიზიანებინა, ვცდილობდი, საყ-

ვარელ ქალაქში თვალები ზედმეტად არ მეცეცებინა. ეს ადვილი არ იყო, რადგან იქაური კენჭიც კი მენატრებოდა და იქიდან წამოსულს გულზე ლოდივით მაწვა, მაგრამ დროთა განმავლობაში, აფხაზები ჩემს ცნობისმოყვარე მზერასაც შეეჩვივნენ

მე და ბაგალს საკმაოდ დიდი სამუშაო გვიდევს წინ...

და თავად მეპატიჟებოდნენ, — წამო, გურამ, ეს ადგილი მონატრებული გექნებაო. ბაზარშიც კი ვიყავი... პოლიტიკოსი არა ვარ, არც არასდროს ვყოფილვარ და ამიტომაც იქაურებთან ურთიერთობა მიადვილდება. საერთაშორისო ორგანიზაციამ — გლობალური მშვიდობის ფედერაციამ მშვიდობის ელჩის სტატუსი მომანიჭა და მეც ვცდილობ, არჩეულ გზას არ გადავუხვიო... ბოლო დროს აფხაზი საზოგადოების აზროვნებაში ბევრი რამ შეიცვალა. ომის შემდგომმა წლებმა მათ ბევრი რამ სხვაგვარად დაანახვა. ვერ ვიტყვი, ქართველების მიმართ ერთბაშად კეთილგანწყობილნი გახდნენ-მეთქი, მაგრამ პათეტიკური გამოსვლები აღარ ისმის. ბოლოს რომ ჩავედი, სოხუმის ქუჩებში ქართული საუბარიც შემომესმა. მუდმივი რიტორიკით აფხაზებიც დაიღალნენ... ერთმა აფხაზმა, რომელიც ქართველების მიმართ აგრესიულობით გამოირჩეოდა, მითხრა, — ალბათ ამ კონფლიქტიდანაც არსებობს გამოსავალი, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ვერ მივაგენითო... მე კი მგონია, რომ მივაგენით, — უბრალოდ, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ და ყველა ნაბიჯიც სწორად გადავდგათ. მამაჩემი პოლკოვნიკი იყო; როდესაც გერმანიასთან ომი მიმდინარეობდა, მახსოვს, ახალ ამბებს ბახის, ბეთჰოვენისა და ვაგნერის მუსიკის თანხლებით გადმოსცემდნენ, ანუ — მაშინდელი ხელისუფლება ამით გერმანელებს ეუბნებოდა, თქვენ კი არა, ფაშიზმს ვებრძვითო. არსებობს „რაღაც“, რაც პოლიტიკაზე მაღლა დგას და ჩვენც ამას უნდა მოვეჭიდოთ.

— თქვენი პიესა და მის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „ზღვა, რომელიც შორია“ ორი მეგობრის — აფხაზისა და ქართველის კამათზეა აგებული. მათმა პროტოტიპებმა თუ იციან ამ სპექტაკლის შესახებ?

— არ უნახავთ, მაგრამ იციან... ყინული თანდათან ლღვება და ეს მხოლოდ ჩემი ან ვინმეს დამსახურება როდია — უბრალოდ, აფხაზებიც მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. მცირე რაოდენობით, მაგრამ იქიდანაც მოდის „სიგნალები“, რომლებიც მოასწავებს იმას, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ისევ ერთად უნდა იცხოვრონ. ოღონდ ეს პოლიტიკურ ასპექტში არ უნდა განვიხილოთ... ერთ რეალურ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ჩემს ნაწარმოებში გამოვიყენე: სოხუმში, ჩემი ნაცნობი ქართველი, გვარად ჯიშკარიანი და მისი თანატოლი აფხაზი ახალგაზრდა ერთად იზრდებოდნენ. ომი რომ დაიწყო, აფხაზმა ქართველს უთხრა, — ჩემს ხალხთან უნდა დავდგე, მაგრამ ერთი ჯავშანჟილეტი მაქვს და შენ მოგცემ, ჩაიცვი, ჩემმა ნასროლმა ტყვიამ არ მოგკლასო. ის აფხაზი ახალგაზრდა ომში დაიღუპა... ასეთი თავისებურებები ახასიათებდა აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობას და ამ რეალობას ვერც ერთი ვერ გავექცევით.

— აფხაზი მწერლის ბატალ კობახიას პოზიცია როგორია ამ ყველაფერზე?

— ბატალი ძალიან ემოციური ადამიანია და როცა კავკასიის ომების მიზეზებს, შედეგებსა და მისი მოგვარების გზებს განვიხილავდით, ჩვენი აზრები დაემთხვა: ისიც ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყების მომხრეა. ერთხელ თქვა, — არსებობს ომი, რომელსაც საკუთარ თავთან აგებ; ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო — ამ ომში ორივემ წავაგეთო... ის აფხაზეთში ომის დროს იბრძოდა. როცა ლათაში ჩვენებმა ვერტმფრენი ჩამოაგდეს, იქ მისი ფეხმძიმე და და დისშვილები დაიღუპნენ. ქართულ-აფხაზური ომის დროს, ოჯახის 6 წევრი დაკარგა. აფხაზეთში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ცოტას როდი ნიშნავს, ამ დასკვნამდე რომ მივიდა...

— ვიცი, რომ თბილისში ჩამოსვლასაც აპირებს.

— დიახ, გაისად, ჟურნალ „ალმანახის“ მეორე ნომერი გამოვა და იმ დროისთვის აპირებს ჩამოსვლას. მანამდე ალბათ მეც მომიწევს სოხუმში ჩასვლა — ანუ მე და ბატალს საკმაოდ დიდი სამუშაო გვიდევს წინ...

■

აფხაზმა ქართველს უთხრა, — ჩემს ხალხთან უნდა დავდგე, მაგრამ ერთი ჯავშანჟილეტი მაქვს და შენ მოგცემ, ჩაიცვი, ჩემმა ნასროლმა ტყვიამ არ მოგკლასო



როცა ლათაში ჩვენებმა ვერტმფრენი ჩამოაგდეს, იქ მისი ფეხმძიმე და და დისშვილები დაიღუპნენ

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის წიგნები

გახდი კინორეჟისორი

სიახლე!

გვ. რაოდ.: 48 გვ.
ფორმატი: 21.5 X 25

ამ არაჩვეულებრივი წიგნიდან თქვენი პატარები ისწავლიან ფილმის შექმნას პროფესიონალის მსგავსად. ბავშვები გაიგებენ, თუ როგორ შეიძლება დრამის, დოკუმენტური ფილმისა თუ ანიმაციის გადაღება. ულიპერბორდის ყუთში ყი იპოვიან ყველაფერს, რაც ნამდვილ კინორეჟისორს სჭირდება.

ფასი: 24.99

როგორ შევარჩიოთ ძაღლი

გვ. რაოდ.: 176 გვ
ფორმატი: 25X29
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

სიახლე!

ამ სახელმძღვანელოდან შეიტყობთ ყველა საჭირო ცნობას ძაღლის, დაახლოებით, 130 ჯიშის შესახებ, რაც გონივრული გადაწყვეტილების მიღებასა და თქვენთვის საუკეთესო ოთხფეხა მეგობრის მოძებნაში დაგეხმარებათ.

ჩემი საყვარელი ჯადოსნური ზღაპრები



გვ. რაოდ.: 186 გვ.
ფორმატი: 22X28.5
ყდა: ბალიშა

ფასი: 24.99

სიახლე!

ამ კრებულში თავმოყრილია ყველასათვის საყვარელი რვა ზღაპარი, რომლებიც შექმნილი და დამუშავებულია გამოჩენილი მეზღაპრეების, ძმები გრიმებისა და ჰანს ქრისტიან ანდერსენის მიერ. ამ საოცარ წიგნში პატარები აღმოაჩენენ თავგადასავლებით აღსავსე ჯადოსნურ სამყაროს.

ჩემი საყვარელი ხუთწუთიანი ზღაპრები

ფასი: 24.99

გვ. რაოდ.: 186 გვ
ფორმატი: 22X28.5
ყდა: ბალიშა

სიახლე!

ამ წიგნში მოთხრობილია თვრამეტი შესანიშნავად ილუსტრირებული ზღაპარი. ისინი ძალიან უყვართ პატარა მეითხველებსაც და მათაც, ვისაც ცოტა ხნით მაინც სურს თავი შეაფაროს საოცრებებით სავსე ჯადოსნურ ქვეყანას. ძილის წინ ამ სხარტი ნაამბობის მოსმენას, მართლაც რომ არაფერი ჯობია!

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

სანდრო გირგვლიანის ოჯახს კომპენსაცია გადაუხადეს

თეა ხურცილავა

სანდრო გირგვლიანი

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სტრასბურგის გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის ოჯახისთვის მორალური ზიანის — 50 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. იუსტიციის სამინისტრომ სანდროს მამას, გურამ გირგვლიანს აცნობა, რომ 50.375 ევრო მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა.

ბატონი გურამი სვანეთში იმყოფება და ჯერ ანგარიში არ შეუმოწმებია. ადვოკატ შალვა შავგულიძის თქმით, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, სანდროს მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიებაა. სტრასბურგის სასამართლომ სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტი დაადასტურა და საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი მითითებები მისცა.

ადვოკატი **შალვა შავგულიძე:**

— კომპენსაციის თანხას 375 ევრო დაემატა, საფოსტო გზავნილების და გაწეული სხვა ხარჯებისთვის. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი, საქმის ხელახალი გამოძიება და შემდგომი სასამართლო განხილვაა. იუსტიციის მინისტრს განცხადებით მივმართეთ. მივუთითეთ, რომ ევროსასამართლომ ცნო კონვენციის მეორე მუხლის — სიცოცხლის უფლების — დარღვევა მის პროცედურულ ასპექტში, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელობის საქმე სათანადოდ და ობიექტურად არ გამოიძიეს და ამ დარღვევის აღმოფხვრის ერთადერთი საშუალება, ხელახალი გამოძიებაა. მოვთხოვეთ, ეცნობებინა ევროპის სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად რას აპირებდნენ და ასევე უზრუნველეყოთ დაზარალებული გურამ გირგვლიანისა და მისი ადვოკატის მონაწილეობა ხელახალ გამოძიებაში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან ევროპულმა სასამართლომ, სხვა გარემოებებთან ერთად, კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა იმის გამოც ცნო, რომ დაზარალებულს წინასწარი გამოძიების დროს ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე და არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა, როდესაც ითხოვდა, მისი მონაწილეობდით დაეკითხათ პირები.

ჩანს, რომ თუ დაავალებს ევროპის მინისტრთა კომიტეტი, მაშინ მზად არის, ჩაატაროს გამოძიება და თუ არ დაავალებს, თავისი სურვილით და ჩვენი მოთხოვნით ამის გაკეთებას არ აპირებს

— რა პასუხი მიიღეთ?

— გვაცნობეს, რომ სახელმწიფო გადაიხდის დაკისრებულ თანხას და ასევე მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან, ევროპის სასამართლოს ამ განჩინების სრულყოფილად აღსრულების მიზნით. იუსტიციის სამინისტროს ამ პასუხიდან ჩანს, რომ თუ დაავალებს ევროპის მინისტრთა კომიტეტი, მაშინ მზად არის, ჩაატაროს გამოძიება და თუ არ დაავალებს, თავისი სურვილით და ჩვენი მოთხოვნით ამის გაკეთებას არ აპირებს. სხვა გზა არ იყო და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მივწერეთ და ვთხოვეთ, სათანადო ზომები მიიღონ და დაავალონ ხელისუფლებას გამოძიება. ჩვენ პარალელი გიორგი ღონღაძის საქმესთან გავავლეთ.

— რა კავშირშია ეს ორი საქმე ერთმანეთთან?

— გიორგი ღონღაძის საქმეშიც მსგავსი სიტუაცია იყო. ღონღაძეშს სამინისტროს წარმომადგენლებმა მოკლეს. იმ შემთხვევაშიც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სიცოცხლის უფლება იყო დარღვეული, როგორც ეს გირგვლიანის საქმეშია აღნიშნული. ჩვენი მთავრობის მსგავსად, უკრაინის მთავრობაც ცდილობდა, არ ჩაეტარებინა ხელახალი გამოძიება. მაგრამ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეზოლუციით დაავალა, კონკრეტულ ვადაში ჩაეტარებინა გამოძიება მაქსიმალურად გამჭვირვალედ და ეს უნდა ყოფილიყო სარწმუნო საზოგადოებისათვის, რამდენადაც საქმე საზოგადოების დიდი ყურადღების ქვეშ იყო. პირდაპირ მიუთითეს, მხილებული, პასუხისგებაში მიცემული და სათანადოდ დასჯილი უნდა იქნან როგორც საქმის აღმსრულებლები, ისე ორგანიზატორები და შემკვეთებიო. ძალიან ჰგავს ღონღაძის საქმე გირგვლიანის საქმეს და დარწმუნებულები ვართ, მსგავს რეზოლუციას ჩვენი ხელისუფლებაც მიიღებს და მას აიძულებენ ეს გააკეთოს. მოგეხსენებათ გიორგი ღონღაძის საქმის შედეგი, რა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები მისცეს პასუხისგებაში და ექსპრეზიდენტ კუჩმას პასუხისმგებლობის საკითხიც კი დგას დღის წესრიგში.

— თქვენ, სხვა პირებთან ერთად, მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას დასჯასაც ითხოვთ. გჯერათ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ამას მიაღწევთ?

— ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნე-

ბა, რომ დაველოდოთ ხელისუფლების შეცვლას ან უფრო სამართლიან მართლმსაჯულებას და მერე დავაყენოთ ეს საკითხი, ვინაიდან მერე ამას პროცედურულად ვეღარ შევძლებთ. უიმედოდ მაინც არ ვართ, რა თქმა უნდა, ეცდებიან ყველანაირად, ფორმალური სახე მისცენ გამოძიების განახლებას და თქვან, რომ ახალი არაფერი გამოვლინდა, მაგრამ ეს არ იქნება ადვილი გასაკეთებელი: სტრასბურგის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რისი გამოძიება მოხდა არასწორად, რა არ გააკეთეს. თუ იმავეს გაიმეორებენ, ისევ მივმართავთ ახალი სარჩელით ევროპის სასამართლოს. თუ გამოასწორებენ იმ დარღვევებს, მაშინ ადეკვატური შედეგი იქნება. ვაცხადებ, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ყველა ის პირი, ვინც თანამონაწილეა ამ დანაშაულში და რაც მთავარია, თავად ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სწორად. ეჭვგარეშეა — ეს არის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და არა სხეულის დაზიანება, რასაც გაუფრთხილებლობით სიკვდილი მოჰყვა — რითაც ის ოთხი პოლიციელი გაასამართლეს. სწორ კვალიფიკაციასთან ერთად, უნდა გაიზარდოს დანაშაულში მონაწილე პირთა წრეც და ეს ხელახალმა გამოძიებამ გამოაჩინოს. სრულიად დასაბუთებული ეჭვები აქვს დაზარალებულს იმ სუფრაზე მყოფი პირების მიმართ. მათ შორის უნდა გაირკვეს, თაკო სალაყაიას, გურამ დონაძის, ოლეგ მელნიკოვის, დათა ახალაიასა და ვასილ სანოძის როლი ამ საქმეში. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ევროპის სასამართლომ მკაფიოდ თქვა, რომ დასაბუთებული ეჭვი დაზარალებულისა ამ მიმართებით არ იქნა ობიექტური საგამოძიებო მოქმედებებით გამორიცხული.

— ახალი კანონი არ აძლევს დაზარალებულს საქმეში მონაწილეობის საშუალებას. თქვენ რა ფორმით წარმოგიდგენიათ საქმის განხილვაში მონაწილეობა?

— ასეთ შემთხვევაში, ევროპული სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მონაწილეობის უფლება. რა ფორმით მოხდება ეს, თავად უნდა შეარჩიოს პროკურატურამ. დარწმუნებული ვარ, დღეს თუ ხვალ აუცილებლად სათანადოდ დაისჯება ყველა ის პირი, რომელსაც „წვლილი“ მიუძღვის ამ საზარელი დანაშაულის ჩადენაში.

■

ჩაო, მაო! ანუ ჩინური სასწაული

ამონარიდები ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ კარლ პერტის წიგნიდან

საყვარლები, ავტომობილები, ბრილიანტები – ჩინეთის მომხმარებელთა საზოგადოება თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება

მოხმარებაზე გაწეული ხარჯების მოცულობით თანამედროვე ჩინეთმა იაპონიას უკვე გაუსწრო და ევროკავშირს თითქმის გაუთანაბრდა. მაინც რის ხარჯზე გახდნენ ჩინელები მსოფლიოში ყველაფრის — ლუდით დაწყებული, მობილური ტელეფონებით დამთავრებული — უმსხვილესი მომხმარებლები?

ჩინეთში ახალგამდიდრებულებზე სპეციალურ ტელეგადაცემებს ამზადებენ და ჟურნალებშიც წერენ, ისინი პოპკულტურის გმირები ხდებიან... აი, რას ამბობს 24 წლის სიჩუანელი გოგონა: „ხშირად ვუყურებ Travel Channel-ს, სადაც უმაღლესი კლასის წარმომადგენლების შესახებ გადაცემებს უჩვენებენ. მეც მინდა, მათსავით მდიდარი ვიყო. მეც სიამოვნებით მივირთმევ ფრანგულ კერძებს, ვიპკურებ „შანელს“, ვატარებ Louis Vuitton-ის ხელჩანთებს და მათ მსგავსად მთელ მსოფლიოში ვიმოგზაურებ. ეჰ, რა მაგარი იქნება, მართლა ასე რომ მოხდეს!“ და როგორც უნდა გაიცხონ მდიდრები, — ქონება სხვების ხარჯზე და ძირითადად, უკანონო გზით იშოვესო, — ამ გოგონასნაირებს დღევანდელ ჩინეთში ისევე ხშირად შეხვდებით, როგორც ავტომობილებს, რომლებიც ველოსიპედისტებს სულ უფრო მეტად ავიწროებენ.

ჩემპიონატი მოხმარებაში

სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩინეთი ფუფუნების საგნებს პრაქტიკულად არ ყიდულობდა, დღეს კი მსოფლიო ბაზარზე მათი უპირატესი მომხმარებელი გახდა. შეძლებული ჩინელები ადრე აკრძალულ ან საუკეთესო შემთხვევაში, მკაცრად ნორმირებულ ავტომობილებზე, ტურიზმსა და მოხმარების სხვა ფორმებზე დამოკიდებული ახალი ეკონომიკის ავანგარდში დგანან.

რეფორმების მესამე ათწლეულისთვის კონტინენტურ ჩინეთზე, მთელ მსოფლიოში გაყიდული ძვირფასი ხელჩანთების, ფეხსაცმლის, საიუველირო ნაკეთობებისა და პარფიუმერიის მხოლოდ 1% თუ მოდიოდა. 2005 წლისთვის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში ამ ნაწარმის მესამე მომხმარებელი გახდა და გაყიდვების 12%-ზე მეტი აითვისა. ის ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩამორჩებოდა იაპონიას (41%), მაგრამ უკვე ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ამერიკას (17%) და, ზოგი პროგნოზით, 2015 წლისთვის მან ორივეს უნდა გაუსწროს და მსოფლიოში ფუფუნების საგნების უმსხვილეს მომხმარებლად იქცეს. 2005 წელსვე ჩინელები საზღვარგარეთ მოგზაურობაზე გაწეული ხარჯებით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდნენ. ისინი საყიდლებზე საშუალოდ 1.000 დოლარს, ხოლო ევროპაში მოგზაურობისას ორჯერ მეტსაც ხარჯავენ. ამ ციფრებმა პრესტიჟული ნაწარმის მსოფლიო მწარმოებლებს იმედი ჩაუსახა, რომ ჩინელები ქანცგაწყვეტილი ამერიკელი, ევროპელი და 80-იანი წლების იმ იაპონელი მომხმარებლების საქმეს გააგრძელებენ, რომლებიც ფულს საერთოდ არ ითვლიან.

ჩინელი მომხმარებელი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მაღალი სტატუსის დამადასტურებელ ნიშ-



სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩინეთი ფუფუნების საგნებს პრაქტიკულად არ ყიდულობდა, დღეს კი მსოფლიო ბაზარზე მათი უპირატესი მომხმარებელი გახდა

ნებს... 2003 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული (1,2 მილიონი დოლარი) მანქანის — სტრეჩ-ლიმუ-

ჩინეთი მსოფლიოში პრესტიჟული ავტომობილების უმსხვილესი მყიდველი ხდება

ზინ „ბენტლი-728“-ის პლანეტის უმსხვილესი შემსყიდველი გახდა, „კადილაკმა“ კი ამ ქვეყანაში 40 ავტოსალონი გახსნა. ჩინურმა იაპიმ იგივე ჩაპიმ (chuppies ორი სიტყვისგან: chinese yuppies — ჩინური იაპი — არის ნაწარმოები) 2005 წელს 23600 ანუ 2004 წელთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ მეტი BMW ავტომობილი შეიძინა. ერთი სიტყვით, ჩინეთი მსოფლიოში პრესტიჟული ავტომობილების უმსხვილესი მყიდველი ხდება და დღეს უკვე 5 მილიონი ჩინელია მზად, ყველაზე ძვირად ღირებულ მანქანაში ფული გადაიხადოს.

ეკონომიკური რეფორმების წლებში ქვეყანაში თითქმის მილიონი მილიონერი გაჩნდა. ჩინეთის საბრენდო სტრატეგიის ასოციაციის გენერალური მდივნის, იან ცინშანის მონაცემებით, დღეს ფუფუნების საგნების ყიდვა ჩინელების 13%-მა ანუ 170 მილიონმა ადამიანმა შეძლო და ეს მონაცემი მომავალში ყოველწლიურად 12%-ით გაიზრდება... ამიტომ სულ არ იქნება გასაკვირი, რომ ჩინეთს ცხოვრებისეული ლამაზი ატრიბუტების გამომშვები ყველაზე სახელგანთქმული ფირმების წარმომადგენლები მიაწყდნენ. ჯერ კიდევ 1992 წელს ამ ფირმების ნაწარმის ყიდვას ჩინეთში, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ბუტიკების გარდა, თითქმის ვერსად შეძლებდით. დღეს კი Louis Vuitton-ის, Calvin Klein-ის, Armani-ის, Prada-სა და Omega-ს მოდელები სავაჭრო ცენტრებშია გამოფენილი. 2005 წელს პეკინის ცენტრში, ვანფუძინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში 100-დან 600 ათას დოლარამდე ღირებული Otos-ის 90 მზის სათვალე იყო გასაყიდად გამოტანილი...

2005 წელს ჩინეთის საიუველირო ნაკეთობათა ბაზარი, ამერიკისა და ევროპის შემდეგ, მსოფლიოში სიდიდით მესამე გახდა და იქ 10 მილიარდი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა გაიყიდა. ალმასების უმსხვილესი გამყიდველი კომპანია De Beers ჩინეთში მხოლოდ 1993 წელს შევიდა და აქტიური პრომოკამპანიის შედეგად, მალე მოახერხა, ჩინელებისთვის ჩაეგონებინა დასავლეთში ესოდენ წარმატებით ფეხმოკიდებული მყარი ურთიერთკავშირის არსებობა ბრილიანტებსა და სიყვარულს შორის, რამაც დღეს ამ ქვეყანაში მილიარდობით დოლარის პროდუქციის გაყიდვა განაპირობა. ოქროს საიუველირო ნაკეთობათა იმპორტზე რეგლამენტის შერბილების შემდეგ, ჩინეთი ოქროს სამკაულებით მოვაჭრე მეოთხე ბაზარი გახდა და მხოლოდ ინდოეთს, აშშ-სა და თურქეთს ჩამორჩება. მარტო 2005 წელს მომხმარებლებმა ჩინეთში 250 ტონაზე მეტი ოქრო შეიძინეს. 2006 წელს კი ამ ქვეყანამ უწინდელ ლიდერს — იაპონიას გაუსწრო და პლატინის ნაკეთობების მსოფლიოში უმსხვილესი შემსყიდველი გახდა. დღევანდელ ჩინეთში პლატინა საქორწინო ბეჭდების დასამზადებელი პოპულარული მასალაა.

ჩინეთი საზღვარგარეთიდან მარტო სხვადასხვა საქონლის კი არა, დასვენების ფორმების იმპორტსაც ახდენს. თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ეს ქვეყანა ინდუსტრიულად განვითარებული სამყაროსთვის ფეხის აწყობას ფოლადის დნობისა და ხორბლის მოსავლის რაოდენობით ცდილობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისმა ხელმძღვანელობამ საწარმოო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის აშენება ამჯობინა, ეს „რბოლა“ თავისუფალი დროის ორგანიზების სფეროში დასავლეთის მიბაძვას უფრო გულისხმობს. და თუ 90-იანი წლების შუახანებში ჩინეთში მხოლოდ ერთი სათხილამურო კურორტი იყო (ისიც 1996 წლის ზამთრის აზიური თამაშებისთვის აშენდა), 10 წლის შემდეგ ქვეყანაში უკვე ორ ასეულზე მეტი ასეთი კურორტი ამოქმედდა, სადაც 3 მილიონი ადამიანი ისვენებს.

ქვეყნის დედაქალაქიდან საათ-ნახევრის სავალზე მდებარე, ნანშანის სათხილამურო კურორტი 9 ფერდობსა და 13 ალპურ სოფელს აერთიანებს. 1988 წელს პეკინის მახლობლად გაშენებულმა სამთო-სათხილამურო ფერდობმა 13 ათას ადამიანს უმასპინძლა, 8 წლის შემდეგ კი წელიწადში უკვე 2 მილიონამდე მოთხილამურეს ემსახურებოდა. არადა, ზღვის დონიდან სულ რაღაც 50 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დედაქალაქს ძალიან მშრალი გობის უდაბნო აკრავს გარს, რაც მეტისმეტად ართულებს ზამთარში ამინდის პროგნოზირებას. ამიტომაც, კლიმატურ და ეკოლოგიურ სირთულეებთან შეჭიდებულმა ინვესტორებმა დახურული სამთო-სათხილამურო ტრასების აგება დაიწყეს. სწორედ ასეთია ციაბოს სათხილამურო გუმბათიც — ნამდვილი ცის მანანაა სათხილამურო მწარმოებლებისთვის. ბაზრის ამ სექტორში, ისევე, როგორც ბევრ სხვაშიც, პრესტიჟული ბრენდების მფლობელებს იმედი აქვთ, რომ ჩინეთი მათ შემოსავლის შენარჩუნებაში დაეხმარება.

ქვეყანაში მაღალი სტატუსის მაჩვენებლად მდიდრების კიდევ ერთი იმპორტული გასართობი — გოლფი მიიჩნევა... 1949 წლის კომუნისტური რევოლუციის შემდგომ, ჩინეთში პირველი გოლფის კორტი 1984 წელს გაიხსნა. მომდევნო წლებში მას კიდევ 350 დაემატა, 1000-მდე კი — ახლა შედარებით პატარა ქალაქებშიც შენდება... თანამედროვე ჩინეთში მილიონზე მეტი გოლფერია. არადა, 1990 წელს მათი რიცხვი ათასს არ აღემატებოდა...

ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში, ჩინეთის ელიტაშიც გოლფის პოპულარობა კლასიკური მიმბაძველობით აიხსნება: ჩინელი ოლიგარქები ამ თამაშს ჰონკონგელი, ტაივანელი, იაპონელი და დასავლელი მოთამაშეების მიბაძვით სწავლობდნენ. მერე მათ გარემოცვა ჰბაძავდა, რომელიც შედარებით იაფი კორტებითა და ინვენტარით კმაყოფილდებოდა. შანხაის საქმიან რაიონში მდებარე დახურულ ორსართულიან კორტზე მოთამაშე ერთი ახალგაზრდა გოლფერის აზრით, — „გოლფი კლასობრივი ნიშანივითაა — მას ის თამაშობს, ვინც თავს მდიდრად მიიჩნევს, ანდა ვისაც იმის ჩვენება სურს, რომ მდიდარია“. ქალაქ სიამენის უნივერსიტეტის რექტორმა მომავალი იურისტების, ეკონომისტების, მმართველებისა და პროგრამისტებისთვის გოლფის აუცილებელი, დანარჩენი სტუდენტისთვის კი — შერჩევითი კურსიც შემოიღო.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, ბრენდირებული ფუფუნების მოხმარებას ჩინეთში გარკვეული წინააღმდეგობა მაინც ხვდება. ნომინალურად, ქვეყანა კომუნისტურია, სადაც დღემდე შემორჩენილია მომჭირნეობის საუკუნეობრივი ტრადიცია და მაო ძე დუნის დროს მომხმარებლო-

ბისადმი ჩანერგილი ზიზღი. აშშ-ის პირველი პირებისგან განსხვავებით, ჩინეთის ლიდერები ფოტოგრაფების წინაშე გოლფის მდელოებზე არ პოზირებენ. 2003 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ ჩინოვნიკებისთვის გოლფის თამაშის აკრძალვაც კი სცადა. მიზეზი — ხუნანის პროვინციაში გოლფის თამაშის დროს ერთ-ერთი დიდი პარტიული თანამდებობის პირის გარდაცვალება იყო. მართალია, პროვინციის ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ გოლფის მოედანზე ჩინოსანი სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ მაინც ეჭვობდნენ, რომ ის იქ, გადასახადების გადამხდელების ხარჯზე, უბრალოდ ერთობოდა...

ხარჯების ბაზარი

მაგრამ მხოლოდ შოპინგი, თხილამურებით სრიალი და გოლფი როდია მდიდრების ის გასართობი, რომელიც ჩინეთის საშუალო კლასმა უცხოელებისგან გადაიღო. მაღალი სოციალური სტატუსის მაჩვენებლად ამ ქვეყანაში კვლავაც რჩება საყვარელი ქალის ყოლა. ასწლეულების მანძილზე ჩინეთში ხარჭებს, როგორც ჩვეულებრივ საქონელს, ისე უყურებდნენ: მათ ყიდულობდნენ და ყიდდნენ, იყენებდნენ გარიგების დროს... მაო ძე დუნის მმართველობისას ეს ჩვეულება, როგორც ბურჟუაზიული გახრწნილობის ნიშანი, პრაქტიკულად აღმოფხვრეს. მაგრამ ეკონომიკური რეფორმების პირველივე წლებში ის ჯერ გუანდუნში აღადგინეს და ფართოდ დანერგეს ჰონკონგელმა და ტაივანელმა ბიზნესმენებმა, 2000 წლისთვის კი ასეულათასობით (თუ არა მილიონობით) ხარჭა უკვე მთელ ჩინეთსაც მოედო.

დღეს ჩინეთში „მეორე ცოლის“, ჩინურად — „ერნაის“ (რაც სიტყვასიტყვით, „სხვა მკერდს“ ნიშნავს; ქვეყნის ჩრდილოეთში ასევე მიღებულია სახელი „სიაო ლაოპო“ — „პატარა ცოლუკა“) ყოლა იმდენადაა გავრცელებული, რომ ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა დუნგუანი, ჩენდუ და შანხაი, მდიდრულ რაიონებში მთელ მრავალბინიან სახლებსაც კი „ხარჭების სოფლის“ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ჩინეთის სამომხმარებლო ბაზრის სტრუქტურაში „მეორე ცოლებს“ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი განეკუთვნებიან სექსუალური მომსახურების უმაღლეს კატეგორიას, რომელშიც ქალის სილამაზის, განათლების, ეროვნების, წარმომავლობისა და კიდევ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უბრალო და დამყოლი, ანდა პირიქით, ძვირად ღირებული და მომთხოვნია იგი, პრესტიჟულობის თავისი, შიდა გრადაციებიც არსებობს.

ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ხარჭის ყოლაც ჩინეთში თავიდან გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ შემდეგ სრულიად ღიად ამოქმედდა. ცოლიან ბიზნესმენებს, საკუთარი შეძლებისა და დახვეწილი გემოვნების სადემონსტრაციოდ, ძვირად ღირებული ხარჭები მდიდრულ ღამის დაწესებულებებში დაჰყავთ, შედარებით იაფფასიანებს კი სამსახურში პირად მდივნებად ამუშავებენ.

საყვარლის მდგომარეობა ქალს ზოგჯერ გამდიდრების საშუალებას აძლევს... ზოგიერთი ხარჭა თავისი მფარველი მამაკაცის მართვასაც ახერხებს. შანსის პროვინციის ქალაქ ბაოძიში კი ადგილობრივი პარტიული ბოსის პოლიტიკური კარიერა 11-დან ერთ-ერთი საყვარლის გულახდილობამ სულაც დაასამარა...

მაგრამ ყველა მატერიალური სიკეთის მიუხედავად, ჩინეთში ხარჭობა საკმაოდ სახიფათოა. ერნაი, ისევე, როგორც საკუთარი სხეულით მოვაჭრე ნებისმიერი სხვა ქალი, მეტისმეტად დაუცველია, რადგან მას არც დიპლომი, არც კარიერა, არც საპენსიო სისტემა იცავს და ხშირად, ოცდაათს გადასცილდება თუ არა, სრულიად უფუნქციო ხდება. ერნაის სულ უფრო ხშირად ურთულებს ცხოვრებას სკანდალები და კორუფციაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ხარჭის ყოლა კანონით აკრძალულია, მას მაინც ყველას ამაყად უჩვენებენ, ერთდროულად ცაშიც აჰყავთ და დაუნდობლადაც კიცხავენ.

ხარჭების თავისუფალი ბაზრის მთავარი მოწინააღმდეგე — სახელმწიფოა, რომელიც ხშირად ხუჭავს თვალს პროსტიტუციაზე

ხარჭების თავისუფალი ბაზრის მთავარი მოწინააღმდეგე — სახელმწიფოა, რომელიც ხშირად ხუჭავს თვალს პროსტიტუციაზე, მაგრამ ხარჭის ყოლის სულ უფრო მზარდი კულტურის გამიზნული შევიწროება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 2000 წლის ანგარიშის შემდეგ, რომელშიც ნათქვამია, რომ კორუმპირებული აპარატის მუშაკთა 90% „მეორე ცოლს“ ინახავს. ჩინეთის მედიასა და ხალხშიც დაუსრულებლად მსჯელობენ იმ ჩინოვნიკების მხილებაზე, რომლებიც მეორე (და ზოგჯერ — მესამე და მეოთხე) ცოლის შესანახად უკანონო გზით მიღებულ შემოსავლებს ხარჯავენ. და ეს უკვე იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ანტიკორუფციული მოძრაობის აქტივისტის, ლი სინდეს თქმით, ქვეყანაში სპეციალური გამოთქმაც კი გაჩნდა: „თითოეული ქურდი ჩინოვნიკის ზურგს უკან ერთი საყვარელი მაინც დგას“. დადგენილია, რომ მაგალითად, 1999 წელს გუანდუნის პროვინციაში სახელმწიფო ქონების დატაცებაში მხილებულ 102-ვე მოხელეს ქორწინების გარეშე კავშირი ჰქონდა.

დღევანდელ ჩინეთში კანონიერი ცოლი, ერნაისთან ქმრის კავშირში მხილების შემთხვევაში, მთელ საერთო ქონებაზე იღებს უფლებას, თუმცაღა სასამართლოს მაინც ცოტა ქალი თუ მიმართავს. მგონი, ამ მხრივ ყველაზე ხმაურიანი სკანდალი 2008 წლის იანვარში მოხდა. ერთ-ერთი ცნობილი ტელეწამყვანი ქალი შეიჭრა პავილიონში, სადაც პირდაპირ ეთერში ახალი ოლიმპიური სპორტული ტელეარხის გახსნას გადასცემდნენ და ეცა თავის ქმარს, ასევე პოპულარულ სპორტულ კომენტატორსა და მიმზიდველ მამაკაცს, რომელსაც ცოლქმრულ ღალატში დასდო ბრალი და ისიც დასძინა, — სანამ ჩინეთში ქორწინებისადმი ასეთი დამოკიდებულებაა, ის დიდი სახელმწიფო ვერაფრით გახდებაო.

სამომხმარებლო ბაზრის სწრაფი განვითარებით გამოწვეული „დომინოს ეფექტის“ კიდევ ერთი შედეგია იმ კერძო დეტექტივების გამოჩენაც, რომლებიც მოღალატე ქმრების გამოაშკარავებაში არიან დახელოვნებული. მაგალითად, დეტექტიურმა სააგენტო „დებანმა“, რომელიც ქალაქ ჩენდუში ქმარს გაცილებულმა ქალბატონმა დააფუძნა, უკვე რამდენიმე ქალაქში გახსნა ფილიალი და 100-ზე მეტი თანამშრომელიც დაიქირავა. ჩინელი ქალები აღარ აპირებენ ქმრების ღალატთან შეგუებას და ნაწილობრივ ამის გამოც, 2007 წელს ქვეყანაში განქორწინებების რიცხვმა 1,4 მილიონს მიაღწია — ანუ წინა წელთან შედარებით — 20%-ით, რეფორმების დაწყებიდან კი — ხუთჯერ გაიზარდა. ■

სახე

ნოდარ გურგენაშვილი საპირისპირო სქესის ფანებს გაურბის

„მის გარეშე ერთი დღეც ვერ გავძლებ“

„შუა ქალაქში“ ახალი გმირები ცხოვრობენ, ძველებიდან კი მხოლოდ 2 პერსონაჟი დარჩა: ლაშა ტორონჯაძე (ბაჩო ქავჯაია) და ბარმენი პაატა ფერაძე (ნოდარ გურგენაშვილი), უფრო სწორად — ყოფილი ბარმენი, რომელიც მაყურებელმა ახლა, როგორც კოტეს შვილიშვილი, ისე გაიცნო. როგორ განვითარდება მოვლენები „შუა ქალაქში“, მოახერხებს თუ არა გათავადებული ფერაძე თეკლას მოხიბვლას? — ეს სცენარისტებზეა დამოკიდებული. ჩვენ ნოდარ გურგენაშვილს შევხვდით და მის შესახებ ბევრი საინტერესო რამ შევიტყვეთ.

თამუნა კვინიკაძე

— მაყურებელს გაუხარდა, შენი პერსონაჟი „შუა ქალაქში“ რომ დატოვეს.

— მართლა? მინდა ყველას მადლობა ვუთხრა. ჩემი პერსონაჟის დატოვება სცენარისტებმა გადაწყვიტეს. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს მომავალში პაატა ფერაძე.

— სახასიათო პერსონაჟი შექმენი. ალბათ არაერთი ფრაზა თამაშის დროს, ექსპრომტად იბადება.

— რა თქმა უნდა! ზოგჯერ ისეთი რამ წამოგცდება, სცენარში სულ რომ არ წერია, მაგრამ სიტუაციას უხდება. ჰოდა, ასეთ ფრაზებს ტოვებენ.

— ვიცი, რომ „შუა ქალაქში“ კასტინგის გზით მოხვდი. მანამდე სად იყავი, რას საქმიანობდი?

— სოხუმის თეატრში ვთამაშობდი. სხვათა შორის, კასტინგის გზით რაიმეს მიღწევა თუ შეიძლებოდა, არ მეგონა, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ მსახიობისთვის აქტიურობა აუცილებელია; თუ საჭირო იქნება, დღეში 5 კასტინგზეც კი უნდა მიხვიდე. აქ გასაუბრება გავიარე, მერე დამირეკეს და მითხრეს, როლზე დაგამტკიცეთო. აი, ასე გავხდი პაატა ფერაძე.

— სოხუმის თეატრთან კვლავ თანამშრომლობ?

— არა, წამოვედი.

— სცენა არ გენატრება?

— მენატრება. თეატრი ძალიან მიყვარს, მაგრამ ცხოვრებაში სხვა რაღაცებიც მაინტერესებს.

— როგორც ვიცი, მუსიკალური ჯგუფი გყავს.

— ჯგუფი — არა, მარტო ვარ. ტექსტსაც და მუსიკასაც თავად ვწერ, ინსტრუმენტებზეც ვუკრავ და ვოკალისტიც გახლავართ. კონცერტების დროს უბრალოდ, მეგობრებს დახმარებას ვთხოვ — ხან დრამია საჭირო, ხან ბასი და ყველაფერზე ერთდროულად ხომ ვერ დავუკრავ?! თეატრიდან წამოსვლის შემდეგ უფრო მეტი თავისუფალი დრო დამრჩა. მოკლედ, პროფესიით მსახიობი ვარ, მაგრამ მუსიკა ძალიან მიყვარს.

— ამ მხრივ მომავალში განვითარებას არ აპირებ?

— ჯერ არ ვიცი. მუსიკალური განათლება არ მიმიღია, მაგრამ მაინც, მუსიკა ჩემი ცხოვრებაა, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ.

— ბევრი კომპოზიცია გაქვს შექმნილი?

— საკმაოდ. თავისუფალ დროს მთლიანად მუსიკას ვუთმობ.

— რომელ ჟანრში მუშაობ?

— ჩემი მუსიკა სხვადასხვა ჟანრის სინთეზია. მიმაჩნია, რომ კარგი მუსიკის პოვნა ნებისმიერ ჟანრში შეიძლება, ამიტომ თავადაც ყველაფერს ვუსმენ. ტექსტს ინგლისურ ენაზე ვწერ, რადგან ქართული არ უხდება. ჩემი შემოქმედება ბევრს მოსწონს, რაც სტიმულს მაძლევს და ამიტომაც, უკვე არაერთი კონცერტი გავმართე. მომავალშიც ვაპირებ, მაგრამ ჯერჯერობით, ამას ვერ ვახერხებ, რადგან ერთ-ერთი ფილმის გადაღებებში ვმონაწილეობ.

— იმ ფილმს გულისხმობ, რომელსაც ირაკლი კაკაბაძე იღებს, არა?

— დიახ. ამ ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებ. ჩემი გმირი პაატა ფერაძისგან სრულიად განსხვავებულია. მუშაობა, ცოტა არ იყოს, რთულია, რადგან ფილმსა და სერიალში თამაში პარალელურ რეჟიმში მიწევს. მომწონს, განსხვავებულ პერსონაჟს რომ ვთამაშობ. მსახიობი თუ ხარ, ყველანაირი როლი უნდა მოირგო.

— როგორი როლები უფრო გიზიდავს?

არ მინდა მხოლოდ იმიტომ უნდოდეთ ჩემთან ყოფნა, რომ ცნობილი ადამიანი ვარ

— უმეტესად, კომედიურ როლებს ვასრულებ, მაგრამ ტრაგიკული უფრო მიზიდავს. ჩემმა მეგობარმა თეატრალურ უნივერსიტეტში „ჟანა დ'არკი" დადგა, სადაც ინკვიზიტორი ანუ ის ადამიანი განვასახიერე, რომელიც ჟანას ცეცხლზე წვავს. ეტყობა, ასეთ როლს იმდენად მოწყურებული, მონატრებული ვიყავი, რომ ჩემი ინკვიზიტორი ძალიან საზიზღარი გამოვიდა.

— **პეტოს რით ჰგავხარ?**

— არა მგონია, რაიმეთი ვგავდე.

— **სამაგიეროდ, ამ პერსონაჟის წყალობით დღეს ბევრი ადამიანი გიცნობს. მაყურებელთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— მართლა ბევრი მცნობს. ამ სერიალს ყველა თაობის მაყურებელი ჰყავს და ბევრს უკვირს, რატომ ჩავდივარ მეტროში, რატომ მხედავენ სამარშრუტო ტაქსიში. პატარებს ჰგონიათ, რომ ის, რაც სერიალში ხდება, ჩემი რეალური ცხოვრების ნაწილია. მაგალითად, შაბათ-კვირას ვინმესთან სტუმრად თუ ვარ და საღამოს 10 საათი ახლოვდება, ბავშვები ნერვიულობენ და მეკითხებიან: — მალე „შუა ქალაქში" იწყება და არ დაგაგვიანდებაო? ეგ არაფერი, მსგავსი რაღაცები უფროსებსაც ემართებათ. ცოტა ხნის წინ ერთმა კაცმა მკითხა, — ერთ თამაშში მართლა 7 გოლი გაიტანე (ამ სიტყვებს ერთ-ერთ სერიაში ვამბობ)? ფეხბურთზე დადიოდიო? ახსნა-განმარტებას ხომ არ დავუწყებდი და თანხმობის ნიშნად, თავი დავუქნიე. ზოგს ისიც ჰგონია, რომ ჩვეულებრივად კი არა, სიმღერ-სიმღერით ვლაპარაკობ.

— **ბევრი თაყვანისმცემელი გოგო გყავს. შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— რას გულისხმობ?

— **შეყვარებული ხარ?**

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს... მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოვჩნდი, საპირისპირო სქესის მხრიდან მართლა დიდ ყურადღებას ვგრძნობ, რაც დიდად არ მსიამოვნებს, რადგან ვხვდები, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პოპულარობის გამო ცდილობენ დამიახლოვდნენ. ჩემთვის მთავარია, ადამიანმა ისეთი მიმიღოს, როგორიც ცხოვრებაში ვარ და არა — ეკრანზე. არ მინდა მხოლოდ იმიტომ უნდოდეთ ჩემთან ყოფნა, რომ ცნობილი ადამიანი ვარ და თუ ჩემთან ერთად ქუჩაში გაივლიან, ისინიც ყურადღების ცენტრში მოექცევიან. ასეთ ხალხთან ურთიერთობას გავურბივარ.

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— ჭკვიანი და ჯანსაღი იუმორის მქონე.

— **კაცების უმრავლესობას ჭკვიანი ქალები აფრთხობენ.**

— მე ასეთი მამაკაცების კატეგორიას არ მივეკუთვნები. მიმაჩნია, რომ ჭკვიან ქალთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა. ისეთი გოგონები უფრო მაღიზიანებენ, რომელთა საუბრის თემა მოდური ტანსაცმელია, რომლებიც მხოლოდ ბარებში სიარულსა და გართობაზე ზრუნავენ.

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებ? შენთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალება რა არის?**

— ან თავად უნდა დავუკრა და ვიმღერო, ან მუსიკის მოსასმენად რომელიმე კლუბში წავიდე და ცოცხალ შესრულებას მოვუსმინო. სხვათა შორის, რეჟისურაც მაინტერესებს, სცენარებსაც ვწერ.

— **მომავალში ფილმის გადაღებასაც ხომ არ გეგმავ?**

— ჩემი სცენარებით ფილმის გადაღება თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ამ საქმეს ჯერჯერობით, ხელს ვერ მოვკიდებ. არ შეიძლება, ადამიანმა ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთო.

— **დიდი ხანია, რაც სცენარებს წერ?**

— დაახლოებით 2 წელია.

— **შენს სცენარებს სხვა რეჟისორს ვერ ანდობ?**

— როგორ არა, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, თავად გადავიღო.

— **საკუთარ ფილმში ითამაშებ?**

— რა თქმა უნდა! საერთოდ, როცა სცენარს ვწერ, ყოველთვის ვფიქრობ, თავად რომელ როლს შევასრულებ.

— **წარმატებას გისურვებ!** ■

რატომ ათევდა ღამეს ნანკა კალატოზიშვილი დედასთან

„ნოე სულაბერიძეზე „გამათხოვეს“

ის პირად ცხოვრებაზე ყოველთვის ღიად ლაპარაკობს, ამას კი ასეთ ახსნას უძებნის: „აჯობებს, მე ვთქვა, ვიდრე სხვამ ილაპარაკოს“. მსახიობი და ტელეწამყვანი ნანკა კალატოზიშვილი საკუთარი შემოქმედებისა და ახლახან გავრცელებული ჭორის, — თითქოს მისი და კალათბურთელ ირაკლი კეიდიას 2-წლიანი რომანი დასრულდა, — შესახებ გულახდილად გვესაუბრა.

თამუნა კვინიკაძე

— თეატრალური ფესტივალი ძალიან კარგ საქმეს აკეთებს — თბილისში ბევრი პროდიუსერი ჩამოდის და ქართულ დასებსაც არაერთ ქვეყანაში იწვევენ. 2 წლის წინ მუსკომედიის თეატრში „მაკბეტი“ ვითამაშეთ. ამ სპექტაკლმა უამრავი პრიზი აიღო, ახლა კი პოლონეთში მიგვაქვს, ცოტა ხნის შემდეგ — ერევანში.

— ახალ სპექტაკლზე მუშაობას არ იწყებთ?

— ჯერ არა, რადგან დათო დოიაშვილი იტალიაში მიდის, სადაც სპექტაკლი უნდა დადგას. სხვათა შორის, მას საზღვარგარეთ ხშირად იწვევენ.

— ცნობილია, რომ ფილმში გადაგიღეს...

— ამ ფილმზე ჯერ არავისთან მილაპარაკია, რადგან ამის არც უფლება მქონდა და არც — საშუალება. თქვენ წარმოიდგინეთ, გადაღების დროს ოჯახის წევრებსაც კი ვერ ვნახულობდი... 10 სექტემბრამდე სომხეთში „მიმინოს“ (*პროექტი, რომლის ფარგლებში ქართველი და სომეხი ვარსკვლავები ერთმანეთს სხვადასხვა სფეროში ეჯიბრებოდნენ. — ავტ.*) ჩაწერაზე ვიყავი და უკან დაბრუნებულმა დასვენება ვერ მოვასწარი — ახალბედა რეჟისორმა, ნიკა ჯავახიშვილმა ფილმის გადაღება დაიწყო და მეც მიმიწვია. ის ჩემი მეგობარია, ბავშვობიდან ვიცნობ. რეჟისორობა ყოველთვის უნდოდა. რამდენიმე წლის მანძილზე ლონდონში სწავლობდა, მერე სამშობლოში დაბრუნდა და ოცნებაც აიხდინა.

— ფილმზე ვილაპარაკოთ...

— სრულმეტრაჟიანი ფილმია, „ნაწილები“ ჰქვია. სცენარი ნიკამ მეუღლესთან ერთად დაწერა. მართალია, სცენარისტი არაა, მაგრამ მისი ნაშრომი ბევრს მოეწონა; გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაღება დაუფინანსეს. ფილმზე მუშაობა 2 კვირაში დასრულდება და თუ არ ვცდები, მას მაყურებელი მარტში იხილავს.

— შენს გმირზე რას გვეტყვი?

— ყველაფრის მოყოლა არ შემიძლია, მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ საინტერესო პერსონაჟს ვთამაშობ. ნიკას მუშაობისთვის კარგი გარემო ჰქონდა შექმნილი. მინდა აღვნიშნო, რომ ხმის რეჟისორი, ოპერატორი და გამნათებელი ამერიკიდან ჩამოიყვანა. მათ მსახიობებთან მუშაობის დიდი კულტურა აქვთ. მაგალითად, თუ სატირალი სცენაა, ყველას აჩუმებენ, რათა თამაში გაგიიოლონ. სამწუხაროდ, ქართველები ამას არ ვითვალისწინებთ. იყო სცენა, სადაც ნამტირალევი სახე უნდა მქონოდა. ვინაიდან თვალების დასივებას დიდხანს ტირილი სჭირდება, ნახევარი საათით სადღაც გავდიოდი, ვტიროდი და კამერასთან ისეთი სახით ვბრუნდებოდი, როგორიც კადრისთვის იყო საჭირო.

— „ნაწილებში“ კიდევ, რომელი მსახიობები მონაწილეობენ?

— ნიკუშა თავაძე, გიორგი გურგულია, გიორგი კალანდაძე და ლაშა ონიანი. გიორგი კალანდაძეს შორიდან ვიცნობდი. გადაღებების დროს მივხვდი, რომ საყვარელი ბიჭია და დავმეგობრდით. მარინა ჯანაშიაზე მთელი გადამღები ჯგუფი ვაბოდებდით — გარდა იმისა, რომ გენიალური მსახიობია, არაჩვეულებრივი პიროვნებაც გახლავთ.

— ფილმი სად გადაიღეს?

— დავითგარეჯაში, თბილისში, ერთ-ერთ ლაბორატორიაშიც... სხვათა შორის, მსახიობებს ბევრი კურიოზი შეემთხვათ, რასაც ალბათ, რაღაც პერიოდის შემდეგ, თავად მოჰყვებიან.

— შენ რა შეგემთხვა?

— ხომ იცი, რაღაცას ძალიან რომ მოინდომებ, ის საქმე ზოგჯერ არ გამოგდის. ერთ-ერთი სცენის გადაღებისას ისტერიკული სიცილი ამიტყდა, თამაში ვერ შევძელი და ბოლოს, ათასი ბოდიში გამიხდა მოსახდელი.

— ასეთი გადაღლის შემდეგ, დასვენება თუ შეძელი?

— მე და კედო 3 კვირაზე მეტხანს, ზღვაზე ვიყავით, მაგრამ კვირაში 3 დღეს იქაც ვმუშაობდი — „ფეისკონტროლის“ ჩაწერა გვქონდა; გარდა ამისა, კლუბებში საღამოები მიმყავდა. ჩემს საქმეს რომ მოვრჩებოდი, მერე იქ მივდიოდი, სადაც კედო იყო და კარგად ვერთობოდით. წყნარად დასვენება გვინდოდა და ამიტომაც, ბინა არა ბათუმში, არამედ ქობულეთში ვიქირავეთ. მოკლედ, წელს უცნაური დასვენება გამოგვივიდა: 3 დღე სიამტკბილობა და 4 დღე — გადარევა.

— კედო როგორ არის?

— კარგად. ქუთაისში იყო და გუშინ ჩამოვიდა. ახლა „დინამოში“ თამაშობს.

— თქვენს დაშორებაზე ჭორი რატომ გავრცელდა?

— დატვირთული დღის რეჟიმის გამო, საზოგადოებაში მასთან ერთად ისე ხშირად ველარ ვჩნდებოდი. არ მეცალა და ამის გამო კედო სახლში ხომ არ დაჯდებოდა?! ერთმა ჟურნალისტმა მკითხა: — ღამე სახ-

ლში, დედაშენთან რატომ გძინავსო? დედა ერთადერთი ადამიანია, ვისაც შეუძლია, დილის 8 საათზე გამაღვიძოს, რათა გადაღებაზე წავიდე. ერთი პერიოდი 11 და 12 საათზე ვიყავი ასადგომი. დედაჩემი კედოს ურეკავდა, კედო კი მე მაღვიძებდა, არადა, ძილი ჩემზე მეტად უყვარს. ჰოდა, ბოლოს ტელეფონის გათიშვა დაიწყო. „ნანკა, გაიღვიძე, შენი ადგომის დროა“ — ეს სიტყვები ჩემზე არ ჭრის; სანამ საბანს არ წამართმევენ, ვერ ვფხიზლდები.

— **დედასთან ამიტომაც გადაბარგდი?**

— სხვათა შორის, ბინა დედაჩემის სახლის გვერდით ვიქირავეთ. როცა ჩვენი დაშორების შესახებ დაიწერა, იმ დღეს კინოთეატრში ვიყავით და ყველა მე და კედოს გვიყურებდა; ვერ გაიგეს, რა ხდებოდა. ჟურნალისტი იმაზეც კი ჩამეძია, — არც გიჩხუბიათო? 2 წელია, ადამიანთან ერთად ვცხოვრობ და ცხადია, ამ დროის მანძილზე ერთხელ მაინც ვიჩხუბებდით, მაგრამ თავად კედოა ისეთი ტიპი, რომ ჩხუბში არ მყვება; როცა ვბრაზობ, მიყურებს და იცინის. საერთოდ, ჩემ ირგვლივ ჭორები უხვადაა. მაგალითად, ახლახან ნოე სულაბერიძეზე „გამათხოვეს“. რა ყოფილა ეს ქალაქი: ჩანხარ — ჭორაობენ, არ ჩანხარ და მაინც ჭორაობენ. მოკლედ, ჭორებზე იმუნიტეტი მაქვს. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ იმ დღეებში, როცა ნოეზე „გამათხოვეს“, კედო მასთან ერთად ისვენებდა.

— **ამ ყველაფერზე კედო როგორ რეაგირებს?**

— მას პრესასთან ურთიერთობა არ უყვარს, ერთად ინტერვიუც კი არასდროს მიგვიცია...

იმ დღეებში, როცა ნოეზე „გამათხოვეს“, კედო მასთან ერთად ისვენებდა

— **ნანკა, თქვენი ურთიერთობა შეიძლება ქორწინებით დასრულდეს?**

— დაქორწინების სურვილი არასდროს მქონია. ზუსტად ისეთი ადამიანი მყავს გვერდით, რომლისთვისაც ქორწინება, ხელის მოწერა და მსგავსი ფორმალობები აუცილებელი არ არის. მთავარი ისაა, რომ კედოს საყვარელი ადამიანი ვიყო და მეც მიყვარდეს. 2 წელია, ერთად ვართ და ჩვენს ურთიერთობას ოჯახს ვეძახით.

— **როგორია შეყვარებული ნანკა?**

— ყველაფერი უხარია. მე და კედოს ერთი მსოფლმხედველობა გვაქვს. ძალიან კეთილია, მისგან აუგს ვერავისზე მოისმენ, ადამიანში ყოველთვის კარგს ეძებს, მე კი მისი ეს თვისებები ძალიან მომწონს.

— **სიურპრიზს ხშირად გიწყობს?**

— ხშირად — არა, მაგრამ როცა მიწყობს, ჩემს გაოცებას ნამდვილად ახერხებს. ბოლოს სიურპრიზი დაბადების დღეზე მომიწყო: მთელი დღის მანძილზე არც ერთმა მეგობარმა არ დამირეკა. ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ არ შემიმჩნევია. იმ დღეს „მუსიკალური ლიგის“ ჩაწერა მქონდა და ტელევიზიაში ფეიერვერკი მომიწყვეს — ეგ იყო და ეგ. საერთოდ, დაბადების დღეს არასდროს ვიხდი, ჩემს ძმასთან (*ნანკა ტყუპისცალი ჰყავს. — ავტ.*) ავდივარ და ერთად აღვნიშნავთ ხოლმე. საღამოს კედოს დავურეკე და ვუთხარი, — ჩემს ძმასთან ავიდეთ-მეთქი. მიპასუხა: ცოტა ხანი დამელოდე, გამოგივლი და ერთად წავიდეთო. გამომიარა კი არა, საოცრება ჩაიდინა: კლოუნის ფორმაში გამოწყობილი მეგობრებთან ერთად მოვიდა და თეატრალიზებული წარმოდგენა გამართეს, მერე კი ერთ კლუბში წავედით და ვის ზარსაც ველოდებოდი, ყველა იქ დამხვდა. ბევრი ვიმხიარულეთ, ბოლოს კი ჩემს ძმასთან ავედით. ძალიან მაგარი, დაუვიწყარი დღე იყო. კედოს მსგავსი თბილი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. მას მართლაც, ბევრი დადებითი თვისება აქვს.

ზუსტად ისეთი ადამიანი მყავს გვერდით, რომლისთვისაც ქორწინება, ხელის მოწერა და მსგავსი ფორმალობები აუცილებელი არ არის

— **უარყოფითი?**

— (*დაფიქრდა*) იმდენად მიყვარს, მისი უარყოფითი თვისებები არ მაინტერესებს.

— **ამ 2 წლის მანძილზე ისე არ გაუბრაზებიხარ...**

— (*მაწყვეტინებს*) რომ თმა გამეშალოს?.. არა, მშვიდი ადამიანია.

— **კედოს ოჯახის წევრებს იცნობ?**

— რა თქმა უნდა, ვიცნობ. ფანტასტიკური ადამიანები არიან. კედო ასეთი კარგი იმიტომაა, რომ არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მის დასთან, დისშვილი კი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— **სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

— ახლა ყველაზე მთავარი ისაა, რომ „ნაწილებზე“ მუშაობა დავასრულოთ. პარალელურად, „მუსიკალურ ლიგას“ ვწერთ. სამორი არაჩვეულებრივი პარტნიორია, ეკრანსაც ძალიან უხდება და უამრავ გოგოსაც მოსწონს. იმ დღეს ვეუბნებოდი, — სადაც უნდა მივიდე, ყველგან შენზე მელაპარაკებიან-მეთქი. იმედია, მალე გადაცემაში სიახლეს შევიტანთ. ■

როგორ გავხდეთ მსახიობები

„პროფესიონალებსაც და არაპროფესიონალებსაც „ვტესტავთ“

საქართველოში მომრავლდა სამსახიობო სააგენტოები, რომლის მეშვეობითაც ამა თუ ფილმის, სერიალის რეჟისორები მათთვის სასურველ კანდიდატურებს ირჩევენ და ასაქმებენ. რაც უნდა უცნაური იყოს, ნებისმიერ არაპროფესიონალს, რომელსაც ოდესმე მსახიობობაზე უოცნებია, შესაძლებლობა აქვს, მსგავს სააგენტოებში გაწევრდეს და თუ გაუმართლა, როლიც მიიღოს. სწორედ ასეთი სააგენტოა „არტ-ათეული“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ცნობილი მსახიობი, ზაზა იაძაშვილი გახლავთ.

ნათია ჟვიკი

დედაჩემი ხელაშვილია, მისა კი შორეულ ნათესავად მეკუთვნის, ამიტომ ძალიან მისარია, რომ სწორედ მისი როლის შესრულება მომანდვეს

ზაზა:

— კომპანია „არტ-ათეული“ ვანო ცინაძემ და მარჯანიშვილის თეატრის რამდენიმე მსახიობმა 4 წლის წინ ჩამოვაყალიბეთ. თავიდან ოფისი მარჯანიშვილის თეატრში გვქონდა — ბატონმა ლევან წულაძემ ოთახი აბსოლუტურად უსასყიდლოდ გამოგვიყო. ვანო ცინაძე ჩვენი ახლო მეგობარია. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არ არის, კომპანიის დაარსების იდეა სწორედ მას გაუჩნდა. ახლა საკმაოდ ვრცელი ბაზა გვაქვს, როგორც პროფესიონალების, ასევე — არაპროფესიონალების. ტიპაჟებს ძალიან აქტიურად ითხოვენ რეკლამებისთვის, სერიალებისთვის... ჩვენი კომპანია „დეტექტივების“ პირველი სეზონის ბოლო რამდენიმე სერიისა და მთლიანად მეორე სეზონის კასტინგ-მენეჯერი იყო. მოკლედ, ნაყოფიერად ვითანამშრომლეთ.

— **როგორც ვიცი, ამ სერიალში მოდელი კატო დედაბრიშვილი სწორედ თქვენი სააგენტოს წყალობით მოხვდა.**

— კატო ჩვენმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მოგვიყვანა. როცა სერიალის რეჟისორმა მისი ფოტო ნახა, მაშინვე თქვა, — კასტინგზე მოვიწვიოთო. კატოს გარდა, სერიალში არაერთმა არაპროფესიონალმა ითამაშა, მათ შორის, მთავარ როლებშიც. მაგალითად, თაბაგარის შეყვარებულის როლის შემსრულებელი მოდელია... რეჟისორთან შეხვედრამდე მსახიობებიც და არამსახიობებიც რეპეტიციებს ჩვენთან გადიან, რასაც „დატესტვას“ ვეძახით.

— **საქართველოში მსგავსი კიდევ ორი კომპანიაა. თქვენ შორის რასაკვირველია, კონკურენციაც იქნება. როგორ იბრძვით პირველობისთვის?**

— როცა კონკურენცია ჯანსაღია, ეს სააგენტოს განვითარებისთვის კარგიც კია. ჩვენთან ყველაფერი აბსოლუტურად ობიექტურად ხდება ანუ ამა თუ იმ რეჟისორს სააგენტოს ყველა წევრის ფოტოს ნახვის საშუალება აქვს და როლს ის მიიღებს, ვინც მას მოეწონება და არა ის — ვინც ჩვენი ახლობელია. გარდა ამისა, გვაქვს ასეთი პირობა: თუ მსახიობს ჩვენი მეშვეობით დაასაქმებენ, მაშინ ანაზღაურებიდან გარკვეული პროცენტი უნდა გადაგვიხადოს, მაგრამ თუ რომელიმე რეჟისორი მას ჩვენგან დამოუკიდებლად აიყვანს, არანაირ გადასახადს არ ვაკისრებთ.

— **სულ რამდენი მსახიობი გყავთ?**

— 1600. აქედან 700 პროფესიონალია, დანარჩენი — არა.

— **არაპროფესიონალებს რა კრიტერიუმით არჩევთ? მაგალითად, მე თუ შემიძლია თქვენი სააგენტოს წარმომადგენელი გავხდე?**

— რასაკვირველია, შეგიძლია. თუ ადამიანს არტისტული მონაცემები არა აქვს, მაგრამ გარეგნობა უწყობს ხელს, ის შესაძლოა, რეკლამაში, კლიპში გადაიღონ. მოკლედ, მუშაობის პროცესში რეჟისორს ნებისმიერი ტიპაჟის ადამიანი შეიძლება დასჭირდეს.

— **რეჟისორები დახმარებისთვის ხშირად მოგმართავენ?**

— რასაკვირველია. ბოლო დროს ფილმების გადაღება კვლავ დაიწყეს, რეკლამებსაც სისტემატურად იღებენ — ანუ მსახიობებს სამუშაო აქვთ. უბრალოდ, ხშირად ყოფილა ისეთი შემოთავაზება, როცა მათ პირობებს პროფესიონალი კი არა, არაპროფესიონალიც არ დათანხმდებოდა და ცხადია, ასეთი წინადადების მიღებაზე უარს ვამბობდით.

— **რეჟისორებს საკუთარ კანდიდატურას როგორ სთავაზობ?**

— საკუთარ თავს არასდროს არავის ვთავაზობ. ჩემი პირადი აგენტი ვანოა და როცა ვინმეს ჩემნაირი ტიპაჟი სჭირდება, მას ჩემს კანდიდატურას ვანო სთავაზობს...

— **ამჟამად რითი ხარ დაკავებული?**

— როგორც კი „დეტექტივების“ მეორე სეზონზე მუშაობა დავასრულეთ, დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ მუშაობა ერთდროულად ორ პროექტში შემომთავაზეს. ერთ-ერთი იყო სოციალური კლიპი — „ინტეგრაცია“, რომელიც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხს ეხება. იგი გაჯერებულია ტრიუკებით, საბრძოლო სცენებით. ამ კლიპის რეჟისორი, სცენარის ავტორი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი პროფესიონალი კასკადიორი, დათო ხუბუა გახლავთ. სწორედ ეს ადამიანი ამზადებდა იმ მსახიობებს (მათ შორის, მეც), რომლებსაც „დეტექ-

ტივებში“ ტრიუკების გაკეთება უწ-ევდათ. ჰოდა, მან ჩათვალა, რომ მე ამ კლიპს თავისუფლად „მოვერგებოდი“ და მიმიწვია.

— როგორც ვიცი, საბრძოლო ხელოვნებისადმი გულგრილი არ ხარ...

— წლების განმავლობაში ვვარჯიშობდი კარატეში. სხვათა შორის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სენსეი — პაატა ჭელიძე მამეცადინებდა. გული მწყდება, რომ ბოლო დროს სპორტის ამ სახეობით არ ვარ დაკავებული... ვფიქრობ, საბრძოლო ხელოვნების კურსი ყველა მსახიობმა უნდა გაიაროს.

— მეორე პროექტის შესახებ არაფერი გითქვამს...

— რუსა შაიშმელაშვილი და საპატრიარქოს ტელევიზია მიხა ხელაშვილზე მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს იღებს. დედაჩემი ხელაშვილია, მიხა კი შორეულ ნათესავად მეკუთვნის, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ სწორედ მისი როლის შესრულება მომანდვეს. გადაღებების ძირითადი ნაწილი ფშავში მიმდინარეობდა. მიხა ჩემთვის იმდენად სათაყვანებელი პიროვნებაა, რომ ამ პროექტში მონაწილეობა ყოველგვარი პირობის გარეშე მივიღე. ახლა ლაპარაკია იმაზეც, რომ მასზე ვრცელი, მხატვრული ფილმი უნდა გადაიღონ... სხვათა შორის, მალე „დეტექტივების“ მესამე სეზონზე დავიწყებთ მუშაობას და ცხადია, მაყურებელს ბევრ სიურპრიზს ვუმზადებთ.

■



როცა სერიალის რეჟისორმა მისი ფოტო ნახა, მაშინვე თქვა, — კასტინგზე მოვიწვიოთო

როდის ბრაზობს სალომე ბაკურაძე

„გასწორებულ თმაში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ“

მომღერალი სალომე ბაკურაძე თავის მოვლას ბევრ დროს უთმობს. ძალიან უყვარს შოპინგი და მიაჩნია, რომ სასურველი ნივთის შესაძენად ადამიანს ფული არ უნდა დაენანოს. ბრაზობს, როცა წონასთან დაკავშირებულ კითხვებს უსვამენ, თუმცა როცა მსგავსი კითხვა ჩვენც დავუსვით, აღიარა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ზრუნავს და ბევრს ვარჯიშობს.

მარეხ ჭონიშვილი

— სალომე, გაპრანჭვა რა ასაკში დაიწყე?

— საკმაოდ გვიან: ყურები მაშინ გავიხვრიტე, როცა სკოლას ვამთავრებდი, პირველად მაკიაჟი კი მეორე კურსზე ყოფნისას გავიკეთე.

— გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?

— კი. შეიძლება სახლიდან გამოსულმა აღმოვაჩინო, რომ მაგალითად, თმა ისე არ მაქვს, როგორც უნდა მქონდეს. ასეთ შემთხვევაში შემიძლია, ყველა საქმე გვერდზე გადავდო, სასწრაფოდ სახლში წავიდე, თავი დავიბანო და ისეთი ვარცხნილობა გავიკეთო, როგორიც მინდა, მერე კი საქმეს მშვიდად დავუბრუნდები.

— ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— ზოგჯერ ძალიან მინდება, კედები ჩავიცვა, მაგრამ ვინაიდან ადვილი მოსალოდნელია, რომ იმ დღეს რომელიმე კონცერტზე მიმიწვიონ, მე კი შინ წასვლა და ტანისამოსის გამოცვლა ვერ მოვახერხო, საკუთარ თავს ამის უფლებას არ ვაძლევ. ძალიან მიყვარს ჯინსი და მასზე უარს ვერ ვამბობ. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ყოველდღიურად მაცვია და სხვათა შორის, ასეთი ფეხსაცმლით საჭის მართვაც არ მიჭირს.

— შოპინგზე სიარული თუ გიყვარს?

— ტანისამოსის მაღაზიების ხშირი სტუმარი ვარ და როცა რაიმეს შეძენა სურთ, მეგობრებიც მეუბნებიან, — გამოგვყევიო. მათ იციან, რომ შოპინგი დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— წინასწარ თუ გეგმავ, რა უნდა იყიდო?

— ისეთი ადამიანების კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც მაღაზიაში მარტო ჩანთის, ფეხსაცმლის ან კაბის საყიდლად მიდიან. წინასწარ არასდროს ვგეგმავ, რა უნდა ვიყიდო; როცა ბუტიკში შევდივარ, იმას ვყიდულობ, რაც

მომეწონება, რა თქმა უნდა, თუკი ამის საშუალება მაქვს. თუ სასურველი ნივთის შესაძენად საკმარისი თანხა არ მექნება, მირჩევნია, მაღაზიიდან ხელცარიელი გამოვიდე, ფული მოვაგროვო და მერე ის ვიყიდო, რაც მინდოდა.

— სამოსის ამოჩემება თუ გჩვევია?

— მაქვს რამდენიმე ისეთი სამოსი, რომელიც განსაკუთრებით მომწონს და რომელშიც თავს კომფორტულად ვგრძნობ. ასეთი სამოსი შეიძლება, კვირაში ორჯერ ჩავიცვა. საერთოდ, ბევრი ტანსაცმელი მაქვს, თან ხშირ-ხშირად ვიცვლი და ამიტომაც, ჩემი გარდერობი ხშირად ირევა, მისი დალაგება ყოველდღიურად მიწევს.

— ჩაცმასთან დაკავშირებით ვის აზრს ითვალისწინებ?

— არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლების აზრსაც ხშირად ვითვალისწინებ, მაგრამ განსაკუთრებით დედის გემოვნებას ვენდობი. ამ საკითხში ჯიუტი ნამდვილად არ ვარ — ანუ როცა მეუბნებიან, არ გიხდებაო, არ ვიცვამ. ჩემი იმიჯისა და გემოვნების ჩამოყალიბებაზე „ჯეოსტარმაც“ დიდი გავლენა იქონია. იქ არიან პედაგოგები, რომლებიც ზუსტად გირჩევენ, რომელი სიმღერა მოგიხდება, ამ სიმღერის შესრულებისას როგორი სამოსი უნდა ჩაიცვა, როგორი ვარცხნილობა გქონდეს...

— ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— ფულის გადახდა არაფერში მენანება. მაღიზიანებს ისეთი ადამიანი, ვისაც კოსმეტიკის, სუნამოსა და აქსესუარის შესაძენად ფულის ხარჯვა ენანება.

— რაიმეს შეძენისას უპირატესობას ფასს ანიჭებ თუ ხარისხს?

— დედაჩემი მეუბნება: არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ ერთს და ხარისხიანს, ისეთები, რომლებიც ბევრს ყიდულობენ, მაგრამ უხარისხოს. შენ მესამე კატეგორიას მიეკუთვნები: ბევრს ყიდულობ და ხარისხიანსო...

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებ?

— კი, მაგრამ როცა რუჯი მაქვს, მხოლოდ ტუჩის საცხსა და ტუშს ვისვამ.

მაღიზიანებს ისეთი ადამიანი, ვისაც კოსმეტიკის, სუნამოსა და აქსესუარის შესაძენად ფულის ხარჯვა ენანება

— სახის კანს როგორ უვლი? კოსმეტოლოგთან დადიხარ?

— ჩემს ასაკში კოსმეტოლოგთან ხშირი ვიზიტი საჭიროდ არ მიმაჩნია. უბრალოდ, ვიყენებ ხარისხიან კოსმეტიკას, ზამთარში კი სახის კრემსაც ვისვამ, რათა კანი არ გამომიშრეს.

— აქსესუარები გიყვარს?

— აქსესუარები ძალიან მიყვარს და ბევრიც მაქვს, ყოველდღე სხვადასხვა მიკეთია. მიყვარს სათვალე. ეს აქსესუარი თითქმის ყველა ფერისა და ზომის მაქვს. ამჟამად ჩემს მანქანაში 5 სათვალე მაინც იქნება (*იცინის*).

— როგორი სუნამო მოგწონს?

— განსაკუთრებულად „დეიზი“ და „მარკ ჯეიკობსი“ მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტყვი, — მხოლოდ ამ სუნამოებს ვისხამ-მეთქი. ბევრი სუნამო მაქვს და მათ სეზონის მიხედვით ვცვლი.

ზოგჯერ ძალიან მინდება, ბედები ჩავიცვა, მაგრამ საკუთარ თავს ამის უფლებას არ ვაძლევ

— სალომე, წონას თუ აკონტროლებ?

— წონის პრობლემა საქართველოში ძალიან ბევრს და მათ შორის მეც მაქვს. რა თქმა უნდა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ვზრუნავ და ვვარჯიშობ... ცნობისათვის, როცა კითხვას წონასთან დაკავშირებით მისვამენ, ცოტა არ იყოს, ვბრაზდები (*იცინის*).

— შენს გარეგნობაში ყველაზე მეტად რა მოგწონს?

— თმა და ამიტომაც, მას განსაკუთრებულად ვუვლი, ნიღბებით ხშირად ვანებივრებ.

— სხვებისგან განსხვავებით, თმას არასდროს ისწორებ...

— გასწორებულ თმაში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ.

— შანსი რომ მოგეცეს, შენს გარეგნობაში რას შეცვლიდი?

— ჯერჯერობით, არაფრის შეცვლის სურვილი არ მაქვს. საკუთარი თავი ისეთი მომწონს, როგორიც ვარ, მაგრამ როცა ნაოჭები გამიჩნდება, კანის გასწორებაზე აუცილებლად ვიზრუნებ. ■

როგორ აფასებს კახა ჯოხაძე სერიალის ახალ გმირებს

„ახლაც ერთი ოჯახივით ვართ“

სერიალ „შუა ქალაქში“ ვახუნხულას როლის შემსრულებელს, კახა ჯოხაძეს დიდი იმედი აქვს, რომ მის პერსონაჟს ისევ „გააცოცხლებენ“, მანამდე კი ახმეტელის სახელობის თეატრში განაგრძობს მუშაობას. თეატრალური როლების გარდა, იგი სერიალის — „შუა ქალაქში“ „შიდა სამზარეულოზეც“ გვესაუბრება.

დიდი სურვილი მაქვს, რომ „შუა ქალაქში“ ვახუნხულა ისევ დასჭირდეთ

თამთა დადეშელი

— შენი გმირი სერიალიდან — „შუა ქალაქში“ დაითხოვეს. ახლა რას საქმიანობ?

— ახმეტელის თეატრში ვმუშაობ. ვთამაშობ სპექტაკლში — „გივი ტაქსისტის სიყვარულის ამბავი“, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიდგა. გარდა ამისა, „მანდრაგორას“ (მაკიაველის პიესაა) რეპეტიციებზეც დავდივარ. სერიალიდან ჯერჯერობით, არანაირი შემოთავაზება არა მაქვს, თუმცა იმედია, მექნება. ისე, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ჰოდა, ახალ სეზონში რომ არ დამიძახეს, ეს არც საწყენია და არც დასაბოლმი, სერიალს განახლება ნამდვილად სჭირდებოდა.

— სერიალში დარჩნენ ნოდარ გურგენიძისა და ბაჩო ქავჯაიას გმირები. ვეჭვობ, ხალხს არც შენი და დათო ალექსიძის გმირები მოჰბეზრებია...

— ეგ არ ვიცი, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, რომ „შუა ქალაქში“ ვახუნხულა ისევ დასჭირდეთ.

— კახა, „მანდრაგორაში“ რომელ პერსონაჟს განასახიერებ?

— „მანდრაგორა“ კომედიური ჟანრისაა. ჩემი პერსონაჟი ხანუმას ტიპისაა — მაჭანკალი კაცი, რომელიც ქცევებითა და მანერებით ვახუნხულასგანაც განსხვავებულია და გურამისგანაც („გივი ტაქსისტის სიყვარულის ამბავი“).

— გამუდმებით კომედიურ ჟანრში გიწევს მუშაობა. მაყურებლის თვალში ამ ამპლუას მსახიობად ყალიბდები...

— კი, ასეა! ეს ყველაფერი თითქოს, რაღაც იარლიყს გადებს. ძალიან მიყვარს ფსიქოლოგიური დრამა და ასეთ სპექტაკლში სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ამ ეტაპისთვის მსგავსი წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. ვცდილობ, ჩემი პერსონაჟები ერთმანეთს არ დაემსგავსონ და მაყურებელმა არ იფიქროს — ეს მხოლოდ და მხოლოდ „ვახოა“, სხვა არაფერი შეუძლიაო.

ვთამაშობ სპექტაკლში – „გივი ტაქსისტის სიყვარულის ამბავი“, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიდგა.

— სერიალმა თეატრისკენაც გაგიხსნა გზა, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, „შუა ქალაქში“ ბევრ რამეში დამეხმარა. ერთი წამითაც არ მინანია, რომ მასში ვმონაწილეობდი. პირიქით, ამ სერიალმა ბევრი სიხარული მომანიჭა.

— როგორ გაიხსენებ გადაღებების პერიოდს?

— ყველაფერი შესანიშნავად მახსენდება. შემოქმედებითი ჯგუფი — უფროსიან-უმცროსიანად, ერთი ოჯახივით ვიყავით. საქმეს არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ მთელი გულით ვაკეთებდით და ერთმანეთსაც ვეხმარებოდით, მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებოდით; გამუდმებით იმაზე ვფიქრობდით, უფრო კარგად გვემუშავა და ამიტომაც იყო, რომ პროდუქტი ძალიან კარგი, გემოვნებიანი გახლდათ.

— გადაღებებს ბევრი დრო მიჰქონდა?

— მუშაობის სპეციალური გრაფიკი გვქონდა: ორშაბათი-სამშაბათი სარეპეტიციო დღე იყო, ოთხშაბათს კი ჩაწერას ვიწყებდით. მოკლედ, ძალიან დატვირთული სამი დღე გვქონდა.

— თქვენ ერთმანეთს ახლაც ეკონტაქტებით?

— რა თქმა უნდა. ჩვენ უბრალოდ კონტაქტი კი არა, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, თითქოს ისევ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ახლაც, ჩემთან სტუმრად ბაჩო ქავჯაია და მისი მეუღლე არიან. მოკლედ, სერიალმა ძალიან დაგვაახლოვა.

— ახალი სერიები ალბათ უკვე ნახე. როგორია შენი შთაბეჭდილება?

— პირველი სერიებით რაიმეს განსაზღვრა რთული იქნება. ზოგი ამბობს, — ძველი პერსონაჟები თუ არ იქნებიან, სერიალს აღარ ვუყურებთო. ცხადია, ასე არ უნდა მოიქცნენ. მერწმუნეთ, ნებისმიერი პროექტის დასაწყისი ისეთი საინტერესო არ არის, როგორიც უკვე „დაქოქილის“. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბევრი რამ მომეწონა, რაღაცები — ნაკლებად, მაგრამ ვფიქრობ, მალე „შუა ქალაქში“ ისევ ისეთი რეიტინგული იქნება... მერწმუნეთ, თითოეულ მსახიობს ვგულშემატკივრობ და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს კარგად გაართმევენ თავს. ■

ეჭვიანი და „აზიატი“ ძმა და 2 „მგზავრის“ ოჯახური ამბები

რატომ არ მოსწონდა გიგი დედალამაზიშვილს დის იმიჯი

როგორც ჯგუფის — „მგზავრები“ — წევრი დედამიშვილები, გიგი და ნინი დედალამაზიშვილები აღნიშნავენ, რთულად აღსაზრდელი პატარები არ ყოფილან. ნინის აზრით, გიგი საკმაოდ მკაცრი ძმაა, თუმცა მის პირად ცხოვრებაში ჩარევისგან თავს იკავებს და მხოლოდ რჩევების მიცემით შემოიფარგლება, რომლის სისწორეშიც ნინი დროთა განმავლობაში რწმუნდება.

უცნობები მეუბნებიან, – ვა, რა მაგარი და გყავსო, რის გამოც ნერვები მეშლება

ელენე გასილიძე

გიგი:

— ჩემსა და ნინის შორის ასაკობრივი სხვაობა 2 წელიც არ არის. როგორც წესი, უფროს შვილებს უმცროსებზე ეჭვიანობა ახასიათებთ, მაგრამ მე ნინიზე არასდროს მიეჭვიანია.

გიგიმ დედამისს გასძახა, — დედა, ბავშვობაში ნინიზე ვეჭვიანობდიო? ქალბატონმა ციციმ კი უპასუხა: — არა, შენ არასდროს ეჭვიანობდი, მაგრამ ნინიზე ამას ვერ ვიტყვი. მიუხედავად იმისა, რომ მე და გიგი მასზე ვზრუნავთ, ხანდახან მაინც ეჭვიანობსო.

ნინი:

— მგონი, ახლა უფრო ეჭვიანი გავხდი... საერთოდ, გიგის ასეთი რამ არ ახასიათებს, საამისოდ მეტისმეტად კეთილია.

— **დამჯერი ბავშვები იყავით?**

— კი, ძალიან წესიერი ბავშვები ვიყავით, ზრდილობიანები...

გიგი:

— ჰო, თუ სტუმრად ვიყავით, არაფერს ვჭამდით (*იცინიან*). ალბათ ჩვენს თაობასა და ჩვენზე უფროსებსაც კარგად ახსოვთ 1990-იანი წლები, როცა მშობლები შოკოლადს არ გვაჭმევდნენ, — სტუმარი რომ მოვა, მას უნდა მივართვათო. ჰოდა, ამ სიტყვებს ვითვალისწინებდით და სტუმრად ყოფნისას მასპინძლებს ვუფრთხილდებოდით. გაჭირვება იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, გართობას მაინც ვახერხებდით. მახსოვს, მაშინ შეშის ღუმელი გვქონდა, რომელსაც მამა დღემდე მისტირის, — ოთახში შეშის ტკაცატკუცი რომ ისმოდა, მაშინ სითბოსაც სულ სხვა ეშხი ჰქონდაო...

ნინი:

— ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით, რადგან მხოლოდ ის ოთახი თბებოდა. სიცივის გამო დასაძინებლად წასვლა არავის უყვარდა.

— **ხშირად ჩხუბობდით?**

— უჰ, კი... ჩვენი სახლის წინ სკოლაა, რომლის ეზოშიც ბავშვობა გავატარეთ. გიგი რომ გაიზარდა, მხოლოდ ბიჭებთან ერთად თამაშობდა და მეც სულ მათთან მინდოდა ყოფნა.

გიგი:

— ბავშვობაშიც ვკამათობდით და ახლაც... არ მიყვარს, როცა დაქალებთან რჩება ან სახლში მოსვლას აგვიანებს. კლუბებში სიარულიც არ მიყვარს და ნინისაც ვსაყვედურობ, როცა ასეთ დაწესებულებაში მიდის. ძალიან კონტაქტურია და ლამის მთელ თბილისს იცნობს. უცნობები მეუბნებიან, — ვა, რა მაგარი და გყავსო, რის გამოც ნერვები მეშლება.

ნინი:

— ჩემი ძმა, რომელიც ყველას უყვარს, სახლში მეტისმეტად „გააზიატდება“ ხოლმე. ხანდახან მგონია, რომ ბევრს მეკამათება.

გიგი:

— არც მთლად ასეა საქმე. როგორც წესი, ტყუილად არ ვსაყვედურობ. სხვათა შორის, ნინი ოჯახში პრივილეგირებული ბავშვი იყო: მეშვიდე კლასში გახლდათ, როცა მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს, რადგან თქვა, — არ მინდა სკოლაში, დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვროო. ჟურნალისტიკას სწავლობდა, არაერთ წრეზე დადიოდა; არასამთავრობო ორგანიზაცია არ დარჩენილა, ეს რომ არ ყოფილიყო გაწევრებული, სულ საზღვარგარეთ, კონფერენციებზე დადიოდა...

— **და შენ ეს არ მოგწონდა?**

— მაგრად არ მომწონდა და ვფიქრობდი, რომ უკეთესი იქნებოდა, ნინის სკოლაში ევლო, სკოლის დამთავრების შემდეგ კი სხვა საქმეებიც ეკეთებინა. დილით ადრე ადგომა და სკოლაში წასვლა არც მე მიყვარდა, მაგრამ ნინი რომ იტყოდა, — სკოლაში არ მივდივარო, — არავინ ეკამათებოდა.

ნინი:

— მაშინ, როცა ჟურნალისტობა მოვინდომე, ეს პროფესია ძალიან

გიგი რომ გაიზარდა, მხოლოდ ბიჭებთან ერთად თამაშობდა და მეც სულ მათთან მინდოდა ყოფნა

პოპულარული იყო და თითქმის ყველა ბავშვი ამაზე ოცნებობდა. მახსოვს, ჩემი თანატოლები ეზოში ვითომ აქციებს ატარებდნენ, მე კი საინფორმაციო გამოშვების რეპორტიორი ვიყავი და პირდაპირ ჩართვებს ვაკეთებდი... გიგი მიიჩნევდა, რომ ილუზიებს ვიყავი აყოლილი.

გიგი:

— მთელი ბავშვობა მესმოდა სიტყვები: — ნინის არ სცალია, დაანებე ბავშვს თავი, კონფერენციისთვის ემზადება... თუ რამე არ მოეწონებოდა, მაშინვე ბებია-ბაბუასთან გარბოდა საჩივლელად. თამაშისას არასდროს არაფერს გვითმობდა და იძულებულები ვიყავით, ჩვენ დაგვეთმო. მახსოვს, სამსახურს ხშირად იცვლიდა. მოვიდოდა და იტყოდა: — ახლა მუშაობა რაღაც კომპანიაში დავიწყეო... არ მომწონდა მისი სერიოზული იმიჯი, მეცინებოდა. ხშირად ვთხოვდი, — ერთი საქმე აკეთე, ყველაფერს ნუ ხარ მოდებული-მეთქი. რამდენიმე წლის წინ ივენთებსაც აკეთებდა. მაშინ ეს სიტყვა ახალი ხილი იყო...

ნინი:

— იყო პერიოდი, როცა ერთდროულად რამდენიმე ადგილას ვმუშაობდი და ძალიან ვიღლებოდი. ახლა ვფიქრობ, რომ გიგი სწორ რჩევას მაძლევდა. მართალია, ბევრ სფეროს ვიყავი მოდებული, მაგრამ კარგი გამოცდილება მივიღე და დღეს ერთ საქმეს ვაკეთებ (*იღიმის*).

გიგი:

— ნინის პირად ცხოვრებაში არ ვერევი, ამ საკითხში ტრადიციული ქართველი ძმა არ ვარ. არასდროს ვეკითხები: — ვინ დაგირეკა, ვისთან ერთად დადიხარ-მეთქი? თუ თავად არ გაუჩნდება სურვილი, რაიმე მკითხოს, რჩევების მიცემისგანაც ვიკავებ თავს... ზოგჯერ აღმინიშნავს, რომ ნინის გვერდით ესა თუ ის ადამიანი არ მომწონდა და დროთა განმავლობაში მიმხვდარა, რომ მართალი ვიყავი.

ნინი:

— სანამ თავად არ დავრწმუნდებოდი, რომ ამა თუ იმ მეგობართან ურთიერთობა არ ღირდა, ძმის არ მჯეროდა. აი, გულს რომ მატკენდნენ, მერე ვხვდებოდი, გიგი მართალი რომ იყო. ბებიაჩემმა იცოდა თქმა: — მე არ გიშვებ და შენ თუ გინდა, წადიო. ჰოდა, ხანდახან გიგიც ასე მეუბნება.

გიგი:

— „ჯეოსტარის“ კონცერტზე ჩემთან ახლოს ზის ხოლმე. ამას წინათ მისკენ გავიხედე და ლამის გადავირიე — სათვალე გაუკეთებია და კონცერტს ისე ადევნებდა თვალს. არადა, მე ხომ ვიცი, რომ მხედველობის პრობლემა არ აქვს...

ნინი:

— მაშინვე მესიჯი მომწერა: ჩქარა მოიხსენი ეს სათვალეო. თბილისური, წამღერებით ლაპარაკიც აღიზიანებს. ხანდახან, რაღაცას „ისე“ თუ ვერ ვიტყვი, გიჟდება, — რანაირად ლაპარაკობო?

გიგი:

— ვერ ვიტან ამ წამღერებით ლაპარაკს და რა ვქნა?!

— ნინ, „ჯეოსტარის“ შესარჩევ ტურზე გიგის რჩევას თუ აძლევდი?

— რჩევა კი არა, ვერც ვნახულობდი. კასტინგები რომ დაიწყო, გიგი ხან ერთ ქალაქში იყო, ხან — მეორეში და იმ პერიოდში მისთვის თვალიც არ მომიკრავს. ვფიქრობ, ჩემი რჩევები არც სჭირდება. მხოლოდ იმას ვეუბნებოდი, — ცოტა უფრო მკაცრი იყავი-მეთქი, მაგრამ ვიცი, როგორც უნდა მოინდომოს, ვერ „გამკაცრდება“. გიგი თითოეულ კონკურსანტს გულშემატკივრობს და ძალიან განიცდის, როცა სათანადოდ ვერ მღერიან. ზუსტად ვიცი, რომელი კონკურსანტის რა მოეწონა და რა — არა.

გიგი:

— არა მარტო მე, არამედ ჟიურის თითოეული წევრი კონკურსანტების გულშემატკივარი გახლავართ. კასტინგზე ძალიან დაძაბულები ვიყავით, რადგან არ გვინდოდა, კარგი ვოკალური მონაცემების მქონე მომღერალი გამოგვპაროდა. კონკურსანტებს ვოკალური კუთხით არ ვაფასებ (ამ საქმეში ქალბატონ მარინას ბადალი არ ჰყავს). უბრალოდ, ვცდილობ, მათ სცენაზე დგომაში, მანერების დახვეწასა და ჟანრის მორგებაში დავეხმარო.

— ნინ, არც ისე დიდი ხნის წინ გიგი დაოჯახდა...

— ძალიან საყვარელი რძალი მყავს და შესაბამისად, ოჯახის წევრებმაც შევიყვარეთ. რაც შეეხება გიგის, კარგი მეოჯახეა. სიმართლე გითხრა, დაქორწინების შემდეგ მის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა; როგორიც იყო, ისეთივეა.

გიგი:

— არ მესმის, დაოჯახების შემდეგ რატომ იცვლებიან? არასოდეს მიფიქრია, — უკვე დროა და ცოლი უნდა შევირთო-მეთქი. ყველაფერი თავისთავად მოხდა და ვფიქრობ, ძალიან მაგარია, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს.

— ნინ, გარდა იმისა, რომ „მგზავრებში“ მღერი, რას საქმიანობ?

ნინი:

— „ჯორჯიან ავტო იმპორტის“ პიარმენეჯერიც გახლავართ და ცნობისათვის, ორივე საქმეს საკმაოდ იოლად ვართმევ თავს.

გიგი:

— „მგზავრებს“ მსმენელებისთვის სასიამოვნო სიახლე გვაქვს: მოგეხსენებათ, არც ისე დიდი ხნის წინ უკრაინულ ჯგუფთან — „ტენეემკა“ — ერთად დუეტი ჩავწერეთ. ახლახან ეს ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა და სიმღერაზე კლიპი გადავიღეთ, რომელსაც მაყურებელი სულ მალე იხილავს. ამასთან, 12 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გავმართავთ. ვფიქრობ, მსმენელების იმედს გავამართლებთ. ■

„როდესაც მწერალი შემგუებელია, იქ ყველაფერი დასრულებულია...“

შვილთან ერთად

ერეკლე საღლიანის **პოეზია სამშობლოს სიყვარულითაა გაჟღენთილი და თვითონაც საკუთარი პოეზიასავით სუფთა და დაუდეგარია. ამბობს, რომ სვანური მუზა ძალზე ჭირვეული ყოფილა, ხასიათისა არ იყოსო... ჩემი რესპონდენტი ისეთ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, რომელიც განებივრებული იყო ნოდარ ანდღულაძის, მურმან ლებანიძის (მას ლექსიც დაუწერია პატარა ერეკლესთვის) და სხვათა და სხვათა სტუმრობით. კითხვაზე: — საიდან მოდის პოეტი — ერეკლე საღლიანი-მეთქი? ასე მიპასუხა:**

ნინო ჯავახიშვილი

— XX საუკუნის ერთ-ერთმა ცნობილმა პოეტმა, ეგზიუპერის ცნობილ გამოთქმას — „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ,“ ასეთი ფრაზა დაუპირისპირა — „მე ჩემი გაურკვევლობიდან მოვდივარ“. გაურკვევლობაში მაინცდამაინც ქაოსი კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ სამყარო, რომელიც ჩვენს გრძნობებს მართავს — სულიერი სამყარო. ეს ურთულესი კითხვებია — როგორ მოვედით? და რატომ მოვედით? ჩემთვის ყველაზე დიდი სკოლა ჩემი ოჯახი იყო, სადაც ზაფხულობით მთელი საქართველოს ინტელიგენცია (ნოდარ ანდღულაძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, თამაზ გამყრელიძე, გაიოზ შარაშიძე — ცნობილი ფსიქიატრი) იყრიდა თავს. მათგან ბევრ რამეს ვიგებდი. როდესაც ნოდარ ანდღულაძე საუბრობდა, ეს უკვე გარკვეულ წარმოდგენას მიქმნიდა მუსიკაზე, მურმან ლებანიძე პოეზიაზე ლაპარაკობდა, ბატონი თამაზი — ენათმეცნიერების შესახებ და ყველანაირ ინფორმაციას „ვისრუტავდი“ და ასეთ ატმოსფეროში ნელ-ნელა ვყალიბდებოდი, როგორც პიროვნება და როგორც პოეტი.

— თქვენი მშობლები ვინ იყვნენ?

— მამა (ვალერიან საღლიანი) პოეტი, რაიონული გაზეთის რედაქტორი გახლდათ. დედა (კვიციანის ქალი) — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. სხვათა შორის, დედულეთში, „უშბის“ ძირას დავიბადე. ჯერ ცხუმარის 8-წლიან სკოლაში ვსწავლობდი. მესტიის სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ კი ისტორიის ფაკულტეტზე, ხელოვნების ისტორიის განხრით დავიწყე სწავლა (ეს ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი გახსნილი იყო და სულ ხუთნი ვიყავით). პოეზია ბავშვობიდან მიყვარდა. მეხუთე კლასში ვიყავი, როცა ჟურნალ „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გავიმარჯვე და პრემია გადმომცეს. იმ პერიოდში მოდაში უცენზურო შაირები იყო და ერთხელ მამასაც კი ვუთხარი შაირი, კაცი გაგიჟდა. იღრიალა და გამწარებულმა ბარი მესროლა, რომელიც ჩემ მაგივრად მამალს მოხვდა. მამალი დასაკლავი გაგვიხდა. საღამოს კი მითხრა: — უეცრად გავბრაზდი; ისე, რა კარგი რამეები გისწავლიაო... თბილისში რომ ჩამოვედი, „ნიანგის“ რედაქტორის — ზაურ ბოლქვაძის წყალობით, კრიტიკოსი — ნოდარ ჩხეიძე და პოეტი — შოთა ჩანტლაძე გავიცანი. ბატონი ზაურის ოჯახში სუფრა იყო გაშლილი და იქიდან ჯუნა მიქატაძემ, ცნობილმა მოქანდაკემ, წამოგვიყვანა მანქანით და მაშინ მთხოვეს — აბა, ახლა გვითხარი შაირები, რაც იცი და მამაშენი რის გამოც გაგიბრაზდაო. იმისთანა რამეები ვთქვი, რომ ორივენი ხარხარებდნენ და 3 შაირი ჩაიწერეს კიდეც. I კურსზე რატომღაც წერა შევწყვიტე. სამწლიანი პაუზა მქონდა — მაშინ მეგონა, რომ საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე და მიუტეეებელი დანაშაული ჩავიდინე — ბავშვობის დროინდელი ყველა ჩემი ლექსი გავანადგურე.

— ასეთი ჭირვეულია სვანი პოეტის მუზა?

— (*იცინის*) კი, ძალიან ჭირვეულია. მერე მოვიდა სიყვარული და შემოქმედებითად „ავიწყვიტე“ — სიყვარულმა იმდენი ლექსი დამაწერინა... მაგრამ დავშორდით და ასეთი ლექსი დავუწერე: „შენ ვერ შესძელ, დაგემჩნია ჩემთვის, სამუდამოდ წარუშლელი კვალი...“ — მეტი რაღა კვალი უნდა დამემჩნია, ლექსი დაგაწერინეო, — მიპასუხა. ჩემი ბრალია, „ხეზე ასვლა“ რომ გასწავლე, ასეთი პასუხიც იმიტომ მივიღე-მეთქი, — ვუთხარი.

— „ხეზე ასვლაში“ რას გულისხმობდით?

— ფაქტობრივად, მე გავზარდე. ის ჩემზე უმცროსი იყო, ვმეგობრობდით. დღევანდელი გადასახედიდან გული არ მწყდება იმაზე, რაც მოხდა, რადგან ჩემ გვერდით ისეთი ადამიანია, როგორიც მჭირდება. ჩემ გვერდით დგომა მხოლოდ ჩემმა მეუღლემ — მარინა შერმადინმა შეძლო... ცოლი გვიან შევირთე, ერთი

ვაჟი გვყავს, მეტი ვერ მოვასწარი, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. მეუღლე ფილოლოგია და ჩემი ახალი წიგნის კორექტორიც გახლავთ, რომელიც სულ მალე გამოვა.

— სიყვარულმა დამაწერინა ლექსებიო, — მითხარით. კიდევ რა გაწერინებთ ლექსს?

— ყველაფერი, რაც მტკივა და რაც მიხარია. რა თქმა უნდა, სამშობლო განსაკუთრებით უნდა სტკიოდეს ნებისმიერ ქართველს და მით უმეტეს, შემოქმედს. არ მიყვარს „ურაპატრიოტული“ ლექსები, სადაც მხოლოდ მუშტის გულზე ბრახუნია... შოტლანდიელი პოეტის — რობერტ ბერნსის ცნობილი ლექსი „კბილის ტკივილი“ მახსენდება. ხომ საშინელებაა კბილის ტკივილი. ალბათ იფიქრებთ, როგორ შეიძლება, კბილის ტკივილზე კაცმა პატრიოტული ლექსი დაწეროსო. არადა, პოეტი ჯერ კბილის ტკივილს აღწერს, რომ მას ფესვი ჯოჯოხეთში აქვს გადგმული და ა.შ. ბოლოს კი ამბობს: „ჰოი, სატანავ, კუპრისმიერო, ჯოჯოხეთის და ბნელის მიერო,/ გვედრებ, ტკივილი შოტლანდიის მტრებს/ სულო ძლიერო, შენ გადუხადე სამაგიერო კბილის ტკივილით“. ხომ არის მაგარი?! მკითხველი ერთ ხაზს რომ წაიკითხავს, ვერ უნდა მიხვდეს, რისი თქმა გინდა შემდეგ ტაეპში, რადგანაც ეს არის ლექსი და არა გაშიშვლებული ნატურალიზმი...

— ბევრი ფიქრობს, რომ თანამედროვე მწერლობამ ძალა დაკარგა. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— მწერლობამ ძალა კი არ დაკარგა, მწერლობის როლი დააკნინეს. ყოველთვის, როდესაც ქვეყანაში ანტიეროვნული მოძრაობა მიმდინარეობს, პირველი ძალა, რომელიც მას უპირისპირდება, მწერლობაა. ამიტომაც, ნამდვილი ლიტერატურა ჩაწიხლეს და ტელევიზიის „სარდაფებში გამოჩეკეს“ უნიჭო ვაიპოეტები და მწერლები, მოხდა მწერლობის უზურპაცია. ამას მხოლოდ დღევანდელ ხელისუფლებას ვერ დავაბრალებ, რადგან წინა ხელისუფლებას უფრო დიდი ცოდვა მიუძღვის ამაში, ვიდრე დღევანდელს. სამწუხაროდ, ასე გრძელდება უკვე რამდენი წელია. მცირერიცხოვან ერს, ერთ პერიოდში, ისეთი მსოფლიო დონის მწერლები რომ ჰყავს, როგორიცაა — ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, რეზო ჭეიშვილი, ჯემალ ქარჩხაძე და კიდევ ბევრი სხვა, შეიძლება თქვა, რომ მწერლობა დაკნინდა? მაგრამ მკითხველმა არ იცის, რომელი მწერალი უნდა წაიკითხოს. ყველა ხელისუფლებას ჰყავდა და ჰყავს კარის მწერლები და პოეტები. ეს ხდებოდა ყოველთვის. წაკითხული გაქვთ მიხო მოსულიშვილის — „უჟამო ჟამის რაინდი“? — გენიალური რომანია. არაჩვეულებრივი რომანი დაწერა ზეინაბ მეტრეველმაც — „საყდრის ჩიტები“. ვის აქვს წაკითხული? ბევრს არც გაუგონია მათ შესახებ არაფერი, რადგან ისინი არ ყვირიან. კრიტიკა კი დუმს.

— ასეთ დროს თანამედროვე მწერალი უნდა იყოს მებრძოლი თუ შემგუებელი?

— რა თქმა უნდა, მებრძოლი. გურამ დოჩანაშვილი თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში წერს, რომ „ატლანტიდა დაღუპა ყველაფრისადმი შეგუების სინდრომმა“. როდესაც მწერალი შემგუებელია, იქ ყველაფერი დასრულებულია! მწერალი იდეალურ ყოფაშიც რომ იყოს, დავით აღმაშენებლის დონის სახელმწიფო მოღვაწეც რომ მართავდეს ქვეყანას, მაინც ოპოზიციონერი უნდა იყოს. იმიტომ, რომ ამით ის ხელისუფლებას ეხმარება. გონიერი ხელისუფლება კი ამას ხვდება. თუმცა მაინც კარის მწერლებს ამჯობინებენ, რომლებიც ხოტბას ასხამენ ხელისუფლებას.

— თუმცა ახლანდელი ხელისუფლება აღარც კარის მწერლებს უგდებს ყურს და აღარც — ოპოზიციონერ შემოქმედებს.

— როგორ არა, კარის მწერლებს უგდებს ყურს და ეს ეტყობა კიდეც მათ გადაწყვეტილებებს. მწერლები ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ხელში იარაღად იქცნენ. რამდენი პრემიაც უნდა დაირიგონ, თუ საკუთარ ქვეყანაში არ გაღიარეს, ყველაფერი ამაოა... საპნის ბუშტივით გაქრება ყველა სიკეთე.

— მწერლების შესაბამისი რეალიზება არ ხდებაო, — მითხარით. ვინ უნდა იზრუნოს ამაზე?

— უკვე 3 წელია, სამების ტაძარში საღამოებს ვმართავთ, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრება. მობრძანდით და დაესწარით... იქ მხოლოდ და მხოლოდ იმ მწერლების წიგნების პრეზენტაცია ხდება, არც ერთ ხელისუფლებას რომ არ მიეყიდნენ და არც ერთ ლიტერატურულ კლანს რომ არ მიემხრნენ — თავიანთი მწერლობის მიღმა მათი სუფთა ბიოგრაფია რომ დგას. ეს ის არის, რასაც ჯერჯერობით ერთი ადამიანი ვახერხებ ეპისკოპოს სტეფანესა და ქალბატონი ნინო ჭინჭარაულის დახმარებით, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი.

— რომ არ დაბადებულიყავით სვანეთში, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული გარემოა, როგორი იქნებოდა თქვენი პოეზია?

— რასაკვირველია, სხვანაირი იქნებოდა. ლობიო შეიძლება, მოხარშო ქვაბშიც და ქოთანშიც. ლობიო ლობიოა, გინდ ქვაბში მოხარშე და გინდ — ქოთანში, მაგრამ ქოთანში მოხარშული უფრო გემრიელია. ამით რისი თქმაც მინდა, ხვდებით ალბათ. გარემო პირობები გარკვეულწილად აყალიბებს შემოქმედს. მახსოვს, ირაკლი ფარჯიანის გამოფენა იყო და ერთ-ერთმა ქალბატონმა იკითხა: ირაკლი თბილისელი იყოო? თბილისელი ასეთი ალალი ვერ იქნებოდაო, — უპასუხა ერთ-ერთმა დამსწრემ... სიალალე არც თბილისელს აკლია, არც მესტიელს და არც სხვას, მაგრამ... სვანეთში ვცხოვრობდი ისეთ გარემოში, სადაც წარსული გარს მერტყა. იმ წარსულიდან გადავდგი მომავლისკენ ჩემი ყველა ნაბიჯი. თავიდან ძალიან გამიჭირდა აქაურობასთან შეგუება, მერე კი მივხვდი — რასაც სვანობა ჰქვია, ამის ბოლომდე გამოვლენა სწორედ თბილისში უნდა მომხდარიყო.

მწერალი ოპოზიციონერი უნდა იყოს

ორი მეგობრის მკვლელობაში ბრალდებულ ქალოვანს 18 წელი მიუსაჯეს

„მათ ადგილზე რომ ვყოფილიყავი, არ ვიქნებოდი ყველასათვის საძულველი მკვლელი“

თეა ხურცილავა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სოფელ წინანდალში მომხდარი შემზარავი მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა და კუდ-ის თანამშრომელს დავით ჩოთალიშვილს განაჩენიც გამოუტანა.

ამ დანაშაულის შესახებ „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით, ამიტომ დეტალებზე აღარ შევჩერდებით. შეგახსენებთ — მკვლელობა ნათლისმცემლობის ღამეს 2011 წლის 7 ივლისს მოხდა. მთვრალი ჩოთალიშვილი მეგობართან ერთად სახლში ბრუნდებოდა და სოფლის ცენტრში თანასოფლელ ბიჭებს შეხვდა. 21 წლის ბიჭები გიგია გემაზაშვილის დის, თათიას საფლავიდან ახალი დაბრუნებულები ქუჩაში საუბრობდნენ. მათ შორის შელაპარაკება მოხდა და ჩოთალიშვილმა ჯერ გიგია გემაზაშვილს ესროლა, შემდეგ მის მეგობარს — შოთიკო ბატიაშვილს; მათი კიდევ ერთი მეგობარი, გიორგი დათუკიშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა: შეიარაღებული დამნაშავე მასაც გაეკიდა, მაგრამ დათუკიშვილმა გაქცევით თავს უშველა.

კუდ-ის თანამშრომელი, ყოფილი სპორტსმენი, 30 წლის დავით ჩოთალიშვილი მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ამოიღეს მკვლელობის იარაღი — ტაბელური „მაკაროვი“. 2 ადამიანის განზრახ მკვლელობასა და დათუკიშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობაში დასდეს ბრალი.

თელავის რაიონულმა სასამართლომ საქმის განხილვა რამდენიმე სხდომაში დაასრულა. პროკურატურას დასაკითხი მოწმეების გრძელი სია ჰქონდა და მათ უწყებებიც გაუგზავნა, მაგრამ ისინი სასამართლოზე არ დაკითხულან. ამის მიზეზი — განსასჯელის ადვოკატის, მანანა თანდაშვილის განცხადება იყო: მან პროცესზე თქვა, რომ ეჭვქვეშ არ აყენებდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მათ შორის ექსპერტიზის პასუხებს, ამიტომ მოსამართლე მამუკა წიკლაურმა გადაწყვიტა, ეს მტკიცებულებები გამოკვლევის გარეშე დაერთო საქმისთვის.

წერილის მოსამზადებლად როცა წინანდალში ჩავედი, ფაქტის თვითმხილველმა **ლიანა თანდილაშვილმა** მიამბო: *„საღამოს 12 საათი ხდებოდა, ქუჩაში ვიჯექი და მზესუმზირას ვყიდდი. ყველაფერი წამებში მოხდა. ეს უდანაშაულო ბიჭები სასაფლაოდან მოდიოდნენ. მათ მიუახლოვდა ვიღაც და კამათი დიდხანს არ გაგრძელებულა. სიტყვები არ მესმოდა, უცებ სროლები ატყდა და დავინახე, ბიჭი ძირს რომ დაეცა; მასთან მისაშველებლად მეორე ბიჭი მივარდა, მერე ისიც წამებში მოიკუნტა და თქვა, — ვაიმე, მიშველეთო!.. მერე ვნახეთ, რომ დახოცილები იყვნენ... თქვენ არ იცით, „ოქრო“ ბიჭები დახოცა. როგორ ვთქვა ტყუილი? — იმ მკვლელზეც ცუდი ადრე არაფერი გამიგონია, მაგრამ რა მოხდა, არ ვიცი. სანამ ცოცხალი ვარ, ამ ბიჭებს ვერასოდეს დავივიწყებ... სისხლის დანახვაზე ცუდად გავხდი. გამწარებული ვკიოდი, მერე არაფერი მახსოვს...“*

არც ეს ქალბატონი დაუკითხავთ პროცესზე, მხოლოდ დაზარალებული — გიორგი დათუკიშვილი და განსასჯელის მეგობარი დავით გავაშელიძე დაჰკითხეს. დაზარალებულმა განსასჯელი დანაშაულში ამხილა... ამის შემდეგ ჩვენება თავად განსასჯელმა მისცა. მისი მონათხრობი მოწმეებისა და დაზარალებულის ნათქვამს არ დაემთხვა. პოლიციელმა ჩოთალიშვილმა მომხდარში თავად გიორგი დათუკიშვილი დაადანაშაულა და თქვა, რომ კონფლიქტი მასთან მოუხდა. იგი ითხოვდა, მის გვერდით ისიც ჩაესვათ.

მკვლელობაში ბრალდებულმა ჩვენება ფიცის დადებით დაიწყო და დაჰპირდა სასამართლოს, რომ სიმართლეს იტყოდა. როგორც აღნიშნა, წინანდალში ნათლისმცემლობის აღსანიშნავად ჩავიდა და ახლობლებთან ერთად იქეიფა ღამის 11 საათამდე, რის შემდეგაც მეგობართან — დავით გავაშელიძესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. მისი მეგობარი სოფლის ცენტრში, მაღაზიაში შევიდა, თავად ქუჩაში მარტო იდგა, ამ დროს მას თანასოფლელი — გიორგი დათუკიშვილი მიუახლოვდა და მეგობრულად მიესალმა.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„...ჩემი სიტყვები იყო ასეთი: თქვენ ყველანი მიყვარხართ, გქონდეთ ჩემი იმედი. ისევე მიყვარხართ, როგორც ჩემი ნათლიის შვილები — ბოლქვაძეები. ამ სიტყვებზე დათუკიშვილს ჰქონდა აგრესიული რეაქცია და მითხრა, — რა პონტში მიხსენებ ბოლქვაძეებსო? — და დაჟინებით მოითხოვა განმარტება. ამის გამო დაიძაბა სიტუაცია... დათუკიშვილთან ერთად გზის მეორე მხარეს გადავედი, თუმცა სიტუაცია არ განიმუხტა და თან გამოგვყვნენ დათუკაშვილის თანმხლები პირები, 10-12 კაცი, და ჩემი მეგობარი დავით გავაშელიძე. დათუკიშვილმა ჩემზე დასარტყმელად გამოიწია. ამ დროს იარაღი ამოვიღე, შეშინების მიზნით გადავტენე და ვთქვი, — არც ერთი ახლოს არ მოხვიდეთ-მეთქი! წამიერად შეჩერდნენ. მე იარაღი ისევ ჩავიდე და დავაპირე სახლში წასვლა. ამ დროს დათუკიშვილმა დაიძახა: შენი დედაც, ბოლქვაძეების დედაც და იმისიც, ვინც არ ისროლოს და სისხლი არ დაღვაროსო! ისინი იყვნენ ძალიან აგრესიულები და წამოვიდნენ ჩემკენ. მე იარაღზე წავივლე ხელი, რომ არ წაერთმიათ და ამ დროს ვერ გავაკონტროლე და ხუთჯერ ვისროლე ზურგს უკან... არ დამინახავს, რა მოხდა. გავრბოდი და უკან რომ მივიხედე, მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მოხდა. ფაქტობრივად, აფექტის მდგომარეობაში ვიყავი. დავინახე გზის მეორე მხარეს დათუკიშვილი და გავეკიდე, მისი მიმართულებითაც ვისროლე. შემდეგ არ მახსოვს, როგორ წამოვედი სახლში. მერე გავაშელიძე მოვიდა და მითხრა, რომ დაჭრილი თუ დაღუპული იყო ვიღაც. საშინლად განვიცადე და პოლიციაში დარეკვა ვთხოვე. მოვიდნენ პოლიციელები, ჩავაბარე იარაღი, საბუთები და წამიყვანეს“.

იგი ამბობს, რომ მომხდარს საშინლად განიცდის და ყოველდღე ლოცულობს მისი და მოკლულთა სულებისთვის:

„შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ მინატრია, მათ ადგილზე მე ვყოფილიყავი, რადგან ახლა არ ვიქნებოდი განსასჯელის სკამზე და არ ვიქნებოდი ყველასთვის საძულველი მკვლელი. აქ უნდა იჯდეს დათუკიშვილიც, რადგან მისი ძველბიჭური მენტალიტეტის გამო მოხდა ყველაფერი“, — დასძინა **განსასჯელმა**.

პროკურორი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა ძალოვანს იარაღი სოფელში წაღებული? განსასჯელმა თავი იმართლა, — თბილისში სეიფი არ მქონდა და არ მინდოდა, იარაღი უყურადღებოდ დამეტოვებინაო.

მოკლულთა ახლობლები ირწმუნებიან, რომ ბიჭებს ჩოთალიშვილი საერთოდ არ იცნობდა. ეს თავად განსასჯელმაც დაადასტურა და თქვა, რომ იმ ღამით, გიგია გემაზაშვილის და შოთიკო ბატიაშვილის სახეც კი არ დაუნახავს და პირველად მათი სურათები ციხეში ყოფნის დროს, ჟურნალში მათზე დაწერილ სტატიაში აღმოაჩინა.

„მე არავის მოკვლა არ მინდოდა. იმ მომენტში არ დამიშვია, რომ ვინმე დაშავდებოდა. გაუაზრებელი მოქმედება იყო ჩემი საქციელი...“ — ასე სცადა თავის მართლება.

შოთა ბაგიაშვილი

გიგია გემაზაშვილი

პროკურორმა ჰკითხა, — თუ ვინმეს დაზიანების წინასწარი განზრახვა არ ჰქონდა, რატომ ისროლე ზურგს უკან და არა — ჰაერში, მით უმეტეს, თუ იცოდი, რომ ზურგს უკან ახალგაზრდები მოგდევდნენ? და საერთოდ, თუკი კონფლიქტის მიზეზი — გიორგი დათუკიშვილის ქურდული მენტალიტეტი გახდა, რატომ გააგრძელე ახალგაზრდასთან „ქუჩური წესით“ საუბარი და რატომ არ დარეკე პოლიციაშიო?

„კონფლიქტური სიტუაცია იყო და ტელეფონით დასარეკად უბრალოდ დრო არ მქონდა. მე მართლა არ მინდოდა არავის მოკვლა, მით უმეტეს, იმ ბიჭების, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობდი. მზად ვარ, პასუხი ვაგო“, — თქვა **დავით ჩოთალიშვილმა**.

მოკლულთა ოჯახებისთვის მძიმე აღმოჩნდა მისი ჩვენების მოსმენა. შოთიკოს დამ, ნათიამ მოუწოდა, მას სიმართლე ეთქვა, მერე დაიჩივლა, — ვერ შევძლებ ამის ტყუილების მოსმენასო, — და პროცესი დატოვა.

დაზარალებულების მტკიცებით, განსასჯელმა უბრალოდ იცრუა და ამით შეეცადა, თავისი მდგომარეობა შეემსუბუქებინა: *„როცა დათუკიშვილი ჩვენებას იძლეოდა, მკვლელი იჯდა და ხმა არ ამოუღია. თუ ის არასწორად ამბობდა რამეს, რატომ არ დაუპირისპირდა, რატომ არ შეეწინააღმდეგა და არ გამოთქვა თავისი აზრი?! ერთადერთი, რაც უთხრა დათუკიშვილს, ეს იყო: — მე ხომ გითხარი, დღეს წავიდეთ სახლებში და ხვალ ვილაპარაკოთო... ამაზე გიორგი დათუკიშვილმა უპასუხა: — ეგ მე არ გამიგონიაო. განსასჯელს სხვა არაფერი გაუპროტესტებია. უფრო მეტიც — მკვლელის ძმაკაცმაც იგივე ჩვენება მისცა, რაც დათუკიშვილმა, და სიმართლე თქვა, არც შეგინება ყოფილა და არც ჩხუბიო. ეტყობა, დაარიგეს დამნაშავე და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩაიდინა ეს საშინელი მკვლელობები. მაგრამ რეალობა სახეზეა: 2 უდანაშაულო ბიჭი მოკლა, რომელთაც საერთოდ არ იცნობდა. ან თუ 12 ადამიანი იწევდა, რატომ არც ერთმა არ დაარტყა ხელი?! ყველაფერი სიცრუეა. სასამართლო ისე დასრულდა, მთავარი მაინც ვერ გავიგეთ — რატომ მოკლა ბიჭები, რომლებთანაც კონფლიქტი საერთოდ არ მოსვლია?“* — დასძინა **შოთიკოს დამ**.

განსასჯელის მხარე მიიჩნევდა, რომ აშკარა იყო აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული. დაზარალებულები სამუდამო პატიმრობის მოლოდინში იყვნენ. წაყენებული მუხლი — 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებდა. დავით ჩოთალიშვილს კი მოსამართლე წიკლაურმა 18 წელი მიუსაჯა, რაც კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა დაზარალებულთათვის. *„სულ იმის გვეშინოდა, რომ სასამართლო ტენდენციური იქნებოდა და პოლიციელის მხარეს დადგებოდა. პროკურორი გვაიმედებდა, სამართლიანად დაისჯებაო. მოწმეებიც კი არ დაჰკითხეს, რადგან იცოდნენ, რომ ისინი სიმართლეს იტყოდნენ. ვიცოდი, რომ ამ უსამართლო ქვეყანაში სამართალს ვერ ვიპოვიდით, მაგრამ მაინც ვიტოვებდით იმედს, რომ სამართალი იზეიმებდა, რადგან მყარი ფაქტები იყო სახეზე. ძალიან გავნერვიულდით ამ განაჩენით და ამას გავასაჩივრებთ. ჩვენს შვილებს არაფერი ეშველება, მაგრამ ის საკადრისად უნდა დაისაჯოს, რათა კიდევ რომელიმე პოლიციელმა არ ჩაიდინოს მსგავსი დანაშაული და არ გააუბედუროს სხვა დედაც“,* — გვითხრა **შოთიკო გაფიაშვილის** დედამ.

როგორც ჩანს, გამოტანილ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში, როგორც ბრალდებული, ასევე დაზარალებულები გაასაჩივრებენ. ვნახოთ, როგორი იქნება საბოლოო ვერდიქტი.

■

„ასე თბილი და ასე ტკბილია, ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა“

გასულ კვირას, საბერძნეთიდან ჩვენი თანამემამულე — ლიგია მუშკუდიანი (ის ჟურნალ „გზასთან“ პერიოდულად თანამშრომლობს) დაგვიკავშირდა, რომელმაც თბილისის კოლორიტ — ოთარ რამიშვილზე სტატია შემოგვთავაზა და გვაცნობა:

„ეს ინტერვიუ რამდენიმე წლის წინ ჩავწერე, საბერძნეთში ადგილობრივ გაზეთში გამოვაქვეყნე... 24 ოქტომბერს ოთარ რამიშვილის დაბადების დღე იყო... ეს კი ჩემგან ბოლო საჩუქარია ბატონი ოთარის ოჯახისათვის“.

ჩემი და ბატონ ოთარ რამიშვილის მეგობრობა 25 წლის წინ დაიწყო, მაშინ, როდესაც სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში გავაგრძელე. იმის გამო, რომ ჩემს ჯგუფში ყველა უკრავდა და მღეროდა და ღვთის მადლით, არც მე მაკლდა მუსიკალური მონაცემები, გადავწყვიტე, ბატონ ოთართან გიტარაზე დაკვრა მესწავლა.

ჩვენი პირველი შეხვედრა ამ სიტყვებით დაიწყო:

— რა გინდა, მამა, რომ გასწავლო, კლასიკა თუ სუფრული სიმღერები?

— რა თქმა უნდა, სუფრული სიმღერები, ბატონო ოთარ *(იმედი არ მქონდა, რომ კლასიკური ნაწარმოებების სწავლას შევძლებდი)!*

მეცადინეობა დავიწყეთ... 3 გაკვეთილის შემდეგ საშინაო დავალება მომთხოვა. ვერ ჩავაბარე. მერე რამდენიმე საკუთარი სიმღერის დაკვრა მომთხოვა. შესანიშნავად დავუკარი. გაოცდა, მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: — წადი, მამა, შენ მეტის მსწავლელი მაინც არ ხარ და „გულის ჭიას“ კი გაახარებო. წადიო, კი მითხრა, მაგრამ ვინც მის ოჯახში ერთხელ მაინც ყოფილა, დამეთანხმება, რომ ისე ადვილად ვერ შეელევა... ჰოდა, მას შემდეგ, მე და ბატონი ოთარი წლებია, მოვდივართ და მოვდივართ კონცერტებით, მეგობრობით, სიყვარულით... ჩვენი ყოველი შეხვედრა კი ასე იწყებოდა: „— მე გაგათხოვებ, ლიგია, როგორც წესი და რიგია!“

ერთხელ ვკითხე, როდის უნდა გამათხოვოთ, ბატონო ოთარ, სულ რომ „მემუქრებით“-მეთქი? — ეჰ, მამა, შენი გათხოვება კი მინდა, მაგრამ, იცი ალბათ, როცა რაღაცას გაათხოვებ, უკან გიბრუნებენ, მე ამას ვერ ავიტან, შენი თავი რომ უკან დამიბრუნონ, გასაჩუქებლად კი მენანებიო. ერთხელ მე-4 კურსზე ყოფნის დროს აფორიაქებულმა სახლში მივაკითხე და დახმარება ვთხოვე: ერთი ბიჭი გადაკიდებულია, მოტაცებას მიპირებს და მიშველეთ-მეთქი. მომეფერა და მითხრა: მამა, შენ ახლა იმ ასაკში ხარ, ვინმემ რომ მოგიტაცოს, მიშველე კი არა, მეშველა უნდა იყვიროო...

სანამ საქართველოში ვიყავი, კვირა არ გავიდოდა, რომ რამიშვილების ოჯახში არ ავსულიყავი კავსაძის ქუჩაზე და ახალი სიმღერები არ მომესმინა. ათენში რომ წამოვედი, როგორც კი ნოსტალგია მომეძალებოდა, ვურეკავდი და ვთხოვდი, 2-3 სიმღერა წაემღერა. ისიც დაუზარებლად გადმოიღებდა გიტარას და ღამის 3 საათიც რომ ყოფილიყო, მთელი გულით მღეროდა. როდესაც საქართველოში შვებულებით ჩავედი, მისი ლამაზი ოჯახის უნახავად როგორ დავბრუნდებოდი უკან და სამჯერ მოვინახულე ისინი... რა თქმა უნდა, ბატონი ოთარი ვერც ერთხელ შინ ვერ დავიჭირე. ყოველთვის ვიღაცის დასახმარებლად იყო წასული. წამოსვლის წინადღეს ბედი ვცადე, კიდევ ერთხელ დავრეკე ტელეფონზე და გამიმართლა.

— გამარჯობა, ბატონო ოთარ, როგორ ბრძანდებით?

— ვა, ტო! ჩამოხვედი? სადა ხარ? ჩქარა მოდი, მენატრები.

და ლექსიც მოაყოლა:

„იცი, როგორ მენატრები?/ როგორც გვალვას წვიმა მეხით,/ როგორც მტევნის მინანქრებით/ გულს იოკებს ზვარში გლეხი“.

ვახტანგ ტაბიშვილი, ლიგია მუშკუდიანი და ოთარ რამიშვილი

ყურმილი დავკიდე და 15 წუთში, მისი კორპუსის წინ ვიდექი. კარში შემომეგება.

— როგორ ხარ, მამა, რას შვრები?

— **თქვენ როგორ ხართ, ბატონო ოთარ?!**

— ვარ თავმოხდილი „ბორჯომივით“.

— **ხომ არ დამიბერდით, ბატონო ოთარ?**

— ისე, რა — დაგორებით ვიქოქები, ცოტა ფეხი მიჩმახებს, თორემ...

სანამ მისი ულამაზესი მეუღლე, ქალბატონი გულნაზი, სამზარეულოში ფუსფუსებდა, დიქტოფონი მოვიმარჯვე და...

— **ბატონო ოთარ, იქნებ ქართველი ემიგრანტებისთვის მოგეთხროთ ცოტა რამ...**

— წარმოშობით ჩოხატაურიდან ვარ. ფეხი თბილისში ავიდგი. მამა — მიხეილ რამიშვილი, ბანკში მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. ამასთან, ბრწყინვალედ უკრავდა შვიდსიმიან გიტარაზე. დედას მარიამი ერქვა. არაჩვეულებრივად თბილი და საოცარი შინაგანი კულტურის მქონე ადამიანი გახლდათ. დედა შესანიშნავი მზარეული, სუფრის გამშლელი და მომლხენი გახლდათ. მამა კი — უბადლო თამადა. დედაჩემს უამრავი ლექსი მივუძღვენი. ერთ-ერთი მათგანი ასე იწყებოდა: „მზე სხივებით ქარგავს ფარდას,/ დედის მოფერებას წაჰგავს,/ მზეს და დედას მე ვცემ თაყვანს,/ მათზე თბილი არვინ არ მყავს... მყავს და — ნელი რამიშვილი, რომელიც 3 წლით ჩემზე უმცროსია. იგი უცხო ენების სპეციალისტია.

— **გიტარაზე დაკვრა პირველად ვინ გასწავლათ?**

— 6-სიმიან გიტარაზე თვითონ ვისწავლე დაკვრა. ნოტები ბიბლიოთეკიდან გამომქონდა. ქალაქში თუ ვინმე უცხოელი გიტარისტი ჩამოვიდოდა, კონცერტს არ გავაცდენდი. რაც შეეხება 7-სიმიან გიტარას, მისი აკორდები ინოლა გურგულიამ და მედიკო გვასალიამ მასწავლეს.

— **პირველად როდის გამოხვედით პროფესიონალურ სცენაზე?**

— 1956 წელს, ფილარმონიაში გაიმართა სიმღერის კონკურსი. მასში მეც მივიღე მონაწილეობა და პირველი ადგილი დავიკავე.

— **თქვენი პირველი სიმღერა თუ გახსოვთ?**

— როგორ არ მახსოვს, 14 წლის ვიყავი, „მითხარ, რად ხარ მოწყენილი“ რომ დავწერე...

ლიგია მუშკუდიანი რამიშვილების წყვილთან ერთად

— **ასეთი ჩახლეჩილი ხმა რატომ გაქვთ?**

— ბავშვობაში სუფთა, კრიალა ხმა მქონდა. 9 წლის ვიყავი. ჩემი ბავშვობის მეგობრის, აწ გარდაცვლილი ანზორ ჩხიკვაძის ბაბუა სოფელში ჭაჭის არაყს ხდიდა. ჰოდა, მასთან უზმოზე ცხელი არაყი ვსვით... მხოლოდ ის მახსოვს, როგორ გაგვახვიეს სველ ზეწრებში. მის შემდეგ დამრჩა „ნაბზარი“ ხმა. ერთხელ, ერთმა მითხრა, კვერცხი გადაყლაპე და ხმა მოგივაო. მეც ვუპასუხე, კვერცხს რომ ხმის მოყვანა შეეძლოს, ქათმის კურტუმო ოპერა იქნებოდა-მეთქი.

— **მეტსახელი „კვაჭიჭო“ ვინ შეგარქვათ?**

— ერთხელ, სკოლაში, ზოოლოგიის მასწავლებელმა მიგვითითა თვალსაჩინოებაზე და გვკითხა: — აბა, ეს რა არის, ბავშვებოო? — მაგას კვაჭიჭო ჰქვია, მასწავლებელო, კვაჭიჭო-მეთქი. კვაჭიჭას გურიაში ბაყაყს ეძახიან, ამის შემდეგ შემრჩა ეს მეტსახელი.

— **ახლა თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ.**

— მყავს 3 შვილი: ზურიკო, მიშიკო და ლევანი.

ამ დროს სამზარეულოდან ქალბატონმა გულნაზმა გამომძახა:

— ბავშვებს სულ ერთ ზღაპარს უყვებოდა, რომელიც ასე იწყებოდა: — ერთ უღრან ტყეში იდგა ჩეხური ლუდით სავსე კასრი... ისე, შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობაში ძალიან თბილია...

ბატონი ოთარი:

— ზურიკო ჯაზმენია, მიშიკო ადვოკატი და მუსიკოსია, ხოლო ლევანმა ჯერ — ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ კი ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა.

— **ქალს, ისევე, როგორც გიტარას, განსაკუთრებული ადგილი აქვს თქვენს სიმღერებში. რა ადგილი უჭირავს მას თქვენს ცხოვრებაში?**

— ქალი კაი რამეა, მამა! ისე, ქალს არაყი მირჩევნია. ქალი 3-წუთიანი „პრიხოდია,“ არაყი კი — მთელი დღის...

ამ დროს გულნაზმა გამოსძახა:

— ოთარ, იცოდე, ყველაფერი მესმის!..

— ქალი, მამა, ჩემი ლექსების და სიმღერების მუზაა! გულნაზია ჩემი მუზა, მაგას ვენაცვალე *(და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამას გულით ამბობდა. — ავტ.).*

— **ქალბატონო გულნაზ, არ ეჭვიანობთ, ასეთი პოპულარული მეუღლე რომ გყავთ?**

— ადრე ვეჭვიანობდი, მერე მივხვდი, სისულელე იყო. ისე, ხშირად მაბრაზებს, მაგრამ როდესაც ვნერვიულობ, დიდ საოჯახო საქმეებს ვეჭიდები და ვმშვიდდები. ოთარი მოვლენაა, თან, ოჯახის ფუძე ძალიან ძლიერია და მისი დანგრევა არც ისე იოლია. მეც ტრადიციების მოყვარული ვარ და მჯერა, რომ ქალი ოჯახისთვისაა დაბადებული. ამას წინათ, დედაჩემი მეკითხება, რამდენი წლითაა ოთარი შენზე უფროსი? დაგაბერა და თვითონ კი „სტამბოლის კაჟივითააო“. გული კი მომივიდა, თან, სიცილს ვერ ვიკავებდი, ცოლად რომ მაყოლებდი, მაშინ არ გიკითხავს და ახლა რას მეკითხები-მეთქი?

— **ისე, მართლა, რამდენი წლითაა უფროსი თქვენზე ბატონი ოთარი?**

— 37 წელია, რაც დაქორწინებულები ვართ. 28 აგვისტოს, მარიამობას შევუღლდით. 19 წლის ვიყავი, ცოლად რომ გავყევი, თვითონ კი 15 წლით უფროსია ჩემზე. ისე, არც ჯვარი დაგვიწერია და არც ხელი გვაქვს მოწერილი...

— **ჯვრისწერაზე გამახსენდა, როდის უნდა მოვნათლო ბატონი ოთარი** *(რაც ბატონ ოთარს ვიცნობ, სულ იმას მეუბნებოდა, შენ და სოსო მაზმანიანი უნდა იყოთ ჩემი ნათლიებიო)?*

ქალბატონი გულნაზი:

— რამდენჯერაც დალევდა, ხან ვინ მიჰყავდა ეკლესიაში და ანათვლინებდა თავს და ხან — ვინ. როგორც ჩანს, შენც მორიგი „მსხვერპლი“ ხარ.

სანამ ამას ქალბატონი გულნაზი მიყვებოდა, ოთარი კარისკენ გამეპარა.

— **სად მიბრძანდებით, ბატონო ოთარ, ჯერ არ დამისრულებია თქვენთან საუბარი.**

— კიდევ დაგრჩა რამე შესაკითხი?

— **ფულს თქვენთვის რა დანიშნულება აქვს?**

— მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული... ისე კი, ფულის მოვლა და შენახვა,/ ესეც ხომ დიდი ნიჭია, ხშირად გაიგებ, იტყვიან: ფული აქვს, კარგი ბიჭია,/ ფულით საზღვრავენ ყველაფერს,/ ფულს იყენებენ თავდებად,/ ფული რომ გამოელევათ,/ კარგი ბიჭობაც თავდება.

— **ახალ თაობას რას ეტყოდით?**

— იმუშაონ, ერთმანეთს მოეფერონ, „ჩემი დედას“ ძახილს შეეშვან და მშობელ მამას საკუთარ დედაში ნუ ეცილებიან!

— **ქართველ ემიგრანტებთან რას დამაბარებდით?**

— ყველანი მიყვარხართ, თქვენ გენაცვალათ ჩემი თავი, არ დაგავიწყდეთ, ვისი გორისა ხართ და მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ვიყავი საბერძნეთში, სიამოვნებით კიდევ გესტუმრებოდით და კარგ კონცერტსაც ჩაგიტარებდით.

კარში გასვლისას კიდევ ერთხელ შემობრუნდა:

— შეიძლება, ახლა მე შეგეკითხო?

— **რა თქმა უნდა.**

— სადაურია შენი რჩეული?

— **კახელია, ბატონო ოთარ.**

— ვისაც არ უყვარს კახელი... *(წაიმღერა).*

ალბათ ვიღაცისგან უხეშად მომხვდებოდა ყურს ეს სიტყვები. ოთარისგან კი ყველაფერი მისაღები იყო. მან, თავისი უბრალოებით, უშუალობით დამსახურებულად დაიკავა ადგილი ხალხის გულებში.

რამიშვილების ოჯახიდან გამოსული, ქუჩაში მოვდიოდი და ყურში ჩამესმოდა ჩვენი შესანიშნავი ბარდის ხმა:

„ასე თბილი და ასე ტკბილია, ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა“.

■

„ყოველთვიურად იმის მოლოდინში ვარ, რომ შუქს ჩამიჭრიან“

მანანა საბაშვილი მეუღლესთან, პენსიონერ დედასთან და ცხრა შვილთან ერთად, ნაქირავებ ოროთახიან ბინაში ცხოვრობს და ყოველ-დღე იმის მოლოდინშია, ბინის მეპატრონე ქირის გადაუხდელობის გამო, მრავალშვილიან ოჯახს როდის გამოაძევებს. როდესაც ამ ოჯახის არსებობის შესახებ გავიგე, მათი ყოფა-ცხოვრებით დავინტერესდი. ჩვენს დროში 9 შვილის გაჩენა ხომ გმირობის ტოლფასია! მით უფრო, როდესაც თორმეტსულიან ოჯახში, მხოლოდ ოჯახის უფროსი მუშაობს და მას სტაბილური სამსახური არც აქვს. თუ რამდენად რთულია 9 შვილის დედობა და როგორ მზრუნველობას იჩენს სახელმწიფო მრავალშვილიანი დედების მიმართ, ამაზე მანანა საბაშვილი გვიამბობს.

თამუნა როსტიაშვილი

— 7 წლის ვიყავი, როცა ჩემი მომავალი მეუღლე — ირაკლი საბაშვილი გავიცანი. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს... სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ჩემი წიგნებით დამძიმებული ჩანთა მას მოჰქონდა ხოლმე. ასე გადიოდა წლები და ნელ-ნელა ერთმანეთი შეგვიყვარდა. როდესაც დავქორწინდით, მე 16 წლის ვიყავი, ირაკლი — 19-ის. მამამთილს რძლად არ ვუნდოდი, რადგან დედით ოსი ვარ. იმ დროისათვის, ცხინვალში საომარი მდგომარეობა იყო. ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტური სიტუაცია იყო და ოსის ნაშობი შვილი ჩემი მამამთილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჩემმა მეუღლემ მამამისს განუცხადა, რომ თუ ის ოჯახში არ მიმიღებდა, საცხოვრებლად ცალკე გადავიდოდით. მამამთილი ვაჟიშვილის წინააღმდეგ ვეღარ წავიდა და ასე დავიწყეთ ერთად თანაცხოვრება. მალე პირველ შვილზე დავორსულდი. ახლა ერეკლე 19 წლისაა, მარიამი — 18-ის, პაატა — 15-ის, იოსები — 13-ის, თორნიკე — 11-ის, ნინი — 10-ის, ანი — 8-ის, საბა — 6-ის და ნაბოლარა — ლუკა — 4-ის. ბავშვები ერთმანეთს გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებიან, ერთმანეთზე ზრუნავენ, ამასთან, კინკლაობენ კიდეც...

— **9 შვილის გაჩენა თავიდანვე გქონდათ დაგეგმილი?**

— მხოლოდ ერთი ძმა მყავდა და ისიც 36 წლის ასაკში გულის ინფარქტით გარდაიცვალა. სათევზაოდ იყო წასული, როდესაც მწვავე ინფარქტი მოსვლია და გულის შეტევის შემდეგ მტკვარში გადავარდნილა. მისი გვამი მდინარემ 2 დღის შემდეგ გამორიყა. ეს ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იყო. მე და ჩემს ძმას ბავშვობიდან აკვიატებული გვქონდა, რომ ხუთ-ხუთი შვილი უნდა გაგვჩინა. ვამბობდით, ერის გამრავლებაში მცირეოდენი წვლილი ჩვენც აუცილებლად უნდა შევიტანოთ-თქო. როდესაც ჩემი ძმა ტრაგიკულად დაიღუპა, მეხუთე შვილზე ვიყავი ორსულად და მეტი შვილის გაჩენას აღარ ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, რომ მისი სურვილი — ხუთი შვილი ჰყოლოდა, — მე შემესრულებინა. სამწუხაროდ, მეათე შვილს ვეღარ გავაჩენ, რადგანაც უკიდურესად გაჭირვებულად ვცხოვრობთ და ჯანმრთელობაც აღარ მაძლევს ამის საშუალებას.

ჩვენი ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნება

— **რა სოციალური დახმარებით სარგებლობთ?**

— ჩვენი ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნება და ამიტომ დახმარების სახით ყოველთვიურად 270 ლარს ვიღებდით. როგორც მრავალშვილიან დედას,

ჩემი ოცნებაა – ჩემს შვილებს საკუთარი ჭერი ჰქონდეთ

სახელმწიფო თითო შვილზე დამატებით 25 ლარს მიხდიდა. სამწუხაროდ, ახლა ეს დახმარებაც შეგვიწყვიტეს. ყოველად გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. საკუთარი ჭერიც კი არ გვაქვს. ყოველთვიურად ბინის ქირას 250 ლარს ვიხდით. ბინის მეპატრონემ მოგვთხოვა, რომ ბინა 20 ნოემბრამდე აუცილებლად დავუცალოთ. არ ვიცი, რა მოგველის. ალბათ, ღია ცის ქვეშ მოგვიწევს დარჩენა, ვინაიდან ბინის დაქირავებას ვეღარ ვახერხებთ. როდესაც დამქირავებლები იგებენ, რომ 9 შვილი გვყავს, ბინაში შეშვებაზე მტკიცე უარს გვეუბნებიან. დღედაღამ ამაზე ვფიქრობ და ვნერვიულობ — სად წავიყვანო ეს მცირეწლოვანი შვილები. ჩემი ძმის სიკვდილის შემდეგ დედაც ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. შვილების აღზრდაში ძალიან მეხმარება. ოჯახში სულ 12 სული ვცხოვრობთ. ძალიან მძიმე ტვირთად გვაწევს კომუნალური გადასახადები. ყოველთვიურად იმის მოლოდინში ვარ, რომ შუქს ჩამიჭრიან.

— სოციალური დახმარება რატომ შეგიწყდათ?

— ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს. მითხრეს, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, ყველაფერი ხელახლა უნდა გადამოწმდესო. უკვე 2 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს დახმარება შეგვიწყდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების სააგენტოს თხოვნით არაერთხელ მივმართეთ, სოციალური მუშაკი გამოეგზავნათ და ჩვენი ოჯახის ამჟამინდელი მდგომარეობა ხელახლა გადაემოწმებინათ, ჯერ არავინ გამოჩენილა. არადა, ეს თანხა ჩემი ოჯახისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო... ჩემი მეუღლის მცირედი შემოსავალი საკვების საყიდლადაც კი არ გვყოფნის. კარაქი, ხორცი და ძვირად ღირებული საკვები ფუფუნებად მიგვაჩნია. ყოველდღიურად შვილებს მხოლოდ წვნიანი კერძით ვკვებავ. გული მწყდება, რომ მათ უამრავი რამ აკლიათ. მთავარია, როგორმე თავი გავიტანოთ. ხანდახან ვფიქრობ, ბენზინი გადავისხა და თავი დავიწვა. შვილები ხშირად ნახევრად მშივრები დამიძინებია. შიმშილისგან ატირებული ბავშვებისთვის მხოლოდ უშაქრო ჩაი დამილევინებია... უფასო სასადილოთი ხშირად ვსარგებლობთ. ჩვენთვის განკუთვნილი 5 პური ყოველდღიურად სასადილოდან მოგვაქვს. ხელისუფლების წარმომადგენლებს წერილობითი თხოვნით არაერთხელ მივმართე, თუმცა უშედეგოდ. წერილები გამგეობაში ბრუნდება — გამგეობიდან კი ფოსტით ისევ ჩემთან მოდის. ერთი წლის განმავლობაში ისანი-სამგორის გამგეობა ბინის ქირის გადახდაში გვეხმარებოდა. ახლა ის დახმარებაც შეგვიწყვიტეს. როდესაც ამის მიზეზი ვიკითხე, მითხრეს: როდემდე უნდა გიხადოთ ბინის ქირაო. ჩემი მთავარი ოცნებაა — ჩემს შვილებს საკუთარი ჭერი ჰქონდეთ. მეტს არაფერს ვითხოვ. ნუთუ ჩვენი სახელმწიფოსთვის ასე რთულია, ცხრაშვილიან ოჯახს ეს ოცნება აუსრულოს?! საკვებითა და ტანისამოსით კეთილი ადამიანები გვეხმარებიან. მადლობა უფალს, რომ ასეთები კვლავაც მრავლად არიან! ჩვენ, როგორც სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებს, სკოლის სახელმძღვანელოები უფასოდ გადმოგვეცა. სასკოლო ჩანთებისა და ტანისამოსის საყიდლად ფულის სესხებამ მომიწია.

— დღესდღეობით მესამე და მომდევნო შვილის გაჩენის მთავარი მოტივაცია — კათალიკოს-პატრიარქის მოწოდებაა. თქვენი შვილები თუ არიან უწმინდესისა და უნეტარესის ნათლულები?

— სამწუხაროდ — არა, რადგან მე და ჩემს მეუღლეს ჯვარი არ გვაქვს დაწერილი. ჯვრისწერა უსახსრობის გამო აქამდე ვერ მოვახერხეთ. თუმცა დიდი სურვილი გვქონდა, ნაბოლარა შვილი მაინც ჩვენი სულიერი მამისთვის მოგვენათვლინებინა. ■

ბებიამ შვილიშვილი ცხენში ჩასხმევინა

თეა ხურცილავა

რაიონის პროკურორმა სამუშაო დღე თათბირით დაიწყო, მერე თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა, რამდენიმეგვერდიანი საბრალდებო დასკვნა რომ წაეკითხა. ხელმოწერილი საქმე სასამართლოში უნდა გადაეგზავნა და ჩქარობდა.

მდივანმა მისი კაბინეტის კარი შეაღო და უთხრა:

— ასაკოვანი ქალბატონია მოსული, ამბობს, რომ გიცნობთ და პირადად თქვენთან სურს შეხვედრა.

— კარგი, შემოვიდეს! — თქვა პროკურორმა და ცნობისმოყვარედ კარისკენ გაიხედა. მოხუცის დანახვაზე ფეხზე წამოდგა და მიესალმა.

— ნინა დეიდა, რამ შეგაწუხათ? დაბრძანდით, — მაშინვე იცნო ძველი მეზობელი.

— როგორ ხართ, შვილო, წლებია, არ შევხვედრივართ ერთმანეთს. აქ პრობლემამ მომიყვანა. სხვა გამოსავალი არ მქონდა და ბოლოს გადავწყვიტე, შენთან მოვსულიყავი. ჩემი გასაჭირი უნდა გითხრა.

— გისმენთ, მომიყევით!

— მინდა, რომ ჩემს შვილიშვილს ჭკუა ასწავლო, — დაიწყო მოხუცმა და ყოფილ მეზობელს ყველა წვრილმანი გულღიად გაანდო:

— ხომ იცი, ჩემი შვილი სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა. მის ერთადერთ ვაჟს ქალები ვზრდიდით, არაფერს ვაკლებდით. დედამისი, მე და ჩემი ქალიშვილი ცივ ნიავს არ ვაკარებდით. თვალებში შევციცინებდით. სტუდენტი რომ გახდა, ჩემმა რძალმა მანქანაც კი უყიდა, იფიქრა, გავახარებო. უმამობა რომ არ ეგრძნო, ფულს ყველანი ცალ-ცალკე ვაძლევდით, მაგრამ კარგ და უზრუნველ ცხოვრებას ყველა ვერ იფერებს, შვილო, ამანაც ვერ შეიფერა და ცუდ რამეს დაეჩვია.

— რას დაეჩვია? — დაინტერესდა პროკურორი.

— წამლის კეთება დაიწყო. გაწყდა მაგის მომგონი, დავიღუპეთ, ჩემი შვილიშვილი ნარკომანია! გადავირიეთ, რუსეთიდან ბიძამისი ჩამოვიყვანეთ. ვიფიქრეთ, ქალებს არ გვიჯერებს და იქნებ მას დაუჯეროს-თქო... როცა ვკითხე, რა გაკლდა, ასე რატომ იქცევიმეთქი? — სახლში ნივთები დაამსხვრია და გვითხრა: რა გინდათ, რაც გამიკეთეთ, იმას მამადლითო? კი არ ვამადლიდით, შვილო, გავახსენეთ, რომ არაფერი აკლდა. ბიძაც მკაცრად ელაპარაკა... მამამისი დაიფიცა, წამალს აღარ გავეკარებიო, დაგვპირდა, ექიმთან წამოვალ და ვიმკურნალებო. ძლივს წავიყვანეთ, მერე რამდენიმე დღე სახლიდან არ გასულა, ექიმის დანიშნულებას ასრულებდა, გვიხაროდა და გვეგონა, ჭკუას მოეგოთქო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— წამალს ისევ იკეთებს, არა?

— ჰო, ისევ იკეთებს. ყოველ დილით დედამისს ფულს სთხოვს, ჩემი რძალი მუშაობით წელში გაწყდა, ამან კი არაფერი შეგვარჩინა. ახლა უკვე სახლიდან ნივთების გატანა და გაყიდვა დაიწყო. ხან რა იკარგება ბინიდან, ხან — რა. დედამისის ოქროულიც აღარ დატოვა. ბოლოს სულ გადამრია და ამიტომ მოვედი თქვენთან, შვილო, უნდა მიშველოთ!

— რა გააკეთა? — ჩაეძია პროკურორი.

— იმ დღეს ჩემი კრაველის ქურქი და ქუდი კარადაში ვერ ვიპოვე. გადავირიე, რძალს ვკითხე, ხომ არ იცი, სად არის-მეთქი? დაბადების დღეზე შვილმა მაჩუქა და ჩემთვის ძვირფასი იყო. რძალმა მითხრა, სადმე იქნებაო. ორივე ვეძებდით და თან მოვთქვამდი. ამ დროს ოთახიდან თავი გამოყო:

— რა გაყვირებთ?! — იკითხა.

— ბებიამ ქურქი დაკარგა და ეძებს, — უთხრა დედამისმა.

— განა ასეთი რა მოხდა, ფული დამჭირდა და გავყიდე.

— მომპარე და გაყიდე?! — შევკივლე.

— ბებო, კრაველი მოდაში აღარ არის, — თან დამცინა... მეტი აღარ შემიძლია, იქნებ დამეხმარო და შეაშინო, შვილო. თუ საჭიროა, ცოტა ხნით ჩასვით კიდეც კამერაში, იქნებ ასე მაინც ისწავლოს ჭკუა! მგონი, საბოლოოდ დამეღუპება, დედაშვილობას, გთხოვ, რომ შეაშინო, ოღონდ არ გამცე, ეს ყველაფერი მე რომ გითხარი, — უთხრა ქალმა და ტირილი დაიწყო.

— დაწყნარდით, დღესვე მოვა თქვენთან პოლიციელი და ყველაფერს გაარკვევს, — დაამშვიდა პროკურორმა მოხუცი.

ნინა ბებო, გასვლის წინ, პროკურორს ისევ მიუბრუნდა და შეახსენა: პირობა არ დაგავიწყდეს და ისიც გაითვალისწინე, რომ მხოლოდ მისი შეშინება მინდაო.

პროკურორმა ყურმილი აიღო და პოლიციის უფროსს დაურეკა: იქნებ ჩემთან „ოპერი“ გამოუშვა, პატარა საქმე მაქვსო.

სამძებროს თანამშრომელმა პროკურორისგან დავალება მიიღო, თან, გამომძიებელიც გააყოლა და იმ ღამით, პოლიციელებმა ბებოს ბინის კარზე დააკაკუნეს.

სახლში შესულმა ძალოვნებმა იქაურობა გაჩხრიკეს, ბიჭის საძინებელ ოთახში წამალიც იპოვეს. მოხუცის შვილიშვილი კი „კაიფში“ დახვდათ. ნათესავების თვალწინ მას ხელბორკილი დაადეს და თავი იზოლატორში უკრეს.

დედა და მამიდა მთელი ღამე ტიროდნენ, ბიჭს ადვოკატიც აუყვანეს. ბებო მათგან განსხვავებით, მშვიდად იყო და ქალების დაწყნარებას შეეცადა: ნუ გეშინიათ, შესაშინებლად წაიყვანეს, მალე გამოუშვებენ, პროკურორთან მე ვიყავი მისულიო. ქალები ამ ამბავმა შეაშფოთა და ბებოს გაუბრაზდნენ: ეს რამ გაგაკეთებინაო?

— ნუ გეშინიათ, დამპირდა, რომ არ დაიჭერს, — ბებო მათ დამშვიდებას ცდილობდა. დარწმუნებული იყო, რომ ნაცნობი პროკურორი არ უღალატებდა, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა, მეორე დღეს, საყვარელ შვილიშვილს, სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გამწარებული ბებია ისევ პროკურორთან გაიქცა:

— რას მიკეთებ, ეს გთხოვე? სასწრაფოდ გამოუშვი ჩემი შვილიშვილი! — ყვიროდა თვალცრემლიანი ბებო.

პროკურორი კი ცდილობდა, მისთვის აეხსნა, რომ ეს უკვე შეუძლებელი იყო.

— თქვენი შვილიშვილი, ადრე, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებული აღმოჩნდა, თან, მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ სახლში დიდი რაოდენობით წამალი ვიპოვეთ. სხვა რომ ყოფილიყო, ნარკოტიკის რეალიზაციის მუხლიც დაემატებოდა და უმკაცრესად დისჯებოდა. ჩემი წყალობით, ეს ბრალდება არ დაემატა და ამისთვის უნდა მიმადლოდეთ. ახლა მხოლოდ როგორც მომხმარებელი ისე დისჯება, მაგრამ პატიმრობის გარეშე არაფერი გამოვა, — უხსნიდა მოხუცს იგი.

ბებოს უკვე არაფერი ესმოდა... ბიჭს პატიმრობა მაინც მიესაჯა და გარკვეული დროით ცხენში ყოფნამ მოუწია. ■

დაოჯახებული მოზარდების პრობლემა

რატომ ერევიან მშობლები ახალდაქორწინებული წყვილის ცხოვრებაში

ამბობენ, რომ ნაადრევად შექმნილი ოჯახები მალევე ინგრევა, მაგრამ პირადად მე, ბევრ ისეთ წყვილს ვიცნობ, რომლებმაც დაქორწინება დაახლოებით, 16-17 წლის ასაკში გადაწყვიტეს, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს და დღემდე ბედნიერად ცხოვრობენ. თუმცა, ადამიანებს ხომ სწორედ იქ გვიყვარს ცხვირის ჩაყოფა, სადაც რაღაც უფრო „საინტერესო“ ხდება — შეიძლება ვიღაცის პირადი ცხოვრების დანგრევა არ გაგვიხარდეს, მაგრამ მაინც, ჩვენდა უნებურად ვიწყებთ იმ წყვილზე ჭორაობას, რომელმაც ოჯახი დასანგრევად გაიმეტა. ჰოდა, ალბათ ამიტომაცაა, რომ „დანგრეული“ უფრო ხშირად გვეჩხირება თვალში, ვიდრე „აწყობილ-აშენებული“. ახალდაქორწინებულების პრობლემა უმეტესწილად, უფულობაა, — მოზარდს კი არა, სამსახურის შოვნა ხომ ჭკუადამჯდარსაც უჭირს, — მაგრამ ისეც ხდება, რომ მათ დაშორებაში დიდ როლს ბიჭის ან გოგოს მშობლები თამაშობენ. დღეს სწორედ ამ პრობლემაზე ვილაპარაკებთ.

ლიკა ქაჯაია

ჯიდევ ერთი დანგრეული ოჯახი...

ნია, *18 წლის:*

— მე და ნიკოს ერთმანეთი ბავშვობიდანვე გვიყვარს. ჰოდა, ვინაიდან ჩვენი გრძნობა წლების განმავლობაში არ გაცივდა, ვიფიქრეთ, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუ ოჯახს შევქმნიდით. დედამ ყოველთვის იცოდა, მასთან რა ურთიერთობაც მქონდა, მაგრამ როცა ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ვუთხარი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — სად გეჩქარებათ? დაქორწინებაში ვერავინ შეგიშლით ხელს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ცოტა ხანს კიდევ მოიცდით. ისწავლეთ, მუშაობა დაიწყეთ და ერთად ყოფნას მერეც მოასწრებთო. შევცდი, რომ არ დავუჯერე და ნიკოს ცოლად გავყევი. დაქორწინებიდან სულ რაღაც, 3 თვისთავზე მივხვდი, რომ მის ოჯახში ცხოვრებას ვერ შევძლებდი. ჰოდა, მეუღლეს ვუთხარი: სანამ ჩვენი ბინა გვექნება, საცხოვრებლად ჩემს მშობლებთან გადავიდეთ-მეთქი. სწორედ იმ დღის შემდეგ დაიწყო კონფლიქტი ჩემსა და ნიკოს შორის.

ლამის, ლოგინში ჩაგვიწვა — ყოველ 5 წუთში შემოდიოდა და: — დედა, რამე ხომ არ გჭირდებაო? — ეკითხებოდა

— **ასეთი რამ რატომ შესთავაზე? მის ოჯახში თავს არაკომფორტულად გრძნობდი?**

— ქორწილის ღამეს დედამთილმა გამომიცხადა, — დღეს ჩემი შვილი ჩემთან უნდა დაწვეს, შენ კი მეჯვარესთან ერთად „ინებივრეო“. ვიფიქრე, ალბათ ასეთია წესი-მეთქი და ხმა არ ამომიღია. მეორე დღეს, როცა უკვე მეჯვარეც წავიდა, ნიკო კი შემოუშვა საძინებელში, მაგრამ თავადაც ლამის, ლოგინში ჩაგვიწვა — ყოველ 5 წუთში შემოდიოდა და: — დედა, რამე ხომ არ გჭირდებაო? — ეკითხებოდა. ნიკოს ვკითხე: მთელი ღამე ასე უნდა იაროს-მეთქი? არაფერი მიპასუხა, ზურგი მაქცია და დაიძინა. გავიფიქრე, — ეტყობა, ესეც ვერაა-მეთქი და შეშფოთებულმა, მთელი ღამე ნერვიულობაში გავატარე. ვფიქრობდი, — ეს რა შარში გავეხვიე, როგორ ოჯახში ამოვყავი თავი-მეთქი. მესამე დღეს თითქოს სიტუაცია გამოსწორდა — ნიკომ დედამისს უთხრა (ეგონა, მე არ მესმოდა): იცოდე, ამ საღამოს თუ არ შემეშვები, თავს მოვიკლავო! — რა იყო, დედა, ასე შეგაწუხე? კარგი, გყავდეს ის შენი ჩალასავით გამოფიტული გოგო და ვნახოთ, ჩემი კალთა თუ არ მოგენატრებაო...

— **ნიკო დედისერთა იყო?**

— არადა, სწორედ ეს მიკვირს: დედას სხვა შვილებისგან გამორჩეული ჰყავდა; მას თავს ევლებოდა, დანარჩენების ბედი კი არ ანაღვლებდა. ეთო — ნიკოს და იმას წუწუნებდა, დედას ყველაფერი კარგი ჩემი ძამიკოსთვის ემეტება, მე კი საჭმელი თვეების განმავლობაში რომ არ ვჭამო, არც იდარდებსო. უმცროსი იყო და ალბათ, ამიტომაც უყვარდა გამორჩეულად... ქორწინებიდან 1 თვე ისე გავიდა (იმ ორ დღეს თუ არ ჩავთვლით, როცა ნიკოს ახლოსაც არ მაკარებდა), თავს მშვენივრად ვგრძნობდი და ვფიქრობდი, რომ თავიდან რაღაც მომეჩვენა. დედამთილი ისე იქცეოდა, ვითომ ძალიან ვუყვარდი და თავს მევლებოდა. ჩემი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, 1 თვის შემდეგ კუდი ისევ გამოაჩინა: შუაღამეს საძინებელში გვივარდებოდა. ბევრჯერ წაგვასწრო იმ დროს, როცა ერთმანეთს ვეალერსებოდით და ერთხელ გვიყვირა კიდეც: — თქვე უნამუსოებო, ვიდრე ოჯახის წევრები არ დავიძინებთ, ვერ მოითმენთ? იქნებ რამეში გვჭირდებითო... მერე აღარც მელაპარაკებოდა და მამამთილიც ამიმხედრა, ჩემზე ათასგვარ სიბილწეს უყვებოდა. მხოლოდ ეთომ იცოდა, რაც ხდებოდა სინამდვილეში, მაგრამ მისი სიტყვა ბევრს არაფერს ნიშნავდა. ასე იყო თუ ისე, 3 თვის შემდეგ ნიკოს ვუთხარი, — ამ სახლიდან წავიდეთ. არ მინდა, დედაშენთან უსიამოვნება მომივიდეს-მეთქი. თავიდან დამეთანხმა, მაგრამ როცა ეს ამბავი მისმა მშობლებმა გაიგეს, ჯერ მე მლანძღეს, სულ უზნეო მეძახეს, მერე ნიკოს ჩემზე რაღაც სისულელეები უთხრეს; დედამთილმა წაიმსახიობა, ვითომ გული წაუვიდა და... ნიკოსაც მეტი რა უნდოდა? — სახლიდან წასვლა გადაიფიქრა. იმ

სახლში რაღა გამაჩერებდა? მეუღლეს ვუთხარი, — კარგი, მე წავალ და შენ თუ ოდესმე მოგენატრები, მოდი; მე აქ წუთითაც ველარ გავჩერდებიმეთქი.

— **მაინც, მშობლებმა ნიკოს შენ შესახებ რა უთხრეს?**

— ეგ გოგო შენამდე ვიღაც ბიჭებთან „დაძვრებოდა“, მაგრამ არაფერს გეუბნებოდით, რადგან არ გვინდოდა, გული გტკენოდა. ჰოდა, თუ წასვლა უნდა, გაუშვი, ნუ აკავებ, ჭირსაც წაუღიაო. როცა ნიკომ იკითხა, — რას ბოდავთო? უპასუხეს: იმ ექიმმა, რომელმაც ქალიშვილობა აღუდგინა, ნია თქვენს ქორწილში ნახა და გადაირია, ოჯახში ეს ვინ შემოგიშვიათო?! ცხადია, სიცრუეს ამბობდნენ და ნიკოც მიხვდა, რომ მისი მშობლები ბოდავდნენ. ამიტომ მითხრა: ნუ ნერვიულობ. მე ვიცი, სინამდვილეში ვინც ხარო, მერე კი მშობლებს მიუბრუნდა: ასეთი ტყუილი რამ მოგაფიქრებინათ? თუ ჩემი აქ დარჩენა გინდათ, მეორედ ასეთი სიცრუე არ თქვათ, თორემ სამუდამოდ დამკარგავთო. ჰოდა, სწორედ მაშინ იყო, იმ ქალბატონს გული რომ „წაუვიდა“. ყოველთვის ვიცოდი, ნიკოს დედა ძალიან რომ უყვარდა, მის გამო საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავდა, მაგრამ ამ სიყვარულს „დაჩმორებულიც“ თუ ჰყავდა, ნამდვილად არ მეგონა.

— **რას გულისხმობ?**

— დედასთან დარჩა. შეეშინდა, მართლა არ მომიკვდესო და არჩევანი მის სასარგებლოდ გააკეთა. დარწმუნებული ვარ, დღემდე ვუყვარვარ, მაგრამ ჩემთან მოახლოებას ვერ გაბედავს — ცხადია, დედის შიშით, თორემ მე მას ისევ ველოდები.

— **რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მათი ოჯახიდან წამოხვედი?**

— უკვე 6 თვე გავიდა. ცნობისათვის, ახლა ფეხმძიმედ ვარ — მეშვიდე თვეში გახლავართ და ექიმმა გამაფრთხილა: შეიძლება მშობიარობა ნაადრევად დაგეწყოსო.

— **ამის მიზეზი რა არის?**

— ნერვიულობა, სტრესი... ახალდაორსულებული ვიყავი, როცა მათი სახლიდან წამოვედი და თან, ორი უზარმაზარი ჩანთა წამოვიღე. ნიკომ ის ტაქსიმდეც არ მიმატანინა — აი, ამის გამო კი გული მართლა ძალიან მწყდება, მაგრამ ჩემთვის არ ეცალა, დედისთვის უნდა მიეხედა.

— **და ასეთ კაცზე ამბობ, — ისევ ველოდებიო?**

— არ მინდა, ჩემი შვილი მამის გარეშე გაიზარდოს, თან — ის ისევ ძალიან მიყვარს. ხუმრობა ხომ არაა, ერთმანეთი 12 წელი გვიყვარდა... იმედი მაქვს, ამ სტატიას ნიკოს და, ძმა ან რომელიმე ნათესავი, მეგობარი წაიკითხავს და ვინმე მაინც ეტყვის, რომ მალე შვილი ეყოლება. ჰოდა, იქნებ ბავშვისა და ჩემმა ერთობლივმა სიყვარულმა მაინც გადაწონოს დედის სიყვარული.

— **დაბოლოს, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამ: მას შემდეგ, რაც იმ ოჯახიდან წამოხვედი, მეუღლეს შენ ნახვის სურვილი არ გამოუთქვამს?**

— არა და ვიცი, ამას შეგნებულად აკეთებს. იცის, რომ ცამდე მართალი ვარ და ერთხელ რომ მნახოს, მერე ჩემგან ვერ წავა. არც მე მინდა, რაიმე დავაძალო და ამიტომაც, არ ვურეკავ. მჯერა, ადრე თუ გვიან, ის ჩემთან მოვა და პატიებას მთხოვს.

„სიყვარული იოლად არ ხუნდება!“

გოჩა, *45 წლის:*

— მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი სწორედ თინეიჯერულ ასაკში შევქმენით: მაშინ ის 16 წლის იყო, მე — 18-ის, მაგრამ დღემდე ერთად ვართ. თუ წყვილს ერთმანეთი მართლა უყვარს, ოჯახის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებენ, მატერიალურ პრობლემასაც გაუძლებენ და „ეჭვის ჭიასაც“ არ მისცემენ გასაქანს.

— **თქვენს ოჯახს დანგრევის საშიშროება არასდროს დამუქრებია?**

— როგორ არა! პირველად ასეთი საფრთხის წინაშე დაქორწინებიდან 3 წლის შემდეგ აღმოვჩნდით. ჩვენს ურთიერთობაში ცუდად ჩაერია ჩემი

„მან იმ შენობის გარე ფასადი შეცვალა, სადაც ვმუშაობ“

მეკო:

„ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ, თქვენი რჩევები ძალიან მჭირდება. შარშან ერთი ბიჭი გავიცანი — მან იმ შენობის გარე ფასადი შეცვალა, სადაც მე ვმუშაობ. გაცნობიდან ერთ კვირაში სიყვარული ამიხსნა. არც მე ვიყავი მის მიმართ გულგრილი და ამიტომაც, უპრობლემოდ ვხვდებოდი. 6 თვე ისე გავიდა, უბრალო კოცნის გარდა, არაფერი გვქონია, შემდეგ კი მასთან დავწექი და ცოტა ხანში დავორსულდი კიდეც. 4 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა მივხვდი, რაც მჭირდა (ახლა მეხუთე თვეში ვარ). ეს რომ გაიგეს, ჩემებმა სახლიდან გამომაგდეს. ჰოდა, „ლოვეც“ სწორედ ამის შემდეგ გამომიტყდა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა: ჩემი ოჯახი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ახლა კი სამშობლოში ბრუნდებიანო. მოკლედ, დავრჩი ქუჩაში. P.S. ამჟამად მის ძმაკაცთან ვცხოვრობ, აქ თავად მომიყვანა. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? მას ბავშვიც არ უნდა“. ■

„მეგონა, ჩემ მიმართ მეტი ინტერესი გაუჩნდებოდა“

ამაყა:

„თაყვანისმცემელი, რომელიც თავადაც ძალიან მომწონდა, ჩემი სიამაყის გამო დავკარგე და ახლა მივტირი იმ დროს, როცა ის უკან დამდევდა და პაემანს პაემანზე მინიშნავდა, შეხვედრას მთხოვდა, მე კი დამცინავად ვეუბნებოდი: სხვა არაფერი გინდა? წადი, რა, შენი ტოლი ნახე-მეთქი. მეგონა, თუ მიუწვდომელი ქალი ვიქნებოდი, ჩემ მიმართ მეტი ინტერესი გაუჩნდებოდა, მაგრამ შევცდი ან გადავამლაშე. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა გადავწყვიტე, მისი წინადადება მიმეღო, შემეშვა. თქვენი აზრით, ღირს, რომ თავად დავურეკო და შეხვედრა ვთხოვო? დარწმუნებული ვარ, ისევ ვუყვარვარ, მაგრამ მასთან ლაპარაკი თითქოს თავმოყვარეობას შემილახავს. P.S. არა, არ გეგონოთ, რომ რაიმე ნაკლი აქვს, უბრალოდ, მგონია, რომ გოგომ ბიჭის წინაშე ყოველთვის უნდა დაიფასოს თავი. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“ ■

*P.S. **მაშ ასე, თუ მეკოსა და ამაყას წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*** ■

სიდედრი (იმედია, სიმართლეს არ მიწყენს. მასთან ახლა შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, ჩემზე ამოსდის მზეც და მთვარეც). მან შვილს უთხრა: დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრება არ მოგბეზრდა? გოჩა აიძულე, რომ საცხოვრებლად ცალკე გადახვიდეთ, მერე კი უფრო თავისუფლად იქნებით და მის მშობლებთან პრობლემაც აღარ გექნებაო.

— გამოდის, რომ თქვენი სიდედრის ამ სიტყვებს წინა პიროობაც ჰქონდა...

— (*მაწყვეტინებს*) ერთხელ დედაჩემმა და მეუღლემ უბრალოდ, რაღაცაზე იკამათეს. მგონი, ერთს ფილმის ყურება უნდოდა, მეორეს — რაღაც გადაცემის და, ქალების ამბავი ხომ იცი... მართალია, მერე შერიგდნენ და ერთმანეთთან ძველებურად, თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ დედამისმა ეს ამბავი რომ გაიგო, გადაირია. ისე იქცეოდა, გეგონება, შვილთან თავად არასდროს მოსვლია კონფლიქტი... ჩემს მეუღლეს დედამისის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და საღამოს ულტიმატუმი წამომიყენა: ან საცხოვრებლად ცალკე გადავალთ, ან კიდევ, დაგშორდებიო. ჯერ მეგონა, მეხუმრებოდა, მაგრამ როცა დაიჟინა: მე ამ სახლში ვერ ვიცხოვრებო, ჩანთა საკუთარი ხელით ჩავულაგე — ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ამ სახლიდან წასვლას არ ვაპირებ. თუ ჩემ გვერდით ყოფნა გინდა, კეთილი ინებე და იმ პირობებში იცხოვრე, რომელსაც გთავაზობ-მეთქი. ისეთი თავმოყვარეა, რომ წასვლას აპირებდა, მაგრამ ისევ „კაპასმა“ დედამთილმა გადააფიქრებინა: ოჯახს არაფრის გამო ნუ დაანგრევ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ ერთმანეთი სიგიჟემდე გიყვართო. მერე ისიც უთხრა: თუ მე და კაკოს (მამაჩემს გულისხმობდა) ვერ გვეგუები, ბინას ვიქირავებთ და გადავალთ, თქვენ კი აქ დარჩითო. ნინას თავისი სიტყვების შერცხვა და მას შემდეგ ცალკე ცხოვრებაზე ხმაც არ ამოუღია... ჩვენს ოჯახს დანგრევის საშიშროება მაშინაც ემუქრებოდა, როცა მატერიალური პრობლემა შეგვექმნა, მაგრამ სიყვარულის სახელით, ამასაც გავუძელით და მადლობა ღმერთს, ახლა ისევ ერთად ვართ. ასე რომ, სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს ნაადრევად შექმნილი ოჯახი აუცილებლად დაინგრევა. პირიქით, ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდა! ყველა მოზარდს ვურჩევ, თუ ნამდვილი სიყვარული ამოძრავებს და არა ქალის ან მამაკაცის ნდომა, შექმნას ოჯახი, ბედნიერების შანსს ნუ გაუშვებს ხელიდან. სიყვარული ასე იოლად არ ხუნდება! ■

თინეიჯერები გვწერენ

დედისერთა:

„გამარჯობა. „გზის“ ერთგული მკითხველი და გულშემატკივარი ვარ. თქვენთვის მესიჯის მოწერის სურვილი ბევრჯერ მქონია, მაგრამ რატომღაც, ყოველთვის ვიკავებდი თავს. ახლა კი მაინც მინდა, რაღაც გითხრათ: „თინეიჯერულ პონტებში“ ადამიანები რჩევასა და დახმარებას ითხოვენ და არა — ლანძღვას თუ წყევლას. თქვენი აზრით, გამწარებულ ადამიანს ლანძღვა უშველის? ვინმესთვის რჩევის მიცემა თუ ძალგიძთ, მისწერეთ, კი ბატონო, მაგრამ ზოგ-ზოგიერთს ასეთი აგრესია საიდან გაქვთ? თუ ადამიანისთვის რჩევის მიცემა არ შეგიძლიათ, ნურც სალანძღავ მესიჯებს გაუგზავნით. დავიჯერო, ცხოვრებაში არასდროს არაფერი შეგშლიათ?“

პატარა:

„არც მშობლებს მივუტოვებივარ, არც — შეყვარებულს და ა.შ. ჩემი პრობლემა ისაა, რომ ექიმების დამსახურებით, კარგად არ მესმის და ვეძებ ჩემნაირს! მინდა მყავდეს ისეთი მეგობარი, როგორიც თავად ვარ. ბიჭი იქნება თუ გოგო, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მგზავნელებო, არც თქვენს გაცნობაზე ვიტყვი უარს. P.S. გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ და მაპოვნინეთ ადამიანი, რომელსაც სმენის პრობლემა ექნება, რომელიც ჩემს გაგებას შეძლებს და დამიმეგობრდება. P.P.S. მერწმუნეთ, ნამდვილად ექიმის დამსახურებაა, რომ არ მესმის. თქვენი აზრით, ის ღირსია, ექიმი ერქვას?“

ლიკუნა:

„ვა, რა მაგარია ეს ბერა, არა? ჯერ დამწყები რეპერია და უკვე აალაპარაკა მთელი რეპსამყარო. მართალია, მისი შემოქმედება ბევრმა გააკრიტიკა, მაგრამ ამის გარეშე ხომ არაფერი ხდება და თანაც — ჯანსაღი კრიტიკა სასარგებლოა, უსარგებლო და ბოღმით ნათქვამი კი ყურადღების ღირსიც არაა. ბერა, შენი ფანი ვარ!“

მაგდა:

„დიდი მადლობა, „გზის“ წინა ნომერში ბერას სიმღერის ტექსტი რომ დაბეჭდეთ. რეპი ძალიან მიყვარს და გამიხარდება, თუ საქართველოში სიმღერის ეს ჟანრი ისევ მოიკიდებს ფეხს. ძალიან მიყვარს ბედინა და შავი პრინციც, რომელმაც თურმე ბოლო დროს სახელი შეიცვალა (ნეტავ, ახლა რა ჰქვია?) მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო დროს აღარ ჩანან. სამივეს წარმატებას ვუსურვებ და იმედი მაქვს, მათ შორის დაძაბული სიტუაცია არ იქნება“.

ფანი:

„ვგიჟდები ამ ჟურნალზე, რა. დაწყებული „მინიატიურებიდან“, ყველა სტატიას ვკითხულობ და მინდა ვაღიარო, ძალიან მაგრები ხართ. მართალია, იშვიათად ჩემთვის უინტერესო თემაზეც იბეჭდება სტატიები, მაგრამ ეგ არაფერი — ალბათ, ისინიც ვიღაცებს აინტერესებთ... „გზას“ ინტერნეტში ბოროტი ენა არაერთხელ შეეხო, იმასაც ამბობენ, ბევრი ტყუილი იბეჭდებაო, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს „გზა“ მხოლოდ სიმართლის მაძიებელია. ბოროტო ჭორიკანებო, გეშინოდეთ ჩვენი ანუ იმ ფანების, რომლებიც ამ ჟურნალს ლამის დაბადებიდან ვკითხულობთ. იცოდეთ, ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ — ცოტანი“. ■



სამყარო

ქართველი „სამბას დედოფლით“ მოხიბლული ლუ ბეგა

რუსთავში, ლუ ბეგას კონცერტზე 21 წლის სოფო ბურდულაძეს ყველაზე მეტად გაუმართლა: მან თავად „მამბოს მეფესთან“ ერთად იცეკვა, შემდეგ კი მისგან ისეთი კომპლიმენტი მიიღო, რომ სოფოს ბედნიერებამ პიკს მიაღწია...

„მითხრა: არაჩვეულებრივი ხარ, შოკში ვარო!..“

ეთო ყორღანაშვილი

სოფო ბურდულაძე პროფესიონალი მოცეკვავეა. ის სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში პირველი ქართველი სპორტის ოსტატი, 14-გზის საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი, ამიერკავკასიისა და საბერძნეთის აკროპოლისის თასის მფლობელი და კიდევ ბევრი კონკურსის გამარჯვებული გახლავთ. მას „სამბას



მას „სამბას დედოფალსაც“ უწოდებენ

დედოფალსაც“ უწოდებენ. რამდენიმე წლის წინ, სოფო ერევნის ღია საერთაშორისო ჩემპიონატიდან გულდაწყვეტილი დაბრუნდა: მან და მისმა მეწყვილემ კონკურსზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს. რუსეთის სამეჯლისო ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტმა — სტანისლავ პოპოვმა ქართველ კონკურსანტებს ბოდიშიც კი მოუხადა: პირველი ადგილის ღირსები მეხუთე ადგილზე გაგიყვანეთო...

„მამბოს მეფესთან“ ერთად, სცენაზე ქართველი „სამბას დედოფალი“ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა...

სოფო ბურდულაძე:

— კონცერტზე მშვენიერი განწყობილებით წავედი, რადგან ვიცოდი, არაჩვეულებრივ სიმღერებს მოვუსმენდი. სახლში „რეპეტიციაც“ გავიარე — ცოტა „წავიცეკვე“. გული რაღაცას მიგრძნობდა, მაგრამ ლუ ბეგასთან ერთად სცენაზე თუ აღმოვჩნდებოდი, ამას არ ველოდი! ყველაფერი უეცრად მოხდა. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ „მამბოს მეფესთან“ ერთად ვიცეკვე! ჩემთვის ბედნიერების პიკი იყო, როცა ლუ ბეგა სცენიდან ჩამოვიდა, უამრავი ადამიანის წინაშე გადამეხვია და მითხრა: შენთან ერთად ცეკვა არასოდეს დამავიწყდება, არაჩვეულებრივი ხარ, შოკში ვარო!..

— სცენაზე როგორ აღმოჩნდი, ლუ ბეგამ თავად გიხმო?

— სამახსოვრო ფოტოს გადაღება მინდოდა. როდესაც სიმღერა დაიწყო, იქვე, სცენის ასასვლელთან ვცეკვავდი. კონცერტის ორგანიზატორმა მითხრა, — ადი. თითქოს ლუ ბეგამაც მანიშნა ხელით... მოკლედ, როცა ცეკვაზე მიდგება საქმე, არასოდეს ვაყოვნებ: ქურთუკი გავიხადე და სცენაზე ავედი (*იცინის*)!

სხვათა შორის, ძალიან კარგი პარტნიორია

— ლუ ბეგამ სცენაზე სხვებიც აიყვანა, არა?

— მოითხოვა, რომ სცენაზე 3 გოგო და 3 ბიჭი ასულიყო. წყვილებს უნდა ეცეკვათ. სცენაზე ვიღაცები ავიდნენ, მაგრამ მე „ვიღაცებთან“ კი არა, თავად ლუ ბეგასთან ერთად ცეკვა გავბედე (იცინის). სხვათა შორის, ძალიან კარგი პარტნიორია — მასთან ცეკვა არ გამჭირვებია.

— ახლობლები როგორი ემოციებით შეგხვდნენ?

— კონცერტი ქვემო ქართლის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადიოდა. სცენიდან ჩამოსულმა მობილური ტელეფონი ვნახე — უამრავი ზარი იყო შემოსული. ახლობლები ემოციებს მესიჯებით მიზიარებდნენ — ლუ ბეგასთან ერთად გნახეთო!..

— ალბათ, მის სიმღერებზე წინათაც ბევრჯერ გიცეკვია.

— კი. უფრო ხშირად „ჯაივის“ მუსიკაზე მღერის. ამიტომ მის სიმღერებზე ცეკვა ჩემთვის უცხო ნამდვილად არ იყო. ლუ ბეგას შემოქმედება ძალიან მომწონს და ვაფასებ. მასთან ერთად ცეკვა ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება იყო!..

— სოფო, ბოლოს რომ ვისაუბრეთ, ერევნის ღია საერთაშორისო ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილის დაკავების გამო გულდაწ-

ყვეტილი იყავი. იმ კონკურსზე აღარ გასულხარ?

— სხვადასხვა კონკურსში ვმონაწილეობდი და წარმატებებსაც მივაღწიე, მაგრამ ერევნის ღია საერთაშორისო ჩემპიონატზე აღარ გავსულარ და არც ვაპირებ. ამჟამად აქტიური ცეკვით არ ვარ დაკავებული, რადგან ისეთი პარტნიორი არ მყავს, რომელთან ერთადაც ჩემი კარიერის გაგრძელებას საჭიროდ მივიჩნევ. თუკი ვინმე გამოჩნდება ისეთი, როგორიც მინდა და მჭირდება, კარგი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ მხოლოდ მოსწავლეებს აღვზრდი.

— მახსოვს, პარტნიორი გყავდა და როგორც ადრე მითხარი, თქვენს ურთიერთობაში „თბილოდა“ კიდეც.

— დიახ, მაგრამ მერე ცოტათი „აგრილდა“, რასაც „სიცივე“ მოჰყვა... ზურაზე ვერასოდეს ვიტყვი, რომ ცეკვაში ცუდ პარტნიორობას მიწევდა, მაგრამ ისეთი რაღაც მოხდა, რისი ატანაც არ შემიძლია... მას დიდ წარმატებას ვუსურვებ. იმედია, უჩემოდ ბედნიერებას იპოვის.

— თქვენ წყვილის დაშლის მიზეზი პირადი ურთიერთობა გახდა?

— დიახ. ამბობენ, საქმე და პირადი ცხოვრება ერთმანეთში არ უნდა აურიო, სიყვარული საქმიან პარტნიორობას ხელს უშლისო. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა.

— ლუ ბეგასთან ცეკვის შემდეგ ხომ არ შეგხმიანებია?

— არა. ამჟამად თურქეთშია და ალბათ, არც ვუნახავვარ. რომ შემომხმიანებოდა, უბრალოდ, მადლობას ვეტყოდი, სხვას — არაფერს.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— ვმუშაობ და ბავშვებს ცეკვას ვასწავლი.

— სად მუშაობ?

— ბაგა-ბაღების გაერთიანების მეთოდკაბინეტის უფროსი ვარ. „პაწაწუნების“ აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ვაგვარებ.

— მოცეკვავე გოგონა ამ სფეროში როგორ მოხვდი?

— სრულიად შემთხვევით, მაგრამ ეს საქმე ძალიან მომეწონა, დავინტერესდი... ბავშვები ძალიან მიყვარს!..

— სამსახურში კონკრეტულად რას აკეთებ?

— ვაკვირდები, მასწავლებლები ბავშვებს რას და როგორი მეთოდით ასწავლიან. აღმზრდელებს ან შენიშვნა უნდა მივცე, ან ვუთხრა, რომ იდეალური მასწავლებლები არიან.

— ბევრი შენიშვნის მიცემა გიხდება?

— არა, მაგრამ შენიშვნის მიცემის გარეშე ვერავინ ვერაფერს ვსწავლობთ.

— ამ საქმიანობისთვის ჯერ პატარა ხომ არ ხარ?

— ვიდრე ამ საქმეს შევუდგებოდი, ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა — პატარებს ცეკვას ვასწავლიდი. გარდა ამისა, დეიდაშვილები თითქმის ჩემი გაზრდილები არიან. ბავშვებთან დღესაც აქტიურად ვურთიერთობ — 5 წლის მოსწავლეები მყავს.

— თაყვანისმცემლებზე რას გვეტყვი?

— ზოგიერთი თავს არ მაბეზრებს, პირიქით — მისი ყურადღება სასიამოვნოც კია; ზოგი კი ძალიან აბეზარი და ჩემთვის მიუღებელია. რამდენჯერმე მოტაცებაც დამიპირეს, რაც დიდ სისულელედ მიმაჩნია! ახლა ჩემი ძმის მეგობრები ყველგან თან დამყვებიან: რეპეტიციაზე, სამსახურში...

— შენი ძმა სადაა?

— ჩემი ოჯახი ესპანეთშია. 10 წელია, მამა იქ ცხოვრობს. ახლა დედა და ძმაც გაემგზავრნენ.

რამდენჯერმე მოტაცებაც დამიპირეს

— ესპანეთში გამგზავრებას შენც ხომ არ აპირებ?

— იქ მხოლოდ სტუმრად თუ წავალ. მე საქართველოში ცხოვრება მინდა. ■



„ავსტრიულ და გერმანულ ფილმებში გადამილებენ“

ყველაზე მეტად ფსიქოლოგიური ჟანრის ლიტერატურა უყვარს, ფანტასტიკა — ნაკლებად. წაკითხულ წიგნებს ხელმეორედ იშვიათად უბრუნდება, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც, „ტომ სოიერის თავგადასავლისა“ და ო. ჰენრის მოთხრობების სახით. სკოლაში, სანამ წამოიზრდებოდა, ყველა საგანს კარგად სწავლობდა; მერე — მხოლოდ იმ პედაგოგებისას, რომლებიც მოსწონდა და უყვარდა. მიაჩნია, რომ ქიმია საინტერესო საგანია, მით უმეტეს მაშინ, თუ გაკვეთილი ლაბორატორიაში ტარდება. წიგნი არასდროს მოუპარავს, მხოლოდ ერთხელ, ამსტერდამში ყოფნისას, მაღაზიიდან შემთხვევით წამოიღო და როგორც კი გაიგო, 5 წუთში უკან დააბრუნა. კითხვაზე — რომელ პერსონაჟთან იმეგობრებდი? — დაუფიქრებლად მპასუხობს: ჰამლეტთან, რატომაც არა? „დასტოინი“ ტიპია. „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი ვახო ჩაჩანიძე გახლავთ. ის საზოგადოების დიდმა ნაწილმა ქართული სერიალებიდან გაიცნო. მალე ავსტრიულ და გერმანულ ფილმებშიც გადაიღებენ, თან — მთავარ როლებში.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— „გოგონა გარეუბნიდან“ უკვე დაიწყო. შენი გმირის ცხოვრებაში რა ხდება?

— ამ სერიალში ჩემი პერსონაჟი აღარ არის.

— რატომ?

— არ ვიცი. აღარ დამიკავშირდნენ. თავად დავურეკე, რაიონში წასვლას ვაპირებ და გადაღებას ხომ არ იწყებთ-მეთქი? ამ სატელეფონო საუბრის დროს გავიგე, რომ სერიალში ჩემი პერსონაჟი აღარ იქნება.

— ამჯერად რით ხარ დაკავებული?

— ახლა თეატრებთან ვთანამშრომლობ. მომავალი წლიდან ველოდები სერიოზულ პროექტებს გერმანიიდან და ავსტრიიდან. ორივეგან მთავარ როლზე ვარ დამტკიცებული.

— ასეთი კავშირი საიდან?

— ინტერნეტით გამიცნეს და დამიკავშირდნენ. „პილოტიც“ ჩაწერილია. ავსტრიულ ფილმში კრიმინალის როლს ვასრულებ. გერმანელები სასიყვარულო მელოდრამას იღებენ. სცენარის მიხედვით, ქართველი კაცი ჩადის გერმანიაში და იქ ფიქციური ქორწინების საბუთს აფორმებს. ფილმი ამ ამბავზეა აგებული.

— წარმატებას გისურვებ! აქ რომელ თეატრთან თანამშრომლობ?

— საფრანგეთიდან რეჟისორი ალექსი ჯაყელია ჩამოსული. მან ზესტაფონის თეატრში ერთი თვის მანძილზე 4 სპექტაკლი დადგა. ამ თეატრში მიმიწვიეს და თანამშრომლობაზე სიამოვნებით დავთანხმდი.

— მითხარი, ო. ჰენრის ნაწარმოებები მიყვარსო. თუ იცი, სად დაიწყო მან ნაწარმოებების წერა?

— არა.

— ციხეში. ექიმების აზრით, ის ხელს უშლის კარიესის წარმოქმნას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, აფერხებს სიბერეს, ამაღლებს ცხოვრების ტონუსს. რა აქვთ ექიმებს მხედველობაში?

— რა შეიძლება იყოს?

— ადამიანის გარკვეულ ქმედებაზეა ლაპარაკი, მაგრამ მარტო ვერ გააკეთებს, ამისთვის პარტნორია საჭირო.

— დამაბნიე.

— კოცნაზეა ლაპარაკი.

— კი ვიფიქრე, მაგრამ არ გითხარი, კარიესთან ვერ დავაკავშირე.

— ოსკარ უაილდმა ქალაქგარეთ გასეირნებისთვის სპეციალური ტანისამოსი გამოიგონა. რას ვეძახით დღეს მას?

— ვერ გიპასუხებ.

— ის შარვლის სახესხვაობაა და განსაკუთრებით აქტუალური ზაფხულშია.

— შორტი?

— რა თქმა უნდა.

— ყოჩაღ უაილდს!

— წელიწადის რამდენი თვეა ისეთი, რომელიც 30 რიცხვს შეიცავს?

— (*ფიქრობს*) 11 გამოდის, არა?

— გამოიცანი. რომელი ცხოველის ტყავი იყო ოქროს საწმისი?

— ვერძის.

— „ის მოიპოვება არა ნათესაური კავშირით, არამედ ინტერესთა ნათესაობით“. რის შესახებ წერდა ამას დემოკრიტე?

— სიყვარულის შესახებ.

— ცდები, მას მხედველობაში მეგობრობა ჰქონდა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს დღესასწაული, შეხვედრები, ნადირობა, ყინვა და ნაღველიც კი. შეიძლება ეს სრულიად უმიზეზოდაც გააკეთო. რაზეა ლაპარაკი?

— რაღაც ძალიან საინტერესოზე. თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) ალბათ დალევა. ასეა?

— გამოიცანი. ახლა მითხარი, რა ფერის ღვინოა „ალადასტური“?

— არ ვიცი.

— ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ნორმალური, მაგრამ „ალადასტურზე“ ბევრი არაფერი ვიცი.

— ალადასტური ქართული ვაზის ჯიშია, უმეტესად დასავლეთ საქართველოში — გურიასა და იმერეთში ხარობს. მისი ნაყოფისგან ამზადებენ ნახევრად ტკბილ წითელ ღვინოს — „ალადასტურს“.

— გმადლობ ამ ინფორმაციისთვის.

— რა რიტუალი სრულდებოდა ძველ საქართველოში ნეფე-პატარძლის ავი თვალისგან დასაცავად?

— იმას ხომ არ გულისხმობ, გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ რომ ატარებდნენ?

— გამოიცანი. რით გამოირჩევა ვენესუელაში მდებარე ჩანჩქერი ანხელი?

— ხმაურიანია (*ფიქრობს*)? არა, არა, ანხელს ყველაზე მაღალი ვარდნის სიმაღლე აქვს.

— ვისი ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი — „ქვევრი“?

— უცხოელი ავტორია, თუ არ ვცდები, იტალიელი. გვარს ვერ ვიხსენებ.

— ლუიჯი პირანდელო. ეს ფილმი ირაკლი კვირიკაძემ რეზო გაბრიაძის სცენარით გადაიღო... საქართველოს რომელი კუთხის შვილები არიან დავით კლდიაშვილის პერსონაჟები?

— იმერეთის.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა 9 ძმა ხერხეულიძე?

— მარაბდის ბრძოლაში.

— დაასახელე უდიდესი და უმცირესი სამნიშნა რიცხვი და მითხარი, რამდენია მათ შორის სხვაობა?

— უდიდესი სამნიშნა რიცხვია 999, უმცირესი — 100. გამოდის, რომ მათ შორის სხვაობაა 899.

— მათემატიკა კარგად გცოდნია. ახლა შენს ცოდნას გეოგრაფიაში შევამოწმებ. დაასახელე კონტინენტები, რომლებზეც ეს მწვერვალები მდებარეობენ: ევერესტი, კილიმანჯარო, მაქ-კინლი.

— ევერესტი აზიის კონტინენტზეა. დანარჩენი არ ვიცი.

— კილიმანჯარო აფრიკის კონტინენტზეა, მაქ-კინლი — ჩრდილო ამერიკის... 1883-84 წლებში სად სწავლობდა ვაჟა-ფშაველა და რატომ გახდა იძულებული, დაეტოვებინა სასწავლებელი?

— პეტერბურგში. სასწავლებელი ხელმოკლეობის გამო დატოვა.

— „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასდროს მიღალატია“. კონსტანტინე გამსახურდიას რომელი გმირი ამბობს ამ სიტყვებს?

— მეფე გიორგი II.

— სად არის დასაფლავებული იეთიმ გურჯი?

— დიდუბის პანთეონში.

— ვინ იყო დემეტრე II თავდადებულის მამა?

— (*ფიქრობს*) არ მახსოვს.

— დავით ულუ. კლასში 45 მოსწავლეა. ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობის 50%-ს შეადგენს. რამდენი ვაჟია კლასში?

— 15.

— „მარიდებდა თვალს/ და რატომღაც დღეს/ გაეცინა მას,/ გამეცინა მეც./ მერე როცა მთას/ მიეფარა მზეც -/ არ ეძინა მას, არ მეძინა მეც“. ამ ლექსს „ბალადა“ ჰქვია. დაასახელე მისი ავტორი.

— მორის ფოცხიშვილი.

— იმპრესიონიზმი, როგორც მიმართულება ხელოვნებაში, საფრანგეთში XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. რომელი სიტყვა დაედო საფუძვლად ამ სახელწოდებას?

— „იმპრესიონიზმი“ ფრანგული სიტყვაა და „შთაბეჭდილებას“ ნიშნავს.

— მართალია, ეს სახელწოდება წარმოიშვა 1874 წლის გამოფენიდან, სადაც გამოფენილი იყო...

— (*მაწყვეტინებს*) კლოდ მონეს „შთაბეჭდილება“.

— „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ანტიქრისტე მოვნათლე“, — წერდა 1725 წელს თავის დღიურში ერთ-ერთი ვენეციელი მღვდელი, რომელსაც ცოტა ხნის წინ მოენათლა 2 კვირის ჩვილი, სახელად ჯაკომო. მან 73 წლის მანძილზე სარეცელი 122 ქალთან გაიყო, რომელთა შორის იყვნენ წარჩინებული მანდილოსნები, მსახიობები, მოცეკვავეები... ის მოძალადე არასდროს ყოფილა. ქალების უმეტესობას ის უყვარდა. სახელისა და სიმდიდრის ძიებაში თითქმის მთელი ევროპა მოიარა. იყო ჯარისკაცი, ბიბლიოთეკარი, მუსიკოსიც. არაერთხელ ივჯდა ციხეშიც.

— კაზანოვაზეა ლაპარაკი.

— რომელ ფილმში შედგა ლეილა აბაშიძის დებიუტი?

— „ქაჯანაში“.

— რა ჰქვია მეცნიერებას სამყაროს შესახებ?

— ასტრონომია.

— ეს კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. რომელ კავშირზეა ლაპარაკი?

— საბჭოთა კავშირზე.

— „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი/ სიწმინდის მადლით დამშვენებოდა/ და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,/ შარავანდედი გადაჰფენოდა“. რომელ პერსონაჟს აღწერს ასე ილია ჭავჭავაძე?

— (*ფიქრობს*) განდეგილს.

— დაბოლოს, დაასრულე ჰიჩკოკის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი მთლად ღარიბი არ არის, სანამ ჯერ კიდევ...“

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ ვიცი.

— „...სანამ ჯერ კიდევ გაღიმება შეუძლია“.

■

„მაკლარენის“ სუპერავტოს დეფექტებს აღმოუფხვრიან

ბრიტანული კომპანია „მაკლარენის“ ხელმძღვანელმა, რონ დენისმა განაცხადა, რომ აღმოფხვრილი იქნება სუპერავტო MP4-12C-ს ყველა ის ნაკლი, რომელზეც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ კლიენტები. ამასთან, მანქანის ყოველ მფლობელს სპეციალურ წიგნს აჩუქებენ. წიგნი — McLaren: The Wins 320-გვერდიანია. მასში მოთხრობილია ამა თუ იმ სარბოლო შეჯიბრებაში — მათ შორის „ფორმულა-1“-ში, INDYCAR-სა და ფორმულა-5000-ში — საავტომობილო ბრენდის გამარჯვებების შესახებ. დიდ ბრიტანეთში წიგნის ღირებულება 49 გირვანქა სტერლინგი და 95 პენსი იქნება. ადრე გავრცელებული ცნობით, სუპერავტო McLaren MP4-12C-ს კარის გაღება-დახურვის, ასევე შუქ-ტექნიკის პრობლემა ჰქონდა. ასევე ამ მანქანების მფლობელები აკუმულატორებისა და შუქფარების კონდენსანტის სწრაფად განტვირთვის გამოც იყვნენ უკმაყოფილონი. რონ დენისის თქმით,

ამ პრობლემების დიდი ნაწილის გადაჭრა პროგრამული უზრუნველყოფის მოდერნიზაციის შედეგად იქნება შესაძლებელი. უახლოეს მომავალში კომპანია დეფექტური ავტოების უკან დაბრუნების შესახებ განაცხადებს და ყოველგვარ გაუმართაობას ბრენდის სპეციალისტები სერვის-ცენტრებში აღმოფხვრიან. კლიენტები წიგნებსაც დილერებისგან მიიღებენ საჩუქრად. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რამდენ ავტომობილს ჩაუტარდება უფასო ტექნიკური მომსახურება. სუპერავტო McLaren MP4-12C პირველად ორი წლის წინ წარმოადგინეს. ის 600 ცხძ-იანი, 3,8-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი მოტორითა და სიჩქარის გადაცემათა რობოტიზებული კოლოფითაა აღჭურვილი. ასეთი მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 3 წამში ავითარებს. დიდ ბრიტანეთში იგი 168 ათას 500 გირვანქა სტერლინგი ღირს. ■

„მორგანის“ ახალი თაობის როდსტერი

სპორტული ავტომობილების ბრიტანულმა მწარმოებელმა — „მორგანმა“ ახალი თაობის როდსტერ Plus8-ის ანონსი გაავრცელა. მანქანის მსოფლიო პრემიერა მომავალ წელს, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. ამ მომენტისთვის ახალი სპორტული „მორგანის“ შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ავტომობილის სტანდარტულ აღჭურვილობაში კონდიციონერი შევა, ხოლო ოპციის სახით კომპანია კლიენტებს სიჩქარის გადაცემათა ავტომატურ კოლოფს შესთავაზებს. გარდა ამისა, ავტომობილის შეკვეთა შესაძლებელი იქნება რვიდან ერთ-ერთი ფერის ძარათი, ასევე ამა თუ იმ ჯიშის ხით გაწყობილი სალონით. სავარაუდოდ, მანქანას 8-ცილინდრიანი ძრავა დაუმონტაჟდება. ამჟამად მოტორი V8 მხოლოდ Aero Supersport-ის მოდელებზეა გამოყენებული. ამ როდსტერზე BMW-ს 4,8-ლიტრიანი, 367 ცხძ-იანი აგრეგატია დაყენებული. დიდ ბრიტანეთში სიახლის ფასი 71 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. „მორგან პლუს 8“-ის პირველი პარტია ჯერ კიდევ ავტომობილის პრემიერამდე აიწყობა. კლიენტმა რომ ასეთი მანქანა მიიღოს, წინასწარ უნდა გადაიხადოს 20 ათასი გირვანქა სტერლინგი. პირველი როდსტერი Morgan Plus 8 1968 წელს გამოჩნდა, ხოლო მისი გამოშვება 2004 წელს დასრულდა. მაშინ მანქანა „ჯენერალ მოტორსის“ მიერ დამზადებული 3,5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი მოტორით იყო აღჭურვილი. ■

აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ Fisker Karma გამოცადა

აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ (EPA) ჰიბრიდული ავტომობილის — Fisker Karma მიერ საწვავის მოხმარებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ჰიბრიდულ რეჟიმში მუშაობისას, მანქანა საშუალოდ 4,5 ლ საწვავს მოიხმარს 100 კმ-ზე. ეს კი თითქმის ორჯერ მეტია იმ მაჩვენებელზე, ვიდრე მოდელის შემქმნელებმა ამ პროექტის სტარტზე გამოააშკარავეს. აქტიური სვლისას, როდესაც ბატარეების დასატენად განკუთვნილი, 2-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორი დიდი დატვირთვით მუშაობს, მანქანა 100 კმ-ის დასაფარავად თითქმის 11,8 ლ საწვავს მოიხმარს. ავტომწარმოებლის მონაცემებით, თუ ჰიბრიდი „კარმა“ ყოველდღიურად შინაური დენის წყაროდან დაიტენება, ყოველდღე 60 კმ-ის გავლის შემთხვევაში, თვის განმავლობაში ის მხოლოდ 34 ლ საწვავს შთანთქავს, ხოლო ავზის ერთხელ ავსება 1600 კმ-ის გასავლელად საკმარისი იქნება. ადრე გავრცელებული ცნობით, „კარმა“ 2 ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, რომელთა ჯამური სიმძლავრე 403 ცხძ-ა. ისინი ლითიუმ-იონური აკუმულატორებით იკვებებიან. მხოლოდ ელექტროაძვრით მანქანას 80 კმ-ის გავლა შეუძლია. ბატარეების დასატენად გზაში 260 ცხძ-იანი ბენზინის ტურბოძრავა გამოიყენება. გარდა ამისა, აკუმულატორების დატენა 240-ვოლტიანი დენის წყაროდანაცაა შესაძლებელი. EPA-ს სერტიფიკატის მიღების შემდეგ, კომპანია „კარმამ“ თავისი ავტოების დილერებისათვის მიწოდების მზადყოფნა გამოთქვა. მომდინარე წლის ბოლომდე ბრენდი 10000 ეგზემპლარის გასაღებას გეგმავს. ■

თაგვმა თხარა, თხარაო...

ხანდახან არცთუ საფუძვლიანი ეჭვით გაჯერებული ქალური ცნობისმოყვარეობა სად აზრზე ძლიერია და ადამიანს ჯარგ მანერებსაც ავიწყებს: ხელი თავისთავად გაგირბის მისი ტელეფონის აჰარატისკენ, რათა შეიტყო, ვინ დაურეკა, შეამოწმო – ვისგან მიიღო „ესემესი"; ის ჯი არა და, სურვილი გიჩნდება, მისი შარვლის ჯიბეშიც მოაფათურო ხელი.

მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში — მაგალითად, გარეცხვის წინ. ასე რომ, წინასწარ გააფრთხილე შენი რჩეული და სინდისი დამშვიდებული გექნება. ვინც არ იმალება, დამნაშავეც არ არის.

თუმცაღა, ზოგიერთი მამაკაცი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ტანისამოსი შესამოწმებლად ყოველი გარეცხვის წინ მიუტანონ, რათა თავად შეამოწმოს საკუთარი ჯიბეები. რას იზამ — ტაბუ ტაბუა!

მეორე მხრივ, გახსოვდეს, რომ ასეთნაირად აღმოჩენილი ნებისმიერი ნივთი, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ის, შესაძლებელია, უამრავი, სხვადასხვაგვარი გზით მოხვდეს ახლანდელ მფლობელთან — ცხოვრება ხომ ნებისმიერ ფანტაზიაზე მდიდარია.

მის მანქანაში საეჭვო ნივთი აღმოაჩინე? ხარ კი დარწმუნებული, რომ მანქანის საჭეს მხოლოდ ის უზის? ეგებ, მანქანა მეგობარს (რომლის ცოლი, ამავე დროს, შენი ახლო მეგობარია) ათხოვა, მან კი საყვარელს გაუარა... როგორ გგონია, ასეთ შემთხვევაში მეუღლე ყველაფერს გულახდილად გიამბობს?

ჯიბეში ან მანქანაში აღმოჩენილი პომადა, საყურე თუ ქალის თეთრეული (ჩამონათვალი შესაძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს) ერთი შეხედვით, იდეალური საბაბია ურთიერთობის გასაწყვეტად. თუმცაღა გაითვალისწინე, რომ ასეთი მაკომპრომეტირებელი ნივთების დავიწყება ან ძალზე დაბნეულ კაცს შეუძლია, ან მას — ვისაც უნდა, რომ ეს კომპრომატი აღმოაჩინო.

ის თვალს ურცხვად გაგისწორებს, თბილად გაგიღიმებს და ისე მოგატყუებს. თანაც, დროთა განმავლობაში ამის გაკეთებას უფრო და უფრო მიეჩვევა, შენ კი სამუდამო, მტანჯველი ეჭვისთვის ხარ განწირული — გატყუებენ თუ არა ამჟამად? ერთი სიტყვით, გაფრთხილდი, ისე არ მოგივიდეს — თაგვმა თხარა, თხარაო, კატაო გამოთხარაო... ■

შებრაწული სპაგეტი ხორცით

4 ულუფისთვის

მასალად საჭიროა:

300 გ სპაგეტი;
1 კონა მწვანე ხახვის ფოთლები;
2 მწვანე ტკბილი წიწაკა;
300 გ პომიდორი;
400 გ დაკეპილი ხორცი;
2 ს/კ მზესუმზირას ზეთი;
2 კბილი ნიორი;
2 კვერცხი;
150 მლ რძე;
ცოტა ოხრახუში;
100 გ გახეხილი ყველი;
შავი წიწაკა.

მომზადების წესი:

მოხარშეთ სპაგეტი. დაჭერით ბოსტნეული. გააცხელეთ გაზქურა 200 გრადუსზე. ხორცი შეწვით ნიორთან ერთად. კვერცხი ათქვიფეთ რძესა და დაკეპილ ოხრახუშთან ერთად, შეურიეთ დაჭრილი პომიდორი; დაუმატეთ ყველი, მარილი და წიწაკა. ფორმაში ფენებად ჩააწყვეთ სპაგეტი, ხორცი, შემდეგ ისევ სპაგეტი და მოასხით სოუსი. აცხვეთ 20 წთ. ■

ინდოელი ქალების ნატურალური კოსმეტიკა

• ცხიმიანი კანის მოსავლელად ლიმონი იდეალური საშუალებაა. აიღეთ 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე ხაჭო. ერთმანეთში კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20 წუთი. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

• სახეს შესანიშნავად წმენდს და ჭიმავს კვერცხის ცილა. წაისვით სახეზე და 15 წუთი გაიჩერეთ. მოიცილეთ ლიმონის წვენგარეული თბილი წყლით.

• მშრალი კანისთვის შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა ვარდის ფურცლების, გვირილისა და ოხრახუშის ნაყენი. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ძემდგენელი თემურ ივანიძე

1. მდინარე იორდანე მკვდარ ზღვაში ჩაედინება.

2. კარტოფილს ღარიბების ამბროზიას ეძახდნენ.

3. ჯაკომო პუჩინი ყელის კიბოთი გარდაიცვალა.

4. მოწევა ევროპის ყველა სტადიონზე აკრძალულია.

5. ლევან გოთუამ „გმირთა ვარამი“ პატიმრობაში დაწერა.

6. „ნედავერიე ვისში ურავენ პარტნიორსტვა“, — ამბობენ რუსები.

7. ბილ გეითსის ყოველდღიური შემოსავალი 5 მილიონ დოლარს შეადგენს.

8. უოლტერ სკოტი და რობერტ ლუის სტივენსონი შოტლანდიელები იყვნენ.

9. ტელეფონზე საუბრის დროს სიტყვა „ალოს“ ხმარება ტომას ედისონმა შემოიღო.

10. „ჯობს ერთი დღე ლომი იყო, ვიდრე ასი დღე — ცხვარი“, — ამბობდა ბენიტო მუსოლინი.

11. მონაკოში საშემოსავლო გადასახადი არ არსებობს და ამის გამო ყვავის იქ კაზინოების ბიზნესი.

12. ხაკა ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობის, მაორების საბრძოლო ცეკვაა. მისი შესრულების დროს მაორები ენას უყოფდნენ მოწინააღმდეგეს, რაც მუქარის აღმნიშვნელ ჟესტად მიიჩნეოდა.

13. შეერთებულ შტატებში წელიწადში 10 მილიონი პლასტიკური ოპერაცია კეთდება. მათგან ყველაზე პოპულარულად კვლავ მკერდის გადიდების ოპერაცია რჩება.

14. ინგლისური მშვილდი იმდენად ძნელი მოსაზიდი იყო, რომ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი შუა საუკუნეების მშვილდოსანთა სკილეტებს მხრები არაბუნებრივად აქვთ გადიდებული.

15. სალვადორ დალი ამბობდა: „ორი რამისთვის ვწირავ ღმერთს მადლობას: იმისათვის, რომ ესპანელი ვარ და იმისათვის, რომ სალვადორ დალი ვარ“.

16. 1914 წელს, ბრიუსელის აღე-

რატომ ინება უფალმა, რომ რჩეული ერი მოსე წინასწარმეტყველს არ შეეყვანა აღთქმულ ქვეყანაში?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს მოსე წინასწარმეტყველთან დაკავშირებით...

მოსეს წასვლა ეგვიპტეში

ღვთისგან მიღებული ბრძანების შემდეგ მოსე გამოემშვიდობა სიმამრს და ცოლ-შვილთან ერთად ეგვიპტისკენ გაემართა. გზაში შეხვდა თავისი ძმა — აარონი. ისინი ერთად ჩავიდნენ ეგვიპტეში, შეკრიბეს ისრაელიანთა უხუცესები და გამოუცხადეს ღვთის ნება. მოსემ უამრავი სასწაული აღასრულა მათ წინაშე, რათა ისრაელიანები დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი ღვთისგან იყვნენ წარგზავნილები. ამის შემდეგ, მოსე და აარონი ეგვიპტის ფარაონთან მივიდნენ და ღვთის სახელით მოსთხოვეს ებრაელების ეგვიპტიდან გაშვება. ფარაონმა უარი განუცხადა და ებრაელებს კიდევ უფრო დაუმძიმდათ მდგომარეობა.

ამის გამო უფალმა ათი სასწაულებრივი სასჯელი მოუვლინა ეგვიპტელებს. ბოლო სასწაული იყო ეგვიპტელთა პირმშოების დაღუპვა, რომელთა შორისაც ფარაონის შვილიც აღმოჩნდა. ამან ძალზე შეაშფოთა ფარაონი და მოსეს ებრაელების ეგვიპტიდან გაყვანაზე დათანხმდა.

ისრაელიანთა ეგვიპტიდან გასვლა

ისრაელიანებს მოსეს პირით ეუწყათ ღვთისგან, მომზადებულიყვნენ ეგვიპტიდან გასასვლელად. ყველანი უნდა ყოფილიყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, სარტყელშემოკრულნი და სამგზავროდ გამზადებულნი. ყველა ოჯახს უნდა დაეკლა ერთი წლის კრავი და მისი სისხლი ჯვრის სახით მოეცხო სახლის კარზე; ხორცი შეეწვათ და იმ ღამესვე შეეჭამათ მწარე მწვანილითა და ხმიადით; კრავის ძვლები არ უნდა დაემტვრიათ — რაც შეუჭმელი დარჩებოდა, ცეცხლში უნდა დაეწვათ როგორც სიწმინდე. ისრაელიანებმა ღვთის ყველა ბრძანება შეასრულეს.

უფალმა ებრაელებს უბრძანა, ყოველწლიურად ედღესასწაულათ ეგვიპტიდან გამოსვლის დღე. ამ დღეს ეწოდა პასექი. სიტყვა „პასექი“ გამოხსნას ნიშნავს. პასექი იყო წინასახე მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა და კაცობრიობის გამოხსნისა. ამიტომაც ამ უდიდეს მოვლენას ახალ აღთქმაშიც პასექი ეწოდა.

აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალი რჩეული ერი

ისრაელიანები უფლისგან მივლენილმა სასწაულებრივმა სვეტმა მეწამულ ზღვასთან მიიყვანა და იქ შეისვენეს. შენიშნეს, რომ ფარაონის არმია მოსდევდათ, რათა კვლავ მონებად დაებრუნებინა ეგვიპტეში ან ერთიანად ამოეწყვიტა ისინი. ებრაელები შიშმა შეიპყრო. მოსე ამშვიდებდა მათ და მხურვალე ლოცვით შესთხოვდა უფალს გადარჩენას. ფარაონმა ზღვის პირას მიიმწყვდია ისრაელის ერი. ეგონა, ამ გზით დაიმორჩილებდა მათ, მაგრამ მოსემ ღვთის ბრძანებით დაჰკრა კვერთხი ზღვას, წყალი ორად გაიყო და ისრაელიანებმა ფსკერზე გაიარეს. მათ ფარაონის არმიაც მიჰყვა. მოსემ მეორედ დაჰკრა კვერთხი ზღვას. წყალი კვლავ შეერთდა და ეგვიპტელები ზღვაში დაინთქნენ.

ღვთის სასწაულები და სინას მთაზე მიცემული სჯული

მეწამული ზღვიდან გასვლის შემდეგ, უფალმა რჩეული ერი ორმოცდაათი დღის მანძილზე ატარა უდაბნოში, ორმოცდამეათე დღეს, ღვთის ბრძანებით, ისრაელიანები სინას მთასთან დაბანაკდნენ, სადაც უფალმა მათ გასაგონად წარმოთქვა ათი მცნება და მათი წმინდად დაცვა უბრძანა. ამის შემდეგ, მოსე ღვთის ბრძანებით ავიდა სინას მთაზე, სადაც ორმოცდღიანი ლოცვისა და მარხვის შემდეგ უფალმა მისცა ორი ქვის ფიქალზე დაწერილი ათი მცნება. როდესაც მოსეს მთიდან ჩამოსვლა შეაგვიანდა, ხალხმა იფიქრა, რომ მოკვდა, ოქროს ხბოს კერპი ჩამოასხეს და კერპთმსახურებას მიჰყვეს ხელი. ამის შესახებ მოსეს სინას მთაზეეე ეუწყა ღვთისგან. უფალმა მოსეს უთხრა, რომ ამ საშინელი შეცოდებისთვის მთელ ერს ამოხოცავდა.

დამწუხრებული მოსე სასწრაფოდ დაბრუნდა თავის ხალხთან. მათი უსჯულო საქციელის ხილვისას ძირს დაანარცხა ღვთისგან მიცემული ქვის ფილები. შემდეგ ოქროს ხბოს კერპი

ბოლო სასწაული იყო ეგვიპტელთა პირმშოების დაღუპვა, რომელთა შორისაც ფარაონის შვილიც აღმოჩნდა

დაამსხვრია და ისრაელიანებს განუცხადა, რომ თუკი სინანულში არ მოვიდოდნენ თავიანთი უსჯულო ქმედების გამო, სასტიკად დაისჯებოდნენ. ისინი სინანულმა მოიცვა.

ღვთის ბრძანებით მოსე კვლავ ავიდა სინას მთაზე, 40 დღის მანძილზე მარხულობდა და ლოცვით შესთხოვდა უფალს, მიეტევებინა ისრაელის ერისთვის შეცოდება და ეხსნა სასჯელისგან. მოსეს ლოცვა-ვედრებისა და ისრაელიანთა სინანულის სანაცვლოდ უფალმა მიუტევა თავის რჩეულ ერს. ამის შემდეგ, ღვთის ბრძანებით, მოსემ გააკეთა ორი ქვის დაფა, დამტვრეულის ნაცვლად და დაწერა მათზე ათი მცნება. უფალმა მოსეს ხელით ისრაელიანებს მისცა სჯული, რომელსაც ეწოდება მოსეს სჯული.

ამის შემდეგ, მოსემ ისრაელიანები წაიყვანა აღთქმული ქვეყნისკენ. მათ გზად ხშირად ხვდებოდათ სიძნელე. ამის გამო განუწყვეტლივ დრტვინავდნენ უფლის მიმართ. როდესაც ქანაანის — აღთქმული ქვეყნის საზღვარს მიაღწიეს, მოსემ და აარონმა 12 კაცი — ისრაელიანთა თორმეტი შტოდან თითო წარმომადგენელი გაუშვეს ქანაანის ქვეყნის დასაზვერად; უკან დაბრუნებულებმა თან მოიტანეს არაჩვეულებრივი ხილი და ხალხს უთხრეს, რომ ქვეყანა იყო მართლაც მშვენიერი, მდიდარი, ნაყოფიერი იალაღებით; მაგრამ ათმა მათგანმა, გარდა ისუ ნავეს ძისა და ქალებ იეფუნის ძისა, ხალხი დააშინა: ქანაანის მცხოვრებნი არიან ძალზე ძლიერნი, ბუმბერაზები, ცხოვრობენ დიდ და გამაგრებულ ქალაქში და მათი დამარცხება შეუძლებელი იქნებაო. მხოლოდ ისუ ნავეს ძე და ქალებ იეფუნის ძე არწმუნებდნენ ხალხს, რომ ღმერთის შეწევნით, აღთქმულ ქვეყანაზე დამკვიდრდებოდნენ; მთავარი იყო, არ ასჯანყებოდნენ უფალს, მაგრამ ებრაელებს არაფრის გაგონება არ სურდათ. სწორედ ამ პესიმიზმის გამო დაისაჯნენ ისრაელიანები ღვთისგან უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალით.

უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალი და მოსესა და აარონის აღსასრული

მოსეს წინამძღოლობით ებრაელები ორმოცი წლის მანძილზე დახეტიალებდნენ უდაბნოში და ხშირად იწყებდნენ დრტვინვას და ყვედრებას ღვთისა და მოსეს მიმართ. ასეთ დროს უფალი მათ უვლენდა განსაცდელს და მოსეს მეშვეობით უჩვენებდა სასწაულებს. უხუცეს ისრაელიანთაგან, რომლებიც მოსემ ეგვიპტიდან გამოიყვანა, მხოლოდ ქალებ იეფუნის ძე და ისუ ნავეს ძე შეიქნნენ ღირსნი აღთქმულ ქვეყანაში შესვლისა... აღთქმული ქვეყნის საზღვართან სჯულის გამოცხადებისას უფალმა მოსეს უბრძანა: „...ისინი იქნებიან დასჯილნი 40 წლის ხეტიალით უდაბნოში, სანამ არ ამოიხოცებიან ყველანი ოც წელზე უფროსნი“. აღთქმულ ქვეყანაში მხოლოდ მათი შვილები შევიდნენ.

როდესაც მოსემ ისრაელიანები აღთქმული ქვეყნის საზღვართან მიიყვანა, სასმელი წყალი შემოაკლდათ. სულმოკლე ხალხმა მაშინვე დაიწყო დრტვინვა და ჩივილი. მოსეს ყვედრიდნენ, — რატომ წამოგვიყვანე ეგვიპტიდან და გვატარებ ამ უდაბურ ადგილებშიო! შეწუხებულმა მოსემ და აარონმა ილოცეს სარწმუნოების კარავში. უფალმა უბრძანა მათ, შეეკრიბათ ხალხი, მოსეს აეღო კვერთხი და ხალხის თანდასწრებით ებრძანებინა კლდისთვის წყლის მოცემა.

დასრულდა ორმოცწლიანი ხეტიალი და ისრაელიანები კვლავ მიადგნენ აღთქმულ ქვეყანას. მოსე აღთქმული ქვეყნის საზღვართან აღესრულა. ამ დრომდე აღესრულა მისი ძმა, აარონიც.

გარდაცვალების წინ მოსემ აკურთხა ებრაელები, დაუბარა, ყოფილიყვნენ მორწმუნენი და მორჩილნი ღვთისა; არ დაევიწყებინათ უფლის სიკეთე და მზრუნველობა; წმინდად და შეურყვნელად დაეცვათ მისი კანონები. ბოლოს მოსე მახლობელ მთაზე ავიდა, იქიდან გადახედა აღთქმულ ქვეყანას და უფალს მიაბარა სული. ღვთის ნება-სურვილით, მის სიკვდილს კაცთაგან არავინ დასწრებია. მოსე ანგელოზებმა დაკრძალეს, მისი დაკრძალვის ადგილი უცნობი დარჩა... უფალმა მოსეს შემდეგ ისრაელიანთა წინამძღოლად ისუ ნავეს ძე გამოარჩია. სიკვდილის წინ მოსემ ხალხის წინაშე დამოძღვრა იგი და ერის წინამძღოლობა გადასცა. ებრაელები ისუ ნავეს ძეს უნდა შეეყვანა აღთქმულ ქვეყანაში, ასეთი იყო ნება ღვთისა... ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თემურ ივანიძე

ბის შემდეგ გერმანელებმა ქალაქის რატუშაზე შეცვალეს ბელგიური დროშა გერმანულით და ამავე შენობაში მდებარე დიდი საათი ბერლინის დროზე გადაიყვანეს.

17. გერმანული იაკტერიერი იდეალური ძაღლია სოროში მობინადრე ცხოველებზე სანადიროდ. იგი უშიშრად ძვრება ნებისმიერ სოროში და მანამ არ გამოდის, სანამ იქიდან ცხოველს არ გამოაგდებს. მას ხშირად საძიებელ სისტემას აბამენ კისერზე, რომელიც 12 მეტრის სიღრმეზე იჭერს სიგნალს. ყოფილა შემთხვევები, როცა მიწის ქვეშ 1 ან 2 საათის განმავლობაში გაუჩინარებული ძაღლი მონადირეებს ამ სისტემის დახმარებით უპოვიათ და მიწიდან ამოუთხრიათ, რადგან იგი ნადავლის გარეშე სოროდან არ ამოდიოდა.

18. „თუ გსურს ამერიკის ისტორია გაიგო, წიგნი უნდა აიღო და თუ გსურს რუსეთის ისტორია გაიგო, ნიჩაბი უნდა მოიმარჯვო, რადგან ამ ქვეყნის მიწა ძალადობრივი სიკვდილით დაღუპული ადამიანების გვამებით არის სავსე“, — ამბობენ ისტორიკოსები.

19. დღეს ჩერნობილის ატომური სადგური განაგრძობს მუშაობას. მწყობრიდან გამოსულ რეაქტორს ბეტონის სარკოფაგი აფარია, რომლის ვადა 25 წელზეა გათვლილი. რაც შეეხება რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ისინი კიდევ 200 წლის მანძილზე იქნებიან სიცოცხლისათვის საშიში.

20. ბეთჰოვენი საკუთარ მოსწავლეზე, ჯულიეტა გრიჩარდიზე იყო შეყვარებული და სწავლის საფასურს პრინციპულად არ ახდევინებდა. მადლობის ნიშნად ქალი კომპოზიტორს საკუთარი ხელით ამოქარგულ პერანგებს ჩუქნიდა. საბოლოოდ, ჯულიეტა ვიღაც ახალგაზრდა გრაფსა და კომპოზიტორს გაჰყვა ცოლად, რომელიც ბეთჰოვენზე მეტად მოსწონდა როგორც მამაკაცი და როგორც კომპოზიტორი.

„მოდელებს გვშია, გვცივა“...

ეთო ყორღანაშვილი

ანუკა ჯორბენაძე „საქართველოს მოდის კვირეულის“ „სტაჟიანი“ მოდელია. ის წლევანდელ „ფეშენ ვიკშიც“ მონაწილეობდა და ფოტოგრაფების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა...

ანუკა ჯორბენაძე:

— „ჯორჯიან ფეშენ ვიკში“ წელს უკვე მეოთხედ ვმონაწილეობდი.

— **ამ ხნის განმავლობაში, „მოდის კვირეულის“ უცხოელი სტუმრებისგან საინტერესო საქმიანი შეთავაზება არ მიგიღია?**

— ისეთი არა, რომ საქართველოში ყველაფრის მიტოვება და უცხოეთში გამგზავრება ღირდეს. ჯერჯერობით, საზღვარგარეთ მუშაობას არც ვაპირებ, რადგან 17 წლის ვარ. ჩემთვის „საქართველოს მოდის კვირეულში“ მონაწილეობაც დიდი წარმატებაა.

— **უცხოელი დიზაინერების ჩვენებებში თუ მონაწილეობდი?**

— წელს — არა. მოდელების ჯგუფები ისე იყო განაწილებული, რომ ვერ მოვახერხე. 5 ქართველი დიზაინერის ჩვენებაში ვმონაწილეობდი.



— **რამდენი ხანია, რაც სამოდელო სფეროში მუშაობ?**

— დაახლოებით, 3 წელია. საგენტო „სლაიდის“ მოდელი ვარ. ამ საქმის გაგრძელებას მომავალშიც ვაპირებ.

— **მართალია, მხოლოდ 17 წლის ხარ, მაგრამ 3 წლის განმავლობაში ალბათ, გემოვნება ჩამოგიყალიბდა. წლევანდელ „მოდის კვირეულს“ როგორ შეაფასებ?**

— ამ 3 წლის განმავლობაში მართლაც დიდი გამოცდილება მივიღე, გემოვნებაც დამეხვეწა. ქართველი დიზაინერებიდან ყველაზე მეტად ავთანდილის სამოსი და ანუკა ქებურიას ფეხსაცმელები მომწონს.

— **ახალბედა დიზაინერებზე რას გვეტყვი?**

— მათი შემოქმედებაც ძალიან მომწონს. მიხარია, რომ „ფეშენ ვიკი“ წელიწადში 2-ჯერ მაინც ტარდება. საქართველოში მოდის სფერო ნელ-ნელა ვითარდება, იხვეწება, ჩვენებები უფრო ორგანიზებული ხდება...

— **ხშირია შემთხვევა, როცა სამოსი არ მოგწონს, მაგრამ ჩვენების გამო მაინც იცვამ?**

— ასეთი შემთხვევები მქონია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოდელის ტანზე მორგებული სამოსი თავად დიზაინერს მოეწონოს. ამას მაქსიმალურად ვცდილობ.

— **ქართული „ფეშენ ვიკის“ მონაწილე დიზაინერების კოსტიუმები, მსუბუქად რომ ვთქვათ, ზოგჯერ სიცილის მიზეზიც გამხდარა. ასეთი კოსტიუმი თუ გცმია?**

— არა.

— **წელან ფოტოგრაფებმა უამრავი ფოტო გადაგიღეს. მათ „კვირეულის“ წარმომადგენლებმა შენიშვნაც კი მისცეს — სხვა გოგონებიც არსებობენ, ისინიც გადაიღეთო.**

— (*იცინის*) უცხოელ ფოტოგრაფებთანაც მიმუშავია. მათ „ფეშენ ვიკზე“ მნახეს და გადამიღეს.

— **ქართველ და უცხოელ ფოტოგრაფებთან მუშაობა ერთმანეთისგან რით განსხვავდება?**

— ქართველები ძალიან მომთხოვნები არ არიან. უცხოელები მომთხოვნები არიან, მაგრამ იმ პირობებს აკმაყოფილებენ, რაც მოდელს გადაღებისას უნდა შეუქმნან. ქართველებთან მუშაობისას გადაღება დიდხანს „იწელება“. მოდელებს გვშია, გვცივა... ამის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც კარგ შედეგს ვიღებთ.

— **უცხოელ მოდელებთან დაკავშირებით რას გვეტყვი? გამოცდილებას თუ გიზიარებენ ხოლმე?**



— წელს „ფეშენ ვიკზე“ უცხოელი მოდელები არ იყვნენ. წინათ უკრაინელები ჩამოვიდნენ. ის გოგონები ძალიან მნიშვნელოვანი, ცნობილი დიზაინერების ჩვენებებზე გამოდიოდნენ, გადაღებებში მონაწილეობდნენ, ჩვენ კი გამოცდილებას გვიზიარებდნენ.

— **ქართველ გოგონებს ხშირად აკრიტიკებენ, — პოდიუმზე სიარული არ იციანო...**

— ქართველი გოგონების უმეტესობას სიარულის ინდივიდუალური მანერა აქვს. უკრაინელებს ეს პრობლემა არ ჰქონიათ — პოდიუმზე ერთნაირად კარგად დადიოდნენ. შესაბამისად, მათგან ვისწავლეთ, პოდიუმზე კოლექცია კარგად როგორ უნდა წარმოვაჩინოთ.

— **პოდიუმზე გაუთვალისწინებელ სიტუაციაში არ აღმოჩენილხარ?**

— ამ ჩვენებაზე არა, მაგრამ ერთხელ ფეხსაცმლის ქუსლი გამეღუნა. ისე მოვიქეცი, რომ დამსწრე საზოგადოება ვერაფერს მიხვდა.

— **უცხოელი დიზაინერის ფეხსაცმელები გეცვა თუ ქართველის?**

— ქართველის, ოღონდ მის ვინაობას ვერ გაგიმხელ (*იცინის*).

— **მაშინ მითხარი, — შენ დადიოდი პოდიუმზე მოუხერხებლად თუ ფეხსაცმელი იყო უვარგისი?**

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ფეხსაცმელს ქუსლი კინაღამ მოსტყდა. ისე, ძალიან კარგი დიზაინერის შექმნილი იყო. არა მგონია, მისი ბრალი ყოფილიყო...

■

შატილიონ ბეწიკუას ამბავი

შატილის ძველ სასაფლაოზე, რომელსაც სოფლის მცხოვრებნი „ვაკისგორს“ ეძახიან, განმარტოებით ძევს ერთი მოზრდილი ლოდი, რომელზეც ძლივსღა იკითხება წარწერა: „ქ. უფალო, დააყენე ნათელი ხირჩლას, რომელმაც ხანჯლით წახკლა ქისტი ამა სოფლიდან ხარების გატაცების დროს 1934“. ხევსური უხუცესების გადმოცემით, ლოდქვეშ ცნობილი კაი ყმა — ხირჩლა (იგივე ბეწიკუა) ჭინჭარაული მარხია, წარწერა კი შატილელ მღვდელს, მამა იოსებ (ბახა) ჭინჭარაულს გაუკეთებინებია. ბეწიკუასა და მოთარეშე ქისტის შებმის ამბავი არა მარტო შატილში, არამედ მთელ ხევსურეთში დიდად პოპულარულია და მას აქაური მოხუცები დიდი ხალისით ჰყვებიან. გასულ კვირას, ბარისახოში გახლდით და იქ კიდევ ერთხელ მოვისმინე ეს ამბავი, თან არა მარტო ხევსურთაგან, არამედ ქისტებისგანაც. ჩემმა მასპინძელმაც და მისმა სტუმრებმაც ბეწიკუასა და მის მოწინააღმდეგე ქისტზე ისე დაწვრილებით მიამბეს, რომ არც შეიძლებოდა, სტატია არ დამეწერა.

მიხეილ ლაბაძე

ბეწიკუას კოშკი შატილში

გასული საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში, როცა საქართველოში ბოლშევიკებმა ფეხი მოიკიდეს და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლნი ქვეყნიდან განდევნეს, ხევსურეთში მივლენილმა პარტიულებმა ქისტებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად ხალხში აგიტაცია დაიწყეს. ხევსურებსა და ქისტებს შორის იმხანად მტრობაც იყო და მეგობრობაც, მაგრამ „წითლებს“ სურდათ, რომ მთიელთა ურთიერთობა თავად ეკონტროლებინათ, რადგან მათი ერთობლივი ანტისაბჭოთა გამოსვლები თავიდან აეცილებინათ. ამ მიზნით, საქართველოს „ჩეკას“ მესვეურებმა ხევსურეთის ყველა თემის უხუცესს პირდაპირ მოსთხოვეს, რომ ქისტებზე აღარ ელაშქრათ და მათთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდათ.

1928 წლის აგვისტოს ბოლოს, შატილელმა ხევსურებმა და ჯარეგოს თემის (სოფელი ჯარეგო შატილიდან 9 კმ-ითაა დაშორებული) ქისტებმა, „ჩეკისტების“ მოთხოვნით, ე.წ. „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება დადეს და ერთმანეთს საჩუქრებიც გადასცეს — ხევსურებმა ქისტებს ქართული წარმოების აბრეშუმი აჩუქეს, ქისტებმა ხევსურებს — კარაქის მექანიკური სადღვები (სხვათა შორის, ეს ფაქტი წლების შემდეგ აისახა ქართულ ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელშეკრულებას ხევსურების და ქისტების ურთიერთობაში ბევრი არაფერი შეუცვლია — წავიდნენ თუ არა ჩეკისტები ბარში, ყველაფერი ისევე გაგრძელდა, როგორც ადრე, თუმცაღა მასშტაბური ლაშქრობების მოწყობისაგან ორივე მხარე უკვე თავს იკავებდა.

ხელშეკრულების დადებიდან დიდი დრო არც იყო გასული, როცა შატილიონი (ასე ჰქვია ხევსურულად შატილის მცხოვრებს) ხირჩლა ჭინჭარაული სოფელ ჯარეგოდან შინ ბრუნდებოდა. გადმოცემით, ის კაფანდარა, წელწვრილი ბიჭი ყოფილა: „ბალღური სერი (იერი) ხქონდ, მაგრამ გულით ვაჟკაც იყვ“, — ასე ახასიათებენ მას ხევსური უხუცესები. ამიტომაც ნამდვილ სახელს არავინ ეძახდა, მეტსახელ „ბეწიკუათი“ (რაც ხევსურულად „პაწაწინას“ ნიშნავს) იხსენიებდნენ. იმ დღეს ჯარეგოში ქორწილი იყო და ბეწიკუა კარგა შეზარხოშებულიყო ლუდით.

შატილისაკენ მომავალ ხევსურ ყმაწვილს გზაზე ორი ქისტი შეხვდა, რომლებიც ხარებს მოერეკებოდნენ. ისინიც ჯარეგოელები იყვნენ, ბეწიკუასაც იცნობდნენ, მაგრამ სალამი არ მისცეს და სწორედ ამან დააეჭვა ყმაწვილიც — მან ხარებს გადახედა და, იცნო, ვისიც იყო: აშკარად ჩანდა, რომ ქისტებს ბეწიკუას მეზობლის — ანატორელთ გიგუჩის ხარები მოეპარათ. „საიდან მოგყავთ ეგ ხარები?“ — გასძახა ბეწიკუამ ქისტებს. „სუნამ ცა ხოვ! (მე რა ვიცი!)“ — უკმეხად უპასუხა ერთ-ერთმა ქისტურად, მეორემ კი ხარებს მათრახი გადაუჭირა, რომ ხევსურს მალე გასცლოდა. „სად მიდიხართ, ან ჩემი სოფლელის ხარები სად მიგყავთ, ახლავე დატოვეთ!“ — ხანჯალზე ხელი გაივლო კაი ყმამ. „აბა, იყუჩე ბალღო, თორემ ამ ხარებს შენც თან გაგაყოლებ!“ — ქართულად შეუძახა უფროსმა ქისტმა, რომელსაც სახელად ბისანას ეძახდნენ. ბეწიკუა კარგად იცნობდა მას და იცოდა, როგორი მებრძოლიც იყო, მაგრამ ოდნავადაც არ შეშინებია: „როგორ თუ თან გამაყოლებ! აბა ერთი, ჩამოდი ცხენიდან!“ — დაუძახა მან შემხვედრს, თვითონაც უცებვე ჩამოქვეითდა და ხანჯალი იშიშვლა.

ბისანა და მისი მხლებელიც (ძმისწული — გურჯიელგი) ჩამოხტნენ ცხენებიდან და ხანჯალმომარჯვებულ ხევსურს დაუხვდნენ. ბეწიკუამ პირველივე მოქნევით გურჯიელგს სახეზე საკმაოდ ღრმა ჭრილობა მიაყენა და ბრძოლის ხალისიც უცებ დააკარგვინა. ბისანამ მას დაუყვირა, სოფელში წადი, ჩვენები გააფრთხილეო და ბეწიკუას მოგერიება საკუთარ თავზე აიღო. ის ხევსურზე უფროსიც იყო და ძლიერიც, მაგრამ ბეწიკუა არ შეჰპუებია — ქისტის მოქნეული ხანჯალი რამდენჯერმე აიცილა, თავად კი საპასუხოდ მსუბუქად დაჭრა ხელში. ბისანამ ხანჯალი მაინც არ გააგდო და შეეცადა, კაფანდარა ხევსური ღონით დაეჯაბნა — მარცხენა ხელი უცებ საყელოში ჩასჭიდა და კისრულით წამოღება დაუპირა. ბეწიკუა მედგრად დაუხვდა, კისრულის საწინა-

აღმდეგო ილეთიც ჩაუტარა და, თანაც, დრო როგორც კი იხელთა, ხანჯლით მუცელი გამოუფატრა. ბისანა შედგა, ერთი გაოცებით დახედა მუცლიდან გადმოყრილ შიგნეულობას და იქვე ჩაიკეცა. ის მაშინვე არ მომკვდარა, ხოლო ბეწიკუამ, რაოდენ გასაკვირადაც უნდა ჟღერდეს ეს დღევანდელი გადასახედიდან, ცხენს ნაბადი ჩამოხსნა, მძიმედ დაჭრილი ქისტი ზედ დააწვინა, თავად კი ხარები შატილისკენ გამოირეკა. გზად მას თანასოფლელები შეხვდნენ და რაღა თქმა უნდა, ბიჭმაც მათ ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ბეწიკუა და ხახონ ჭინჭარაულები. გასული საუკუნის 20-იანი წ. ფოტო

რამდენადაც „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება ზემდგომთა მოთხოვნით იყო დადებული და, ბისანას სიკვდილს შესაძლებელი იყო დიდი გართულება მოჰყოლოდა არა მარტო მისი ნათესავების, არამედ უპირველესად, „ჩეკას“ მხრიდან, შატილელები იმწამსვე გაემართნენ შემთხვევის ადგილისაკენ. იქ მათ ბისანას ძმისწული და რამდენიმე სხვა ნათესავი დახვდათ; მძიმედ დაჭრილი ბისანა კი სულს ღაფავდა და თავისიანებს ევედრებოდა, ბეწიკუა არ მოეკლათ: „მე მართლაც პაწაწინა მეგონა, ეგ კი დევგმირი ყოფილა... ყველაფერი ჩემი ბრალი იყო — მე მოვექეცი ბიჭს უზრდელად! კარგი ვაჟკაცი დადგება და ფიცი მომეცით, რომ არ მოკლავთ!“ — იხვეწებოდა მომაკვდავი ქისტი. მისი ნათესავები ხმასაც არ იღებდნენ; ცდილობდნენ ფრთხილად აეყვანათ დაჭრილი და შინ როგორმე ცოცხალი მიეყვანათ. ნაბდებითა და ყაბალახებით სახელდახელოდ საკაცის მაგვარი რაღაც გააკეთეს, ზედ ბისანა დააწვინეს და ჯარეგოსკენ წაიყვანეს.

ამ ყველაფერს თავად ბეწიკუა და სხვა ხევსურები მახლობელი გორაკიდან თვალს ადევნებდნენ, მაგრამ არაფერი მოუმოქმედებიათ. ისინი ქისტებმაც დაინახეს, მაგრამ არც მათ უქნიათ რამე. იმავე საღამოს შატილელებმა შეიტყვეს, რომ მძიმედ დაჭრილი ბისანა გარდაიცვალა. ცხადი იყო, რომ ქისტები სისხლის აღებაზე უარს არ იტყოდნენ და არც ხევსურებს ჰქონდათ ტყუილად ამის იმედი. მართლაცდა, სისხლის ძიება გურჯიელგმა მაშინვე დაიწყო, როგორც კი ბისანა მიწას მიაბარეს — იგი შატილის ტერიტორიაზე გადმოვიდა და მოსისხლეებზე ცნობების შეგროვებას მიჰყო ხელი. გურჯიელგმა მალევე გაარკვია, რომ ბეწიკუა და მამამისი ხახონი რამდენიმე დღეში შატილიდან გუროში უნდა წასულიყვნენ საქმეზე და გზაზე ჩაუსაფრდა მათ.

იმ დღეს გურჯიელგმა სისხლის აღება ვერ შეძლო — ხახონს და ბეწიკუას სხვებიც ახლდნენ თან, ამიტომ ქისტმა მათ მხოლოდ შორიდან ესროლა. როგორც ჩანს, ის ღელავდა და ბეწიკუას ააცდინა. საპასუხოდ, ხახონმა დამბაჩით ქისტი ხელში დაჭრა. გურჯიელგი უკუიქცა და ძლივსღა გადაურჩა ხევსურთა ტყვიებს. მან მუცოს თემის სოფელ ხონეს შეაფარა თავი. იქ ქისტები (გვარად ბორჩაშვილები) ცხოვრობდნენ და გურჯიელგიც მათ ესტუმრა, მოგონილი სახელით გაეცნო და სთხოვა, ღამე გამათევინეთო: „მითხოელი ქისტი ვარ, თიანეთში მივდივარ, შემომაღამდა და მოგადექით... ხვალ დილით ადრე ავდგები და გზას გავაგრძელებ“, — უთხრა მასპინძლებს.

მეორე დილით, გურჯიელგი ისევ შატილისკენ გაემართა და სოფლის მახლობლად, ხახონ ჭინჭარაულის ყანაში ჩასაფრდა. აქ მან როგორც იქნა, მოიხელთა ბეწიკუა, მაგრამ ხევსურმა სროლა დაასწრო — ტყვია გურჯიელგს შიგ შუბლში მოხვდა და სულიც იქვე განუტევა. ამგვარად, ბეწიკუა ჭინჭარაულს „ორი სისხლი“ დაეკისრა — ერთი ბისანასი და მეორე მისი ძმისწულისა. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ დუშეთში „ჩეკამ“ შუღლის ამბავი შეიტყო. მათი წარმომადგენელი, ვინმე ფალავანდიშვილი შატილში ამოვიდა და ხახონ ჭინჭარაულს პასუხი მოსთხოვა: „ხელშეკრულება რატომ დაარღვიე? რაღა დროს შუღლია, როდესაც აქ უკვე საბჭოთა ხელისუფლებაა, ხალხთა შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ, თქვენ კი ძველებურად შუღლობთ ქისტებთან!“ — უთხრა ჩეკისტმა ხახონს. მან ხევსურს მოსთხოვა, სასწრაფოდ დაეტოვებინა შატილი და დროებით სადმე წასულიყო: „ეს აუცილებელია, ვინაიდან შუღლის ამბავი თბილისში გაიგეს და თუ შატილიდან დროებით არ წახვალ, შესაძლოა, შენც დაგიჭირონ და ის ქისტებიც“, — გააფრთხილა ჩეკისტმა ხევსური.

ხახონ ჭინჭარაული შეეჭვდა — ორ სისხლს ქისტები არაფრით აპატიებდნენ; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შუღლი გაგრძელდებოდა. არადა, თბილისში უკვე კანონიც კი გამოეცათ, რომელიც სისხლის აღებას კრძალავდა. ჩეკისტი ფალავანდიშვილი ხახონს არწმუნებდა, რომ ყველაფერს თავადვე მოაგვარებდა, ოღონდაც ის შატილს გასცლოდა და ქისტებთან შუღლიანობა აღარ გაეგრძელებინა. ხევსური შვილს მოელაპარაკა, ყველაფერი აუხსნა და დაითანხმა, რომ დროებით თავი პირაქეთ ხევსურეთისთვის შეეფარებინათ. „თუ ასე არ გავაკეთეთ, დაჭერით გვემუქრებიან!“ — ამცნო ხახონმა შვილს, რომელიც არცთუ კმაყოფილი ჩანდა მამის გადაწყვეტილებით: „ქისტები თავად გვეშუღლებიან და თუ ჩვენ შატილს დავტოვებთ, ხომ გაქცევა გამოგვივა... ლაჩრებივით რატომ უნდა მოვიქცეთ?“ — უკვირდა ბეწიკუას, თუმცა მამის სიტყვას მაინც ვერ გადავიდა და დათანხმდა.

ხახონ ჭინჭარაული ოჯახით პირაქეთა ხევსურეთში გადაიხვეწა, ჩეკისტებმა კი საქმე თავისებურად მოაგვარეს: ჯარეგოში (ის მაშინ

საქართველოს შემადგენლობაში იყო) გადავიდნენ, მოკლული ქისტის ოჯახის წევრები და ნათესავები დააპატიმრეს — სისხლის ძიება როგორ გაბედეთო. ქისტებმა ეს, რაღა თქმა უნდა, ხახონის შატილიდან წასვლას დაუკავშირეს და მიიჩნიეს, რომ ბისანას სახლიკაცები ხევსურებმა დააბეზღეს „ჩეკაში“. ბისანას ვაჟი — ლომ-ალი, რომელიც მამის სისხლის აღებით, ცხადია, ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, ციმბირის ერთ-ერთ შორეულ ბანაკში გაამწესეს, რათა სისხლი ვეღარ აეღო. ასევე შორს გაგზავნეს ბისანას მეუღლე, დები, ძმები და მათი შვილები.

პირაქეთში, მოკეთესთან თავშეფარებულ ხახონის ოჯახს ჩეკისტი ფალავანდიშვილი შატილიდან აღარაფერს ატყობინებდა; არადა, ოჯახის უფროსსაც და ბეწიკუასაც უკან გაბრუნება დიდად სურდათ. ხახონი თავად სიტყვის კაცი იყო და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ „მთავრობის კაცი“ ტყუილს იკადრებდა. „ფალავანდიშვილი აუცილებლად გვეტყვის, როდის დავბრუნდეთ... მანამდე კი, მოთმინება გვმართებს“, — ამშვიდებდა ხახონი შვილსა და ცოლს, რომლებიც „ამანათობის“ (ასე ჰქვია ხევსურეთში ნათესავთან შეხიზვნას სისხლის ძიებისგან თავის არიდების მიზნით) გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

სწორედ ამ დროს, ბეწიკუა ჭინჭარაული დათვისელმა არაბულებმა ქორწილში დაპატიჟეს. სხვებთან ერთად, იქ ბისანას ერთ-ერთი შორეული ნათესავიც იყო, რომელმაც მოსისხლე მაშინვე კი იცნო, მაგრამ სხვის სახლში ვერაფერს გააწყობდა და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ხევსურის გასაგონად თქვა: „სირცხვილი ამათ გვარს! მოსისხლეთ თავს არიდებენ, მილიციაშიც საჩივლელად დარბიან და თავი კი ვაჟკაცებად მოაქვთ!“ ბეწიკუა ამის გაგონებისთანავე წამოენთო და სუფრის დატოვება დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს; ქისტს კი საყვედური უთხრეს. იმ საღამოს მასპინძლებმა უთანხმოება თავიდან აიცილეს და სტუმრებიც მშვიდობიანად გააცილეს სახლებში, მაგრამ ბეწიკუამ მოსვენება დაკარგა — მან დაწვრილებით შეიტყო, რაც მომხდარიყო ჯარეგოში და რაშიც სდებდნენ ბრალს ქისტები. ის დამნაშავე, ცხადია, არ იყო, მაგრამ თავის მართლება მოუწევდა და სწორედ ამის გამო წუხდა; ბეწიკუამ თავდაპირველად მამას არაფერი უთხრა; ადგილობრივ ძმადნაფიცებთან ერთად წავიდა, ბლომად არაყი დალია და სახლში მთვრალი მივიდა. ეს ხევსურს არ შეშვენოდა და ხახონმა შვილს უსაყვედურა: „უცხო სოფელში ამანათებად ვართ გადმოსულნი და ასე არ უნდა დამთვრალიყავი!“

გადმოცემით, ბეწიკუამ იუკადრისა მამის საყვედური და იმავე ღამეს, თოფით თავი მოიკლა. ეს გარკვეულწილად, სიმართლეა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თავის მოკვლის უმთავრესი მიზეზი ქისტებთან ნაჭამი სირცხვილი იყო. ამის თაობაზე ბეწიკუა თვითმკვლელობამდე დაწერილ წერილშიც კი წერდა თურმე, მაგრამ ხევსურებში თვითმკვლელობაც სირცხვილად ითვლებოდა და, ხახონს წერილი დაუწვავს. ყველაფერი, რაც წერილში ეწერა, ბეწიკუას წაწალმა — დათვისელმა მზექალამაც იცოდა. შემდგომში მან ციმბირში ბისანას შვილი გამოძებნა, ინახულა და მოსისხლის ამბავიც უამბო.

ბეწიკუას მოკლული ქისტი ბისანა

ბეწიკუა, ხევსურული ადათის თანახმად, მშობლიურ შატილში ზარით გადაასვენეს. როგორც წესი, თვითმკვლელისათვის წესის აგება არ შეიძლება, მაგრამ შატილელმა მღვდელმა, მამა იოსებ ჭინჭარაულმა მაინც ილოცა მისი სულისათვის და საფლავის ლოდზეც წარწერა გააკეთებინა. შატილელებმა კაი ყმა ორმოცი დღე იგლოვეს და მის სახელზე, საფლავთან ახლოს, კოშკიც კი ააგეს. ის დღესაც კარგადაა შემონახული და „კაი ყმის კოშკს“ ეძახიან.

წლების შემდეგ ბეწიკუას მოკლულის შვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა და შატილში სპეციალურად ჩავიდა, რათა მკვლელისათვის ჩადენილი შეენდო. ლომ-ალიმ ბეწიკუას სულის „სამხვეწროდ“ თეთრი ხარი ჩამოიყვანა, სასაფლაოზევე დაკლა და ხორცი შატილელ ქვრივ-ობლებს დაურიგა. ასე შეწყდა შუღლი შატილელებსა და ჯარეგოელებს შორის. სხვათა შორის, ეს ხევსურებსა და ქისტებს შორის მტრობის უკანასკნელი შემთხვევა იყო — ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ სტალინმა ჩეჩენ-ინგუშები (და მათ შორის, ცხადია — ჯარეგოელი ქისტებიც) შუა აზიაში გადაასახლა, ხევსურები კი აიძულა, მთები დაეტოვებინათ და ბარში ჩასულიყვნენ.

■

ბისანას ოჯახის წევრები ციმბირში. გასული საუკუნის 30-იანი წ. ფოტო

„ჩემი პრობლემა ბევრმა არ იცის“

„ახლობელი ადამიანები დავკარგე“...

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ქართული სატელევიზიო არხები სარეკლამო კლიპის საშუალებით გვეუბნებიან, რომ ურთიერთობით, მეგობრობით, ხელის ჩამორთმევით, ჩახუტებით, „სითბო და სიყვარული გადადის, შიდსი კი — არა“. მე-20 საუკუნის სენად წოდებული დაავადება ჩვენს დროში უკვე მომაკვდინებელი აღარაა. თუ ინფიცირებული ადამიანი ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს და მედიკამენტებსაც რეგულარულად იღებს, საბოლოოდ ვერ განიკურნება, მაგრამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება.

თამუნა როსტიაშვილი

მსოფლიო სტატისტიკით საქართველო აივ-ინფექციისა და შიდსის დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღრიცხულის გარდა, სამწუხაროდ, 4 ათასამდე არარეგისტრირებული შემთხვევაა. ეს კი ჩვენი მცირერიცხოვანი ერისთვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში ვირუსით ინფიცირების სულ 2991 შემთხვევაა რეგისტრირებული. აქედან 2199 მამაკაცია, ხოლო 792 — ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. მიმდინარე წელს 300 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ინფექციის ძირითადი გადაცემის წყაროდ ინტრავენური ნარკომანია რჩება.

შიდსი საყოველთაო პრობლემაა და ის ყველას ემუქრება, განურჩევლად სქესის, ასაკისა თუ ეროვნებისა. საზოგადოებაში დაავადების შესახებ არასაკმარისი ცოდნის გამო ხშირია დაავადებულთა დისკრიმინაციის ფაქტი. აქედან გამომდინარე, ინფიცირებულების უმეტესობა თავის „სტატუსს“ მალავს, ეს კი დაავადების გავრცელებას მეტად უწყობს ხელს.

თათა, *25 წლის:*

— 19 წლის ვიყავი, როდესაც მეგობართან შემთხვევით ერთი ბიჭი გავიცანი. ნიკას ძალიან მალე შევუყვარდი, მე კი მის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ სიმპათიური ბიჭი იყო, გულგრილი ვიყავი. უფრო მეტიც — მასთან ურთიერთობას გავურბოდი, რადგან ყურმოკვრით გაგებული მქონდა, რომ ნარკოტიკებს მოიხმარდა. ნიკა ჩემთან დაახლოებას ცდილობდა. გაცნობიდან 3 თვის განმავლობაში მხოლოდ 5-ჯერ მყავდა ნანახი. ერთ დღეს, როდესაც უნივერსიტეტიდან ვბრუნდებოდი, გზაზე დამხვდა და მომიტაცა. მისი ცოლობის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ დამიმორჩილა. ასე გავხდი მისი ცოლი.

— ნიკა აივ-ინფიცირებული იყო?

— კი, სამწუხაროდ. ეს მან იცოდა კიდეც. ქორწინებიდან ორ თვეში ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის გამო გარდაიცვალა. მშობლებთან დავბრუნდი. ნიკას გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ, მისი მშობლებისგან გავიგე, რომ შიდსით ყოფილა დავირუსებული. შოკში ჩავვარდი. იმ დღესვე სისხლის ანალიზი ჩავაბარე. სანამ პასუხს მეტყოდნენ, წამები საუკუნედ მომეჩვენა. რატომღაც იმედს არ ვკარგავდი და ვფიქრობდი, რომ დაინფიცირებული არ აღმოვჩნდებოდი. სამწუხაროდ, იმედი გამიცრუვდა. მას შემდეგ ვმკურნალობ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ნებისმიერი ბასრი საგნის დანახვისას, მომენტალურად ჩემი დაავადება მახსენდება და ვცდილობ, არ შევეხო.

— გაგიჭირდა ამ დაავადებასთან ფსიქოლოგიურად შეგუება?

— ეს გაცილებით ძნელია, ვიდრე ის, რომ ყოველდღიურად მიწევს წამლების სმა. დიდი დრო დამჭირდა, რომ იმედი და რწმენა შემენარჩუნებინა. ძალიან მეშინოდა სიკვდილის. ვფიქრობდი, რომ ეს არის განუკურნებელი დაავადება და მალევე ბოლოს მომიღებდა. მეგობარი ფსიქოლოგი მყავს და მისი დიდი ძალისხმევის შედეგად, დღეს უკვე მომავალს იმედით ვუყურებ და იმ რწმენით ვცხოვრობ, რომ შიდსზე უფრო მეტად მძიმე დაავადებებიც არსებობს. ჩემი პრობლემა ბევრმა არ იცის. თუნდაც — მეგობრებმა და არც მიმაჩნია საჭიროდ, რომ ვუთხრა. ესეც იმის გამო, რომ საზოგადოებაში არსებობს სტიგმა, ინფიცირებულების მიმართ.

— როგორ ხედავ მომავალს, რას აპირებ?

— მადლობას ვწირავ უფალს, რომ გვერდით მყავს ადამიანი, რომელიც ჩემი მეორე ნახევარია. ვიცი, რომ უზომოდ ვუყვარვარ და მეც ასევე, ძალიან მიყვარს. მან, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის. ის მხოლოდ მეუღლე კი არა, ჩემი უახლოესი მეგობარიცაა. თუ უფალმა წყალობა გაიმეტა, ვაპირებთ ვიყოლიოთ შვილი დონორი ქალისგან. არსებობს შანსი, რომ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ჩემი ბიოლოგიური შვილი ჯანმრთელი დაიბადოს, მაგრამ გარისკვას არ ვაპირებთ.

ლაშა, *35 წლის:*

— ზუსტად ვერ გეტყვით, რა გზით დავვირუსდი. ის კი ვიცი, რომ ნარკოტიკი არასდროს მიმიღია. სამედიცინო მანიპულაცია იყო თუ შემთხვევითი სქესობრივი კავშირი, ვერ გეტყვით. 7 წლის წინ, სრულიად შემთხვევით ჩავაბარე ტესტი, სულ სხვა რამის გამოსარკვევად და მითხრეს, რომ აივ-დადებითი ვარ. ამის გაგება ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც ტრაგედია იყო, მა-

შიდსი საყოველთაო პრობლემაა და ის ყველას ემუქრება, განურჩევლად სქესის, ასაკისა თუ ეროვნებისა

გრამ რას ვიზამდი? ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ჩემი ოჯახიც თანდათანობით შეეგუა.

— მეგობრებმა თუ იციან ამის შესახებ?

— ძალიან ახლო მეგობრებმა, რა თქმა უნდა, იციან... ყველას ვერ ვეუბნები, რადგან არ ვიცი, როგორი რეაქცია ექნებათ. სამწუხაროდ, ბევრი აივ-ინფიცირებულს კეთროვანივით უყურებს; ეშინიათ და უფრთხიან ურთიერთობას დაავადებულთან. ეს ყველაფერი ძალიან დამთრგუნველია.

— ახლობელი ადამიანი თუ დაგიკარგავს მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ აივ-დადებითი ხარ?

— სამწუხაროდ, დავკარგე. მყავდა სტუდენტობის დროინდელი ორი ძალიან ახლო მეგობარი. სულ ერთად ვიყავით და მართლა უძლიერესი მეგობრობა გვაკავშირებდა. იცოდნენ ჩემი პრობლემის შესახებ და დროთა განმავლობაში ჩამომშორდნენ. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ჩემი დაავადების გამო მოხდა, მაგრამ მგონია, რომ სხვა მიზეზი არ არსებობდა. ამის გამო ძალიან მეტკინა გული, მაგრამ რა გაეწყობა?! დამრჩენები ყოველთვის ჩემთან დარჩებიან, წამსვლელებს კი როგორც ენებოთ — წავიდნენ!

— დაოჯახებული ხარ?

— სამწუხაროდ — არა. აუცილებლად დავოჯახდები. მედიკამენტებს ყოველდღიურად ვსვამ. გარდა ამისა, ვცხოვრობ ჯანსაღი ცხოვრების წესით. არ ვეკარები ნარკოტიკებს, ალკოჰოლსაც ზომიერად გეახლებით. ამიტომ, ჩემს ორგანიზმში იმდენად სუსტად არის აივ-ი, რომ სხვაზე გადაცემის რისკი არ არსებობს. გამოკვლევებს 4 თვეში ერთხელ ვიტარებ. აბსოლუტურად არაფერი მაწუხებს. წამლების დალევა უკვე ჩვევად მექცა. ხანდახან ისიც კი მავიწყდება, რატომ ვსვამ წამლებს. როცა ადამიანი აივ-ინფიცირებულია, ეს ნამდვილად არ არის ტრაგედია, რადგან ეს არ არის მომაკვდინებელი სენი.

მაია ცინცაძე, *ეპიდემიოლოგიური განყოფილების ექიმი, მედიცინის დოქტორი:*

— დიდი ხნის განმავლობაში აივ-ი და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილებოდა, მაგრამ რეალურად შიდსის ეპიდემიასა და სქესობრივი გზით გადამცემი ინფექციების გავრცელებას შორის ურთიერთკავშირი არსებობს. აივ-ინფიცირებული ადამიანების საკმაოდ დიდი ნაწილი ამავე დროს C ჰეპატიტის მატარებელიცაა. ამიტომ ყველა აივ-ინფიცირებულისთვის რეკომენდებულია ტესტირება C ჰეპატიტზე. აივ-დადებითი ადამიანებისა და მათი ექიმების მნიშვნელოვანი ამოცანაა C ჰეპატიტის პროფილაქტიკა, ხოლო ორგანიზმში მისი არსებობის შემთხვევაში კი ღვიძლის ქრონიკული დაავადებების რისკის შემცირება. აივ-ინფექციითა და C ჰეპატიტით ერთდროული ინფიცირება დამახასიათებელია ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის, ვინაიდან ვირუსი ადვილად გადადის სისხლით.

— შესაძლებელია, რომ შიდსით დაავადებულს C ჰეპატიტი არ განუვითარდეს?

— აივ-დადებითი სტატუსის მქონე ადამიანებს (ეს ეხება ნარკოტიკების მომხმარებლებს) შეუძლიათ თავიდან აიცილონ C ჰეპატიტით ინფიცირება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საინიექციო ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტა. თუ ადამიანი მაინც განაგრძობს საინიექციო ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას, აუცილებელია ყოველ ჯერზე სტერილური, ერთჯერადი შპრიცის გამოყენება. დაუშვებელია ნემსის, შპრიცის, ნარკოტიკის მომზადებისთვის საჭირო წყლისა და ინსტრუმენტების განმეორებითი მოხმარება.

— შიდსი ადამიანის ორგანიზმში დავირუსებიდან რა პერიოდში ვლინდება და რა სიმპტომები ახასიათებს?

— ვირუსის დადგენა დავირუსებიდან 3-4 თვის შემდეგ ხდება. დაავადებას კონკრეტული სიმპტომატიკა არ ახასიათებს. ორგანიზმის სისუსტე, წონაში კლება, მუდმივი სურდო, მაღალი ტემპერატურა და ფაღარათი არ ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი შიდსით არის დაავადებული.

— რა ჯდება სისხლის ანალიზის გამოკვლევა აივ-ტესტზე?

— ეს მომსახურება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უფასოა. თუ ადამიანს ოფიციალური ცნობა სჭირდება საელჩოში ან სამსახურში წარსადგენად (უცხო ქვეყნის საელჩოები ვიზის გასაცემად ხშირად ითხოვენ ცნობას იმის დასაზუსტებლად, რომ მათ ქვეყანაში წამსვლელი მოქალაქე შიდსით არაა დაავადებული), ამ შემთხვევაში 18 ლარი უნდა გადაიხადოს. აღრიცხვაზე მყოფი პაციენტების მკურნალობას გაეროს ინიციატივით შექმნილი შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი აფინანსებს. ■

როცა ადამიანი აივ-ინფიცირებულია, ეს ნამდვილად არ არის ტრაგედია, რადგან ეს არ არის მომაკვდინებელი სენი

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საინიექციო ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტა

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

არხვატს



არხვატო, ჩემო სამშობლო,
ჯიხვ-არწივების ბინაო,
მიამც ჯი შენს მტერს შამაჯლა,
შენს მჯერდზე დამაწვინაო!
მაჯვდას, თუ მაჯვდა ოშჯაცი
არხვატის გულისთვინაო!
დედა ვაცხონე ვაჟისა,
ვინაც თავ მაიწყინაო!
მტერ დარჩა სისხლის მორევში,
თავიც ჯი იქ შასწირაო.
დაიმალების ცუდი ყმა,
მავშჩები, წაოლ შინაო.
გამაქცეულის მისვლასა
არმისვლაი სჯობ შინაო.
მაინც არ გასტყდა, არხვატო,
ბასრო ფოლადის რჯინაო.

ხალხური

სახსოვარი

აკაკი წერეთელი

◆ და სადაც სიყვარულია, იქ სიწმინდეა, ღმერთია.
◆ ვისაც მწარე უჭამია, იცის სიტკბოს გემოვნება.
◆ პეპელა სანამ ყვავილს ნახავდეს, მყრალ ბალახებსაც თავსა ევლება.
◆ ბუნებისგან დაჩაგრული განა შესძლებს მეგობრობას?! მოშხამული ცივი გული სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?!
◆ იქ ვარდს ან იას ვინ მოჰკრეფს, სადაც ეკალი სთესია?

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-42, 2011

მთიები — 1. (ძვ.) ცისკრის ვარსკვლავი; 2. (პოეტ.) ვარსკვლავი საერთოდ.

მთოველი (პოეტ.) — მფრქვეველი (ცრემლისა, სინათლისა და სხვა).

მთხრეპლი (ძვ.) — თხრილი, ორმო, ჯურღმული, ხნარცვი.

მიაკოსებს (საუბ.) — უშნოდ მიადებს, მიამაგრებს.

მიეთმოეთი (საუბ.) — ვინც მიედმოედება, ვისაც უთავბოლო, აბდაუბდა ლაპარაკი სჩვევია.

მიზანსცენა ფრ. — სასცენო მოწყობილობის და მსახიობების განლაგება წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში.

მიზრაფი — თხელი პატარა ფირფიტა თარის დასაკრავად.

მითელი — ლეიბის, საბნის და მისთ. შიგნითა პირი, რომელშიც ბუმბული, მატყლი ან ბამბაა მოთავსებული. ქსოვილი, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება.

მიივჯარ! (სამხ. სპორტ.) — ბრძანება მწყობრში მდგომთა ერთმანეთთან დასაახლოებლად, მათ შორის მანძილის შესამცირებლად.

მიკვირია (საუბ.) — ვისაც ყველაფერი უკვირს; მატაოცი.

მილეთი — მთესლი — მილეთის ხალხი (საუბ.) — ქვეყნის ხალხი, მთელი ქვეყანა.

მიმკლავი — ტანვარჯიშში — ხელების ჩამოშვება ტანის გასწვრივ; ჩამოშვებული ხელები.

მიმრქმელი (ძვ.) — ნათლია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადრე წასული კაცის ფიქრები

ლადო ასათიანის უბის წიგნაკიდან

აქ ლადოს მიერ ჩაწერილია ბევრი საინტერესო (მისი და სხვისი) აზრი, გამოთქმა, შენიშვნა, ამონაწერი მეგობართა ბარათებიდან, რამდენიმე მასალა და ნაწყვეტი, თემა და გეგმა მომავალ ნაწარმოებთა დასაწერად, პატარ-პატარა ლექსი, კალამბური და მოგონება, შერჩეული სტრიქონები საყვარელ მწერალთა ნაწარმოებებიდან და დიდ ადამიანთა გამონათქვამი ცალკეული ფრაზები, რომლებიც მას მოსწონებია და გულს მოხვედრია.

„ჯერჯერობით უფრო სხვისი აზრების ჩაწერა მიყვარს, წიგნებიდან ამოკითხულის, — წერია ერთ-ერთ გვერდზე, — ჩემსას შემდეგ ჩავწერ, როცა „დავბრძენდები“. ზოგიერთი მათგანი გამიგონია უფროს ამხანაგებთან საუბრების დროს, თავში მომსვლია ჩემს მეგობრებთან კამათისა და შედავებისას, და მაშინვე ჩამიწერია. ზოგს ახლა ვიხსენებ და აქ ვათავსებ, თითქოს სულ ერთია, ვისი ნათქვამია. კარგი კია და მეც მომწონს. ზოგიერთი, შეიძლება, მე ვთქვი, ან მან, ან სხვამ, არ ვიცი, მაგრამ ეს რომ მაშინ ითქვა, ეს სწორია. ამ ჩანაწერებში ნუ ეძებთ ლამაზ სიტყვებს, მაღალ სიბრძნეს, ღრმა აზრებს. ამის არც პრეტენზია და არც უნარ-შეძლება დამწერს არ ჰქონია. მინდა მქონდეს მხოლოდ როგორც მასალა. იქნებ გამომადგეს რამეში...“

• როცა რაიმეს ვკითხულობ ნაცნობი ავტორისას (სულ ერთია პროზა, პოეზია, წერილი), ყოველთვის წარმომიდგება თვითონ შემთხზველი ამ ნაწარმოებისა: მესმის მისი ხმა, თუ როგორ იტყოდა ამა თუ იმ ფრაზას, რა მანერით და რა ხასიათით. თითქოს ვხედავდე იმ ავტორს თვალდათვალ.

• „უფლისწული და მათხოვარი“ მარტო ბავშვებისთვისაა განა ნაწერი? ან ბავშვებით სავსე მთელი დიკენსი, ან „დონ კიხოტი“, „რობინზონ კრუზო“, „აივენჰო“, „ბაში-აჩუკი“ და მრავალი სხვა! მაგრამ, აბა ნახეთ, ბავშვებიც სიამოვნებით კითხულობენ და დიდებიც.

• „ბიჭი ვიყავი მარტივით;
მოტივი მქონდა მარტივი.

• „წერეთელმა დაგვიბარა“, — როგორ სხვანაირად იმღერება ეს სიმღერა, სხვას არა ჰგავს... მომღერლები თითქოს წყვეტენ ბოლოს და სადღაც ხრამში ყრიან სიტყვებს: „წერეთელმა დაგვიი-ბარა!“

• იმდენად დიდი წარმოდგენა მქონდა მწერლებზე, რომ ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები მეგონა. შემდეგ, რომ ვნახე — ქუჩაში ან რედაქციაში ჩვეულებრივად მოსაუბრე მწერალი, გამიკვირდა და რაღაც სიამე თუ სითბო ვიგრძენი, რომ ისინი ჩემთან კადრულობდნენ გაბაასებას და გაღიმებას...

• ერთი არჩეული პოეტი არა მყავს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე „ოდისეამ“ მოახდინა. რუსთაველზე არაფერს ვამბობ. მისი ლექსები ისე უნდა იკითხო ყოველ დილა-საღამოს, როგორც დილისა და საღამოს ჟამს კითხულობდნენ ბერები ლოცვას, და სძლისპირებივით უნდა იღიღინო ჯადოსნური სტრიქონები.

• ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს პირსა და გონებას შოთას შაირებით, როგორც დემოსთენი ივსებდა პირს კენჭებით, ენაბრგვილობის დასაძლევად!

• არ მეხერხება პინდაროსის ბედი, ოდებს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა. საზიზღარია დაქირავებული პოეტი!

• სანჩო-პანსა — იმერელი გლეხია, ზემოური, ან ოკრიბელი.

• ასტეხა ერთი ბღავილ-ჟამიერი!

• გუშინ ფიქრს გავყევ. წამიძღვა, წამიძღვანია (რა კარგი სიტყვაა ეს „წამიძღვანია!“). ფიქრი სად არ წაგიყვანს? ხან ბრძენს გაგხდის, ხან გაგასულელებს...

• რა ფერისაა ქვეყანა,
ნეტავ მაჩვენა თვალითა? -

• სიკვდილს მე როდი შევუშინდები;
იგი, ძმა, მუდამ ჩემს მხარეზეა.
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია...

• ნაწყვეტი ჩემი ლექსიდან:

როკავდა ვაჟა-ფშაველა,
ფეხის წვერებზე დგებოდა,
მისი სიმღერის ცეცხლითა
ჭიუხზე თოვლი დნებოდა;
ქალწული იბნიდებოდა,
მიცვალებული დგებოდა,
ვაჟა კი გამჩენ ბუნებას
სიცოცხლეს ევედრებოდა.

• ზოგი ავად არის ტიფით,
სხვები რჩება უტიფარი...

• „იავნანამ რა ქმნა?“ პირველი მოთხრობა იყო, რომ ვიტირე. მერე — „მაგდანას ლურჯა“ და „ქაჯანა“, შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თავგადასავალი მატირებდა.

• **შემოდგომის საღამოა მშვიდი**
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...

ესაა ტერენტი გრანელი! ძალიან მომწონს!

• აქილევსს რუსთაველის გმირები მირჩევნია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ — აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყოს, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და... მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი ურჩევნია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც აიდესში ჩასულ ოდისევსს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასვენების დღე (ნაწყვეტი)

ამ დღეს დავდივარ მე უზრუნველად,
პატივისცემით ყელამდე სავსე,
ბედნიერება მსურს ვუთხრა ყველას,
გულში ფარულად ვერ მოვათავსე...
ამ დღეს უზომოდ ვარ მხიარული,
ნელი ღიღინით გავყვები ქუჩას,
ამ დღეს მეტი მაქვს მე სიყვარულიც,
ბედის სიძულვილს რომ გადაურჩა.

დასაწყისი იხ. „გზა" №39-42

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

რუსუდან ბერიძე

— უფროსი ალადაშვილის საქმის ხელახლა დაწყებას გულისხმობ, ხომ? — ჩაეკითხა ანდროს ირაკლი.

— გამოცანა გეკუთვნის, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია მიროტაძემ, — რა თქმა უნდა, მამას ვგულისხმობ, აბა, შვილის მკვლელობის საქმეს ხომ უკვე ვიძიებთ.

— სხვისი არ ვიცი და მე ამ ორი მიმართულებით მუშაობა არა მარტო სრულიად ბუნებრივი, აუცილებელიც კი მეჩვენება, — პოზიციის გამყარება სცადა ჩავლეიშვილმა.

— გამიგონია, როცა რამე გეჩვენება, პირჯვარი უნდა გადაიწერო... — ჩაიბურტყუნა ღვინიაშვილმა, მაგრამ მისი რეპლიკისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— თან, იმაზე აქედანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ მოკლულია ორი და არა ერთი ადამიანი, — განაგრძო ჩავლეიშვილმა, — და მხედველობიდან არც ერთი არ უნდა გამოგვრჩეს. მთავარ კითხვაზე პასუხი კი, როგორც მათ პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ საქმიანობაში უნდა ვეძებოთ — მამა-შვილს ხომ ერთი საადვოკატო ფირმა ჰქონდა. ხოლო ის ფაქტი, რომ გურამ ალადაშვილს მამამისის ავტოავარიაში დაღუპვის არ სჯეროდა და ამის სათქმელად და დახმარების სათხოვნელად ჩემი მოძებნაც არ დაიზარა, იმის ფიქრის საბაბს მაძლევს, რომ უმცროსი ალადაშვილის საქმის გასაღები შეიძლება, უფროსის უცნაურ სიკვდილში იყოს მოსაძებნი...

— ეს უკვე ბევრს ნიშნავს... — წამოიძახა ანა მორჩილაძემ და ირაკლიმაც, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია:

— რა თქმა უნდა... — განაგრძო მან. — გურამ ალადაშვილი დარწმუნებული იყო, რომ საფრთხე მასაც ემუქრებოდა. ამიტომაც არ გაუმხილა პირად მდივანს, სინამდვილეში, სად და რატომ მიდიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვალის დაფარვა რაში დასჭირდებოდა?

ღვინიაშვილმა ხელი ასწია.

— გისმენთ, გოგი! — მიმართა მას მიროტაძემ.

— ყველაფერს აჯობებს, თუ გავიყოფით და ნაწილი მამის, ნაწილი კი შვილის მკვლელობის საქმეს მიხედავს. შემდეგ კი ერთად ვნახავთ, ეს 2 ამბავი სადმე თუ გადაიკვეთება...

— მეც ამის შემოთავაზებას ვაპირებდი... — აიტაცა ღვინიაშვილის ნათქვამი ირაკლიმ. — შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ იმის განცდაც არ მტოვებს, რომ მთელ ამ ამბავში რაღაც შეუსაბამობაა... კარგი იქნებოდა, მივმხვდარიყავით, მაინც — რა.

— უცნაურობა და შეუსაბამობა ნებისმიერ მკვლელობაშია, — წამოიძახა მდუმარედ მჯდომმა ხარაიშვილმა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მაინც რაღაც სხვაა...

ანდრო მიროტაძე მიხვდა, რომ თათბირის დასრულების დრო იყო და ფეხზე წამოდგა.

— რადგანაც ამირან ალადაშვილის საქმის ირგვლივ მუშაობა უკვე დავიწყე, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მე გავაგრძელებ, — ითხოვა ირაკლიმ.

— კარგი, — დაეთანხმა მას ანდრო, — დანარჩენები კი უმცროსი ალადაშვილის საქმეს მიხედავენ. რატომღაც მგონია, რომ ამ ეტაპზე, მარტო მუშაობას ამჯობინებ...

— როგორც იტყვი, თუმცა მარტო მუშაობა ჩემთვის აუცილებელი სულაც არ არის...

— მაშინ ასე მოვიქცეთ, — შედეგები საბოლოოდ შეაჯამა მიროტაძემ და ბლოკნოტი დახურა, — ყოველდღე, ჩვეულებისამებრ, ოთხზე შევიკრიბებით და სიტუაციას დაწვრილებით გავაანალიზებთ. ახლა კი იქნებ რომელიმე თქვენგანი ჟურნალისტებთან გამკლავებაშიც დამეხმაროს.

— ოღონდ მე — არა, — ხელები გაასავსავა ირაკლიმ, — ჯერჯერობით ამას ვერ შევძლებ.

— ისე, მე ანა მყავდა მხედველობაში, — თვალები ეშმაკურად მოწკურა ანდრომ, — მგონი, დროა, ჟურნალისტებმა ჩვენი ახალი თანამშრომელი პირადად ნახონ.

— სიამოვნებით დაგეხმარებით, ბატონო ანდრო, — მაშინვე აიტაცა შეფის სურვილი ანამ, რითაც ყველა გააოცა, — პრესასთან ურთიერთობის სწავლაც საჭიროა.

თათბირის შემდეგ ჩავლეიშვილმა ღვინიაშვილი გვერდზე გაიხმო:

— მგონი, დროა, დავილაპარაკოთ.

— რაზე?

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ საქმეში თავხედურად შემოვიჭერი...

— ალბათ, არც უმაგისობაა, მაგრამ ახლა საქმეს ასე სჭირდება.

— უბრალოდ, არ მინდა, ზოგიერთის ამბიციას უხეშად შევეხო.

— ზოგიერთის ამბიციასო? — ჩაეცინა ღვინიაშვილს. — აქ უამბიციოს თუ ხედავ ვინმეს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ალბათ ხვდები, რასაც ვგულისხმობ. ისე, ანა მორჩილაძეზე რას იტყოდი?

— ანაზე ჯერ რა უნდა ვთქვა? — ჩაფიქრდა ღვინიაშვილი. — ძალიან საინტერესო და, რაც მთავარია, უნარიანი ჩანს... მგონი, იმდენად უნარიანიც, რომ ხარაიშვილსა და ბიბილურს მისი ეშინიათ კიდეც.

— ეშინიათ?

— ჰო. ყოველ შემთხვევაში, ბიბილური შიშობს, არ ჩამოაქვეითონ. ამიტომაც, რაც ანა გამოჩნდა, სად აღარ დარბის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— აქეთ-იქით სირბილს თქვენგან ესწავლა ცოტა მეტი, ის აჯობებდა.

— ალბათ აჯობებდა, მაგრამ ბიბილური ასე არ ფიქრობს...

— მით უარესი მისთვის, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ, — მართლა, კინაღამ მთავარი არ დამავიწყდა?

— მაინც რა?

— რა და გუშინ რაღაც ისეთი თქვი გურამ ალადაშვილთან დაკავშირებით, რამაც დამაფიქრა.

— რას მეუბნები?

— მართლა, მართლა... ისეთი განცდა მაქვს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ვეღარაფრით ვიხ-

სენებ, კონკრეტულად რაზე იყო საუბარი.

— განსაკუთრებული არაფერი მითქვამს, — გაეღიმა კმაყოფილ ღვინიაშვილს, — უბრალოდ, ჩემს ჩანაწერებს ვკითხულობდი. შემიძლია, მისი ასლი შენც მოგართვა.

— ძალიან დამავალებ...

კაბინეტში დაბრუნებულ ჩავლეიშვილს მაგიდაზე წერილი დახვდა. მაშინვე იცნო ეკა ხადურის ნაწერი, რომელიც ატყობინებდა, გუშინ, გვიან საღამოს, მამაშენმა დაგირეკაო. ირაკლიმ წერილის წაკითხვისთანავე მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, მაგრამ სწორედ იმ წუთში მის მაგიდაზე ქალაქის ტელეფონი აწკრიალდა. ჩავლეიშვილმა მამასთან შეხმიანება დროებით გადადო, მობილური გათიშა და ქალაქის ტელეფონის ყურმილს დასწვდა. პეტრე ლევიძე ურეკავდა. მასთან ირაკლის ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. რა თქმა უნდა, ხანდახან კამათობდნენ კიდეც, ერთი-ორჯერ კი, როცა ლევიძემ ვიღაც-ვიღაცების დაპატიმრების ორდერზე ხელი არაფრით მოუწერა, ჩავლეიშვილმა ცოფებიც ყარა, მაგრამ მაინც ერთ ნიშნულამდე მივიდნენ.

— ძალიან გამიხარდა შენი დაბრუნება... — შორიდან დაიწყო ლევიძემ.

— კი დავბრუნდი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჯერ სიტუაციას ვერ მოვერგე.

— ასეთ შემთხვევაში ხომ იცი, რაც უნდა გააკეთო?

— რა?

— სიტუაცია უნდა მოირგო საკუთარ თავზე, — სიცილი აუტყდა პეტრეს, — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი იმას გეტყვი, რომ ახლა წუწუნის დრო არ არის.

— ვიცი.

— ვიცი, რომ გურამ ალადაშვილის მკვლელობის საქმეში ჯერ არსებითი არაფერი გამოკვეთილა და მიროტაძე უკვე მიიჩნევს, რომ გამოძიება გაიწელება. შენც ასე ფიქრობ?

ჩავლეიშვილი ჩაფიქრდა:

— მე ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

— ისე, ალადაშვილის კლიენტების გადამოწმება არ გაწყენდათ. შეიძლება, რაღაც ხელჩასაჭიდი გამოჩნდეს. მაგალითად, — უკმაყოფილო კლიენტი, თუმცა ეს მაინც თქვენი შიდა სამზარეულოს საქმეა... მე შენს მოსაკითხად და გასამხნევებლად დავრეკე...

— ვითომ?

— იქნებ ამ დღეებში შევხვდეთ და დანარჩენზე მერე დავილაპარაკოთ...

ლევიძესთან დამშვიდობების შემდეგ ირაკლი ისევ თავის გეგმას მიუბრუნდა, მაგრამ ფიქრი კარზე კაკუნმა გააწყვეტინა და ზღურბლზე ღვინიაშვილიც გამოჩნდა, რომელმაც დაპირებული ჩანაწერების ასლი მოუტანა.

ირაკლიმ ყურადღებით წაიკითხა ღვინიაშვილის ჩანაწერები და მიხვდა, რამაც მიიქცია მისი ყურადღება. „მაგრამ ჯერ მგონი, ადრეა ამის წინ წამოწევა, — ყოყმანის შემდეგ დაასკვნა მან, — მოთმინება და წინდახედულება მმართებს. უბრალოდ, ამ საკითხისადმი მიბრუნება არ უნდა დამავიწყდეს. მანამდე კი ამირან ალადაშვილის სახლი უნდა დავათვალიერო“.

უფროსი ალადაშვილის ძველებური კერძო სახლი ქალაქის ძველ უბანში მდებარეობდა. ის ბაღის სიღრმეში იდგა და გარედან არ ჩანდა. ჩავლეიშვილმა ჭიშკარი შეაღო და მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა. ეზოში ისეთი საოცარი სიჩუმე იდგა, ირაკლიმ წამით ლამის ისიც კი დაიჯერა, რომ ქალაქი სადღაც შორს დარჩა. „როგორც ჩანს, ადვოკატობას ამირან ალადაშვილისთვის კარგი შემოსავალი მოჰქონდა, — გაიფიქრა ირაკლიმ მას შემდეგ, რაც ირგვლივ გულმოდგინედ მიმოიხედა. მდიდრულ სახლს გარს მოვლილი ბაღი ერტყა. ჩავლეიშვილს მოეჩვენა, რომ მწყობრად ჩარიგებული ხეები, გულმოდგინედ გაკრეჭილი ბუჩქები და თითქმის ერთი სიმაღლის ყვავილები ცოტა არ იყოს, უსიცოცხლოს თუ სულაც ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იდუმალ ადვოკატს სწორი ხაზები ხიბლავდა, რადგან ამხელა ბაღში გვერდზე შემთხვევით გადახრილ ხეს ან ბუჩქსაც კი ვერ აღმოაჩენდი. „სწორხაზოვნება კი მოგეხსენებათ, ხშირად რისი ნიშანიც არის“, — გაიფიქრა ირაკლიმ და ისიც გაახსენდა, უფროს ალადაშვილზე რომ ამბობდნენ, სასამართლო პროცესი მოწყენილობის აპოთეოზამდე აჰყავს ხოლმეო. ბოროტი ენები კი იმასაც ირწმუნებოდნენ, ერთხელ საქმე მხოლოდ იმიტომ მოიგო, რომ ბრალმდებელმა მის მრავალსაათიან მონოტონურ ბურტყუნს ველარ გაუძლოო. „ჭორები — ჭორებად და პეტრე ლევიძესაც დაწვრილებით უნდა გამოვკითხო ყველაფერი. მას ამირან ალადაშვილთან ალბათ, არაერთხელ ექნებოდა საქმიანი შეხება“, — გაიფიქრა გამომძიებელმა.

ბაღის დათვალიერების შემდეგ ჩავლეიშვილი კიბეზე ავიდა და შესასვლელი კარის ურთულეს საკეტს სპეციალურად წამოღებული გასაღები რის ვაი-ვაგლახით მოარგო. კარის გაღების შემდეგ ფართო წინა ოთახში აღმოჩნდა, რომლის ბოლოშიც მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მოჩანდა. წინა ოთახის ფანჯრებზე სქელი მძიმე ფარდები ეკიდა, რომლებიც გულმოდგინედ იყო ჩამოფარებული. ირაკლიმ ერთ-ერთი გადასწია. ფანჯრები გარედან მსხვილ გისოსებში აღმოჩნდა ჩასმული. „რას იზამ, — გაიფიქრა მან, — ხანდაზმულ ადამიანს ათასი რამის შიში შეიძლება ჰქონოდა. ან იქნებ ამ გისოსებით, საკუთარი თავის გარდა, კიდევ რაღაცას იცავდა? და მისი შიშის მიზეზი ამ მყარი სახლის კედლებს მიღმა კი არა, სწორედ აქ არის საძებნელი?“ ჩავლეიშვილმა მთელი სახლი, როგორც ქვედა, ისე ზედა სართული, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა. ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა. პირველ სართულზე სამზარეულო და დიდი ბიბლიოთეკა დახვდა, სადაც ყველაფერი — ავეჯიც, შპალერიც და წიგნების ყდების უმეტესობაც კი გულის დამამძიმებლად მუქი ფერის იყო.

ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ, მეორე სართულზე ასული გამომძიებელი კიდევ ერთხელ შეცბა,

რადგან აღმოაჩინა, რომ ამირან ალადაშვილის საძინებელი, ხის შესასვლელი კარის გარდა, შიგნიდან კიდევ ერთი გისოსიანი კარით იყო ჩაკეტილი. ირაკლის გასაღებების ასხმულა თან ჰქონდა, მაგრამ გისოსიანი კარის გაღებისგან ცოტა ხნით თავი შეიკავა და ისევ პირველ სართულზე დაბრუნდა. გრძნობდა, ეს სახლი უკვე იმდენად ამძიმებდა, რომ მუშაობის სურვილსაც კი უკარგავდა.

ჩავლეიშვილი სულის მოსათქმელად სამზარეულოში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ჩაფიქრდა. კედლის საათის წიკწიკს თუ არ ჩათვლიდით, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. „დიდად ხმაურიანი ეს სახლი არც ალადაშვილის სიცოცხლეში იქნებოდა, — გაიფიქრა ირაკლიმ, — გურამი ხომ სახლიდან დედის გარდაცვალებამდე წავიდა და ცალკე ცხოვრობდა. თუმცა ალბათ, მამას ხანდახან მაინც სტუმრობდა“.

სამზარეულოდან გამომძიებელი პირდაპირ სარდაფში ჩავიდა, რომლის ბოლოშიც კიდევ ერთი, რკინის ჩაკეტილი კარი აღმოაჩინა. ამჯერად ირაკლიმ ყველა გასაღები სათითაოდ მოსინჯა, მაგრამ კარის საკეტს ვერაფრით მოარგო და ირგვლივ უკმაყოფილო სახით მიმოიხედა. საკმაოდ ფართო სარდაფი საგანგებოდ იყო მილაგებული. სიძველით ჩამუქებული კედლების გასწვრივ სტელაჟები იდგა, მათზე კი უამრავი უძველესი ხატი იყო გამწკრივებული. ფერწერული ტილოებისა არ იყოს, ირაკლი ვერც ხატებში ერკვეოდა, მაგრამ ამჯერად უბრალო შეხედვითაც ადვილად მიხვდა, რომ კოლექცია ღირებული უნდა ყოფილიყო. „თუ არ ვცდები და ეს კოლექცია მართლაც ასეთი ფასეული აღმოჩნდა, მაშინ გასაგებია, რატომ აქვს ამ სახლის შესასვლელ კარს ურთულესი საკეტი და ფანჯრებს უმსხვილესი გისოსები, — გაიფიქრა მან, — მაგრამ ის კი მაინც ვერ ამიხსნია, საძინებლის შიგნიდან გისოსებში ჩასმა რაღაში დასჭირდა?.. ისე, მართლა უცნაური ადამიანი უნდა ყოფილიყო მოხუცი ალადაშვილი. თვითონ ცოცხალი აღარ არის, მთელი მისი შინაგანი სამყარო თითქოს ისევ აქ არის დარჩენილი, მაგრამ ისეთ ცხრაკლიტულშია გამოკეტილი, რომ მაინც ვერაფერს ვუგებ“.

ფიქრში წასული ჩავლეიშვილი დაიძაბა, რადგან ზემოდან ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა. გამომძიებელმა სარდაფი სასწრაფოდ დატოვა და ზემოთ ასულმა, სამზარეულოდან ფეხაკრეფით გამომავალ იარაღმომარჯვებულ პაატა პატარიძეს მოჰკრა თვალი. პაატა საგამოძიებო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელთან შეხვედრაც ირაკლის ჯერ კიდევ ვერ მოესწრო. მის დანახვაზე პატარიძემ იარაღი დაუშვა.

— აქ საიდან გაჩნდი? — კბილებში ავად გამოცრა ჩავლეიშვილმა. — ან ეს ყველაფერი რას ნიშნავს?

— დაცვაში სიგნალიზაცია ჩაირთო და როგორც კი ამის შესახებ შეგვატყობინეს, ჩვენც მაშინვე აქეთ გამოვქანდით, — აუხსნა ირაკლის პატარიძემ, — აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ შენ დაგვხვდებოდი?

ამასობაში, ზღურბლზე პატარიძის მეწყვილე — გიგი ნოზაძეც გამოჩნდა. მასაც იარაღი ეჭირა.

— ე, ბიჭო, დაუშვი იარაღი, — ხმადაბლა გადაულაპარაკა მას პატარიძემ, — ვერ ხედავ, ვის უმიზნებ?

ნოზაძემ იარაღი დაუშვა:

— ვა-ა, ირაკლი?.. — გაოცება ვერ დამალა მან. — აქ საიდან?

— პირდაპირ იქიდან, — საჩვენებელი თითი ჭერისკენ აღმართა, ოდნავ დამშვიდებულმა ჩავლეიშვილმა.

ნოზაძემ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პატარიძემ აღარ აცალა:

— კი გავიგეთ, რომ სამსახურში გამოხვედი, მაგრამ აქამდე ვერ შეგხვდით, — გაუღიმა მან ირაკლის, — სულ გადარბენაზე ვართ და იმიტომ. ძალიან გვიხარია შენი დაბრუნება...

— გმადლობთ.

— მართლა, მართლა... — ისევ ჩაერთო საუბარში გიგი ნოზაძე, — უშენოდ რაღაც სხვანაირად იყო ყველაფერი...

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

ჩავლეიშვილს ხმაზე დაეტყო, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ სურდა, უფრო სწორად კი საქმეზე გადასვლა ეჩქარებოდა.

— რას აღარ ამბობდნენ... — მაინც არ გაჩერდა გიგი. — იმასაც კი, რომ უკვე პენსიაზე გახვედი. შენ კიდევ, ადვოკატების სახლების გატეხით ხარ თურმე დაკავებული...

— ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე... — ჩაიბურტყუნა ჩავლეიშვილმა.

— და მერე როგორი მოულოდნელობებით... მიხარია შენი დაბრუნება. — ირაკლის ხელი მეგობრულად გაუწოდა ნოზაძემ.

სამსახურში დაბრუნების შემდეგ, ჩავლეიშვილს პირველად გაუჩნდა იმის შეგრძნება, რომ გულითადობა, რომლითაც მას შეხვდნენ, მოჩვენებითი არ იყო, რადგან ვის-ვის და გიგი ნოზაძეს თვალთმაქცობა არ სჩვეოდა.

— რთული პერიოდი მქონდა... — ძლივს ამოთქვა ირაკლიმ. — მაგრამ ყველაფერი წარსულში დარჩა. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი უკან მოვიტოვე...

— აბა, რა... — მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა მას პატარიძემ. — ცხოვრება გრძელდება... მართლა, ახლა გამახსენდა... მაინც აქ ვართ და რამეში ხომ არ გინდა, დაგეხმაროთ?

— მინდა, რომელია?.. მოდი, აქაურობა ერთი გულმოდგინედ დავათვალიეროთ...

პატარიძის და ნოზაძის წასვლის შემდეგ, ირაკლიმ ცოტა ხანს ბაღში იხეტიალა და აზრების „წესრიგში მოყვანა“ სცადა, შემდეგ კი ჭიშკარი გაიხურა, მანქანაში ჩაჯდა და სოფიო ბიბილაშვილის სახლისკენ გასწია. ჩავლეიშვილი გრძნობდა, რომ ამ ქალთან კიდევ ერთხელ შეხვედრის დრო უკვე მომწიფებული იყო და, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ისიც ზუსტად იცოდა, თუ რა და როგორ ეკითხა.

თორმეტი საათისთვის გამომძიებელი უკვე სოფიო ბიბილაშვილის სახლთან იდგა და ზარიც დარეკა. ამჯერად კარი სწრაფად გაიღო და მასპინძელმა გამომძიებელი სახლში თავაზიანად შეიპატიჟა.

— ჩაის მიირთმევთ თუ ყავას? — ჰკითხა სოფიომ სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულ გამომძიებელს.

— ყავას, — ამჯერად ირაკლის არ უფიქრია უარის თქმა.

როგორც კი მასპინძელმა ყავა შემოიტანა და თავადაც სავარძელში ჩაჯდა, გამომძიებელი მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— კი მეუხერხულება თქვენი ხშირ-ხშირად შეწუხება, მაგრამ უთქვენოდ ფონს ვერ გავდივართ...

— მკითხეთ, რაც გნებავთ, — ცივად მოუჭრა სოფიომ.

— ამირან ალადაშვილთან თითქმის 20 წელი იმუშავეთ, ხომ ასეა?

— ...და 9 — გურამთან.

— გურამთანაც, რა თქმა უნდა... ეს კი დიდი დროა... ამ ხნის განმავლობაში ადამიანზე ყველაფრის გაგება შეიძლება. მოდი, უფროსი ალადაშვილით დავიწყოთ... ხომ ვერ დამიხასიათებდით?

— ამირან ალადაშვილის დახასიათება არ შემიძლია.

— არ შეგიძლიათ? — გაოცება ვერ დამალა ჩავლეიშვილმა. — რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვიცნობდი.

ირაკლიმ იგრძნო, რომ ქალი ცრუობდა, უფრო სწორად კი სიტუაციიდან თავის დაძვრენას ცდილობდა, მაგრამ შეტევაზე გადასვლა არ იჩქარა:

— ალბათ, თავადვე ხვდებით, რომ თქვენი სიტყვები, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად მოჩანს... როგორ შეიძლება, არ იცნობდეთ ადამიანს, რომლის გვერდითაც ამდენი წელი მუშაობდით?

— მის გვერდით კი არა, მისთვის

ვმუშაობდი. ეს კი 2 სხვადასხვა რამეა.

— გეთანხმებით, — თავი დაუქნია სოფიოს ჩავლეიშვილმა, — მაგრამ მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ალადაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი არ იყავით, მასზე მაინც ბევრი რამ უნდა გცოდნოდათ. თუ გაჯიუტდებით და არაფერს მიამბობთ, მისი შვილის მკვლელის თუ მკვლელების პოვნა გაგვიჭირდება.

— რა თქმა უნდა, გაგიჭირდებათ იმიტომ, რომ სიმართლეს თვითონვე მალავთ.

— სიმართლეს ვმალავ? — შეცბა ირაკლი. — მე-ე?

— დიახ, თქვენ! — ხმას აუწია სოფიომ. — რატომ არ მეტყვით, სინამდვილეში რა მოხდა იმ გზაზე?

— აჰ, ამას გულისხმობთ?..

— აბა, სხვა რა უნდა მეგულისხმა?

— არა, არაფერი... უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ჯერ მტკიცებულება არა, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ იმ გზაზე, ავარიის გარდა, კიდევ რაღაც მოხდა. ჯერ არც ის ვიცით, გახდა თუ არა ეს „რაღაც“ ავარიის მიზეზი.

— მე ერთი ვიცი: ბატონ ამირანს იმ გზაზე ავარია არ მოუვიდოდა. იმიტომ, რომ ყველა იქაური მისახვევ-მოსახვევი ზეპირად იცოდა. თანაც, სიჩქარესაც არასდროს უმატებდა.

— რამდენადაც ვიცი, იმ ღამეს ამირან ალადაშვილი რომელიღაც თავის კლიენტთან იყო. შემთხვევით ხომ არ იცით, ვისთან?

— შემთხვევით კი არა, ზუსტად ვიცი. მას „კაცი, რომელიც იცინის“, დავარქვი, იმიტომ, რომ პირიდან ღიმილს არასდროს იცილებს.

— ???

— ბიზნესმენ თეიმურაზ ქსოვრელს ვგულისხმობ, — როგორც იქნა, აუხსნა გამომძიებელს სოფიომ, — ის ჩვენი საადვოკატო ფირმის მსხვილი კლიენტი იყო.

ჩავლეიშვილმა ბლოკნოტი ამოიღო და ბიზნესმენის გვარ-სახელი ჩაინიშნა.

— სერიოზული ბიზნესმენია? — დაინტერესდა.

— საკმაოდ.

— აუცილებლად დავუკავშირდები. სხვა რომ არაფერი, ის ბოლო ან ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ამირან ალადაშვილი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნახა.

უცბად ქუჩაში გავლილმა მანქანამ დაასიგნალა, რაზეც სოფიო ისე შეხტა, რომ ყავის ფინჯანი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

„რაღაცის ეშინია, — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა, — მაგრამ რის?“

— მოდი, ისევ ამირან ალადაშვილს დავუბრუნდეთ. იქნებ სცადოთ მისი აღწერა... — კიდევ ერთხელ სთხოვა.

— შევეცდები... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ქალმა. — ამირან ალადაშვილი ალბათ, ყველაზე მეტად საკუთარ თავში ჩაკეტილი და პირქუში ადამიანი იყო მათ შორის, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარ, — არავის ენდობოდა. პედანტი იყო და ერთხელ და სამუდამოდ შემოღებულ რაღაც უაზრო წესრიგს მისდევდა. რობოტივით ადამიანი იყო... არც მეგობრული და არც მტრულად განწყობილი... არც — წყალი იყო და არც — ძმარი... მოკლედ, მოსაწყენი...

— მაგრამ გურამ ალადაშვილი რომ მიმტკიცებდა, მამაჩემი მხიარული ადამიანი იყოო? — შეეპასუხა ქალს ჩავლეიშვილი.

— ასეთ ამირან ალადაშვილს არ ვიცნობდი, — კბილებში ცივად გამოცრა სოფიომ.

— შვილთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?

— აღიზიანებდა, რომ გურამი საქმის თანამედროვე ყაიდაზე აწყობას ცდილობდა.

— გურამსაც ჰქონდა მამასთან პრეტენზიები?

— რა თქმა უნდა... გურამი ფიქრობდა, რომ მამამისი თავისი ძველმოდურობითა და გადამეტებული პედანტურობით ფირმის განვითარებას ამუხრუჭებდა, მაგრამ მამასთან აშკარა კონფლიქტს მაინც ერიდებოდა.

— სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, გურამ ალადაშვილმა მიმანიშნა, რომ მამამისი ბოლო ხანებში რაღაცით იყო შეშფოთებული.

— შეშფოთებული? — ჩაფიქრდა სოფიო. — ადვილი შესაძლებელია... მართლაც, ბოლო თვეებში ის... არც კი ვიცი, ზუსტად როგორ ვთქვა... მოკლედ, თითქოს, თავის თავს აღარ ჰგავდა...

— ხომ ვერ ამიხსნით, რატომ?

— ვერა.

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა?

— არა. პრაქტიკულად, არაფერი.

— კარგად დაფიქრდით. ეს მნიშვნელოვანია.

— ვხვდები, რომ მნიშვნელოვანია, მაგრამ სათქმელი არაფერი მაქვს.

ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ სოფიომ ისევ რაღაცა დამალა, მაგრამ არც ამჯერად ჩაეძია.

— მაშინ მეტს აღარ შეგაწუხებთ, — ფეხზე წამოდგა იგი, — დიდი მადლობა საუბრისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს იქნება ჩვენი ბოლო შეხვედრა.

— შეგიძლიათ, იმდენჯერ შემხვდეთ, რამდენჯერაც საჭიროდ მიიჩნევთ, — მშვიდად უპასუხა ქალმა.

— დიდი მადლობა, მაგრამ თუ მანამდე რამეს გაიხსენებთ, დამირეკეთ, რადგან ჩვენს შემთხვევაში, ნებისმიერ დროულად გარკვეულ დეტალს აქვს მნიშვნელობა.

— დიახ, რა თქმა უნდა... თუ რამე გამახსენდა, შეგეხმიანებით, — დაამედა სოფიომ ჩავლეიშვილი...

სოფიო ბიბილაშვილისგან გამოსული ირაკლი უკვე მანქანის დაძვრას აპირებდა, რომ უეცრად ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარი ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელიც მას ყურადღებით აკვირდებოდა. თუმცა როგორც კი მიხვდა, რომ გამომძიებელმაც შენიშნა, მაშინვე პირი იბრუნა და იქაურობას სწრაფად გაეცალა.

ირაკლიმ ქალს თვალი უხალისოდ გააყოლა და შემდეგ განყოფილებისკენ გასწია, მაგრამ შუა გზაში მანქანა შემოაბრუნა, რითაც მოძრაობის თითქმის ყველა წესი დაარღვია და ისევ სოფიო ბიბილაშვილის სახლისკენ გააქროლა. ადგილზე მისულმა კი ისეთი ადგილი შეარჩია, საიდანაც ბიბილაშვილის სახლი უკეთესად ჩანდა და ლოდინი დაიწყო. ერთი საათი უშედეგო ლოდინში გავიდა. ის იყო, ჩავლეიშვილმა გაიფიქრა, ალბათ, რაღაც მომეჩვენაო, რომ სოფიო ბიბილაშვილის სახლის კარი უხმაუროდ გაიღო და იქიდან სწორედ ის ახალგაზრდა ქალი გამოვიდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-42

სწრაფად შევბრუნდი, წამოვხტი და სააბაზანოში შევვარდი. როგორ აქვს მოწყობილი სახლი! მეორე სართულზე თითქმის ყველა საძინებელშია აბაზანა-ტუალეტი! აი, რას ნიშნავს ბევრი ფული!

კარგა ხანი დავყავი წყლის ქვეშ, თან, ღიმილი არ მშორდებოდა ტუჩებიდან. მსიამოვნებდა იმის გახსენება, რაც მოხდა. ამწუთას სულაც არ ვფიქრობდი იმ უსიამოვნო შეგრძნებაზე, აქამდე რომ არ მშორდებოდა. როცა ბანაობას მოვრჩი, მისი დილის ხალათი მოვიცვი, პერანგი კი გამოვიტანე და სკამის საზურგეზე გადავკიდე. ჩემდა გასაკვირად, ლადო ოთახში არ დამხვდა. გარეთ გასულიყო. ლოგინი კოხტად აელაგებინა, ერთი ნაოჭიც კი არ ემჩნეოდა გადასაფარებელს. ვინმეს რომ შემოეხედა, იფიქრებდა, აქ არც არაფერი მომხდარაო.

არაფერი მომხდარა... ჰმ... ეშმაკურად ჩამეღიმა. თვალი მოვავლე იქაურობას და მოულოდნელად ჩემი ყურადღება მაგიდაზე დადებულმა პატარა კოლოფმა მიიპყრო. აქამდე არ შემიმჩნევია იგი. ნეტავ, რა უნდა იყოს? ცნობისმოყვარეობამ მძლია. რატომღაც, ფეხის წვერებზე ავიწიე და მივუახლოვდი. ფრთხილად ავიღე კოლოფი, ავხადე სახურავი და... ჟოლოსფერ ხავერდზე ოქროს მსხვილი ჯაჭვის სამაჯური იყო დამაგრებული, თან, წვრილი ბრჭყვიალა თვლებით გაწყობილი... თითქოს ხელი დამეწვაო, ისე გადავქანდი უკან და კოლოფი ხელიდან გამივარდა. თვალები ცრემლებით ამევსო. ეს ალბათ ის ჯილდოა, რომელიც მასთან დაწოლით დავიმსახურე... კოლოფი კვლავ მაგიდაზე დავაბრუნე.

ცრემლი შევიმშრალე, ტანსაცმელი ჩავიცვი და სამზარეულოში ჩავედი. ლადო მაგიდასთან იჯდა და ვასიკოს მხიარულად ელაპარაკებოდა. შემდეგ მზერა ჩემზე გადმოიტანა, თუმცა უკვე მოვასწარი თავის ხელში აყვანა. ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. როცა ვასიკომ ჭამა დაამთავრა და გავიდა, გადავწყვიტე, უკან მივყოლოდი, მაგრამ ლადომ მაჯაში ჩამავლო ხელი და გამაჩერა. ჯერ მას შევხედე, მერე მის ხელს, ჩემს მაჯას რომ იჭერდა და ვაგრძნობინე, გამიშვი-მეთქი.

— მოგეწონა? — მკითხა.

— მე... მე არ ავიღებ მაგ საჩუქარს, — ამოვილუღლუღე, — არაფერი მინდა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ... თქვენ... თქვენ არ ხართ ვალდებული, ასე მოიქცეთ.

— ანუ არ უნდა გაჩუქო არაფერი? საჩუქრებს გულისხმობ? — ჰკითხა ისე, თითქოს გაბუტულ ბავშვს ელაპარაკებაო.

— სწორედაც.

— რატომ? — კვლავ გამიმეორა.

— ბატონო ლადო... — ამასობაში ნერწყვი გადავაგორე. — ლადო... — სასწრაფოდ გადავაკეთე, — არ მინდა, მსგავსი რამ ოდესმე განმეორდეს.

— მაგრამ შენ უკვე აიღე ფული, — შემახსენა და იმწამსვე მზერა მრისხანედ დაეძაბა.

ვიგრძენი, სისხლი როგორი შხუილით ამივარდა თავში და თავბრუ დამეხვა. მე ხომ უკვე მივეყიდე მას და ეს პატარა კოლოფი რა ბედენაა? ეს ხომ ერთი უბადრუკი ნივთია, რომლითაც ჩემი მომსახურებით კმაყოფილმა „სალმა კლდემ“ მადლიერება გამოხატა?

— მაგრამ მეტს არაფერს ავიღებ! — თავისუფალი ხელით მაგიდის კიდეს ჩავეჭიდე, რადგან თვალწინ თითქოს ყველაფერი ატრიალდა.

ის ფული ხომ ჩემი ძმის და დის გადასარჩენად მჭირდებოდა. როგორ ავუხსნა ეს? ისედაც დამცირებული ვარ, ახლა რომ საჩუქრების მიღება დავიწყო, მთლიანად გავნადგურდები! მით უფრო, რომ ვგრძნობ, როგორ მიყვარს. ამიტომ, ერთ თეთრსაც არასდროს გამოვართმევ, სულ რომ ქვეყანა დაიქცეს! საჩუქრებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის ფული უკან დავაბრუნო. ნაწილი ხომ ისედაც მაქვს, ნაწილსაც ჩემი ხელფასით მოვაგროვებ, თუ დამცალდა აქ მუშაობის გაგრძელება!

ამ გადაწყვეტილებამ ძალა შემმატა, თითქოს უზარმაზარი ლოდი ამაცალეს მკერდიდან.

სწორედ ამ დროს სამზარეულოში ვასიკომ შემოირბინა.

— ანა, ძალიან მჭირდები, გთხოვ! — ქოშინით მითხრა ბავშვმა, — რაღაც ვერ გავიგე დავალებაში!

ლადომ მაშინვე ხელი შემიშვა.

იმ ღამეს არ შევუწუხებივარ და მეც მშვიდად ფიქრის საშუალება მომეცა. უკვე აღარ ვიცოდი, მიხაროდა თუ მწყინდა ჩემი მდგომარეობა. ერთი მხრივ, მიხაროდა, რადგან მასთან ახლოს ყოფნის საშუალება მეძლეოდა, შემეძლო, მოვფერებოდი, მაგრამ მეორე მხრივ, ტკივილს ვგრძნობდი; მახსენდებოდა, თუ რის ფასად მოვიპოვე მასთან სიახლოვის უფლება. ეს კი მანადგურებდა. რა იქნებოდა, ამის გარეშე მომხდარიყო ჩვენი დაახლოება? რა მოხდებოდა, რომ მასაც შევყვარებოდი? რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო დათრგუნვილად და დამცირებულად ვგრძნობდი თავს.

მეორე დღეს, შუადღისას, ლადომ დარეკა და გამაფრთხილა, საღამოს შემაგვიანდებაო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ეს რატომ მითხრა. სულაც არ იყო ვალდებული, საქმის კურსში ჩავეყენებინე, მაგრამ მისმა სიტყვებმა სხვანაირად გამითბო გული. სულის სიღრმეში მაინც მრჩებოდა პატარა იმედი, რომ მისთვის „სულერთი“ არ ვიყავი. რა თქმა უნდა, ეს თავის მოტყუება უფრო იყო, მაგრამ ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, ყოველთვის იმას ფიქრობს, რაც სურს. ამ მხრივ

არც მე ვიყავი გამონაკლისი.

ვასიკო დავაძინე და ჩემს ოთახში გავედი. დაწოლა არც მიფიქრია. არა იმიტომ, რომ უძილობა მაწუხებდა. უბრალოდ, ვერ დავიძინებდი, სანამ ლადო არ მოვიდოდა. მის გამოჩენას ველოდებოდი. რა თქმა უნდა, ამის დემონსტრირებას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ რაღაც მიზეზი ხომ უნდა მქონოდა, რომ არ დავწოლილიყავი? ეს მიზეზიც ადვილად გამოვნახე. წიგნი ავიღე, სამზარეულოში თბილად დავჯექი და კითხვა დავიწყე.

— მარიამ, არ გირჩევ ამის გაკეთებას...

— შეიძლება შენ მართალი ხარ, — ქალის სიცილის ხმა გაისმა, — მაგრამ რომ იცოდე, მე როგორ...

„მინდა შენთან“, — ჩემთვის დავამატე ფიქრებში მის ნათქვამს და გაფითრებული ავკანკალდი.

— როგორც ჩანს, დღეს ბევრი დალიე... ახლა დროა, ლოგინში ჩაწვე.

— მეც სწორედ მაგაზე მიგანიშნებდი, — კვლავ გაისმა მარიამის სიცილი,

მერე ნაბიჯების ხმა, კარის გაჯახუნება და კვლავ მარტო დავრჩი, სიჩუმეში. კარგა ხანს რეტდასხმული ვიჯექი, მერე წამოვხტი და ქურდულად გამოვედი სამზარეულოდან. მივიხედ-მოვიხედე. არავინ ჩანდა. კიბესთან შევჩერდი. ვგრძნობდი, როგორ მიცარიელდებოდა სული... თითქოს სიცივემ დაისადგურა იქ... და სიბნელემ. აბა, რას ელოდი? — ჩამძახა შინაგანმა ხმამ. გეგონა, დიდი ხნით დაინტერესებდი ასეთ მამაკაცს? მისთვის მხოლოდ ერთი თუ ორი ღამის გასართობი აღმოჩნდი, შე უბადრუკო! ჩაკვდა შენი უკანასკნელი იმედიც, ოდნავ რომ ბჟუტავდა სადღაც!

თვალზე მომდგარი ცრემლი კოფთის სახელოთი მოვიწმინდე, მაღლა ავედი და ჩემი ოთახისკენ გავემართე. არა, არ ავტირდები, არც ავსლუკუნდები. რაც უნდა მოხდეს ჩემს გულში, არ შევიმჩნევ. თავს არავის მოვახვევ ჩემს პრობლემას! ის კაცი სულაც არ არის დამნაშავე, მე რომ ქათამივით მოვიქეცი და თავს უფლება მივეცი, გავლაღებულიყავი. თვალები ისე მეწვოდა, თითქოს ქვიშა შემომაყარესო, მაგრამ მაინც არ ავტირდი. ცრემლები სადღაც შუა გზაზე გაიჩხირა, გულთან ახლოს, და მაღლა ამოსვლის საშუალება არ მივეცი. ამის გამო ძლივს ვსუნთქავდი, სული მეხუთებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი დამთავრდა. მორჩა, დღეიდან არასდროს, ყველაზე გიჟურ ოცნებებშიც კი არ გავივლებ გულში, რომ ამ ამბავს კარგი დასასრული ექნება!

ჩვენი ურთიერთობა სასიამოვნოც იყო და ამავდროულად, მტანჯველიც. იგი დასაწყისშივე განწირული იყო და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ჩვენი ძალად შეთითხნილი რომანი ორ თვეს ვერანაირად ვერ გასტანდა.

გასაღები ძალიან ფრთხილად გადავატრიალე და ფეხაკრეფით მივედი საწოლამდე, თითქოს თუ თამამად გავივლიდი, ვინმე ჩემი ნაბიჯების ხმას გაიგონებდა. გაუხდელად დავემხე ლოგინზე, თავი ბალიშში ჩავრგე და გავისუსე.

გარკვეული დროის შემდეგ, არ ვიცი, ერთი საათი გავიდა თუ რამდენიმე წუთი, მომეჩვენა, რომ ჩემს კარს გარედან ვიღაც მოაწვა. ვიფიქრე, მომესმა-მეთქი, თუმცა კი მაშინვე წამოვჯექი და სმენა დავძაბე. მოულოდნელად ვიღაცამ მკვეთრად დააკაკუნა და მივხვდი, რომ არაფერი მომჩვენებია. კი არ მივედი, მივფრინდი კართან და ოდნავ გამოვაღე.

— რა გნებავთ? — არ გამკვირვებია, ლადო რომ დავინახე, თუმცა, წესით, ის ახლა მარიამთან უნდა ყოფილიყო ჩახუტებული.

— ერთობ უცნაური შეკითხვაა. მგონი, ერთხელ გარკვევით გითხარი, შენი ადგილი სადაც არის უახლოესი 2 თვის განმავლობაში.

„გნებავთ, ორ ქალთან ერთად გაერთოთ?“ — ენის წვერზე მომადგა სათქმელი, მაგრამ დროზე დავაჭირე ენას კბილი.

— ბატონო ლადო, მე არ მომწონს ეს. საჭირო არ არის ჩემი მეტად დამცირება. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია... ხვალვე დავტოვებ აქაურობას. არაფრის ახსნა არ გჭირდებათ.

წამით თვალებში დაბნეულობა გამოეხატა, თითქოს გამოუვალი სიტუაციიდან თავის დახსნის საშუალებას ეძებსო, მერე კი უცებ დაულაგდა სახე და გაუქვავდა. თვალები ოდნავ მოჭუტა.

— ყველაფერი გესმოდა... — ეს არ იყო შეკითხვა, ეს შეკითხვის პასუხი იყო...

მისი გონება, როგორც ჩანს, კომპიუტერივით მუშაობს, რადგან ასე უცებ მიხვდა ყველაფერს. თითქოს თავსატეხს ხსნიდა და იოლად მიაგნო გასაღებს.

— დიახ, — სულაც არ მიცდია თავის მართლება, — საკმარისი მოვისმინე, დასკვნები რომ გამეკეთებინა!

— მართლა? — ამ სიტყვებით ოთახში შემოვიდა და კარი მიიხურა. — ესე იგი, საკმარისი. სანამ დასკვნებს გააკეთებდი, აჯობებდა, ჯერ ბოლომდე მოგესმინა ჩვენი საუბარი. მარიამი უკვე წავიდა და მალე თავის საწოლში ჩაწვება! თავის საწოლში!.. — დააზუსტა. — ლევანმა წაიყვანა.

იგი წინ ამესვეტა და ისე შემომხედა, ლამის შემჭამა თვალებით.

— მაგრამ მე...

— ნუთუ დაგავიწყდა, რომ ჩვენი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი სხვა ქალთან გაკარებას მიკრძალავს?.. — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად დამცინავად მითხრა, თითქოს ჩემი მაშინდელი სიტყვები ნიშნის მოგებით გაიმეორა, მაგრამ მისი მზერა კვლავ გამჭოლი დარჩა.

დავიბენი. უაზროდ ავახამხამე წამწამები, რადგან მის შეკითხვაზე პასუხი არ მქონდა. შეეტყო, რომ ჩემმა დაბნეულობამ კმაყოფილება მოჰგვარა, ჩაიცინა და ოთახში მიმოიხედა, — შენი საწოლი ჩემსაზე ბევრად პატარაა, მაგრამ ისე დავიღალე, ჩემთვის სულერთია... — მან ხელით განზე გამწია, საწოლს მიუახლოვდა, ჩამოჯდა და გახდას შეუდგა.

— მოიცადეთ! — სასოწარკვეთილმა შევყვირე და მივვარდი.

ისიც წამოდგა და წინ დამიდგა.

— არა, მოცდა არ შემიძლია... — ალერსიანი ხმით მითხრა და მკლავები მძლავრად მომხვია...

იმ დღიდან ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურად შეტრიალდა, თუმ-

ცა „ახალმა ერამ“ სულიერი სიმშვიდე ვერ მომგვარა. ყველაფერი კი იმის ბრალი იყო, რომ ბედნიერების უჩვეულო განცდა დამეუფლა, რომელიც მყარად დასახლდა ჩემში. თავს ისე ვგრნობდი, თითქოს სიზმარში ვცხოვრობდი. ალბათ, ნარკომანებს ემართებათ ასე, როცა წამალს გაიჩხერენ...

შემსუბუქდებიან და თითქოს უწონობის მდგომარეობაში იმყოფებიან... ზედმეტად აჟიტირებული ვიყავი.

დღისით როზას ვეხმარებოდი საოჯახო საქმეებში, ვასიკოს ვამეცადინებდი, მერე ვათამაშებდი, საღამოობით კი ლადოს ველოდებოდი მისსავე საწოლში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ შესახებ როზამ და ლევანმა ყველაფერი იცოდნენ, თუმცა არც ერთ მათგანს ჩემთვის იოტისოდენადაც არ უგრძნობინებია არაფერი... და არც მათი დამოკიდებულება შეცვლილა ჩემ მიმართ.

დღის განმავლობაში ჩემი და ლადოს ურთიერთობა არ სცილდებოდა ნორმის ფარგლებს, მაგრამ თანდათან მის თვალებში რაღაც ახალი გრძნობა გაჩნდა... ჩემი „დახასიათებით", ეს ალბათ სინაზე უფრო იყო. გული სიამოვნებით მევსებოდა და ვდნებოდი, როცა იგი ამ ახალი გრძნობით შემომხედავდა. ხანდახან ეჭვი შემეპარებოდა ჩემს ვარაუდში და საკუთარ თავს სულელ შეყვარებულ ბატს ვუწოდებდი, რომელმაც დაივიწყა, როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა. მაგრამ ღამით ყველაფერი იცვლებოდა. ლადოს ხელები ძილშიც კი ჩემს სხეულს ეძებდა და ისე მძლავრად მიხუტებდა, თითქოს გაქცევას ვაპირებდი და მაკავებდა. ის თავის ცხელ და ძლიერ მკერდზე მიმიკრავდა და გარხევის საშუალებას არ მაძლევდა. ასეთ დროს ყველა ჩემი ეჭვი და ვარაუდი ქრებოდა და ცუდი წინათგრძნობაც ქარწყლდებოდა. სულელივით მეღიმებოდა სიბნელეში და ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი.

დილით კი კვლავ უკან მიბრუნდებოდა ყველაფერი. თავიდან იწყებოდა ჩემი წამება. კვლავ ეჭვები მახრჩობდა და შიშით გონება მებინდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ეს ყველაფერი დამთავრდებოდა. ადრიან დილას თავისი კორექტივები შემოჰქონდა ჩვენს ურთიერთობაში. თვალის გახელის მეშინოდა, რადგან ისევ და ისევ ნაცნობი სიცარიელე მეუფლებოდა, თავს მარტოსულად ვგრძნობდი და უცნაურად მტანჯველი ტკივილით მევსებოდა გული.

იმ დღესაც, სკოლის შემდეგ, ლევანმა ვასიკო იპოდრომზე წაიყვანა, ცხენოსნობის მორიგ გაკვეთილზე. ბოლო დროს ნაკლებ დროს ვატარებდი მასთან, მხოლოდ გაკვეთილების მომზადებაში ვეხმარებოდი. ლადო ბავშვს ახლა ყველგან უშვებდა — მეგობრებთან, კინოში, სასეირნოდ, დაბადების დღეებზე... და ყველგან ლევანი დაჰყვებოდა.

საღამომდე თავზე საყრელი დრო მქონდა, ამიტომაც გადავწყვიტე, ნუკრი და ნანა მომენახულებინა.

როგორ გაუხარდა ნანას, რომ დავურეკე. ისეთი შეძახილებით შემხვდა, მესიამოვნა.

— არ იცი, რა დროზე დამირეკე! როგორ მჭირდებოდი! — მხიარულად მელაპარაკა. — მაღაზიებში მინდა გავლა და გამომყევი, კარგი?

— რა თქმა უნდა, გამოგყვები, — გული ამიჩქროლდა სიხარულისგან, ჩემს ნახევარდასთან ერთად ქუჩაში თამამად უნდა გამევლო.

შეხვედრის ადგილი დავთქვით და ორმოც წუთში უკვე ერთად ვიყავით. ნანას ნუკრიც წამოეყვანა. ორივეს სიყვარულით გადავეხვიე.

— როგორ ხარ, ანა? — მკითხა ნუკრიმ.

— კარგად, რა მიჭირს, — სტანდარტული ფრაზა მოვიშველიე, თუმცა მათ დანახვაზე პირველი, რამაც თავში გამიელვა, ლადოსთან დადებული კონტრაქტი იყო, — თქვენ როგორ ხართ?

— ჩვენც არა გვიშავს. ჩემი ქმარი სამსახურში აღადგინეს და ნუკრიმაც დაიწყო მუშაობა.

— მიხარია... — ოდნავ გავიღიმე.

— ასე რომ, ნელ-ნელა დავიწყებთ შენი ვალის გასტუმრებას. დარწმუნებული იყავი, რომ არ დაგაღალატებ, გაიგე? — ნანამ ლოყაზე მაკოცა.

პასუხად ისევ გავუღიმე. კარგია, თუ ასე მოიქცევიან. მეც გადავინახავ ჩემი ხელფასიდან და იქნებ დროზე შევძლო ლადოსთვის მთლიანი თანხის დაბრუნება, რომ ეს მძიმე ლოდი მომეხსნას ზურგიდან.

კარგა ხანს ვიარეთ მაღაზიებში, მთელი 2 საათი, სანამ ფეხზე არ ჩამოვწყდით. ნანამ ფეხსაცმელი იყიდა თავისთვის, პულოვერი — ნუკრისთვის და არც მე დამტოვა გულნატკენი, ლამაზი ჟაკეტი შემირჩია. სასტიკ უარზე დავდექი, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა. მერე დაგვემშვიდობა მე და ნუკრის და სახლში გავარდა, ბავშვები მარტო მყავს დატოვებულიო. ნუკრიმ მე გამაცილა. ასახვევამდე მომყვა, მერე კი დავემშვიდობე და აღმართს მარტო შევუყევი.

ვასიკო უკვე დაბრუნებულიყო. ბავშვი აღფრთოვანებული მიყვებოდა, თუ როგორ ატარა დღეს ცხენი დამოუკიდებლად, როგორ ხმარობდა აღვირს და რომ სულ არ გასჭირვებია. ლამის ერთი საათი მეტიტინა. მეც ღიმილით ვუსმენდი და შიგადაშიგ თავს ვუქნევდი მოწონების ნიშნად.

ამასობაში მოსაღამოვდა. ვასიკოს ერთი სული ჰქონდა, ბიძამისისთვის მოეყოლა ცხენის ამბავი, მაგრამ ლადომ დააგვიანა, ამიტომ ვავახშმე და დავაძინე. როზაც შეიკეტა თავის ოთახში. მარტო დავრჩი და რადგან ლადოს მოსვლამდე დაძინებას არ ვაპირებდი, მის ბიბლიოთეკაში შევედი, წასაკითხად რომელიმე წიგნი რომ შემერჩია. კარი სპეციალურად ღია დავტოვე, რომ მისი მოსვლა არ გამომპარვოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გავიგე, როდის მოვიდა. უბრალოდ, მისი მზერა ვიგრძენი და თავი მაშინვე ავწიე. ის ზღურბლზე იდგა. ჩუმმა ღიმილმა გადამირბინა ტუჩებზე, მაგრამ მყისვე გამიქრა. ვიგრძენი, რაღაც ისე ვერ იყო. ლადოს თვალები უცნაურად უელავდა, სახე გამკაცრებოდა, ტუჩები მოეკუმა... გულმა რეჩხი მიყო.

— ლადო, რამე მოხდა? — შეშფოთებულმა მისკენ გავიწიე.

მან ერთი ნაბიჯი გადმოდგა, თან თვალს არ მაშორებდა, თითქოს ჩემს რეაქციას აკონტროლებდა, მერე მეორე და ბოლოს ახლოს მოვიდა. თავი ძლივს შევიკავე, არ ჩავხუტებოდი. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე საათის უნახავი მყავდა, უკვე მენატრებოდა.

თავზე წამომდგარს შეშფოთებულმა ავხედე. კვლავ გაქვავებული სახით მიყურებდა, ხოლო თვალებში უსიამოვნო ნაპერწკალი უკრთოდა. თითქოს დრო შემობრუნდა. შორეული წარსულის დღეები გამახსენდა. სწორედ მაშინ მიყურებდა ასე. გული შემიქანდა.

— ლადო...

— როგორ გაატარე დღე, ანა? — ნაძალადევი სიმშვიდით მკითხა.

— რა? — ვერ მივხვდი, ამას რატომ მეკითხებოდა.

— დღე როგორ გაატარე-მეთქი, გკითხე. მომიყევი...

პანიკაში ჩავვარდი, თუ შეიძლება ასეთიც არსებობდეს. რატომ დაინტერესდა ჩემი დღევანდელი გრაფიკით? იქნებ გაიგო, რომ მის შეუთანხმებლად გავედი სახლიდან? იქნებ არ ვუთხრა, ნანას და ნუკრის რომ შევხვდი? რატომ არ უნდა ვუთხრა? ვიღაცასთან ხომ არ ვიყავი პაემანზე? დასამალი არაფერი მაქვს!

— რა ვიცი, ვასიკოს ვეთამაშე, ვილაპარაკეთ, მერე ლევანმა იპოდრომზე წაიყვანა. ცოტა ხანს როზას მივეხმარე, მერე... მერე დაქალს შევხვდი... — თვითონაც არ ვიცი, რატომ მოვიტყუე, ჩემდა უნებურად წამომცდა, ჯერ კიდევ მიჭირდა, ნანა, როგორც და, ხმამაღლა მომეხსენიებინა.

ლადომ ხელი მხარზე დამადო და ძლიერად მომიჭირა. ტკივილისგან დავიმანჭე და ძალაუნებურად წამოვიკ-

ვნესე. ახლა უკვე მართლა შემეშინდა.

— ლადო, რა მოხდა?

— მატყუარა კახპავ! — იყვირა უეცრად.

მისგან გარიდება ვცადე, მაგრამ უფრო ძლიერად ჩამაფრინდა მხარში, — გეგონა, ვერაფერს გავიგებდი?!

ასეთი შეშინებული მასთან პირველი შეხვედრისას არ ვყოფილვარ, გონება დამებინდა. მისი გაცოფებული სახე სრულიად უცხო და უარესად დემონური მეჩვენა, ვიდრე ოდესმე, ხოლო თვალები... მასში სიძულვილი გამოსჭვიოდა... და ზიზღი... და ტკივილი...

— ლადო, არ მესმის...

— ხმა ჩაიწყვიტე! — ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს სილა გამაწნა. — ქუჩის ქალი ხარ, მე კი როგორ გენდობოდი!

მამაკაცი წყვეტილად და მძიმედ სუნთქავდა. არა, კი არ სუნთქავდა, კორიდაზე გასული ხარივით ქშინავდა. მოულოდნელად მეორე ხელი ისე ასწია ჰაერში, მეგონა, გამარტყამდა. გაფითრებული მივაჩერდი მის ხელს. შიშისგან თავზარი დამეცა.

— ნაგავო! — კბილებში გამოცრა და ხელი მკრა.

როგორც ჩანს, ჩემმა სიჩუმემ უარესად გააცოფა. მორჩილად ვიდექი შუა ოთახში და დამბლადაცემულივით ხმას ვერ ვიღებდი. ვერ მივხვდი, ასე რამ გააგიჟა. რაში მადანაშაულებდა.

თან ხელი ისე მკრა, რომ უკან, კედელს მივეხეთქე და ბარძაყი მაგიდის ძგიდეს მივარტყი... სასტიკად ამეწვა ფეხი...

— ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს აქ! და არასდროს გაბედო ამ სახლში დაბრუნება! ტანსაცმელს ხვალ ლევანი გამოგიტანს შენს ბინძურ სოროში! — დაამთავრა ბოლოს და ისეთი სისწრაფით გავიდა ოთახიდან, თითქოს შეეშინდა, უარესი საშინელება არ ჩაედინა.

ტკივილი საიდანღაც — სიღრმიდან წამოვიდა, შემდეგ ნელ-ნელა გაიშალა, გაიფანტა და მთელი ჩემი არსება მოიცვა. მას არაფერი აუხსნია, არც კონკრეტულ რამეში დავუდანაშაულებივარ. უბრალოდ, გამაგდო თავისი სახლიდან. მორჩა და გათავდა! ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე! როგორც ჩანს, დადგა მომენტი, როდესაც მისთვის უკვე აუტანელი და ზედმეტი გავხდი. თუმცა ჩემთვის გაუგებარი იყო, ამ მეთოდით რატომ არჩია ჩემი თავიდან მოშორება. ამის ახსნა არ შემეძლო. მხოლოდ ძალიან შემაშინა და უდიდესი ტკივილი მომაყენა... უეცრად ვიგრძენი, რომ ცუდად გავხდი... ისე ცუდად, რომ გულის რევა დამეწყო. მაქსიმალურად შევიკავე თავი. მაგიდას ხელებით დავეყრდენი და ღრმად სუნთქვა დავიწყე. ფეხი უარესად ამეწვა. კაბა ავიწიე და დავინახე, რომ ბარძაყიდან სისხლი მდიოდა.

ეგ ისეთი არაფერი იყო. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. მასთან მისვლას და რამის გარკვევას აზრი არ ჰქონდა. უარეს უსიამოვნებას გადავეყრებოდი.

როგორც იქნა, თავი ხელში ავიყვანე, სწრაფად გამოვედი ოთახიდან და ჭიშკრისკენ დავიძარი...

გარეთ წვიმდა. რა უცნაური იყო... დღეს ისეთი თბილი მზე ანათებდა... როდის მოასწრო ამ ღრუბლებმა თავშეყრა და თქეშად ქცევა? სანამ ჭიშკარში გავიდოდი, თმა და ტანსაცმელი უკვე დამისველდა. დაბნეულმა მიმოვიხედე, თითქოს მშველელს ვეძებდი, მაგრამ ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მანქანებიც კი არ მოძრაობდნენ, თითქოს ყველამ ჩემ წინააღმდეგ შეიკრა პირი. ლამპიონები ანათებდა იქაურობას მხოლოდ. გზას დავუყევი და სულაც არ შემიმჩნევია, რომ საპირისპირო მხარეს მივდიოდი. ფეხებს თავისით მივყავდი სადღაც. არც ჩანთა წამომიღია, რომელშიც საფულე მედო. ერთი თეთრიც არ მქონდა თან, ტაქსი რომ მაინც გამეჩერებინა, თუკი გამოჩნდებოდა. ვერც იმას ვაცნობიერებდი, რომ სახე არათუ წვიმისგან, ცრემლებისგანაც დამისველდა. არ ვიცოდი, საით მივდიოდი, არც იმაზე ვფიქრობდი, რომ ბნელოდა და შეიძლებოდა, ვინმეს შევეშინებინე... უბრალოდ, მივდიოდი და მორჩა!

არ ვიცი, რამდენ ხანს დავბორიალებდი ქუჩაში უმისამართოდ. როგორც იქნა, ბოლოს გავაცნობიერე, რომ ჩემს ბინაში უნდა ავსულიყავი და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე. იქვე მარკეტში შევირბინე, ნანასთან გადავწყვიტე დარეკვა, მაგრამ მყისვე გადავიფიქრე. ნანა ვერ მოვიდოდა, ბავშვებს ვერ დატოვებდა, თან ჯერ კიდევ უცნობი სიძის მომერიდა. ნუკრის ნომერი ავკრიბე, მაგრამ მისი ხმა გავიგონე თუ არა, უკაცრავად, შემეშალა-მეთქი და სწრაფადვე გავთიშე. ამწუთას ვერც ნუკრის ავუხსნიდი, რა შემემთხვა.

კვლავ ქუჩაში გამოვედი და რის ვაი-ვაგლახით მივაღწიე სახლამდე... მაშინვე ტანთ გავიხადე და სააბაზანოში შესულმა ცხელ წყალს მივუშვირე ცხვირ-პირი...

მერე ტანსაცმელი გამოვიცვალე და საწოლზე მივწექი. საბანი გადავიფარე და შიგ გავეხვიე. მიუხედავად ამისა, ვერაფრით შევძელი, ჩავმთბარიყავი.

თითქოს მეძინა და არც მეძინა... გამუდმებით საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, თუმცა ეს არ იყო ფიზიკური ტკივილი... ეს სულის ტკივილი იყო, რომლის გაყუჩება ყოველთვის ყველაზე მეტად მიძნელდებოდა...

რამდენიმე საათის შემდეგ, თვალები გავახილე და საბნიდან თავი გამოვყავი. სინათლის შუქმა თვალები მომჭრა. საშინლად მტკიოდა თავი, თითქოს შუაზე მეპობოდა. ხელი გადავყავი ტუმბოზე და უჯრაში ასპირინი მოვიძიე. სამი აბი ერთდროულად გადავყლაპე... უწყლოდ. იმის თავიც არ მქონდა, ავმდგარიყავი და ერთი ჭიქა წყალი დამელია. ისევ ვცახცახებდი. ვერა და ვერ გავთბი.

მოულოდნელად კარზე ზარის ხმა გაისმა. არ გავნძრეულვარ. ახლა არავის ნახვის თავი არ მქონდა. ვინც უნდა იყოს, მოჰბეზრდება, რომ არ გაუღებენ და წავა-მეთქი, ვიფიქრე...

აბეზარი სტუმარი წასვლას არ აპირებდა. ახლა უკვე თითის აუღებლად, გაბმულად რეკავდა. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი. ფეხები გადმოვყავი საწოლიდან და სევდიანად გავხედე მანძილს, რომელიც კარამდე მაშორებდა. ღმერთო, როგორ მივაღწევ იქამდე! — გავიფიქრე სასოწარკვეთილმა. ამწუთას ჩემი პატარა ბინა უზარმაზარ სასახლედ მომეჩვენა. ძლივს მივლასლასდი კართან. ზარის ხმა უკვე ბრახუნში გადაიზარდა. ვაიმე! ასე მხოლოდ პოლიციას შეუძლია დააბრახუნოს. რამე მოხდა? დაკეტილ კარს ჯაჭვი ჩამოვაცვი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვაღე.

— მოხსენი ჯაჭვი! — ამ ხმამ ადგილზე გამაქვავა...

ეს ლადოს ხმა იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი

მარი ჯაფარიძე

ზუსტად დღევანდელი თემა გამოდგება იმის აღსაწერად, თუ როგორ მექცევა ზოგიერთი მკითხველი. ვისაც უძილობა აწუხებს და დეპოზიტზე თანხაც აქვს, ყველა მირეკავს. ერთი რამე ვერ გამიგია — ღამის 2 საათზე ჩემი გაცნობა რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს? ან თუ მოუნდება, რატომ იმას არ ფიქრობს, რომ ასეთ დროს ადამიანის შეწუხება, მსუბუქად რომ ვთქვა, უზრდელობაა? რა ვიცი, რა ვიცი... რამდენიც უნდა ვიწუწუნო, ალბათ არაფერი გამომივა და ჯობია, ისევ მე გამოვიჩინო გონიერება და ღამით ტელეფონი გამოვრთო... აღარ დამირეკოთ უდროო დროს, რაااااა...

რა უფრო მნიშვნელოვანია?

„სულ რაღაც 2 საათის მისული ვიყავი ბებიასთან სტუმრად, ჩვენი ეზოს წინ ქალის განწირული კივილი და ტირილი რომ შემოგვესმა... მივხვდით, კარგი ამბავი არ იყო და დაფეთებული გავცვივდით გარეთ. მეზობლის ქალმა ძლივს ამოთქვა, — ირინას ბიჭი — ზურა ავარიაში მოყოლილა და დაღუპულაო. წამში მოიყარა მთელმა ქალაქმა თავი, ყველა განიცდიდა მომხდარ უბედურებას. მე კარგად ვერ ვიხსენებდი დაღუპულის ვინაობას. ერთ 22 წლის ბიჭზე მქონდა ეჭვი, მაგრამ დაჯერება არ მინდოდა, რომ ის იყო. ხმაურზე გარდაცვლილის დედაც გამოვიდა. თითქოს გრძნობდა თავზე დამტყდარ უბედურებას, სახეზე ფერი არ ედო, გაფითრებული იყო. — რა მოხდაო? — იკითხა საბრალომ, მაგრამ პასუხის გამცემი ვინ იყო? რომ არავინ უპასუხა და ყველამ მხოლოდ სიბრალულით შეხედა, „გაპარული“ ხმით თქვა: — ჩემს ზურას ხომ არაფერი დაემართაო? დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ერთმა ქალმა უთხრა, ავარიაში მოყვაო. — ცოცხალიაო? — ესღა იკითხა და წაბარბაცდა. ხელი შეაშველეს მეზობლებმა. ირინა იქვე მიწაზე დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო... მის გარშემო უამრავი ადამიანი ირეოდა. მალე მათ ირინას საუკეთესო მეგობარი შეუერთდა. ქალმა მავედრებელი თვალებით შეხედა და უთხრა: — ვიცი, შენ მეტყვი სიმართლეს, მითხარი, შვილი აღარ მყავსო? ქალმა ვერაფერი უთხრა და ტირილი აუვარდა. ირინას მზერა გაეყინა და თავში წაიშინა ხელები, სახე ჩამოიხოკა, აქვითინდა: — სანამ ჩემი შვილი არ მოვა, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, — თქვა და არაფრისმთქმელი თვალებით გადახედა მის წინ თავმოყრილ ხალხს. სიმართლე როდემდე დაიმალებოდა? ერთ-ერთი მეზობელი ირინასთან ახლოს მივიდა, თავი ააწევინა და უთხრა: — იტირე, შე უბედურო, იტირე, აღარ გყავს შვილიო... ამის თქმა იყო და — ირინას გული წაუვიდა. მოასულიერეს, მაგრამ ისევ დაკარგა გონი. საღამოს მოასვენეს ზურა. ქალი შვილის უსულო სხეულს დაემხო, თან მისი ფეხსაცმელები ჰქონდა მიკრული გულზე და ისეთ სიტყვებს ეუბნებოდა შვილს, მისი ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა... და აი, ამ დროს, როცა საბრალო დედა შვილის ცხედარს მწარე ცრემლით დასტიროდა, ეს ამბავი მოხდა: თურმე ირინა ერთ მეზობელ ქალთან ნაჩხუბარი ყოფილა; რამდენიმე წელი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. ერთმა ქალმა კი, ვინც ეს ამბავი იცოდა, მეორეს ჰკითხა, — ნეტავ რა მოხდება, სამძიმარზე რომ მივა ლალი, ხომ არ გამოაგდებს ირინაო?! გაოცებული დავრჩი, გულში გავიფიქრე, რა დროს ესაა-მეთქი? მაგრამ ჯერ სად ხართ... ის ქალი ირინასთან მივიდა და უთხრა: — ლალი სამძიმარზე რომ მოვიდეს, შეიძლებაო? მეორე დღეს ლალიმ მიუსამძიმრა. ირინა გაშეშებული იყო, ვერც კი გაიგო მისი მისვლა, ან კი სად ჰქონდა ლალისა და სხვების თავი? გარეთ კი ქალები ქირქილებდნენ — ნეტავ რა მოხდა, რა უთხრა ირინამ ლალისო? აი, ამიტომაცაა ნათქვამი — სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო! მიუხედავად იმისა, რომ ირინა მეზობლებს შეეცოდათ, ბოლომ-

ცხოვრება ვერთობილია. წინასწარმეტყველია, ოღდა იმოძმა

დე მაინც ვერ გაიზიარეს მისი ჭირი. ლუნა“.

ნაკლული ბედნიერება

„შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ სარფიანად გავთხოვდი. ღარიბი ოჯახიდან ვარ. დედა და მამა გამუდმებით შრომობდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, მაგრამ თავი ძლივს გაგვქონდა. გარეგნულად კარგი ვარ. დედა სულ იმას მეუბნებოდა ხოლმე, თავს ყველას ნუ გაუყადრებ, ბიჭებში ნუ „გაითქვიფები“, სახელს ნუ გაიტეხ, გულთან ახლოს ნუ მიუშვებ სიყვარულს, შენს გარეგნობას თუ გამოიყენებ, კარგ ოჯახში მოხვდები და იქნებ მერე მაინც იყო ბედნიერი — მე და მამაშენმა ვერ შეგიქმენით ლაღი ბავშვობაო. მეც ვუჯერებდი და ვცდილობდი, მდიდარი საქმრო მომეძებნა. ამავდროულად, უსიყვარულოდ გათხოვებას არ ვაპირებდი და ველოდი ჩემი ოცნების პრინცს, რომელიც 25 წლის ასაკში გამოჩნდა. ჩვენი ურთიერთობა ერთი უბრალო შემთხვევით დაიწყო — ბანკში, სესხის ასაღებად მივედი, ის კი იქ მუშაობდა. ვინაიდან სესხის გაცემის დროს ბანკი ყველა მონაცემით ინტერესდება, მიშოც თამამად მაძლევდა კითხვებს და მეც ვპასუხობდი. თუმცა, მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ჩემ წინ ჩემი ოცნების პრინცი იჯდა. იმავე საღამოს დამირეკა და მითხრა, ვინც იყო. არ ვაპირებდი მასთან ფლირტის გაბმას, მაგრამ იმდენჯერ მომიწია ბანკში მისვლამ (თვითონ მიბარებდა), რომ ამასობაში მომეწონა კიდეც. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ერთი წლის შემდეგ დავქორწინდით. სადედამთილოს თავიდანვე ძალიან მოვეწონე. ზღაპრული ქორწილი გადაგვიხადეს მიშოს მშობლებმა და ისე გამომაწყვეს, თავი დედოფალი მეგონა. ცხოვრებაში არ მღირსებია ისეთი ძვირფასი ტანისამოსი, როგორიც მათ მიყიდეს. უფრო დავმშვენდი... ბედნიერად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დღესაც, მაგრამ ჩემს ბედნიერებას ერთი რამ უშლის ხელს: ჩემი მშობლები ისევ ისეთ გასაჭირში არიან. ჩემი დედამთილი ხელს არ ანძრევს საიმისოდ, რომ ცოტა მაინც დაეხმაროს მათ. რომ არ გადავაჭარბო, გეტყვით, რომ ჩემს მამამთილს თვეში 50 ათასი მაინც აქვს შემოსავალი. რამდენჯერმე ვთხოვე, მამაჩემისთვის თავის ფირმაში სამსახური მიეცა, მაგრამ არ შეიბერტყა ყურრი. ჰოდა, ახლა გადავწყვიტე, ვიეშმაკო და ჩემს მშობლებს დავეხმარო. თვეში ერთხელ მაინც მაძლევენ ფულს (თანაც, არც ისე ცოტას), რომ ჩემი გარდერობი შევავსო. დედას ვუნაწილებ ხოლმე. იმდენი ტანისამოსი მაქვს, ქმრის ოჯახში მაინც ვერ მიხვდებიან, ახალი შევმატე თუ არა და ამით ვსარგებლობ, ან ფასებს ვატყუებ. კიდევ კარგი, ანგარიშს არ იბარებენ, რა ვიყიდე, რაში რამდენი გადავიხადე და ა.შ. არ მინდოდა, თუნდაც მცირე ტყუილი მეთქვა, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვეს. სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო, ჩემი დედამთილი ფიქრობს ალბათ, დედა და მამა კი ჩემთვის სხვები სულაც არ არიან. რა ვქნა, ვისაც უნდა, გამამტყუნოს. სერაფიტა“.

„ნაგლი“ მასწავლებელი

„მასწავლებელი მყავდა ერთი — თინიკო. ისეთი საძაგელი ქალი იყო, რომ მის გაკვეთილზე შესვლაც კი არ გვინდოდა ხოლმე. რომელი კლასის დასჯაც უნდოდა, იმათ პედაგოგად ნიშნავდა ხოლმე დირექტორი. ასეთი რა ხასიათი ჰქონდაო, იტყვით ალბათ?! მექრთამე იყო. არც მდიდარი იცოდა და არც — ღარიბი. ყველა ბავშვს ფულს სთხოვდა. თუ არ გადაუხდიდი, ნიშანს არ გაღირსებდა. სემესტრის ბოლოს ხარკივით ვაგროვებდით თინიკოსთვის მისაცემ ფულს. ბავშვზე — 20 მანეთს (საბჭოთა პერიოდის ამბავს გიყვებით). ჰოდა, ერთხელ შევკრიბეთ ფული, სია შევადგინეთ და თინიკო მასწავლებელს ჩავაბარეთ. სიაში რამდენიმე ბავშვი იყო გამოტოვებული. საითითაოდ გვკითხა მათ შესახებ, — რატომ არ დადეს ფულიო? ზოგზე ვუთხარით, რომ არ ჰქონდა და 1-2 კვირაში მიუტანდა, ზოგზე — „განვადება“ ვთხოვეთ. ერთს კი, რომელიც ძალზე ღარიბი ოჯახიდან იყო, ვუთხარით, რომ ბაბუა გარდაეცვალა და ასეთ დროს ფულზე ვერ მივადგებოდით. გასვენების მეორე დღეს მისდგომია გარდაცვლილის ოჯახს, — შესაწირი გექნებათ აგროვებული, ხალხი ისე ხომ არ წავიდოდა ქელეხიდან, რომ ოჯახს არ დახმარებოდა და სანამ ის ფული არ დაგიხარჯავთ, თქვე მათხოვრებო, მომეცით, თორემ თქვენი მშიერი მუცლების ამბავი რომ ვიცი, ერთიანად დახარჯავთ და ვერ გადამიხდითო. ისეთი ამბავი აუტეხავს მოსწავლის მამას, რომ თინიკო მასწავლებელს ძლივს გამოუსწრია: — კიდევ ჩვენ ვართ მათხოვრები, შე მართლა მათხოვაროო?! — უკან მისდევდა თურმე. ძლივს გაუჩერებიათ ნათესავებსა და მეზობლებს, თორემ რომ დასწეოდა, მოკლავდაო, მნახველები ამბობდნენ. აი, ასეთი ამბებიც ხდებოდა წინათ, ჩემს ბავშვობაში. თემო“.

მეზობლისგან განწირული თხა

„სოფელში, ბებიაჩემის მეზობლად 2 ოჯახი ცხოვრობს. ლამის საუკუნის 3/4 აქვთ გავლილი და რაც თავი ახსოვთ, ერთმანეთიც ახსოვთ. სულ ქიშპობენ, მაგრამ მაინც ერთმანეთზე ამოსდით მზე და მთვარე. მათი ურთიერთობა ილიკო ჩიგოგიძისა და ილარიონ შევარდნაძის ურთიერთობას მახსენებს. ერთ ზაფხულს (მეც იქ ვიყავი), ვაჟიკოს თხა რომანის ყანას შეეჩვია. ღობეზე გადავიდოდა და სიმინდს მადიანად ახრამუნებდა. რომანმა რამდენჯერმე გააფრთხილა მეზობელი — თუ კიდევ ვნახავ შენს თხას ჩემს ყანაში, იცოდე, დავკლავ და შევჭამო. ის კი ყურს არ იბერტყავდა — რაში ენაღვლებოდა რომანას სიმინდი! რა იცი, რომ ჩემი თხაა? ცილს ნუ სწამებ, მთელი დღე „პატიოსნად“ ტყეშია გასული და ნეკერს მიირთმევს, შენი ჭიანი სიმინდი სულაც არაფერში სჭირდებო, — იცავდა თავის „ერთას“ ვაჟიკო. ამასობაში თხამ ლამის ნახევარი ყანა და მთელი ბოსტანი გადაძოვა. თან ისე ახერხებდა შეპარვას და უკან გამოპარვას, რომ რომანმა მისი „ფაქტზე“ დაჭერა ვერ მოასწრო. ვაჟიკოსთვის სამაგიერო რომ გადაეხადა, თავის თხას ყანის ბოლოში გაიყვანდა ხოლმე და ვაჟიკოს მხარეს გაუშვებდა. ერთ დღეს რომანმა გადაწყვიტა, თხას დასდარაჯე-

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

ბოდა და ვაჟიკოსთვის მუქარა აესრულებინა. შუადღისას „დამნაშავე“ გამოჩნდა. ღობეს მარდად გადაახტა, მოშრიალე სიმინდს შეერია და გემრიელი „ხრამუნი“ ატეხა. რომანი მიეპარა, იქვე წამოაქცია და წინასწარ მომარჯვებული დანა გამოუსვა ყელში. ჩამოატყავა და ცოლს მოსამზადებლად მისცა. საღამოს კი ვახშმად ვაჟიკო დაპატიჟა. ვაჟიკომ კარგად მოულხინა. როცა შეზარხოშდნენ, რომანმა ჰკითხა, — შენი თხა შინ რომ არ დაბრუნდა, რატომ არ ეძებო? ჩემი თხა შინაა, დედაკაცმა მოწველა კიდეცო, — უპასუხა ვაჟიკომ და მოზრდილი ხორცის ნაჭერი დაითრია. რომანს ცოტა კი წაუხდა ნირი, ნეტავ, ვისი თხა დავკალიო, მაგრამ სასმელმა თავისი ქნა, მალევე გადაავიწყდა და კარგად მოულხინა. დილით ცოლმა გააღვიძა — კაცო, ადე, უბნის ინსპექტორია მოსულიო. გივი ინსპექტორს ხელში რომანის ყანიდან ამოღებული „ნივთმტკიცება“ — თხის ტყავი ეჭირა. — სხვის თხას რომ კლავ, ტყავი ისე უნდა გადამალო, რომ ვერავინ მიაგნოსო, — გაუცინა „პახმელიაზე“ მყოფ რომანას. — მიჩივლა ჩათლახმა ვაჟიკომო? — თავი გააქნია „ჯალათმა“. — ვაჟიკომ კი არა, შოთამ გიჩივლა, შოთას თხა მოიპარე, დაკალი და ვაჟიკო რატომ გიჩივლებდაო?!. მოკლედ, ალბათ მიხვდით, რომ ვაჟიკოს თხა არაფერ შუაში იყო და შოთას „კიკინა“ იპარავდა სიმინდს. რომანას თხის ფული გადაახდევინეს და ხელწერილიც დააწერინეს, რომ სხვა დროს მეზობლის თხას არ მოიპარავდა. ვაჟიკო კი ჩუმად ხითხითებდა, რადგან როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თავიდან სწორედ მისი „წვერცანცარა“ გადადიოდა რომანის ყანაში, მაგრამ მერე თავისი დაუბამს და შოთას თხა სულ ძალით შეუდენია მეზობელთან, რომ მიჩვეულიყო. მერე უკვე მისი დაძალებაც აღარ სჭირდებოდა, თხა თავისით იკვლევდა გზას და საწყალი, კიდეც შეეწირა ვაჟიკოს ეშმაკობას“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „უხერხული სიტუაცია“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც ტახტები დაკარგა

ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ჯი ასეთია:

თუ არ დაიჭირე, ვერ გათხოვდები

„თეატრი ჩემი სულის სახლია“

„გზის“ №41-ში დაიბეჭდა 16 წლის სალომეს მესიჯი. გოგონა გვწერდა, რომ მშობლები მის პროფესიულ არჩევანში ერევიან და არ აძლევენ უფლებას, ოცნება აისრულოს. „არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამოიჩემეს, — ჩვენი შვილი აუცილებლად, ექიმი უნდა გამოვიდესო და ახლა საამისოდ მამზადებენ. პირადად მე, ეს პროფესია საერთოდ არ მაინტერესებს. ყოველთვის მინდოდა, მსახიობი გამოვსულიყავი, რასაც ჩემი მშობლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. არ მინდა, მათ დავუპირისპირდე, მაგრამ არც ის მსურს, მომავალში ვიღაცის სხეული ვჩიჩქნო. მაინტერესებს, პროფესიის არჩევისას ასეთი პრობლემის წინაშე ვინმე თუ ყოფილხართ და საკუთარი პრინციპების დასაცავად რა მოიმოქმედეთ?“

„ეს პროფესია ოჯახში მაინც გამოგადგება“

თათუშკები:

„ვიღაცამ მიამბო მსგავსი ამბავი და ისიც მითხრა, თუ როგორ მოარჯულა მშობლები. დედ-მამას დაემუქრე: თუკი ჩემს სურვილს არ გაითვალისწინებთ და სამედიცინოზე ჩაბარებას დამაძალებთ, სწავლის გაგრძელებაზე საერთოდ არ ვიფიქრებ და სახლში დაგიჯდებითთქო. მგონი, ეს გაჭრის. წარმატებები!“

ბარტყი:

„პირველ რიგში, მშობლებს ყველაფერი უნდა აუხსნა. უთხარი მათ, რომ შენგან ექიმი ვერ დადგება; რომ პატარა აღარ ხარ და უფლება გაქვს, პროფესია თავად აირჩიო. წარმატებებს გისურვებ და აუცილებლად შეგვატყობინე, რას გადაწყვეტ“.

მაცმაცუნა:

„სიხარულო, თავის დროზე მშობლების რჩევა არ გავითვალისწინე, პროფესიის არჩევისას ჩემი გავიტანე, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი, რომ მწარედ შევცდი და ახლა სწორედ იმ პროფესიას ვეუფლები, რომელიც დედ-მამამ მირჩია. ნეტავ, თავიდანვე გამეთვალისწინებინა მათი რჩევა... სალომე, მშობლებს გაუგე. მათ უნდათ, მომავალში ისეთ ადგილას იმუშაო, სადაც ნორმალური ანაზღაურება გექნება. ჯერ პატარა ხარ და დედა რომ გახდები, მშობლის გაგებას მერე შეძლებ. წარმატებებს გისურვებ!“

რუსპირი (RED):

„ყვავს თავისი ბახალა მის მსოფლიო ჰგონიაო... სალომე, ქართველი მშობლების ამბავი არ იცი? ყველა დედა (იშვიათად, მაგრამ მამებიც სცოდავენ) ფიქრობს, რომ სწორედ მისი შვილია ერთადერთი და განუმეორებელი. ჰოდა, შენც ასეთ დღეში ხარ: მშობლების აზრით, უნიკალური, ძალიან განათლებული, ბრძენი ბრძანდები და ვერ გიმეტებენ საიმისოდ, რომ ქართველი მსახიობი გერქვას. ისე, ცნობისათვის, უფროსი თაობის წარმომადგენლების უმეტესობას ყველა მსახიობი ქალი ბოზი ჰგონია, ექიმობა კი — ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი და საზოგადოებისგან დაფასებული პროფესია. ეცადე, მშობლებსაც გაუგო. მათ აუხსენი, რომ შენი მოწოდება თეთრ ხალათს არ უკავშირდება“.

CRAZY GIRL:

„სალი, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ: დედაჩემს გადაწყვეტილი აქვს, რომ მისი შვილი იურისტი უნდა გახდეს, არადა, მეც მსახიობობა მინდა. თეატრი ჩემი სულის სახლია და როდესაც გამოცდების ჩაბარების დრო მოვა, მაინც ჩემსას გავიტან. გირჩევ, ის არ გააკეთო, რაც არ გინდა. კოლეგა, წარმატებებს და წინსვლას გისურვებ კარიერასა და ცხოვრებაში!“

ლუნა:

„სიმართლე გითხრა, შენი მშობლების არც მე მესმის. ზოგჯერ უფროსები შვილების ცხოვრებაში ზედმეტად ერევიან. სრული უფლება გაქვს, იმ პროფესიას დაეუფლო, რაც გსურს. იმ საქმის კეთება, რომელიც სიამოვნებას არ განიჭებს, ნამდვილი სასჯელია და ეს როგორმე, შენს მშობლებსაც უნდა აუხსნა. გკოცნი“.

ნინი F.C.B:

„მეც შენს დღეში ვიყავი: ჩემს მშობლებს უნდოდათ, სამედიცინოზე ჩამებარებინა, მაგრამ მე მსახიობობა ისე მინდოდა, რომ მათი გადარწმუნება უკვე შევძელი. მსახიობობა შენც ისე თუ გინდა, როგორც მე, მიზანს აუცილებლად მიაღწევ. წარმატებები!“

ანანო (BELLATRIX):

„ცუდ სიტუაციაში ხარ. პირადად მე, როცა ვთქვი, — ჟურნალისტობა მინდა-მეთქი, მითხრეს: ზუსტად საშენო პროფესიაააო — ანუ არც დედაჩემს უნდა, ექიმი გამოვიდე და არც მამაჩემს — არქიტექტორი. იცი, ჯობს, მშობლებს დაელაპარაკო და აუხსნა, რომ თავს კარგად მხოლოდ მსახიობის ამპლუაში იგრძნობ. უთხარი, — ისეთ საქმეს, რომელიც არ მაინტერესებს, ხელსაც არ მოვკიდებ-თქო. წარმატებები!“

უცნობი:

„უფროსებმა უკეთ იციან, რა არის კარგი და რა — ცუდი. ამიტომაც, მათი რჩევა უნდა გაითვალისწინო. თუ ნიჭი გაქვს, მსახიობობის შანსიც მოგეცემა: თითქმის ყველა უნივერსიტეტში არის თეატრალური წრე; გარდა ამისა, არსებობს კომპანიები, სადაც თუ გაწევრდები, შენი „ფოტოკები“ საიტზე დაიდება და თუკი შენით რომელიმე რეჟისორი დაინტერესდება, აუცილებლად მიგიწვევენ. ასე რომ, ტყუილად ნერვიულობ და მშობლებსაც ანერვიულებ. მათ გული არ ატკინო — ესაა ჩემი რჩევა. წარმატებები!“

UNLUCKY:

„არ მესმის, მშობლები ჩემს პროფესიულ არჩევანში რატომ უნდა ჩაერიონ?.. კი, ბატონო, გამაჩინე, გამზარდე და დიდი მადლობა ამისთვის, მაგრამ ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება“.

ქეთო:

„შენსას მიაწექი. მშობლებს არა აქვთ უფლება, შენს პროფესიულ არჩევანში ჩაერიონ. შეუძლიათ, უბრალოდ გირჩიონ და თუ გაითვალისწინებ, ხომ კარგი, თუ არა და, ძალა არ უნდა დაგატანონ“.

პეტო:

„პროფესია ყველამ თავად უნდა აირჩიოს. მე ქირურგი უბრალოდ მქვია: ჩემებმა სამედიცინოზე ჩაბარება მაიძულეს. ჰოდა, ახლა თავში ირტყამენ ხელს, — ეს რა მოგვივიდა, ნეტავ იქ ჩაებარებინა, სადაც უნდოდაო. ახლა გვიანია თითზე კბენანი, რადგან მე აღარ მაქვს სურვილი, ისევ სტუდენტი ვიყო. გირჩევ, შენი გაიტანო. წარმატებები!“

NICE BOY:

„მსახიობობა ძალიან კარგია, შენსას მიაწექი. ეცადე, აკეთო ის, რაც მოგწონს. მშობლების ხათრით სამედიცინოზე ჩაბარებას არ გირჩევ. თუ საყვარელ პროფესიას არ დაეუფლები, მომავალში არასასურ-

ველი საქმის კეთება ტანჯვად გექცევა“.

შორენა:

„დედა ოცნებობდა, რომ ასპირანტურაში მესწავლა, მე კი ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, — არ მინდა-მეთქი. მოგვიანებით საოცრება მოხდა — სწავლის გაგრძელების სურვილი თავად გამიჩნდა. ვიფიქრე, მომავალში ლექციებს წავიკითხავ-მეთქი, მაგრამ ასპირანტურაში ჩაბარება უკვე იმდენად იყო გართულებული, რომ ვეღარ შევძელი. ახლა ძალიან ვნანობ, მშობელს რომ არ დავუჯერე. მქონდა ორი პროფესია, ამით რას დავკარგავდი?.. ჩემი შეცდომა რომ არ გაიმეორო და წლების შემდეგ შენი თავნებობა არ ინანო, გირჩევ, სამედიცინოზე ჩააბარო. სასწავლებელში აუცილებლად იქნება თეატრალური წრე და იქ ჩუმად ჩაეწერე; შეასრულე როლები, წარმატებას მიაღწიე და შენს ნიჭს წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიცვლება და მშობლებიც სხვანაირად დაიწყებენ ფიქრს. წარმატებები! P.S. ექიმის პროფესია ოჯახში მაინც გამოგადგება. დედ-მამასაც აუხდინე ნატვრა და საკუთარი ოცნებაც აისრულე“.

■

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“

„გზის“ №41-ში დაიბეჭდა ლაშას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ შეუყვარდა გოგო, რომლის ძმასთანაც რამდენიმე ხნის წინ სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა. „არ მინდა, იმ ბიჭთან რაიმე საერთო მქონდეს, მაგრამ ვერც „ლოვეს“ შეველევი. არადა, მისი ძმა ძველ კონფლიქტს მახსენებს და... რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?“

„დროა მოყვასის პატიება და შენდობა ისწავლო“

ლიკუნა:

„რატომ იჩხუბეთ? რაიმე სერიოზული მიზეზია? ცუდია, როცა საცოლის ოჯახის წევრისთვის არასასურველი სასიძო ხარ, მაგრამ რას იზამ, ბედს გვერდს ვერ აუვლი. გაიხსენე ძველი ქართული მულტფილმი — „მტრობა“ და ბრძნული სიტყვები: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ბედნიერებას გისურვებ!“

პაპო:

„ლოვეს“ ცოლად რომ მოიყვან, შენსა და იმ ბიჭს შორის ურთიერთობა აუცილებლად მოგვარდება. ამ სისულელის გამო სიყვარულზე უარს ნუ იტყვი. ხომ გაგიგია, რომ ამბობენ: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო. იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ“.

შორენა:

„მოვიდა დრო, მოყვასის პატიება და შენდობა ისწავლო. რადგან ეს ადრე არ გააკეთე, ახლა სიყვარულის სახელით მაინც აპატიე“.

ანანო (BELLATRIX):

„შეყვარებულს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ მის ძმასთან კონფლიქტი გქონდა (თუ არ იცის, რა თქმა უნდა)... იმ ბიჭსაც შეხვდი და უთხარი, — შენი და მიყვარს-თქო. არა მგონია, ამით რაიმე დაშავდეს. სხვა თუ არაფერი, ის მაინც ეცოდინება, რომ მისი და გიყვარს. თუ იმ გოგოს ვერ ელევი, მის ძმასაც უნდა

შეეგუო“.

უცნობი:

„თუ გიყვარს, მის გამო ყველაფერს გააკეთებ! ძველი წყენა უნდა დაივიწყო. შეეცადე, მასთან ურთიერთობა მანამ მოაგვარო, სანამ დაქორწინებას გადაწყვეტ. „ლოვეს“ ამ კონფლიქტს ნუ გადააყოლებ. წარმატებები!“

ლუნა:

„თუ ის გოგო გიყვარს და მისი დაკარგვა არ გინდა, მის ძმასთან ურთიერთობის გამოსწორება უნდა სცადო. სიყვარულის გამო რაღაცრაღაცების დათმობა ყველას გვიწევს. თუ იმ გოგოსთან სერიოზულ ურთიერთობას აპირებ, მის ძმასთანაც გექნება შეხება და პირველ რიგში, პრობლემები მასთან უნდა მოაგვარო. აბა, შენ იცი!“

ZY:

„ის ბიჭი „დაიკიდე“. ბოლოს და ბოლოს, ცოლად ხომ მისი და მოგყავს და არა — თავად ის. თუ კარგად მოიქცევი, მერე ცოლისძმაც შეგირიგდება“.

ჰიარი:

„იცი, რა, მამაჩემს, ვიდრე ცოლს შეირთავდა, „ლოვეს“ ოჯახის თითოეულ წევრთან ჰქონდა პრობლემა. იმის გამო, რომ ქალიშვილს „ვიღაც გლეხისთვის“ ვერ იმეტებდნენ, მამაჩემი კი ძალაობდა (მიუხედავად იმისა, რომ იწუნებდნენ, შეყვარებულის ხელის სათხოვნელად მის ოჯახში თითქმის ყოველდღე მიდიოდა), იქიდან ნაცემი ბრუნდებოდა ხოლმე (ძალიან ძლიერია, მაგრამ მომავალ ნათესავებს ხომ არ შეუბრუნებდა ხელს?!). ერთხელაც, ნერვებმა უღალატა და მომავალი მეუღლის მამა და ძმა კარგად მიჟეჟა... ახლა ერთმანეთში ისე კარგად არიან, შენი მოწონებული. ჰოდა, გირჩევ, „ლოვეს“ ძმის გამო სიყვარულზე უარი არ თქვა. წარმატებები!“

ხალისა:

„როგორ და, ერთი ღრმად ამოისუნთქე და უთხარი, თუ როგორ გიყვარს მისი და. აბა, მის გამო მთელი ცხოვრება ხომ არ დაიტანჯები? წარმატებებს გისურვებ!“

უცნობი:

„თუ ის გოგო მართლა გიყვარს, მისი ძმა და ძველი კონფლიქტი დაივიწყე. იმედია, დის ხათრით ისიც შეძლებს ძველი წყენის დავიწყებას და ერთად, ბედნიერად იცხოვრებთ“.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მესიჯის ფასი 50 თეთრი

ქალები

1. ვარ 180/20/79/, შვილიანი. მსურს გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით თბილისელი მამაკაცი. სასურველია, იყოს ბინიანი და მდიდარი. გამრთობები — არა. სალო.

2. მინდა გავიცნო ახალგაზრდა პიროვნება სამეგობროდ და ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ მარი, გურიიდან, 19 წლის. გელით. დარეკეთ.

3. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა, სერიოზული მამაკაცი. მქვია ირმა, ვარ 28 წლის. მსურს ბედნიერი, ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნა.

4. ვეხმაურები 44 წლის მამაკაცს, მე-9 სმს-ის ავტორს, 42-ე ნომრიდან.

5. ვარ 23 წლის, სიმპათიური გოგო, დასავლეთის მთიან რეგიონში. გავიცნობ დასავლეთისკენ მცხოვრებ, 20-დან 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს.

6. მარი, გთხოვ, მომეცი ნომერ 41-ში, 64-ე გვერდზე გამოქვეყნებული, „მანიაკის“ ავტორის, აგუს ნომერი. მადლობა წინასწარ.

7. გთხოვთ, მომცეთ 42-ე ნომრის მე-15 მესიჯის ავტორის ნომერი.

8. გთხოვთ, მომცეთ 41-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.

9. გთხოვთ, მომცეთ 41-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი.

10. დაუმესიჯეთ ჩემს მეგობარ ირმას, დაოჯახების მიზნით. 32 წლამდე, უბრალო და სუფთა წარსულის მქონე ადამიანებმა. მან არ იცის ამ სმს-ის შესახებ, ეს ხომ სიურპრიზია?

11. ვარ განათხოვარი. გავიცნობ დაოჯახების მიზნით, სერიოზულ მამაკაცს, 25-დან 35 წლამდე. ელე.

12. ვარ 26 წლის. ძლიერი მეოჯახე მანდილოსანი. თავისუფალი. მიპოვეთ.

13. გამომეხმაუროს მამაკაცი, რომელიც მატერიალურად დამეხმარება. ვარ 35

წლის. დანარჩენი — პირადად.

მამაკაცები

14. გავიცნობ გულნატკენ, მამაკაცურ სითბოსა და სიყვარულს მოკლებულ, 20-დან 30 წლამდე გოგოს. ვარ დასაქმებული, უბრალო ადამიანი. დამიმესიჯეთ.

15. გავიცნობ მომხიბვლელ ქალს, შეხვედრებისთვის, რომელსაც ექნება ბინა, 25-35 წლამდე. გელოდები.

16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-35 წლამდე მანდილოსანს. ვარ 30 წლის, დასაქმებული. ვისაც ოჯახი უნდა, გამომეხმაუროს.

17. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. თუ არსებობს, ასეთი.

18. 9 წელია, ვარ ქვრივი. ბინით, სამსახურითა და ყველაფრით უზრუნველყოფილი, 74 წლის. მხოლოდ დღემდე ვერ შევხვდი ჩემი წლოვანების, ჩემს შესაფერის მანდილოსანს.

19. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 24-დან 30 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 31 წლის, დასაქმებული.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №42-ში გამოქვეყნებული, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

21. გავიცნობ სასიამოვნო ქალბატონს ქუთაისიდან, 35 წლამდე. არ მაინტერესებს მისი წარსული.

22. გავიცნობ 30-40 წლამდე ასაკის, ბინიან ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.

23. გავიცნობ გოგოს, დაოჯახების მიზნით, 18-დან 25 წლამდე. ვარ 25 წლის.

24. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 42-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი ან მას მიეცით ჩემი ნომერი, ძალიან გთხოვთ.

25. გთხოვთ, მომწეროთ 42-ე ნომერში გამოქვეყნებული მესამე განცხადების ავტორის ნომერი.

26. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის, ჭკვიან, სერიოზულ გოგოს, სამეგობროდ. დამიმესიჯეთ.

27. გავიცნობდი ქალბატონს, ერთგულებისთვის.

28. ვარ 30/167/62, ნორმალური ბიჭი, იმერეთიდან. ოჯახის შექმნის მიზ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ნით მინდა გავიცნო პატიოსანი, გოგო 27-30 წლამდე. სასურველია, ქალაქელი. დანარჩენი — პირადად.

29. სიამოვნებით გავიცნობ მომხიბვლელ მანდილოსანს. სიმპათიური ბიჭი.

30. გთხოვთ, მომცეთ 42-ე ნომერი „გზის“ მე-2 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

31. ვეხმაურები 42-ე ნომერში გამოქვეყნებულ, მე-3 განცხადებას — მაიას.

32. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 42-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი, ან მას მიეცით ჩემი ნომერი.

33. ვეხმაურები 42 წლის ქალბატონს. ვარ 40 წლის, რუსთაველი მამაკაცი. მსურს ოჯახის შექმნა. თუ გაგიჩნდათ სურვილი, გთხოვთ, გამომეხმაუროთ.

34. ვარ 36/190/90, ქერა, მწვანე თვალებით, ევროპული ტიპის მამაკაცი. უკომპლექსო, კარგი ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზი გარეგნობის მანდილოსანს. დანარჩენი — პირადად.

35. ვეხმაურები მეშვიდე ნომერს. ვარ 32 წლის, უცოლო მამაკაცი.

ვეძებ

36. ვეძებ ჩემს უახლოეს ნათესავს, ნატო ბალაშვილს. მაქვს ინფორმაცია, რომ დაიბადა ახალგორის რაიონში და გააშვილეს. ახლა უნდა იყოს 30 წლამდე. გავიგე, რომ ჰყოლია შვილიც. ნატოს მამამ ჩაიდინა დანაშაული და დაიჭირეს. დედობილმაც მიატოვა. როგორც ვიცი, დიდხანს ეძებდა ბიოლოგიურ დედას. ამბობენ, ნატო გარდაიცვალაო, მაგრამ არ გვჯერა. თუ ცოცხალია, გამომეხმაუროს. ან თუ ვინმეს მის შესახებ ინფორმაცია გაქვთ, გამაგებინეთ. ძალიან გთხოვთ, ის ჩემი დეიდაა. წინასწარ დიდი მადლობა, თქვენი იმედი მაქვს. ნინო.

37. ირმა, არ მჯერა, თუ გიპოვე. დამირეკე ან დამიმესიჯე, საღამოს 6 სთ-ის შემდეგ. გელოდები სულმოუთქმელად. ეკა-ჟორა.

სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ-მეთქი, რომ გკითხო, მეტყვი, როგორ ვიქნები, არ გამოდის ის ამბავიო, მაგრამ მეც მაიმედებენ, დე, მეუბნებიან, დღეს-ხვალო... ნეტავ ყოვლისშემძლე ვიყო, სიხარულო... მსოფლიოში საუკეთესო შვილი ხარ... ვამაყობ შენით, დე... ჩემი პატარა და ციცქნა შვილიკუნა... თავს ხომ უფრთხილდები, დე? მე რომ არ გყავარ მანდ, სულ მგონია, რომ გცივა, გშია ან რაღაც გტკივა. ჩემი ვაჟკაცი ხარ, ასე მედგრად რომ უძლებ ღვთისგან მოვლენილ გასაჭირს, დედას ანგელოზო... ნუ, ახლა, მთლად ანგელოზი არ ხარ და არც ფრთების ფართხუნით იღლები, მაგრამ ჩემთვის ხომ შენზე და შენს ძმაზე უფრო მნიშვნელოვანი არავინაა ქვეყნად? ჩემთვის ნამდვილი ანგელოზები ხართ, ისევ ისეთი პატარები, ბუსუნსულები, წაბლის ჭიებს რომ გეძახდით ხოლმე... ძალიან ძნელია, როცა დედას თავისი პირმშოები ახლოს არ ჰყავს. უდიდესი ტანჯვაა, მაგრამ ამ მდგომარეობაში მთავარია, ვიცოდე, რომ ჯანმრთელად ხართ. ბესოს ხშირად ველაპარაკებით „სკაიპში“ და ასე თუ ისე, ვიკლავ მონატრებას, შენ კი... ცოტაც, დე და მერე ყველაფერი კარგად იქნება... ხომ იცი, რომ შენი გულშემატკივრები ვართ, შენი ოჯახი... საბას სულ შენს სახელს ვეძახი. ისიც მაგონებს, ისე მიეჩვია. პატარა მაიმუნი ისეთი ოხერია, ისეთ რამეს იტყვის, სიცილით მოგკლავს. გენაცვალე, სიხარულო... საახალწლოდ ან იანვარ-თებერვალში ახალი მანქანის ყიდვას ვაპირებ. ამას კარგად გავაკეთებ და შენ დაგახვედრებ. თავიდან გეყოფა, მეც მაგით დავიწყე. :) რომ გამოხვალ, მართვის მოწმობა უნდა აიღო... ახალი საქმე დავიწყე და აწყობილს დაგახვედრებ და ჩაგაბარებ. მერე შენს თავს და ოჯახს კი მიხედავ... სავარაუდოდ, 3-ში გნახავთ. გეხუტუნე, სიხარულო... ჰო, მართლა, წერილში რომ რაღაც მომწერე, გახსოვს? არ მწყენია, მაშინ რომ მითხარი, მაგაზე არ ინერვიულო, მივხვდი, რომ იხუმრე... როგორ შეიძლება, რომ დედას შვილისგან ასეთი რამე ეწყინოს? ჩემი სიცოცხლე ხარ. უფალი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• სიხარულო, როგორ ხარ? ჩვენ არა გვიშავს, ვართ ძველებურად. ახალი და კარგი არაფერია. მარისთვის წერილის მიცემა დამავიწყდა და ახლა ტელეფონით ვუგზავნი მესიჯს. საბა დადის ბაღში და ცეკვაზე. ყოველდღე ერთი და იგივეა. იცი შენ ახლა, მე როგორც ვიქნები. წერილი მომივიდა და მეც გამოვგზავნე. ნერვებს გაუფრთხილდი. მიყვარხარ.

• დათუ, არაფერზე ინერვიულო, ჩვენ კარგად ვართ, არაფერი გვიჭირს. მე და თედო მალე გნახავთ. ძალიან იმედიანად ვარ, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები. იოანე უკვე 7 კილოა, შენი ასლია. თედუნა კი ნამდვილი ვაჟკაცია. იამაყებ შენი შვილებით. არ ინერვიულო, ვალი არ დაგვრჩა. ჩემებიც შენ გვერდით არიან. მიყვარხარ. სასამართლოს შემდეგ ორშაბათს ან სამშაბათს გნახავ. ბევრი კარგი რამ მაქვს სათქმელი და გამხნევდი. მე ისევ ჩემებთან ვარ. გულო ჩამოვა და წამოვყვებით. ცირა.

• სიხარულო, როგორ ხარ? სულ დამივიწყე... რამდენი ხანია, აღარ მირეკავ... ძალიან მომენატრე, ძალიან ცუდად ვარ.

• ც212 ჩემო სიხარულო, როგორ ხარ ნეტავ? მე და ბაბი ახლა დავწექით, დღეს რომ დამირეკე, ძალიან გამიხარდა. ბარბი ნაწყენია შენზე, მამიკომ ტელეფონი გამითიშაო. მიყვარხარ.

• გამარჯობა, ლაშა ბიძია. როგორ იქნები, ვიცით. ძალიან გვენატრები და გვჭირდები. მოუარე თავს. დათა და ნიკა.

• შენ გვასწავლე ცხენი, ნადირობა! გვენატრება ის დღეები, ზამთრის არდადეგებზე იცოდე, შენთან ერთად უნდა ვიყოთ. შენი გუდუნები.

• ც212 ჩემო სიხარულო, როგორ მენატრები... ველარ ვისვენებ უშენოდ. ახლა სამსახურში ვარ. როგორ მინდა, ჩემთან იყო... მომაკითხო სამსახურში და გამახარო. მიყვარხარ. გკოცნი.

• ჯოტი, ჩემი ცხოვრება ხარ. მივიღეთ შენი გამოგზავნილი ლამაზი სიტყვები. შენ ჩემთვის უძვირფასესი ხარ. შენ როგორც გაგიხარდება, ისე ვიცხოვრებ. შენით მითენდება. გკოცნი.

• ჯოტი, როგორ ხარ? მე უშენობა ძალიან მტკივა, მაგრამ შენი იმედით ვუძლებ. იქნება რამე უკეთესობა. ღმერთის იმედით ვცხოვრობ და შენი იმედი არ მომიშალოს უფალმა. გკოცნი.

• მთლად ნუ მომკლავ, გეყოს! ისედაც ყოველი წერილი სიკვდილია ჩემთვის. შენი სასიყვარულო ამბავი არ დამანახვო, თუ ერთი ნამცეცი სინდისი გაგაჩნია. გაიკა — ბოლტისთვის.

• არასოდეს დაგენახები. თავს არ დავიმცირებ იქ მოსვლით, სადაც მე კი არა, სხვას ელიან! არასოდეს მოხვიდე ჩემს სასაფლაოზეც კი! შენ მომკალი და გამანადგურე! რატომ? მე ხომ მარტო შენი სიყვარული მინდოდა! გაიკა.

• ჯოტი, როგორ ხარ, სიხარულო? ძალიან მენატრები, ჩემო ცხოვრებავ. შენ რაც მთხოვე, ის შეგისრულე. გამოვიტანე და რომ გინახულებ, მაშინ ნახავ. ჩემი იმედი ხარ. გზა.

• თეე, ჩემო საყვარელო თეე... როგორ ხარ? ჩვენ ყველა კარგად, იმედით სავსე... შენს მოლოდინში გვიღამდება და გვითენდება ყოველი დღე... სიცოცხლევ ჩემო, ყველაფერი მალე დამთავრდება, დღეს გიოსა და ანის დაბადების დღეა, ბიჭები ბოულინგში მიდიან, ანის ალბათ გოგოები ესტუმრებიან, სანდრი კარგადაა, ექსკურსიაზე ვერ წავიდნენ, მასწავლებელი ავად გახდა.

ცურვაზე დავდივართ, ბიჭები კარგად არიან, ყველაფერი წესრიგშია, ელენე ნატანებშია ლიასთან. სხვა რა მოგწერო... რადიოში ჩემს მესიჯებს ხანდახან არ კითხულობენ, ყოველწუთს შენთან ვარ ფიქრებით, შენ ხომ იცი... როგორ მიყვარხარ... გიკოცნი თვალებს, გეფერები და გელოდები, იმედო ჩემო. არ დამეღალო, ყველაფერი კარგად იქნება, სამტრედიელები კარგად არიან, ბებო დარდობს და გელოდება, როდის გამახარებსო... ცოტნესა და გიოს გლანდების ოპერაციას უკეთებენ ამ დღეებში, ორივეს ერთად. ნათიკოც კარგადაა, დათომ და სოფომ მანქანა იყიდეს, ხომ იცი, რა ყოჩაღი გოგოა, ჯუნა ჩამოვიდა იტალიიდან, გუშინ თათასთან ვნახე, მოგიკითხა, ელენე ნოემბერში ჩამოვა, ლოლა იყო თბილისში, ვნახე, კარგად არიან, დარდობს შენზე... კოტიკო ეხმიანება სანდროს. ყველას გვენატრებიიი, თეე. მიყვარხარ, მიყვარხარ და მენატრები ჩემო ყველაზე კარგო. გკოცნი და გეფერები მაგ ტკბილ გულში. აბა შენ იცი... ბუტია.

• ვინც გიცნობს, ყველას შენი პატიოსნების სჯერა და შენზე ლოცულობს. ღმერთი გაგაძლიერებს, რათა ამ განსაცდელს გაუძლო. სიკეთე გაგინათებს გზას. მალე დაგვიბრუნდი.

• თეე... ჩემო ძვირფასო თეე... როგორ მიყვარხარ... როგორ მენატრები... როგორ მინდა შენი დანახვა... შენ ჩემი ოცნება ხარ... როგორი ლამაზი ოცნება მასწავლე, ჩემო... შენ ჩემი, მხოლოდ ჩემი ბედნიერება ხარ, მე დღეს მხოლოდ შენთვის ვცხოვრობ თეე, სულ... მუდამ... ყველგან... მხოლოდ შენა ხარ... მხოლოდ შენ მყავხარ მუდმივად ფიქრში... და არასოდეს, არასოდეს არ მტოვებ მარტო... თეე, შენ რომ მასწავლე, შენ რომ მაჩვენე, იმ სიყვარულით მიყვარხარ სწორედ... ბედნიერი ვარ, ღიმილო ჩემო. ეს სიყვარული მაბედნიერებს... გიკოცნი თვალებს, სევდიან და დარდიან თვალებს, შენი ღიმილი ახლა თავიდან დამაწყებინებდა ცხოვრებას, თუმცა... მერე რა... მე ამ ღიმილს დაველოდები... დაველოდები... და ყველაფერი თავიდან დაიწყება... არა, არა, გაგრძელდება... ჩვენ არაფრის დაწყება არ გვჭირდება თავიდან, ჩვენ გავაგრძელებთ იმას, რაც იყო... და ისევ ყველაზე ბედნიერები ვიქნებით... ბუტიას სიხარულო... აბა, შენ იცი, არ დაგღალოს ამ განშორებამ, ყველაფერი იქნება კარგად, გკოცნი უამრავს, შენი ბუტია.

• თეე, ჩემო თეე, ყველაფერი კარგადაა სიხარულო, შენ არ იდარდო... დღეს 21 ოქტომბერია, ცოტნესა და გიოს გაუკეთეს გლანდების ოპერაცია, ახლა მოვედით მე და სანდრი. ცოტნე ისეთი გაბრაზებულია, მგონი ვერ შეირიგებენ, დაბღვერილი იყო, გიომ ცოტა მტკივაო და მაინც იღიმოდა, მანანა ჩამოვიდა სამტრედიიდან, თეე, მესიჯებს ხანდახან არ კითხულობენ და ცუდ ხასიათზე გვაყენებენ... სანდრო კარგადაა, გელოდება... ძალიან უყვარხარ და ენატრები... ჩვენ იშვიათად ვსაუბრობთ ერთმანეთთან ამ თემაზე, ვცდილობთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ის ძალიან კარგი შვილია, ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის... და ასე... და ასე... უბრალოდ, გ ე ლ ო დ ე ბ ი თ! უბრალოდ, გვენატრები... უბრალოდ, გვინდა, უფალმა შენი თავი დაგვიბრუნოს... თეე, აბა, შენ იცი... გიკოცნის თვალებს შენი ბუტია. მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ...

• 3.198გი, ახლა 27-ში უნდა გნახო. როგორც იქნა, მოვიდა ეს დღე. ნეტავ იცოდე, როგორ ვფორიაქობ და ვნერვიულობ. ბუუს, რეინკარნირებული ჯესი იცი რა ჭკვიანია? ასე იმ ძველს არ ესმოდა ჩემი. მოტანაც იცის. გავუშვი სპეციალურად გარეთ და არსად არ გაიქცა. ერთი სიტყვით, უპატრონო ძაღლების მოყვანა შინ ხომ დავიწყე... ჯერ ძაან გამხდარია და მოსუქდება. მის ფოტოს გამოგიგზავნი. ერთი განახვა, რა მადლიერებით სავსე თვალებით მიყურებს. ბუუს, ვერც გაარჩევ ჯესისგან. ბუუს, ძალიან მენატრები, ძალიან და ვიცი, რომ ძაღლის ამბავი გაგახარებდა. გი, თავს გაუფრთხილდი, ძალიან გთხოვ. ნეტავ როგორ დამხვდები? ჩვენ არა გვიშავს, ვართ, რა... მიდის დღეები ტკივილად და წვალებად, ცრემლითა და დარდით. რა ვქნათ, ვუძლებთ და ვცხოვრობთ, თუ ცხოვრება ჰქვია. მე ვარ მოგონებებით... ნეტავ ვერ მიხვდნენ მანდ, რომ შენ მანდ ყოფნის ღირსი არ ხარ? იქნებ გამოგიშვან. გკოცნი. თეე.

დასასრული ყოველთვის ბედნიერი უნდა იყოს. თუ ასე არ ხარ, მაშასადამე, ეს არ არ დასასრული

• 3.198ბუუს, იცი, როგორ მომენატრე? 27 მოახლოვდა და საშინლად ვღელავ, შეხვედრის მოლოდინში ვარ. ნეტავ როგორ ხარ? ძალიან მიმძიმს უშენობა, გი. მიყვარხარ და გკოცნი. თეე.

• 3.198გი, რა ვქნა, არ ვიცი, საშინლად ვარ განერვიულებული. სამსახურში კომისია მოდისო და გათავისუფლებაზე უარი მითხრეს. არადა, რომ არ გამომიშვან, თვე ჩამივარდება. რა მოვახერხო? ავდგე და წამოვიდე? პრობლემები შეგვექმნება და ფინანსები ხომ გვინდა? ერთი სიტყვით, ორშაბათია 24 და ხუთშაბათისთვის რა იქნება, არ ვიცი. მეტირება. ვნახოთ, იქნებ რამე მოხერხდეს. ჩემზე გული არ დაგწყდეს რა, იცოდე, რომ მე ყველანაირად ყველაფერს ვცდილობ, გავთავისუფლდე. ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. საშინლად ვღელავ.

• დათო, სიხარულო, ჩვენკენ ახალი არაფერია. სულ მაგის მოლოდინში ვარ, როდის გავა ეს დღეები, რომ მალე გამოხვიდე. ძალიან მენატრები და ჩემი ერთადერთი სიხარული ხარ. შენ რაც შემომითვალე, მაგაზე ვმუშაობთ და მალე გადაწყდება. ყველა გაფრთხილებული მყავს. დანარჩენი, რაც მითხარი, მაგასაც ყველაფერს გავამზადებ. მიყვარხარ. არაფერზე ინერვიულო. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შენ იყო კარგად.

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით თამუნა შუბაშიკელს. გიო ვარ თამუნა, თუ პატარა ხათრი გაქვს, შემეხმიანე, ისევ ძველი ნომერი მაქვს. მენატრები, თამუნა. გელი.

• ზვიო, მე შენი პირველი სიყვარული ვიყავი, რომელიც წლების წინ გაიცანი კაფეში, ცოლად კი ჩემი ორეული მოიყვანე (რომელიც თურმე ძალიან მგავს). იქნებ ახლა მაინც გამიხსენო, ვინ ვარ და დამეკონტაქტო.

• თუ იცით, რატომ დაანგრია სოფო ხალვაშმა ოჯახი? მისი ქმარი კარგი ადამიანია და გარეგნობითაც კარგია, მამამთილი უკეთილშობილესი — რევაზ ძოძუაშვილი, ფეხბურთელი.

• ბუცა, ისეთ სისულელეს აფრქვევ, მესიჯის მოწერაც არ მინდა. მე შენგან სიძულვილის გარდა არაფერი მინდა. კარგად იყავი. კუნკულა.

• ბუცა, მე კი მაგარი არეულ-დარეული ვარ, მაგრამ სამაგიეროდ, შენა ხარ დალაგებული. ჩემი დარდი კი ნუ გექნება, მე ცხოვრებაში სატანჯველად ქალებისგან სიყვარულიც მეყოფა.

• ფიქრით დამთვრალმა ციხეში, კალამს მოვკიდე ხელია, გითხრათ პატიმრის სიცოცხლე, მისი შავბნელი დღენია. წევს პატიმარი საკანში, გამოლევია ფერია, ასი მზე რომ შეიკონოს, მისი დღე მაინც ბნელია. უმზეოდ გაყვითლებულსა შავადღა უჩანს წვერია, გადის-გამოდის საკანში, ვით დამწყვდეული მგელია, შეხედავს ცე-

მენტის კედლებს, ადევს სიკვდილის ფერია. გიგონებ დედი, ძვირფასო, შენც გაგიმწარე დღენია, ვიცი ჩამოგდის ცრემლები, მდუღარე, დაუთვლელია. პატიმრობა მწარეა ვით პილპილა, ვერ გავიგე საღამოა თუ დილა, ნეტავ იმას, ვინც ამქვეყნად შობილა, დრო ატარა, ციხეში არ ყოფილა. ზოგს ხასიათი ღუპავს, ზოგს კი ჭკვა და გონება, ზოგს ღვინო და ზოგს კი ქალი, ზოგს ზარი და ქონება. ჩვენო ძმებო, უბედურნო, ციხეში ვართ ჩვენც ამ მარკით, გული ჭკნება, გული კვდება, თავს დამტყდარი ფათერაკით. აქ ერთმანეთს ვერ დავცინებთ, ყველას საქმე ერთია, დამნაშავეს გვეძახიან, არა გვწყალობს ღმერთია. როცა ხშირად ჩვენს საკანში, ხუმრობა რომ იწყება, ერთი წუთით გულის დარდი, ყველას დაგვავიწყდება. შიშითაც არ შეწყვიტო, სიმართლეზე ძახილი, მთელი ძალით მოიშორე, პროკურორის მახვილი. მოსამართლეს მოერიდე, თავი დაიხსენი, თორემ შემდეგ არ აგცდება, მწარე განაჩენი. რადგან პატიმარი ხარო და გეპყრობიან მკაცრად, პატიმარი ხარო და არ გთვლიან კაცად. სუყველამ ხელი აიღო, ვხედავ არავინ მყოლია, ამხანაგების საქმემ, დამათრო დამიყოლია. ციხე ყოფილა ნამდვილი სკოლა, ვის როგორ უნდა წესით შეხვედრა, სასჯელის შემდეგ თავისუფლება, ნათესავების პატივისცემა.

• მარ, გთხოვ დამიბეჭდე რა, თორნიკე გაგაძე მიყვარხარ! ელენე.

• როგორი ღამე გაათენე გარემონტებულ ბინაში? ხომ დარწმუნდი, რომ მიყვარხარ? მე შენზე ვლოცულობ. ალი.

• მარიამულ, დამიბეჭდე, გთხოვ. „გზას“ დიდი ხანია ვკითხულობ და ყველა ძალიან მიყვარხართ, მაგრამ განსაკუთრებით გურანდას ლოვე, თორნიკე გაგაძე მიყვარს და მეყვარება.

• მართლა გმირი ვიქნებოდი, ერთ ადამიანს თუ იქითობას გავისტუმრებდი. მეც დავისვენებდი და ბევრის მადლსაც მოვისხამდი, მაგრამ ეჰ... მაცმაცუნა.

• კიი, მესაკუთრე ვარ, ოღონდ სულიერ კონტექსტში, ბევრს არ ესიამოვნება ამის გაგება, მაგრამ მე და ქაჯების დედოფალი ისევ განუყრელები ვართ. P.S. ჩემიااااااა მარ, ჩემია და მიყვარს! ნაომი.

• HAPPY BOY, ადრე კი იბეჭდებოდა ჩვენი ფოტოები, მაგრამ ახლა ნეტავ რატო არა? :) მე გავეცნობი იმ უცნობ, ახალ მგზავნელს... CRAZY GIRL.

• ქარიანი ყინვა სიკვდილის ხმაზე დაიწყებს ზუზუნს... უკვე 40 დღე შენ გარეშე, გიო. ეეჰ... ფიფქია.

• მარიამულ, არ ვიცი სიხარულო, ეს ლექსი მოგწერე თუ არა, მაგრამ მაინც გწერ... მიყვარხარ და გეხუტები! ბავშვი ვარ, თითქოს ასე მგონია, ბავშვივით მიყვარს შენი სახება, მიყვარს შენს ტუჩზე ფართო ღიმილი, ჩემს თვალებში რომ აისახება... ბავშვივით მიყვარს ეს ყველაფერი, ამ სიყვარულის ნაზი ფერები, შენი ხელების კვლავ სითბოს ვნატრობ, მოვალ და ისევ მოგეფერები... ბავშვი ვარ თითქოს, ასე მგონია, შენი ტრფობით რომ არ დაიღლება, როგორც ფიალა ქართულ სუფრაზე, ეს სიყვარულიც არ დაიცლება! ლუნა.

• საღამო მშვიდობის, მარი. ახლა აღმოვაჩინე, რომ რაღაც დოზით წავიჩერჩეტებ და ვიცინო თუ ვიტირო, არ ვიცი. რამ მიმიყვანა თვითკრიტიკამდე? ერთმა სასაცილო ამბავმა: ალბათ ყველამ იცის გიორგი ზანგურის ლექსი — „ლოთი ქალაქში“. აი, მე კი არ ვიცოდი და მეტიც — დღემდე ერთ-ერთი მგზავნელის შემოქმედება მეგონა. რატომ ჩავთვალე მისად და თავად მითხრა, როცა გამანდო, ლექსებს ვწერო. გულგრილი არ ვარ პოეზიის მიმართ, აღვფრთოვანდი და ვთხოვე, გადმოეგზავნა რომელიმე ლექსი, საკუთარი შემოქმედებიდან. ჰოდა, მანაც დიდსულოვნად გადმომიგზავნა ზემოთ ხსენებული, თან საიდუმლოდ გამანდო, პირველს შენ გაკითხებო. აღფრთოვანებულმა ვუქე, ვუდიდე ნიჭი და არც ტაში დავაკელი. ახლა მრცხვენია ჩემი სიჩერჩეტის, გულუბრყვილობის და მენანება ფარისევლობაში დახარჯული ნიჭი. თუ შენ, უაღრესად იუმორით სავსე ადამიანო, ამოიცანი საკუთარი თავი, მითხარი, რას ფიქრობდი გულში, როცა მე აღფრთოვანებული გაქებდი? პირადად მე იქედნეს ღიმილი წარმომიდგენია. ადამიანებო, კაცობრიობავ,

• მთელი სამყარო უდაბურად მეჩვენება. ყველაფერი დამსხვრეულ მოზაიკას დაემსგავსა. ღვთისშვილნო, ურთიერთობას, თუნდაც უბრალო ნაცნობობას, ტყუილით რატომ ვასაზრდოებთ? ლაკვასტს, პარის, მაგდას, ნანი ბებოს მოვიკითხავ დიდი სიყვარულით და 9717-ს. P.S. საკუთარი თავის ჩათვლით, ყველა ოქტომბრელს ვულოცავ იუბილეს. მემე.

• გული ამტკივდა, მიშველე დედი. ამ ხალხს რა უნდა? გამიშვით ხელი. არსად წამოვალ, მიხსენი დედი. თეთრი სუდარა რათ გინდა დედი? რატომ ტირიხარ, რატომ გდის ცრემლი? რომ გეფერები, ვერა მცნობ, დედი? გთხოვ, შემომხედე, შვილი ვარ შენი. ნუთუ ვერ მხედავ, ეს მე ვარ, დედი. არც ჩემი გესმის? რა ხდება დედი? აქ რატომ ვწევარ, რატომ ვერ ვდგები? რატომ მოფრინდა ეს თეთრი მტრედი? რაით მიგყავართ, არ მინდა ხელში. დაბლა ჩამომსვით, გავივლი ფეხით. ეს რა ორმოა? მითხარი დედი და რატომ ჭარბობს ეს შავი ფერი?

• არა გწამთ ღმერთი? რატომ დაბნელდა? სადა ხარ დედი... P.S. რა უსამართლოა ცხოვრება. ფიფქია.

• ავად მოსაგონარი 18 სექტემბერი ცრემლად და ტკივილად დარჩება ჩემს გულში. როგორ მენატრები, გიოოო. უნივერსიტეტში ლექციების მერე ავტობუსის ბოლო სკამზე რომ ვსხდებოდით, ფანჯრისკენ მე მსვამდი და არაფრის დიდებით არ მიშვებდი დელისის მეტროსთან. გინდა თუ არა, რუსთაველზე გავიდეთ და მერე მე გაგაცილებო. რუსთაველზე ვინმე გოგოს რომ ნახავდი, თვალს ჩამიკრავდი, მიდი ძმურად, მარტო წადი სახლშიო. მეც გამეცინებოდა, თმას დაგაწიწკნიდი და მივდიოდი. ახლა რა ვქნა შენ გარეშე, გიო? აუდიტორიაში ყველა მერხს შენი სახელი აწერია. მეც ყოველდღე იქ ვჯდები და ცრემლებს ვერ ვიკავებ. რატომ დაგვტანჯე ასე გიო, რატომ? ფიფქია.

• მაღალი, ახოვანი ჭაბუკი ნერვიული ნაბიჯებით დადიოდა საყვარელ თბილისში. იცინოდა, ყველას ესალმებოდა და რაც მთავარია, ყველა და ყველაფერი უყვარდა. ქუჩაში მიმავალი, აშოლტილი, მშვენიერი ქალი ტანის ლამაზი რხევით რომ ჩაუვლიდა გვერდით... და შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია იმ პოეტისთვის, რომლის ლექსების კითხვაშიც ათენებდა და ცრემლებს ღვრიდა მისი უსაშველოდ ლამაზი და სევდიანი სტრიქონების გამო. ეს იყო უშნოდ აწოწილი, სტუდენტი ჭაბუკი, უიმედოდ შეყვარებული „მერი“ და „მესაფლავე“ რომ უქარვებდა ნაღველს. ძლივს მოკუსკუსე მოხუცი და პატარა, უთუოდ ლამაზი ბავშვი, „ქუჩაში, მტვერში რომ წაიქცა“. მას ის ქუჩაც უყვარდა, რომელზეც ცხოვრობდა, ის ხეც, მისი სახლის წინ რომ იდგა და რაღა თქმა უნდა, ის ქალი, რომელზედაც წერდა: „ნაპირებზე მიმაფრენდა ლურჯა ცხენი, გადვიჩეხე... უკურნებოდ დაჭრილი ვარ! დამეხსენი!“ — მე ვხედავ სიზმრებს, არა თქვენებურსო, ხშირად ამბობდა პოეტი და ამ საოცარი სიზმრების სიმაღლიდან ბჭობდა. ამ სიზმრების ზეცაში იბადებოდა „იისფერი თოვლი“, „ივლისისფერი ყინვა“, „ცისფერი ქალი“. ხალხი მას ზოგჯერ შერეკილადაც თვლიდა, გაუბამდნენ საუბარს, შემდეგ მართალია სიყვარულით, მაგრამ მაინც ოდნავ დაცინვით აყოლებდნენ თვალს. მერე შინ მივიდოდნენ, მისსავე წიგნს აიღებდნენ ხელში და ხარბად ნთქავდნენ სტრიქონებს. „მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა, მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ, მშვიდი დღეების თეთრი ბროლება, მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში და თმების ქარით გამოქროლება. მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს, ყოფნა ბინაში. თეთრი ტყეების მომყვება გუნდი და კვლავ მარტო ვარ მე ჩემ წინაშე“. მართლაც უცნაური იყო გასამართლება ღმერთკაცი-

სა... იმ კაცისა, რომელმაც თვით ირწმუნა თავისი არამიწიერება და უკვდავება. „უკვდავება, რომელიც არ არსებობს უსიყვარულოდ!“ „მე ისევ მახსოვს ბაიის ბგერა და ანგელოზთა ნაზი პროფილი, თვალები ლურჯი, დალალი ქერა, ბაგე — ატმებად გადაპობილი“. განა არსებობს უფრო დიდი სინაზე და კეთილშობილება? თვით ამ ადამიანშიც ხომ ასეთი სული იყო, სული სპეტაკი, კეთილშობილი, ნაზი და ბობოქარი და სული ობოლი. „თვითშეცნობა“ ბადებს ცხოვრების მიზანს, ადამიანის სული უსასრულო ბაღია, რომელშიც უმშვენიერესი ვარდებიც ხარობენ და სასტიკი ეკლებიც. თუ არ განანათლე სული შენი, სიბნელეში შეიძლება ეკალი გაახარო და ვარდი გადათელო“. წერდა ასე... მაგრამ გალაკტიონი ხომ ყოველთვის ვარდს ახარებდა, რამეთუ სულით ამაღლებული იყო და სიყვარული ასაზრდოებდა. გალაკტიონის ცხოვრება გრძნეულებაა. დიადი სიყვარულით წარმოშობილი ინდოელი თაგორი წერდა: სიყვარული სიცოცხლის თასია, პირთამდე ავსილიო, თვით რწმენაც კი სიყვარულისგან წარმოიშობა, რწმენა საუნჯეა, ჭარბი სიყვარულით შობილი... გალაკტიონი არის ბავშვი მარტოსული, მეოცნებე, სულით ობოლი. მახსენდება რუნგეს „ადამის ძის დაბადება“: ვარდისფერი ჩვილი მიაპობს მუქ ლურჯ სივრცეს, ფერხთით ვარდები უფენია, ანათებს სხივთა ნაკადი, თითქოს ბავშვი ამ შუქის სისუფთავისაგან შობილა, სული დედამიწაზე უნდა ჩამოეშვას და ხორცი შეისხას, მაგრამ: „ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი, ნუკრის თვალებით, თმით მიმოზებით და მწუხარების მალე ნიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები“. თურმე პატარაობისას იგი სარკმლიდან შემოჭრილ შუქთა ნაკადს ეამბორებოდა ხოლმე. „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი“. გალაკტიონი სულია, რომელიც ეკლიანი გვირგვინით, ეკლიან გზაზე მიაბიჯებს, ისწრაფვის მარადიული სივრცისაკენ, ახლად ცხოვრების ახალშობისაკენ, რათა ეზიაროს სიყვარულის ჭეშმარიტებას. ამ უდიდესმა ადამიანმა ირწმუნა თავისი არამიწიერება, მარადიულობა და ინატრა ფრთები გასაფრენად, მარადიული სიყვარულისაკენ: „ფრთები, ფრთები გვინდა, კიდევ ფრთები გვინდა! ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ მიზეზით აიხსნას მისი სასიკვდილო ნახტომი რომ მოხდებოდა სასწაული, შეესხმებოდა ფრთები და ძირს კი არა, ზევით აიჭრებოდა, გააპობდა ლაჟვარდ სივრცეებს. შეუძლებელია? მაგრამ გალაკტიონის არსებობა კი ნაკლები სასწაული იყო? ვინ იცის? მაშ, დიდება პოეტს, რომლის „ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“, რომელსაც შეუძლია ატირდეს სულით ობლობის გამო, რომელიც აღმერთებს უკანასკნელ სიყვარულს და თამამად ამბობს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ. მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს და შემოდგომის სიცივეში ველად გაზრდილი, ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს. სიოს მაგივრად ქარიშხალი ეალერსება და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს გარემოუცავს და ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“

P.S. ოქტომბრელებო, გილოცავთ დაბადების დღეებს. ფლამინგო, მადლობა, გაიხარე, თათა 15, გაიხარე, კარგი ადამიანი ხარ. მარ, მემემ მარტო ციფრები ჯობიაო და აჰა — 9.7.1.7.

• რა არის სიკვდილი? ისეთი არაფერი, თვალებს დახუჭავ და მოვა. მერე დაიწყება ვისთვის ნაცრისფერი, ვისთვის ვარდისფერი თოვა. დარდი დაბერდება, ცრემლი გაბევრდება, ლოცვად დაიღვრება გლოვა... რა არის სიკვდილი? ისეთი არაფერი... თვალებს დახუჭავ და მოვა. ფიფქია.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. დიდი მადლობა, მესიჯები რომ დამიბეჭდე. კვირას ათენის ცენტრში, პოეზიის საღამოზე ვიყავი. მე ძალიან მიყვარს პოეზია და ღმერთის მადლობელი ვარ, ლექსის წაკითხვის ნიჭი რომ მიბოძა. სანამ ეს საღამო დაიწყებოდა, მე პოეტ ნინო ქიზიყელის ლექსებს გადავავლე თვალი და დედაზე ლექსი ისე მომეწონა, ხმამაღლა წავუკითხე დარბაზს. ყველა ავატირე და მეც ვიტირე. შემდეგ კი, როცა საღამო მთავრდებოდა, წავიკითხე მურმან ლებანიძის „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. ჩემთვის ეს იყო გმირობის ტოლფასი იმიტომ, რომ შინაგანად ძალიან მორიდებული ვარ და იქ შევძელი ხალხის ატირებაც და დიდი სიხარულიც მივანიჭე მათ. ეს დღე არ დამავიწყდება. გკოცნით და მიყვარხართ, თქვენი გერასიმე.

• ბატონებო, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ჩვენი საზოგადოება სოლიდარული და თუ არ არის, რა იქნება ის თემა, რომელიც გაგვაერთიანებს? იქნებ „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“? ძალიან გთხოვთ მგზავნელებო, თქვენი აზრი დაწერეთ. გამცილებელი.

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო. მომწონს ჟურნალი „გზა“. მე დათო ვარ და მინდა, ახალი მეგობრები შევიძინო. ჩემი ნიკია ნერვოზა.

გილოცავ!

• მამა, გილოცავთ დაბადების დღეს, არ ინერვიულო, ჩვენ ყველანი კარგად ვართ. დედა და თამო მუშაობენ, მე ვსწავლობ. მიყვარხარ ძალიან, მალე გნახავთ. მარიამი.

• ლელა გოგინაშვილ-შანშაშვილს: სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი საყვარელ ოჯახთან ერთად. გაიხარე და გამრავლდი. სტურუები, ბიწაძეები და მზია.

• 25 ოქტომბერს დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო. გფარავდეს უფალი. მჯერა, როცა დაიბადე, ჩემი ვარსკვლავი აციალდა და ახითხითდა, ჩემთვის შობილოოო! :) მიყვარხარ! მემე.

• ნუგზარ ბოჭორიშვილს (გრაფმონტე-ქსანს)! მერე რა, რომ ასეთი უჩვეულო დაბადების დღე გაქვს... მერე რა, რომ პირადად ვერ გილოცავთ... სამაგიეროდ, ამტანობით ყველას დაუმტკიცე, რომ პიროვნული სიძლიერე მხოლოდ ფულით არ იზომება... ყოჩაღ! ამიტომაც მინდა, ეს 27 ოქტომბერი მოგილოცო. სიმდიდრე ჰქვია შენს სიღარიბეს.../ უმწეობით ხარ, ასე ძლიერი!/ გფარავდეს ეს სიძლიერე! კიდევ მრავალ დაბადების დღეს დაგასწროს უფალმა! ნანი.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ზაიმ-აუზი

სად მოძრაობენ თბილისელი ბაიკერები უსაფრთხოდ

გიორგი აბაშიძე მოტომოყვარული 12 წლის ასაკში გახდა და მას შემდეგ, არაერთი მოტოციკლი გამოიცვალა. 20 წლის ბაიკერი პროფესიით დიპლომატია და არც ავტომობილებზე ამბობს უარს — ექსტრიმით სერიოზულადაა გატაცებული.

თამთა დადეშელი

— პირველი მოტოციკლი მე და ჩემმა მეგობარმა ერთობლივად შეგროვებული თანხით შევიძინეთ; რუსული წარმოების გახლდათ, არც საბუთი ჰქონდა, არც — ნომერი, ყველა ნაწილი სხვადასხვა ფერის იყო, მაგრამ რომ დადიოდა, ეგეც გვიხაროდა. მერე, ნელ-ნელა, ფულის დამატებით, უკეთესებს ვყიდულობდით, თუმცა ჩემი მეგობარი ბაიკერობამ აღარ გაიტაცა და ამ საქმეს თავი დაანება. მე კი სპორტული მოტოციკლი შევიძინე. ისე, ავტომობილს ყოველთვის „ბაიკი“ მირჩევნია.

— როცა მართვის მოწმობა არ გქონდა, როგორ მოძრაობდი ქალაქში?

— მაშინ პატრული ჯერ არ იყო, სამართალდამცავებს კი იშვიათად შეხვდებოდი ქუჩაში. მოტოციკლით არავის დავუჯარიმებივარ, მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილით გადაადგილების გამო კი — ბევრჯერ; სხვათა შორის — ახლაც, ინტერვიუზე რომ მოვდიოდი... აქამდე მეზარებოდა, მაგრამ გადავწყვიტე, მოწმობა რაც შეიძლება მალე ავიღო.

— ბაიკერების შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობ ხოლმე?

— თუ შესაძლებლობა მაქვს, აუცილებლად, მაგრამ შეჯიბრება არც ისე ხშირადაა. თბილისში მხოლოდ 50 ადამიანი თუ იქნება ნამდვილი ბაიკერი — არა ისეთი, ათასში ერთხელ მოტოციკლით რომ გაისეირნებს...

— რაიმე განსაკუთრებული ტრიუკის გაკეთება შეგიძლია?

— კი, როგორ არა და მომწონს კიდეც. მაგალითად, ქალაქში კვადროციკლით ან მოტოციკლით ცალი ბორბლით რომ გავივლი ხოლმე, ყველა გაოცებული მიყურებს; ჰგონიათ, დავიმტვრევი და რამე მომივა.

— ტრავმები თუ მიგიღია?

— კი, ოღონდ, ღმერთის წყალობით, მხოლოდ მსუბუქად დავზიანებულვარ.

— მეგობრებს ასეირნებ ხოლმე შენი მოტოციკლით?

— კი, მაგრამ ამის სურვილი ნაკლებად მაქვს ხოლმე, რადგან ცოტა სახიფათოა. როცა უკანა სკამზე ადამიანი გიზის, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამიტომაც არ მიყვარს ვინმესთან ერთად მოტოციკლზე ჯდომა, მარტო ყოველთვის უკეთესია.

— ქალაქში სად არის ბაიკერებისთვის სამოძრაოდ ყველაზე კარგი გზები?

— ისე, ყველა გზა სახიფათოა... ისე გადადიან ერთი ხაზიდან მეორეში, ან ისე ამუხრუჭებენ, რომ „სტოპები“ და მოხვევის მაჩვენებელი საერთოდ არა აქვთ ჩართული; შუქნიშანზე გაჩერებისას შეიძლება უკან მოგედონ ან ფეხზე გადაგიარონ და ა.შ. ამიტომ ქალაქში ბაიკერი იძულებული ხდება, მძღოლებს შეეჯიბროს ან გაუსწროს. ჩემი მეგობრები ავტობანზე დადიან ხოლმე, მაგრამ პირადად მე, დიდ სიჩქარეს ტრამპლინზე, ბუნებაში, ტყე-ღრეში სიარული მირჩევნია. ბევრად უფრო უსაფრთხოა — ხეს არც მოხვევის მაჩვენებელი აქვს და ვერც გზას გადმოგიჭრის. რამდენიმე ადამიანი მივდივართ ხოლმე საინტერესო ადგილების სანახავად. მიყვარს ყაზბეგში წასვლა.

ტყე-ღრეში სიარული მირჩევნია. ბევრად უფრო უსაფრთხოა – ხეს არც მოხვევის მაჩვენებელი აქვს და ვერც გზას გადმოგიჭრის

— მოტოციკლისთვის საჭირო აქსესუარებს თუ იყენებ?

— აბსოლუტურად ყველაფერი მაქვს, მაგრამ ჩაფხუტის ხმარებას ძლივს შევეჩვიე. ადრე რომ მოტოციკლები მყავდა, ბევრად უფრო იაფი ღირდა, ვიდრე მთელი ეს აქსესუარები — ხერხემლის, კოჭების, მაჯების, იდაყვების, კისრის

დამცავები; სამუხლეები, ჩაფხუტი და ხელთათმანი. ნორმალური ხარისხის მინიმუმ ათასი დოლარი ჯდება, თორემ ჩინურები ბევრად იაფია. მოტოციკლების ფასები კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სიმძლავრის ძრავა აქვს. ასევე მნიშვნელოვანია რომელი ფირმის, მოდელისა და სტილისაა.

— **ამჟამად რა მარკის „ბაიკი“ გყავს?**

— „აპრელია პეგასო“, საკმაოდ ძვირად ღირებული და კომფორტულია; აქვს სახელურებისა და სკამის გათბობა, განსხვავებული ამორტიზაციის სისტემა და ა.შ.

— **წვიმიან გზაზე სიარული ხომ არ გიჭირს? მოცურების საშიშროება დიდია?**

— გააჩნია მოტოციკლს. მაგალითად, ჩემი „ბაიკის“ სტილი არის „ადვენტურე“ — სამოგზაურო; მისი საბურავები წვიმაზეცაა გათვლილი და თოვლზეც. ბევრი პლუსი აქვს. ისე, სპორტული ავტომობილიც მყავს და შეჯიბრებაში ხშირად ვმონაწილეობ...

— **შეყვარებული თუ გყავს?**

— დიახ, მყავს და ბაიკერობა მასაც მოსწონს, მართვაც იცის და ცოტა ხანში საკუთარი მოტოციკლიც ეყოლება. მალე კი „ბაიკერულ ოჯახსაც“ შევქმნით.

— **როგორც ვიცი, საკუთარი მოტომალაზიის პატრონიც ხარ. რაზეა მეტი მოთხოვნა?**

— თავიდან აბსოლუტურად ყველას სპორტული მოტოციკლეტი უნდოდა, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ქალაქში ეს არც ისე გამოსადეგია: ზოგისთვის დამღლელია, ზოგისთვის — საშიში, ზოგისთვის კი სამწუხაროდ, სასიკვდილოც აღმოჩნდა. ამიტომ „ჩოპერის“ ანუ კლასიკური მოტოციკლებიდან სამთო ტიპისაზე გადადიან, რადგან ტყესა და მინდორში ექსტრიმი გაცილებით უსაფრთხოა, და არც სხვას დააზიანებ.

— **ამბობენ, გადაადგილების იაფი საშუალებაა. შენ რას იტყვი?**

— თუ სათანადოდ მოვუვლით, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ისე იაფია. სამაგიეროდ, მისით მგზავრობა ბევრად უფრო სასიამოვნოა. საქართველოში მოტოციკლს „ორბორბლიან კუბოს“ ეძახიან, რაც არასწორი მიდგომაა, რადგანაც ქუჩა ერთნაირად სახიფათოა როგორც ბაიკერებისთვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. იმედია ჩვენში მოტოკულტურა მალე განვითარდება. ■

„აპრელია პეგასო“, საკმაოდ ძვირად ღირებული და კომფორტულია

სულელური შემთხვევების კალეიდოსკოპი

• ალასკის სანაპირო ზოლთან, ნავთობის ჩაღვრის შემდეგ, სელაპების სარეაბილიტაციო პროგრამა განხორციელდა. თითო ცხოველზე 80 ათასი დოლარი დაიხარჯა. 2 სელაპის გამოჯანმრთელების შემდეგ, მათი ზღვაში გაშვება გადაწყდა. მოიწვიეს ჟურნალისტები, მაყურებლები და რამდენიმე წამში, გამოჯანმრთელებული სელაპები, მაყურებლების თვალწინ, ცელნამგალა ვეშაპმა შესანსლა.

• ორმა ცხოველთა დამცველმა, ღორების სასაკლაოსთან, საპროტესტო აქციის მოწყობა გადაწყვიტა. გაოგნებულ ყასბებს კარი ღია დარჩათ და ცხოველთა დამცველებს ღორის კოლტმა გადაუარა.

• ირანელმა ტერორისტმა — კაიუ რახაიეტმა ასაფეთქებელი ბომბი დაამზადა, ადრესატის მისამართი მიუთითა, მაგრამ... მარკის საყიდლად ფული არ ეყო. საფოსტო სამსახურის თანამშრომლებმა უმარკო წერილი ისევ კაიუს გაუგზავნეს. მამაკაცს დაავიწყდა ბომბის არსებობა, ამანათი გახსნა და აფეთქდა.

• ავტობუსის მძღოლს 20 გიჟი ერთი ფსიქიატრიული კლინიკიდან მეორეში გადაჰყავდა. გზად ბარში შეიარა და სასმელი მოითხოვა. ადგილზე დაბრუნებულს, ავტობუსი ცარიელი დახვდა. სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით, მძღოლმა გაჩერებაზე ხალხს სახლებში წაყვანა უფასოდ შესთავაზა და... საგიჟეთში მიიყვანა. სიტუაციის გარკვევას 3 დღე დასჭირდა.

• ნიუ-იორკელმა სტუდენტ-ფსიქოლოგმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. აინტერესებდა, რამდენად აღიზიანებს ადამიანს კითხვები მუშაობის დროს. გაუთავებელ კითხვებს ხურომ 4 საათი გაუძლო, შემდეგ სტუდენტს ნაჯახი მოუქნია და სამუდამოდ დაასახიჩრა.

• თოვლით დაფარულ ადგილს, ავტომობილისთვის მძღოლი მთელი საათი ასუფთავებდა, მაგრამ მანქანის დაყენება ვერ მოასწრო, მისი ადგილი ქალბატონმა დაიკავა. მძღოლს ნერვებმა უმტყუნა და ქალი ადგილზე მოკლა.

• სამზარეულოში შესულმა ცოლმა დაინახა, რომ მის ქმარს შტეფსელში შეერთებული ჩაიდანი ეჭირა და უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა. ქალმა იფიქრა, რომ ქმარს დენმა დაარტყა და იატაკის ჯოხი ხელზე ორჯერ ძლიერად დასცხო. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა, „ყურადღებიანმა“ ცოლმა კი ხელი ორ ადგილას მოსტეხა. ■

ცოცხალი „ბრელოკი“

ჩინეთში ახალი მოდაა — ქუჩებში ცოცხალ „ბრელოკებს“ ყიდიან. პლასტიკატის პაკეტში მოთავსებული ციცქნა თევზი ან კუ 5 დოლარი ღირს. ცოცხალი სუვენირი სულ 3 თვე „ცოცხლობს“. გამყიდველები ამბობენ, რომ ამ პერიოდში ცხოველი უზრუნველყოფილია საკვებით. შემდეგ კი კვდება. ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია ჩინელ გამყიდველებს უჩივის, მაგრამ გამვლელები მაინც სიამოვნებით ყიდულობენ „ბრელოკებს“ და მიაჩნიათ, რომ მათ ბედნიერება მოაქვთ. ზოგიერთი კი სუვენირს სიბრალულის გამო ყიდულობს და შემდეგ ცხოველს ტბაში უშვებს. ■

საშვილოსნოს გადანერგვა მითი თუ რეალობა ?

თქვენს კითხვებს პასუხობენ
პროფესიონალები!

MKURNALI.GE
საგვიდიანო ინტერნეტჟურნალი

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 1/4 მოქმედი ლიცენზირებული ექიმი.

www.mkurnali.ge

ანეკდოტები

***

2 მელოტი ჩხუბობს:

— შენ ჩემზე უფრო მელოტი ხარ!

— საიდან დაასკვენი?!. არც ერთს ღერი თმა არა გვაქვს თავზე!..

— შენ ჩემზე უფრო დიდი თავი გაქვს!

***

2 კაცი საუბრობს:

— სიდედრმა გამამწარა!

— შენც ადექი და გაუჩალიჩე რამე.

— აღარ ვიცი, რა გავუჩალიჩო. ამას წინათ განცხადება გამოვაქვეყნე მაგის ნომერზე: „ვასრულებ სექსუალურ მომსახურებას იაფად“.

— მერე?!

— მერე დგას და ასრულებს, მაგის დედაც!

***

საპატრულო პოლიციაში ქალი რეკავს:

— ვაიმე, მიშველეთ, კარზე ვიღაც კაცი მიკაკუნებს.

— არ გაუღოთ, ქალბატონო, ახლავე მოვალთ!

— რას ჰქვია, არ გავუღო, დავიღალე ამდენი მარტოობით.

***

— დღესაც მე მგზავნით პურზე?! — ებუზღუნება მშობლებს სანდრო. — ახლა ლევანი წავიდეს.

— რასაც გეუბნები, ის გააკეთე, — ტუქსავს მამა, — მაგი რამდენჯერაც პურზე გავგზავნეთ, იმდენჯერ ცოლი მოიყვანა.

***

— თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

— საყვარელი ქალის გულისთვის ვიჩხუბე.

— ვის ეჩხუბე?

— ცოლს!

***

კაცმა ალაყაფის კარზე წარწერა გააკეთა: „ეზოში ავი ძაღლია“.

— ძაღლი იყიდე? — ეკითხება მეზობელი.

— არა, ცოლია დეპრესიაში...

***

საცოლე:

— საყვარელო, ჩვენი ქორწინების წინ მინდა ჩემს წარსულ ცოდვებზე დაგელაპარაკო...

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე?!.

— ჰო, მაგრამ მას შემდეგ მთელი ერთი თვე გავიდა!..

***

ებრაელი ისრაელში მიდის საცხოვრებლად.

— რამე ძვირფასეული მიგაქვთ? — ეკითხება მებაჟე.

— 84 კილოგრამი ოქრო! ხომ შეიძლება?!.

— რა თქმა უნდა, არა!..

— სარა! — მიუბრუნდა ებრაელი ცოლს. — ეს კეთილი ადამიანი მეუბნება, რომ შენი წაყვანა არ შეიძლება.

***

— აბა, კარგი „ნასკი“! „ნასკი“! — ყვირის ბოშა ქალი.

— ახალია? — ეკითხება სვანი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა ჰქვია ვაგონის თავსა და ბოლოში განთავსებულ ზამბარიანი რკინის დისკოს, რომელიც დაჯახების შესარბილებლად არის განკუთვნილი?

2. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ნიკარაგუის დიქტატორის ანასტასიო პირველის შესახებ ამბობდა: „მე მას კარგად ვიცნობ. იგი ნამდვილი ძაღლიშვილია, მაგრამ ის...“ დაასრულეთ ფრაზა.

3. ინგლისის მეფე ჰენრი VIII-მ თავის მინისტრს, სახელგანთქმული წიგნის, „უტოპიის“ ავტორს, თომას მორს უბრძანა გამგზავრებულიყო პარიზში და საფრანგეთის მეფისათვის პირადად წარედგინა ნოტა. „თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა თომას მორმა, — თქვენც ხომ იცით, როგორი ფიცხია საფრანგეთის მეფე, ის ხელად წამაცლის თავს“. „ნუ გეშინია, ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ გავცემ ბრძანებას, თავი მოჰკვეთონ ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს“, — უპასუხა ჰენრი VIII-მ. „ძალზე გულმოწყალე ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ვშიშობ, რომ...“ დაასრულეთ თომას მორის სიტყვები.

4. ვის ეკუთვნის სიტყვები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შესახებ: „იგი არ არის ილია II, იგი მეორე ილიაა“?

5. რა ჰქვია უოლტერ სკოტის ნაწარმოებს, რომლის მთავარი გმირი რობერტ როი მაკგრეგორია?

6. ვინ არის „ცირიკი“?

7. რით გარდაიცვალა ლუჩანო პავაროტი?

8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „გაეროს იმიტომ კი არ ვქმნით, რომ დედამიწაზე სამოთხე შევქმნათ, არამედ იმიტომ, რომ ირგვლივ ჯოჯოხეთმა არ დაისადგუროს“?

9. დაასახელეთ კომპოზიტორი, რომელიც პირველი დირიჟორობდა ორკესტრისკენ შებრუნებული.

***

ცოლი სააბაზანოდან პირსახოცშემოხვეული გამოდის და იმავე წამს ქმარი შერბის დასაბანად. ამ დროს კარზე ზარია. ცოლი კარს აღებს და ხედავს, შემოსასვლელში მეზობელი ნუგზარა დგას და პირდაღებული მისშტერებია.

— 500 დოლარს მოგცემ, მაგ პირსახოცს თუ 2 წუთით მოიხსნი!

ცოლმა პირსახოცი მოიხსნა, ფული გამოართვა და კმაყოფილმა მიიხურა კარი.

— ვინ იყო? — იკითხა სააბაზანოდან გამოსულმა ქმარმა.

— ნუგზარი იყო, სართული შემეშალაო.

— უი, ჩემი ვალი უნდა მოეტანა, 500 დოლარი!.. ხომ არ მოუცია?!.

***

მარო მიხოს გასძახის:

— სახლში ამო, ლობიო ჭამე!..

სახლში ამოსულმა მიხომ უსაყვედურა:

— კარგი, რა, ბიჭები დამცინიან, ყოველდღე ლობიო როგორ გაქვს სადილადო. შემდეგ დაძახებაზე რამე ხეირიანი კერძი ახსენე.

მეორე დღეს მარომ მიხოს გასძახა:

— მიხო, ამო, ტორტი ჭამე!

— გააცხელე და ამოვალ!

***

კლასის დამრიგებელმა ანანოს დღიურში ჩაუწერა: „გაკვეთილებზე გაუთავებლად ლაქლაქებს“. მეორე დღეს კი ამავე დღიურში ანანოს მამის ჩანაწერი ამოიკითხა: „თქვენ დედამისი უნდა ნახოთ...“.

***

ჩუქჩამ ცოლს დაბადების დღეზე საბანაო კოსტიუმი და ძალაყინი აჩუქა:

— ეს რა არის?

— საბანაო კომპლექტი.

— ძალაყინი რაღა საჭიროა?

— აბა, ყინული რით უნდა ამოამტვრიო?!

***

ებრაელი სასტუმროში მივიდა:

— რა ღირს თქვენთან ნომერი?

— პირველ სართულზე — 60 დოლარი, მეორეზე — 50, მესამეზე — 40, ბოლო, მეოთხე სართულზე — 30.

ებრაელი კარისკენ გაბრუნდა.

— რაშია საქმე, ფასებია მაღალი?

— არა, ბატონო, სასტუმროა დაბალი.

***

გემი იძირება, ყველა ეძებს ხელის მოსაჭიდს. ქალი ქმართან მიცურდა, რომელიც მოტივტივე ხის კარს ჩასჭიდებია წარწერით „ბარი“.

— არამზადავ, ყოველთვის ვიცი, სად უნდა გეძებო!

***

ღამით მიხო მაროს აღვიძებს:

— ლოქოს ქინძმარში შასჭამდი?

— რატომაც არა, მიხო!

— მერე წადი და დაიჭირე.

— სად წავიდე, გაგიჟდი? გარეთ თოვს და თანაც ღამეა.

— მაშინ ეგდე ჩუმადა!.. არ მამინდომა თევზი...

***

ვეტერინართან მიღებაზე:

— ჩემი ძაღლი სულ გამოშტერდა. ვეუბნები: წადი, გაზეთები მოიტანე-მეთქი, ის კი შედის სამზარეულოში და სადილს აკეთებს...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ბუფერი.

2. „ჩვენი ძაღლიშვილია“.

3. „ვშიშობ, რომ არც ერთი ფრანგის თავი არ მოერგება ჩემს მხრებს“.

4. თამაზ კვაჭანტირაძეს.

5. „რობ როი“.

6. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცი.

7. კიბოთი.

8. უინსტონ ჩერჩილს.

9. რიხარდ ვაგნერი.

ჩვენი ფოტო მაღერეა

ჰოროსკოპი

27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი

ფარფატა

სამსახურში საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავეთ. მეუღლესთან ურთიერთობა უქმეებზე გამოგისწორდებათ.

ხარი

კარგი პერიოდია მოგზაურობისა და უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობისთვის. გარშემო მყოფებთან კონფლიქტი დიპლომატიურად მოაგვარეთ.

ტყუპი

რთული პერიოდი გელით. ჩაგეშლებათ მოლაპარაკებები და გაგიფუჭდებათ ურთიერთობა მეგობრებთან. არ წამოიწყოთ ახალი საქმეები.

კირჩხიბი

განახორციელეთ ახალი იდეები. გააფორმეთ კონტრაქტები. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მეუღლეს ნუ აეჭვიანებთ.

ლომი

უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, ახალი პროექტები კოლეგებთან ერთად დაგეგმეთ. კარგი პერიოდია კაპიტალდაბანდებებისთვის. მოერიდეთ კონფლიქტებს.

ქალწული

მშობლები მატერიალურ დახმარებას გაგიწევენ. უქმეებზე რომანტიკული შეხვედრა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

სასწორი

გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა გარშემო მყოფებთან. წვეულებაზე გამხიარულდებით. თუ არ გსურთ მეგობრები გადაიმტეროთ, ფული არ ასესხოთ.

ღრიანცელი

კოლეგების მიმართ ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული. დროა, ახლობლებსა და მეგობრებს დაეხმაროთ.

მშვილდოსანი

კვირა საოჯახო საქმეებს მიუძღვენით. კარგი პერიოდია ახალი იდეების განსახილველად. ჭორაობისგან თავი შეიკავეთ, არ გათქვათ თანამშრომლების საიდუმლოებები.

თხის რქა

საკუთარ თავში ახალ ნიჭს აღმოაჩენთ და საინტერესო შემოქმედებით იდეებს განახორციელებთ. კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელად.

წყალმანი

ნათესავები სასიამოვნო ამბებით გაგახარებენ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა უფროსთან. გააკონტროლეთ ოჯახის ბიუჯეტი.

თევზები

რამდენიმე საქმის ერთდროულად მოგვარება მოგიწევთ. მოსალოდნელია შეხვედრები ნათესავებთან. გაფრთხილდით, კვირის ბოლოს არ გაცივდეთ.

საქორწილო თარიღები და საჩუქრები

1 წელი — ჩითის ქორწილი; ქმარმა ცოლს ამ დღის აღსანიშნავად ჩითის ან ბუნებრივი ქსოვილის ნივთები: თეთრეული, პირსახოცები უნდა მიართვას.

2 წელი — ქაღალდის (მინის) ქორწილი; საუკეთესო საჩუქარი ამ დღისთვის იქნება: წიგნი, ფოტოალბომი, ლარნაკი და მინის სუვენირები.

3 წელი — ტყავის ქორწილი; იუბილეს აღსანიშნავად მეუღლეს ტყავის ხელთათმანი, საფულე ან ჩანთა მიართვით.

4 წელისთავის აღსანიშნავად, სახლი ვარდებით მორთეთ და წყვილი სანთელი აანთეთ.

5 წელი — ხის ქორწილი; თარიღი მშობლებისა და მეგობრების წრეში აღნიშნეთ. საუკეთესო საჩუქარია ხის ნივთები: ზარდახშა, ჩარჩო სამახსოვრო ფოტოებისთვის...

6 წელი — თუჯის ქორწილი; ცოლი ქმარს თუჯის ქვაბში მომზადებული კერძით უნდა გაუმასპინძლდეს.

7 წელი — სპილენძის ქორწილი.

8 წელი — თუნუქის ქორწილი; ძველად მეუღლეები თუნუქის ჭურჭელს ყიდულობდნენ. ახალგაზრდებს შეუძლიათ, ელექტროხელსაწყოები შეიძინონ.

9 წელი — თიხის ქორწილი; გახსოვდეთ, თიხის გატეხილ ქოთანს ვეღარ გაამთელებთ. ამიტომ 9 წლის შემდეგაც ვალდებული ხართ, გაუფრთხილდეთ გრძნობებს. ქმარმა ცოლს თიხის ქოთანში ჩარგული ყვავილები ან თიხის ნაკეთობა უნდა მიართვას.

10 წელი — ვარდის ქორწილი; თქვენი 10-წლიანი თანაცხოვრება უეკლო არ იქნებოდა, მაგრამ დღეს ეს დაივიწყეთ. წვეულება მოაწყვეთ და ნათესავები და მეგობრები დაპატიჟეთ.

11 წელი — ფოლადის ქორწილი.

12 წელი — ნიკელის ქორწილი.

13 წელი — მაქმანების ქორწილი. მაქმანი მოდაში აღარაა, ამიტომ, მეუღლეებმა ერთმანეთს სუნამოები მიართვით.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ტაიმ-აუტი

1. ბოსტნეული
2. ძალა, ღონე
3. თხელი ტალახი
4. კოპიტი
5. ქართული ღვინო
6. ქრისტეს გამყიდველი
7. ილიას პოემა
8. ზრდადაუმთავრებელი ქათამი
9. ფულის ერთეული იაპონიაში
10. ქვეყანა ევროპაში
11. ქრისტიანული დღესასწაული
12. ერთნაზადი, სუსტი არაყი
13. მამალი თხა
14. სურათი წმინდანის გამოსახულებით
15. სრული შესაბამისი, შესატყვისი
16. აღლუმი
17. კარგი ამინდი
18. პირველი ქალი
19. ავტომობილის ძარას ტიპი
20. უბრალო უზურგო სკამი
21. სრული მარცხი, კრახი
22. ინდოელ ქალთა სამოსი
23. კეშირგაბმულობის საშუალება
24. ქართული ხალხური სიმღერა
25. ქაღალდის ფურცლის ზომა
26. ფულის ერთეული ისრაელში
27. ქალაქი საქართველოში
28. მუსლიმანთა საღვთო წიგნი
29. ბეთჰოვენის ოპერა
30. ნაწერი ასოების გრაფიკული ფორმა
31. ქვეყანა აზიაში
32. მუს. ნოტი
33. ჩოგბურთის მოედანი
34. პეპლების დასაჭერი ხელსაწყო
35. ვაზის ბაღი
36. ავტოსპორტის სახეობა
37. იაპონური ავტომობილი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. კონდიტერი. 2. ნორმა; 3. ფირალი; 4. რეზიდენცია; 5. სირია; 6. ტარტაროზი; 7. ერბო; 8. მალარია; 9. რეა; 10. კიკინი; 11. სინა; 12. კარეტა; 13. ურო; 14. კერატი; 15. კოკი; 16. ყურძენი; 17. ბოცა; 18. ზეკარი; 19. ეტიკეტი; 20. ბამბა; 21. ფირა; 22. კლუმბა; 23. კუბი; 24. პი; 25. ლირიკა; 26. რეჰანი; 27. ალიონი; 28. კილერი; 29. ჭიკარტი; 30. ალიზი; 31. ფანჯარა; 32. ბოქლომი; 33. კლიენტი; 34. კიდე; 35. პასტორი; 36. დანტისტი; 37. ეპილაცია.
სურათებზე: კეტრინ ზეტა ჯონსი; მაიკლ დუგლასი.

ქუჩის სამზარეულო

• შანხაის ქუჩებში მზარეულები გამვლელებს ჩინური პელმენებით უმასპინძლდებიან. ჩინეთში პოპულარულია კალიის მწვადი. დასავლელი ტურისტები დელიკატესის გასინჯვაზე უარს ამბობენ, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 1400 ჯიშის, პროტეინით მდიდარ მწერებს მიირთმევენ.

• მაროკოელები გასაგრილებლად ტკბილ, პიტნიან ჩაის სვამენ და მას ტურისტებსაც ურჩევენ.

• ტაივანში, მიაოკოუს ბაზრობაზე ხალხი მთელი ღამე ვაჭრობს. ყველაზე გრძელი რიგები მზარეულებთან დგება. გამვლელები ატრიის წვნიანს, ხამანწკების ომლეტსა და ბრინჯის ფლავს ქლიავის დესერტს აყოლებენ. ატრია ტაილანდშიც პოპულარული კერძია.

• ფილიპინელი მზარეულები ქათმის შიგნეულობას შამფურებზე წამოაცვამენ და წვავენ, რასაც ტკბილ, მჟავე და მწარე სოუსებთან ერთად მიირთმევენ.

• ვიეტნამელები ბანხმას საუზმეზეც მიირთმევენ და სადილზეც. ბანხმა ფრანგულ ბატონში ჩადებული შემწვარი ხორცის ნაჭრები და ბოსტნეულია.

• პერუს ზღვისპირა ქალაქებში უმი თევზისა და ზღვის პროდუქტების მარინადს შემოგთავაზებენ.

• კამბოჯის ქუჩებში შემწვარი გოჭებით ვაჭრობენ. სხვათა შორის, ღორის ხორცი ყველაზე კომერციული პროდუქტია. ყველაზე მეტ ღორის ხორცს ავსტრიაში, ესპანეთსა და დანიაში მიირთმევენ. ■



იაპონური სენსაცია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

3	2	6	1	4	9	5	8	7
5	7	1	2	8	3	9	6	4
9	8	4	5	6	7	1	3	2
6	1	3	4	9	5	2	7	8
2	9	7	6	3	8	4	5	1
4	5	8	7	2	1	6	9	3
1	3	2	8	5	6	7	4	9
8	4	5	9	7	2	3	1	6
7	6	9	3	1	4	8	2	5

7	9	2	6	3	5	1	8	4
4	1	6	2	9	8	3	7	5
8	5	3	7	1	4	2	6	9
1	8	4	9	6	3	7	5	2
3	6	5	8	2	7	9	4	1
2	7	9	5	4	1	6	3	8
5	2	8	1	7	6	4	9	3
6	4	1	3	8	9	5	2	7
9	3	7	4	5	2	8	1	6

6	8	9	7	4	1	3	5	2
1	2	7	5	3	9	6	8	4
4	5	3	8	6	2	7	1	9
3	9	5	6	2	4	8	7	1
8	4	2	1	7	5	9	3	6
7	1	6	3	9	8	4	2	5
5	6	1	4	8	7	2	9	3
2	7	4	9	5	3	1	6	8
9	3	8	2	1	6	5	4	7

* მარტივი

2			6					
	3		4					1
9			1			3		
	5	8	3					9
	6			5			7	
3						5	4	
		6			3			2
1					8		6	
					9			4

* * საშუალო

	6				3	7	5	
8				1				2
	9		5					3
4				8			7	
9				6				5
	1		7	2				9
2					1		9	
6				7				1
	4	1	9				2	

* * * რთული

	4			6		7		9
	9				2		1	
8			5				6	
	8			4			9	
	6		2		1		5	
	3				8		4	
	7				4			2
	5		9				7	
4		2		8			3	

ჟურნალი „კარიბჭე“ წარმოგიდგენთ
ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ზლაპრად ნაამბობი ყველაზე მთავარი წიგნი!

სალმრთო ისტორია
ილუსტრირებული ბიბლია ბავშვებისათვის
იაკობ ეოვერაშვილისგან!

მეორე წიგნში:
- კაენი და აბელი
- კაენის დასჯა და სეითის შობა
- კაენისა და სეითის შთამომავალნი
- კაცთა მოდგმის გარყვნა
- ნოე
- წარღვნა
- ნოეს შვილები

წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

აპდილ-h სიროფი

ოთხფურცელა მარწყვბალახა, დარფილფილი,
ადჰადოტა ვასიკა, ძირტკბილა

მცენარეული ამოსახველებელი საშუალება

ამცირებს:
- ხველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქებში ნახველის შეგუბებას

აპდილ-h
 აჯანტა ფარმა ლიმიტედი, ინდოეთი

PSP №1
ჩვენი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148/ბ

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს.

მალე!

„პალიტრა მედია“
წარმოგიდგენთ პროექტს

ჯადოსნური ქისა

ლურჯი მონეტა

დაელოდეთ!
ყველაფერს თავისი დრო აქვს!

31 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე

პირველად ქართულ ენაზე

ჯორჯ ორუელი
1984

მხოლოდ კვირის პალიტრის მკითხველისთვის სპეციალური
ფასი 7 ლარი



ნიგნი 23

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

ფოტოკოლაჟები



1-

b 128/37

ბილაინი®

გაერთე «ბილაინის მეგა გათამაშებაში» 12 იანვრამდე და მოიგე:

- ორი ახალი ტოიოტა ლენდკრუიზერ 200
- სამი ორკაციანი საგზური ლას ვეგასში, სასტუმრო «ცეზარ პალასში», ყველა საგზურის მფლობელს აგრეთვე გადაეცემა 5000 დოლარი

მონაწილეობისთვის აკრიფე *500# OK

რეგისტრაცია უფასოა
მომსახურება «მობილური გადარიცხვის» სარგებლობის შემთხვევაში ბილეთი არ გერიცხებათ
ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღებ გათამაშების 1 ბილეთს
გათამაშება გაიმართება 15 იანვარს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში 18:30 საათზე
ნებართვის № 19-03/274

www.beeline.ge